# კვირის პალიტრა

№ 16 (477) ◆ 19 – 25 აპრილი. 2004 წ. ◆ ფასი 50 თეთრი ◆ დაარსებულია 1995 წ.

## „დათვური სამსახურია დუმილი, როცა რაღაცა სწორად არ კეთდება“

„დღეს უფრო მომზადებული ვარ პარლამენტის თავმჯდომარეობისთვის“



ბევრ ქვეყანას აქვს სტრატეგიული ინტერესი საქართველოში და, ბუნებრივია, ისინი აქ თავის აგენტურას ამუშავებენ. კარგად ვიცი, მოარული გზებით როგორ ინფორმაციასაც აწვდიან ბატონ ასლანს. მეორე მხრივ, ზოგიერთი მართლაც ცდილობს ცენტრალურ ხელისუფლებას რადიკალური ნაბიჯებისკენ უბიძგოს და ამით ჩიხში მოაქციოს. გვ.7

თუ ნაციონალები და გაერთიანებული დემოკრატები ცალ-ცალკე შექმნიან ფრაქციებს, ამის შემდეგ კიდევ დავფიქრდებით, შევქმნათ თუ არა დამოუკიდებელი ფრაქცია.

## სამხედრო თემაზე: რატომ ემუქრებიან პრეზიდენტის ნაქებ მფრინავს სვანეთიდან?

გვ.8,9



პილოტებს, სპეცრაზმელებისგან განსხვავებით, შავი ნიღბების თავზე ჩამოცმა არ შეუძლიათ.

რატომ გადაიდო სამხედრო წვრთნები „დიოსკურია-2004“

## რას ვსვამთ — „წყლის ხარისხი ბევრად გაუარესდა...“

გვ.5

რატომ ეშინია საკრებულოს თავმჯდომარეს თბილისში სურსათის შეძენა?



დღეს ფრანგებს თუ არ შემოვიყვანთ, ხვალ უმძიმესი მდგომარეობა იქნება. წყლის ხარისხი ბევრად უარესდება. ვარკეთილში უკვე ქვიშა მოსდევს მას. მიწისქვეშა გაყვანილობები ყველა ამორტიზებულია და ჩვენი სახლების სარდაფები წყლით ივსება.

## „საქართველოში თუ სროლა იქნება, ვინ ჩადებს ინვესტიციას?!“

„ჩვენი საელჩოების თანამშრომლები სუპერმარკეტებიდან ნისიად არ უნდა იღებდნენ პროდუქტს...“



გვ.6,7

„ცასა და სავარძელს გამოკერებული არავინ არის“

## ქართული მწვანილი ქურდებსაც უყვარებიათ

„ცალკე თათარი რეკეტიორები გვაწერენ ფულს, ცალკე – ქართველი ქურდები“



ეტყობა, რეკეტიორებსაც ეშინიათ ქურდების. თათრები თანაგვიგრძნობენ, ქართველი ქურდები კი ისე გვექცევიან, ვითომ მოსისხლე მტრები ვიყოთ.

ერთხელ კი დაგვიბარეს ქურდებმა და გვითხრეს, ქუთაისიდან მწვანილი მხოლოდ ჩვენი მანქანებით უნდა გაიტანოთ. ვინც საქონელს საკუთარი მანქანით წაიღებს, მანქანებს დავუწვავთო.

რუსეთში მყოფი ქართველი კანონიერი ქურდები არა მარტო მემწვანილეებს ავიწროებენ, პრობლემები იქ მყოფ სხვა ქართველ მეწარმეებსაც აქვთ. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ქართველი ქურდები მხოლოდ ქართველ ბიზნესმენებზე ნადირობენ... გვ.13

## მედიცინა:

გვ.24,25

### ვაქი გნებავთ? კი ბატონო!

### სიმაძღრე სიჩლუნგეს იწვევს

### ბებოც იმუნიზირებს

### ხილ-ბოსტნეულის თერაპია ჰემოგლობინს ამაღლებს

### ევროპა სწრაფი კვების წინააღმდეგია

### კარაბადინი

## „ასეთი შეიარაღება მკაცრ აღრიცხვასა და მარკირებას ექვემდებარება“

როგორი დამაჯერებლობითაც არ უნდა უარყოს ბათუმის ხელისუფლებამ ბრალდებები, დე იურე მთელი საქართველოს ტერიტორიაზე არსებული იარაღის, ტერორიზმისა და ნარკოტიკების მოძრაობის თვალსაზრისით, საერთაშორისო საზოგადოების წინაშე პასუხისმგებელი მხოლოდ ცენტრალური ხელისუფლებაა. მით უმეტეს, რომ ახლახან გახმაურებული ბოლო ინფორმაციების მიხედვით, აჭარის ტერიტორიაზე ჰაერსაწინააღმდეგო სისტემებიც უნდა იყოს.

გვ.3



## „სიკვდილმისჯილის“ მონოლოგი

გვ.12

...არასოდეს მიოცნებია იარაღი მჭეროდა ხელში, მაგრამ...

...მოსკოვს სხვაც ბევრი „სტუმრობს“ ხარკით ხელდამშვენებული და მხარდაჭერის სანაცვლოდ, საქართველოს ღალატს არად დაგიდევთ... ესეც ჩემზე უკეთ უნდა იცოდეს ახალმა მთავრობამ და თუ არ იცის, ბრალი მისი.



სასამართლო

17-20 გვერდი

## „კვირის პალიტრა“ 9 წლის გახდა!

## „განიარაღება შესრულებადი მოთხოვნაა...“

საქართველოში აშშ-ის ელჩის, რიჩარდ მაილსისა და აჭარის ლიდერის, ასლან აბაშიძის ბათუმში შეხვედრის შემდეგ ელჩიც და ავტონომიის მეთაურიც კმაყოფილები ჩანდნენ. ასლან აბაშიძემ დაარღვია ტრადიცია და მასმედიის ყველა წარმომადგენელთან კომენტარი გააკეთა.

მისი თქმით, ცენტრი ხელოვნურად ქმნის პრობლემებს. რვა შეთანხმებიდან, რომელსაც მან მიაღწია პრეზიდენტ სააკაშვილთან, ოთხი უკვე შესრულებულია, „მეხუთე — განიარაღება, პრინციპში შესრულებადი(!) მოთხოვნაა, მაგრამ იმ დროს, როდესაც ცენტრი საუბრობს ულტიმატუმების ენაზე, ეს განიარაღების პროცესს ართულებს და აბრკოლებს“, — აღნიშნა აბაშიძემ.

აჭარაში განმეორებითი არჩევნების გაუქმების შესახებ აჭარის ლიდერმა განაცხადა, რომ ის თავიდანვე არ უნდა დანიშნულიყო — სასამართლოს უნდა გადაეწყვიტა, იყო თუ არა კონსტიტუციური აჭარაში ჩატარებული არჩევნები.

უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატის 17 აპრილის განჩინებით კი ხულოსა და ქობულეთის საარჩევნო ოლქების შედეგების გაუქმების შესახებ ცესკოს გადაწყვეტილება კანონიერად იქნა მიჩნეული. მიუხედავად ამისა, აღნიშნულ ოლქებში არჩევნები დამატებით აღარ გაიმართა.

## მემარჯვენე ოპოზიცია უკმაყოფილოა

საარჩევნო ბლოკის „მემარჯვენე ოპოზიცია — მრეწველები, ახლების“ ლიდერები საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღებაში, ქვეყნის ხელისუფლებას კი ახალი პარლამენტის ერთადერთი ოპოზიციური ძალის წინააღმდეგ შავი პიარის წარმოებაში ადანაშაულებენ.

ასეთი შეფასებები „ახლების“ ოფისში მას შემდეგ გაისმა, როცა ცესკომ გენერალური პროკურორის ოფიციალური მიმართვის საფუძველზე ბლოკის საარჩევნო სიის მე-13 ნომერს, სს „ქართული შაქრის“ გენერალურ დირექტორს, თენგიზ გოგიჩაშვილს სადეპუტატო იმუნიტეტი მოუხსნა. დავით გამყრელიძის განცხადებით, გოგიჩაშვილისთვის იმუნიტეტის მოხსნის საფუძველი არ არსებობდა, რადგან ის ბრალდება, რასაც მას გენერალური პროკურატურა უყენებს, უკანონოა. გამყრელიძის განმარტებით, „ქართულმა შაქარმა“ „აგარა ჯგუფს“ უძრავ-მოძრავი ქონება მიჰყიდა, რომლის დროსაც საგადასახადო კოდექსის თანახმად, დღგ-ის გადახდა არ არის გათვალისწინებული.

მემარჯვენე ოპოზიციის ბლოკის ლიდერები ხელისუფლებას პოლიტიკური შოუს მოწყობაში ადანაშაულებენ, რომლის მიზანს მათთვის „ჩირქის მოცხება“ და იმის მტკიცება წარმოადგენს, თითქოს ახალ პარლამენტში ოპოზიციის სახით „ყაჩაღები და ურჩი გადამხდელები“ მიდიან.

„ახლებმა“ და „მრეწველებმა“ ხელისუფლების ამ ქმედებას რეკეტი უწოდეს და პრეზიდენტს მისი ცნობილი განცხადებაც შეახსენეს, რომელიც ზოგიერთ შემთხვევაში ფინანსურ ამნისტიას ითვალისწინებდა. ბლოკის ლიდერები არ გამორიცხავენ, რომ არსებული დაუხვეწავი საგადასახადო კოდექსის პირობებში შესაძლოა თენგიზ გოგიჩაშვილს დავალიანება მართლაც ჰქონდეს, რაზეც მან თავის დროზე თვითონ მიანიშნა კიდეც და რომელსაც აუცილებლად გადაიხდის, თუმცა ამისთვის „იმუნიტეტის მოხსნა და პოლიტიკური შოუების მოწყობა საჭირო არ არის“, აცხადებენ მემარჯვენეები.

## ჯაველიძეს სისხლის სუნი სცემს

ყოფილი პარლამენტარის, ელიზბარ ჯაველიძის განცხადებით, საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებასა და აჭარის რეგიონის ურთიერთობაში უკვე დენთის კი არა, სისხლის სუნი ტრიალებს. მისი თქმით, თოფის გავარდნა აჭარაში უკვე გარდაუვალია. იგი ცენტრალური ხელისუფლების ბრალდებებს აჭარის ლიდერის, ასლან აბაშიძის მიმართ აბსურდულს უწოდებს და აცხადებს, რომ ასლან აბაშიძე არც ნარკობარონი და არც დიქტატორი არ არის.

ჯაველიძე ასლან აბაშიძისა და ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებებს შორის პარალელს ავლებს და აცხადებს, რომ საქართველოს პირველი ხელისუფლება სწორედ დემოკრატიის დამკვიდრების მიზნითა და ავტორიტარული რეჟიმის არსებობის ბრალდებით ჩამოაგდეს და იმავეს უპირებენ აჭარის ხელისუფლებასაც.

ჯაველიძის განცხადებით, ცენტრალურ ხელისუფლებას სურს რეგიონის ეკონომიკური ბერკეტები ჩაიგდოს ხელში, რათა შემდგომ ისინი სოროსს გადასცეს. მისივე თქმით, ფოთის ნავსადგური და რკინიგზა უკვე სოროსის ხელშია და ცენტრალური ხელისუფლება ცდილობს ბათუმის პორტიც და სარფის საბაჟოც მას გადასცეს.

ელიზბარ ჯაველიძე აჭარაში ხელისუფლების დამხობის მეორე მიზეზად ასახელებს ამერიკა-რუსეთს შორის გავლენის სფეროების გადანაწილებას. მისივე თქმით, ორი სახელმწიფო ამით კავკასიაში დამკვიდრებისათვის იბრძვის.

## ბაგრატის ტაძარი ინგრევა?!

ქუთაისში ბაგრატის ტაძარი ინგრევა. გარდა იმისა, რომ ნადგურდება კულტურის უმნიშვნელოვანესი ძეგლი, საფრთხე ექმნება ტაძარში მოსიარულე მრევლსა და ტურისტებს. ტაძრის ტერიტორიაზე მიმდინარე სამუშაოების საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარე ლევან ჯიქია მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას და მთლიანად ქართველ ერს ყურადღება მიაქციონ მე-10 საუკუნის ძეგლს, რომელიც შეიძლება მალე თავზე დაგვენგრეს.

მისი განცხადებით, თუ რამდენიმე კედელი არ გამაგრდა, მცირებალიანი მიწისძვრის შემთხვევაში შეიძლება ტაძარი ჩამოინგრეს. ამიტომ ლევან ჯიქია საქართველოს ხელისუფლებას სახელმწიფო კომისიის დაუყოვნებლივ შექმნასა და შესაბამისი დასკვნების გამოტანის შემთხვევაში თანხის გამოყოფას სთხოვს.

ლევან ჯიქიას განცხადებით, ტაძრის ჩრდილოეთ კედელზე შემორჩენილი ღვთისმშობლის ხატის უნიკალური ნიმუში საკმაოდ გაფერმკრთალებულია, თუ დროულად არ მოხდა მისი რესტავრირება, ხატი მთლიანად წაიშლება.

## ვინ შეცვლის რეხვიაშვილს?

ბოლო ხანს სახელისუფლებო კულუარებში ბევრს ლაპარაკობენ მინისტრთა კაბინეტში მოსალოდნელი საკადრო ცვლილებების შესახებ. თუ ჭორებს დავუჯერებთ, პირველი, ვინც გუნდურ მინისტრთა კაბინეტს დატოვებს, ეკონომიკის 28 წლის მინისტრი ირაკლი რეხვიაშვილი იქნება. თუმცა, ამას არ ადასტურებს არც თავად მინისტრი და არც ხელისუფლების სხვა წევრები.

ეკონომიკის მინისტრის პოსტი შესაძლოა ალექსი ალექსიშვილმა დაიკავოს, რომელიც ვარდების რევოლუციამდე კარგა ხნით ადრე ფინანსთა მინისტრის მოადგილე იყო. ზურაბ ნოღაიდელის ამ თანამდებობიდან გადადგომის შემდეგ ალექსიშვილიც დაემშვიდობა პოსტს და აშშ-ში გაემგზავრა, სადაც ამჟამად ერთ-ერთ უნივერსიტეტში კითხულობს ლექციებს.

კულუარებში ასევე ლაპარაკია უშიშროების სამინისტროში მოსალოდნელ ცვლილებებზე, სადაც შესაძლოა არა მარტო მინისტრი, არამედ სამინისტროს მთელი ხელმძღვანელობა შეიცვალოს.

## შევარდნაძე გაეროში მიდის?

თბილისში ოფიციალური ვიზიტით მყოფი გაეროს გენერალური მდივნის თანაშემწე კულ ჩანდრა გაუტამი ექსპრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძეს ეწვია და კოფი ანანის წინადადება გადასცა. შევარდნაძეს გაეროს გენერალური მდივანი საკუთარი მრჩევლის თანამდებობას სთავაზობს. გაუტამის თქმით, გაეროსთვის ძალზე მნიშვნელოვანია ისეთ გამოცდილ და ავტორიტეტულ პოლიტიკოსთან თანამშრომლობა, როგორიც ედუარდ შევარდნაძეა.

ექსპრეზიდენტი შევარდნაძე აცხადებს, რომ იგი დიდ პატივს სცემს კოფი ანანს და თუ გაეროს ხელმძღვანელი საჭიროებს მის რჩევებს, მზადაა დაეხმაროს წერილობითი თუ სიტყვიერი რჩევებით. ედუარდ შევარდნაძე შესაძლოა დროებით ნიუ-იორკში გადავიდეს საცხოვრებლად, იქ, სადაც გაეროს შტაბბინაა განთავსებული. თუმცა ექსპრეზიდენტი არ გამორიცხავს, რომ მეგობარ ანანს მრჩევლობა საქართველოდან ან სულაც სხვა ქვეყნიდანაც გაუწიოს.

საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები ამ ფაქტთან დაკავშირებით ოფიციალურ კომენტარს არ აკეთებენ. ექსპერტები კი ვარაუდობენ, რომ არ არის გამორიცხული მრჩევლობიდან შევარდნაძე უცებ გაეროს გენერალური მდივნის სავარძელში აღმოჩნდეს. „ეს ყოველთვის იყო შევარდნაძის ოცნება“, — აღნიშნავენ მისი პოლიტიკური ოპონენტები. სახელისუფლებო კულუარებში კი ხუმრობენ, ბერლინის კედლის მნგრეველი პალესტინა-ისრაელის კედლის დასანგრევად მიჰყავთო. საეჭვოა, შევარდნაძემ ეს მოახერხოს, რადგან გერმანიაში მიღწეული წარმატებების მიუხედავად, მან საქართველოში ბათუმსა და თბილისს შორის აღმართული კედლის დანგრევაც ვერ შეძლო.

## პოლიციაში ბომბის შეგდება სცადეს

დიღომში, დიდუბის რაიონის პოლიციის პირველ განყოფილებაში 18 აპრილს გვიან ღამით აფეთქება მოხდა. წინასწარი მონაცემებით, უცნობმა პირმა ბომბის პოლიციის განყოფილებაში შეგდება სცადა. საბედნიეროდ, იგი შენობასთან აფეთქდა, რის გამოც შემთხვევა მსხვერპლის გარეშე დამთავრდა. დაზიანდა შენობის ფასადი და ჩამოინგრა საცხოვრებელი კორპუსის ერთ-ერთი აივანი. მომხდარის შესახებ კომენტარს სამართალდამცველები არ აკეთებენ.

## ქართველი პატრიარქი ამერიკელს მასპინძლობდა

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარესს ილია II-ს სრულიად ამერიკისა და კანადის მიტროპოლიტი, მისი უნეტარესობა ჰერმანე ესტუმრა. ისინი ერთმანეთს 17 აპრილს საპატრიარქოში შეხვდნენ, სადაც საქართველოს პატრიარქმა აღნიშნა, რომ იგი ამერიკის მიტროპოლიტის საქართველოში ვიზიტს დიდ მნიშვნელობას ანიჭებს, რადგან „ეს არის გაგრძელება იმ მეგობრული ურთიერთობებისა, რაც ჩვენს ეკლესიებსა და ქვეყნებს შორის არსებობს“. პატრიარქმა ასევე ისაუბრა ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობაზე და შეშფოთება გამოთქვა ცენტრის მიერ არაკონტროლირებად აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებთან დაკავშირებით.

სრულიად ამერიკისა და კანადის მიტროპოლიტმა, მისმა უნეტარესობა ჰერმანემ კი აღნიშნა, რომ საქართველოს ახალი პრეზიდენტი ჰყავს, რომელსაც ახლო ურთიერთობები აქვს ამერიკის მთავრობასა და პრეზიდენტთან. ის საქართველოს მომავალში დახმარებასაც დაჰპირდა და აღნიშნა, რომ ყოველთვის ლოცულობს და ილოცებს ქართველი ხალხისთვის.

ამერიკა-კანადის მიტროპოლიტი 17 აპრილს, გვიან საღამოს, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთან ერთად საქართველოს პრეზიდენტს, მიხეილ სააკაშვილს შეხვდა. 18 აპრილს კი კვირაცხოვლობის დღესასწაულზე სვეტიცხოველში მოილოცა.

## ნარკომანები პარლამენტში არ დაიშვებიან

საქართველოს პრეზიდენტისა და პარლამენტის თავმჯდომარის შეთანხმებით ახალი პარლამენტის პირველი სხდომა, სავარაუდოდ, 21 აპრილს გაიმართება. მანამდე კი საზოგადოებაც და ახალი პარლამენტარებიც შესაძლოა სიურპრიზის მომსწრენი გავხდეთ. სწორედ ამ დროისთვის გახდება ცნობილი, არიან თუ არა ნარკომანები პარლამენტის ახალ შ:ემადგენლობაში. უკვე დაიწყო ამ მიზნით დეპუტატების შემოწმება, რის გამოც თითოეული მათგანი ვალდებულია ნარკოლოგიურ ცენტრში შემოწმება გაიაროს. ნარკოლოგიური ცენტრის ხელმძღვანელის, გელა ლეჟავას თქმით, ვინც შემოწმებას არ გაივლის, დეპუტატის მანდატს ვერ მიიღებს. მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე დეპუტატი პოტენციური პაციენტი ეგონათ, ნარკომანი დეპუტატი ჯერ არ აღმოუჩენიათ. „ერთი დეპუტატი ტრავმის გამო შესაბამის პრეპარატებს იღებს, რის გამოც ანალიზში შეიძლება რაიმე საეჭვო აღმოჩნდეს. მაგრამ ტრავმა სახეზეა და მასთან შესადავებელიც არაფერი გვაქვს. თუ ანალიზი არ დაადასტურებს, ცილს ვერავის დავწამებთ. თუმცა, თუ დავწერთ, რომ პირს არ აღენიშნება ნარკომანისთვის დამახასიათებელი ნიშნები, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ის სამი თვის წინ ნარკოტიკს არ იღებდა.“ პარლამენტარი ლადო ჭიპაშვილი ნარკოშემოწმებას აუცილებლობად მიიჩნევს და კატეგორიულად გამორიცხავს თავის პარტიაში ნარკომანების არსებობას. კითხვაზე, იქნებიან თუ არა ნარკომანები დეპუტატებში, ჭიპაშვილი უპასუხებს: „დაველოდოთ შედეგებს.“ ჭიპაშვილს ეჭვი მაჟორიტარებზე აქვს.

## საბოლოო შედეგები უცვლელია

ცესკოს შემაჯამებელ სხდომაზე 28 მარტს საპარლამენტო არჩევნების საბოლოო შედეგები გამოქვეყნდა. ვითარება უცვლელია — 7%-იანი ბარიერი მხოლოდ სახელისუფლებო პარტია „ნაციონალ-დემოკრატებმა“ (66,24%) და მემარჯვენე ოპოზიციამ „მრეწველები-ახლების“ ბლოკმა (7,56%) გადალახეს. ცესკოს შემაჯამებელ ოქმს პროტესტის ნიშნად ხელი არ მოაწერა ლეიბორისტმა ბადრი ნიაურმა და განაცხადა, რომ ლეიბორისტული პარტია ცესკოს წინააღმდეგ სარჩელის აღძვრას აპირებს.

ცესკომ საბოლოო შედეგები ხულოსა და ქობულეთის საარჩევნო უბნების შედეგების გარეშე დაითვალა.

## საკადრო ცვლილებების ეპიდემია

გასული კვირა საკადრო ცვლილებების მხრივ მნიშვნელოვანი აღმოჩნდა არა მარტო ცენტრისთვის, არამედ აჭარისთვისაც. საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ზურაბ ჟვანიას მიერ მეხუთე სახელმწიფო მინისტრის პოსტის შემოღების და ამ თანამდებობაზე „ნაციონალთა“ კადრის, ზურაბ მელიქიშვილის დანიშვნის გარდა, სერიოზული ცვლილებები განხორციელდა გენერალურ პროკურატურაში, სადაც ყოფილი სამხედრო პროკურორი გია ჯიქია კინაღამ უმუშევარი დარჩა. გენერალური პროკურორის მოადგილე ვალერი ხაბურძანია კი კვლავაც ინარჩუნებს ვარდების რევოლუციის შემდეგ ნაბოძებ პოსტს. საკადრო ცვლილებებს ვერ გადაურჩა აჭარის შინაგან საქმეთა სამინისტროს ბათუმის სამმართველოს უფროსი ჯუმბერ ტაკიძე, რომლის ადგილზე თამაზ ჯორთმენაძე დაინიშნა. ტაკიძე კი აჭარის გენერალური პროკურორის მოადგილის პოსტს დაიკავებს. მისი შემცვლელი ჯორთმენაძე ბოლო წლებში ხელვაჩაურის რაიონის პროკურორად მუშაობდა. ტაკიძე კი 6 წლის წინ აჭარის შს მინისტრი იყო. მისი მუშაობის პერიოდში სამინისტროს დიდი ნაწილი და ცირკი ხანძარმა შთანთქა. მიზეზები დღემდე გამოუძიებელია. ამ შემთხვევას მაშინ ტაკიძის თანამდებობიდან გადადგომა მოჰყვა. მან რეაბილიტაცია ბათუმის სამმართველოს უფროსის პოსტზე ერთი წლის წინ ძლივს მოახერხა. საკადრო ცვლილება განხორციელდა ბათუმის თამბაქოს ფაბრიკაში, სადაც დირექტორად შუახევის რაიონის ყოფილი გამგებელი ტარიელ ნიჟარაძე დაინიშნა. ამ ქარხნის დირექტორად წლების წინ ყოფილი პატიმარი თენგიზ ასანიძე მუშაობდა.

## თურქი მესხები ამერიკას მიჰყავს?

აზერბაიჯანში ახალციხელი თურქების საზოგადოება „ვატანის“ თავმჯდომარის მოადგილე ჩინგიზ ნეიმან-ზადე აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილის, არტურ დევეის ოფიციალურ დასტურზე დაყრდნობით აცხადებს, რომ აშშ მზადაა კრასნოდარის მხარეში მცხოვრები თურქი მესხები მიიღოს. ნეიმან-ზადეს თქმით, აშშ-ში მათ გამოუყოფენ საცხოვრებელ ადგილებს, ავეჯს, დაეხმარებიან ინგლისური ენის შესწავლაში, აუცილებელი დოკუმენტაციის გაფორმებაში, კრედიტების მიღებაში. ამერიკელები თურმე ინვალიდებსა და პენსიონერებს შემწეობათა გაცემასაც ჰპირდებიან. „საქართველო, რომელმაც ევროსაბჭოს წინაშე თურქი მესხების სამშობლოში დაბრუნების საკითხის გადაჭრა იკისრა, თავის ტერიტორიაზე ამ ხალხის მიღებას არ ჩქარობს“, — აცხადებს ნეიმან-ზადე, რომლის თქმით, დღეისთვის დსთ-ის სივრცეში მცხოვრები 300 ათასი თურქი მესხიდან საქართველოში დაბრუნება 50 ათასზე მეტს არ სურს. თუმცა თბილისი თავისი დუმილით მიანიშნებს, რომ მათ არავინ ელოდება“, — წუხს ზადე, თუმცა, იქვე იმის განმარტებაც ავიწყდება, რომ ე. წ. თურქ მესხებს საერთო არაფერი აქვს იმ ხალხთან, ვინც ისტორიულად ოდესღაც მესხეთის მიწაზე ცხოვრობდა.

## კვირაცხოვლობის წირვა არ ჩაატარებინეს

ბოლნისის რაიონის სოფელ ქოლაგირში ადგილობრივმა აზერბაიჯანელებმა სოფლის მართლმადიდებლურ ეკლესიაში მამა კვირიკეს კვირაცხოვლობის წირვა არ ჩაატარებინეს. კონფლიქტის საბაბი ეკლესიის ეზოში აზერბაიჯანელებისთვის ავტომანქანების რეცხვის აკრძალვა აღმოჩნდა. თუმცა მამა კვირიკეს თქმით, აზერბაიჯანელებს გაცილებით სერიოზული პრეტენზიები აქვთ. ისინი რამდენიმე წელია ეკლესიისთვის მიწების ჩამორთმევას ითხოვენ. „ეს იყო წინასწარ გამიზნული კონფლიქტი, რასაც დაადასტურებს მრევლიც. ისინი სოფლის გამგებლის მოთავეობით აკეთებენ ყველაფერს“, — აცხადებს მამა კვირიკე.

ბოლნისის რაიონის პოლიციის განყოფილების უფროსის, ჯაბა სუხიშვილის თქმით, კონფლიქტის მიზეზი წარსულიდან იღებს სათავეს. „რამდენიმე წლის წინ აქ აზერბაიჯანელი ქრისტიანად მოინათლა, რასაც სოფელი წინ აღუდგა. თუ ამჟამად კანონსაწინააღმდეგო ქმედებას ექნება ადგილი, აუცილებლად აღიძვრება სისხლის სამართლის საქმე“.

აზერბაიჯანელი ბუნტარების პროტესტის მიხედვით აშკარა ხდება, რომ ისინი სოფელ ქოლაგირში თავს ყველაფრის ბატონ-პატრონებად მიიჩნევენ და მართლმადიდებლური ეკლესიისა და მისი მოძღვრის დისკრედიტაცია სურთ.

აზერბაიჯანელები მამა კვირიკეს ბრალდებებს უარყოფენ.

## სეპარატისტული გამოხდომა!

საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ზოგიერთი სეპარატისტულად მოაზროვნე სომეხი თავის ზრახვებს ვერ მალავს და პროვოკაციულ და ანტისახელმწიფოებრივ განცხადებებს აკეთებს. სამცხე-ჯავახეთში მოქმედი პარტიის „ვირქის“ ლიდერი დავით რსტაკიანი საქართველოს ხელისუფლებას სახელმწიფოს ტერიტორიული მოწყობის შესახებ კანონის მიღების გაჭიანურებაში ადანაშაულებს, რაც მისი აზრით, თურმე სიტუაციას ართულებს აჭარაში და შესაძლოა ეს სამცხე-ჯავახეთსაც გადაედოს. რსტაკიანი გასაკვირს ვერაფერს ხედავს იმაში, რომ აჭარის ლიდერი თავს იკავებს განიარაღებისგან. სომეხი „პოლიტიკოსის“ განცხადებით, აჭარის ხელმძღვანელობას ცენტრის შემდგომი რადიკალური ქმედებების ეშინია. „ვირქის“ ლიდერი სომხებით კომპაქტურად დასახლებული სამცხე-ჯავახეთის რეგიონის თემასაც ეხება, სადაც თურმე ხალხს უფლება აქვს რეფერენდუმის გზით გადაწყვიტოს თავისი ბედი(?!). რსტაკიანს არ მოსწონს პრეზიდენტ სააკაშვილის განცხადება იმის თაობაზე, რომ სამცხე-ჯავახეთის ავტონომიის სტატუსის მინიჭებაზე ფიქრიც კი დაუშვებელია. „საქართველოს მეთაურს უფლება არ აქვს განსაზღვროს, თუ რა სურს ხალხს“, — მიუთითებს სააკაშვილს რსტაკიანი და მოითხოვს სახელმწიფოს ტერიტორიული მოწყობის შესახებ კანონის მიღებისას ყველა დაინტერესებული მხარის აზრი იქნეს გათვალისწინებული.

სოხუმში კი აფხაზეთის სომხურ სათვისტომოს აფუძნებენ. სოხუმის სეპარატისტული ხელისუფლების პრემიერ-მინისტრის, რაულ ხაჯინბას შეფასებით, აფხაზეთში მცხოვრები სომხური მოსახლეობა თურმე „აფხაზეთის დამოუკიდებლობის, უსაფრთხოების, თავდაცვისუნარიანობის და წარმატებული ეკონომიკური განვითარების საიმედო გარანტიაა“. ხაჯინბას აფხაზეთის ომში სომეხი მეომრების შეტანილი წვლილიც არ დავიწყებია.

# „ასეთი შეიარაღება მკაცრ აღრიცხვასა და მარკირებას ექვემდებარება“

როგორც ჩანს, შევარდნაძის მმართველობის ეპოქა საქართველოში საკმაოდ სიმბოლურად და საინტერესოდ დასრულდება — ყოფილი პრეზიდენტი ასიათასობით იმ თავის თანამემამულეს შეუერთდება, რომლებმაც მის მიერ გატარებული „ჯანსაღი“ პოლიტიკის წყალობით სამშობლოში შექმნილი გაუსაძლისი ეკონომიკური პირობების გამო სამუშაოდ საზღვარგარეთს მიაშურეს.

თუმცა ბელეტრისტიკის მიღმა — ის ფაქტი საქართველოსთვის დიდად საამაყო უნდა იყოს, რომ ქართველ ხალხს საერთაშორისო საზოგადოებაზე გაცილებით მაღალი კრიტერიუმები ჰქონია — მის მიერ ნოემბრის თვეში ძალად გადაყენებულ პრეზიდენტს მსოფლიო ორგანიზაციების დესპანთა რიგი უდგას და ზოგი გაეროს გენერალური მდივნის მრჩევლობას სთხოვს, ზოგიც ევროსაბჭოს კონსულტანტობას. როგორც მოვლენათა განვითარებიდან ჩანს, საეჭვოა, აბაშიძემ საზღვარგარეთ ასეთი პრესტიჟული სამსახური იშოვოს, რადგან ყოფილი პრეზიდენტისგან განსხვავებით, სავარძელთან განშორება ძალიან უჭირს — თითქოს, იპოთეკური კრედიტით ჰქონდეს ნაყიდი... თანაც, ცენტრალური ხელისუფლების განცხადებას, აჭარაში არსებული ნარკოკარტელური მოძრაობის შესახებ, მაინცდამაინც მისადმი მეგობრულად განწყობილი მეზობელი ქვეყნის, თურქეთის პრესა გამოეხმაურა და ასლან აბაშიძის ხელმძღვანელობით ბათუმში შექმნილ ნარკოტიკულ ანკლავზე ვრცელი სტატია გამოაქვეყნა. როგორც ჩანს, ეს აჟიოტაჟი მხოლოდ ერთი პუბლიკაციით არ დასრულდება, რადგან ბრალდება საკმაოდ მძიმეა. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, თბილისსა და ბათუმს შორის არსებული ვითარების სერიოზულობაზე მეტყველებს აჭარის ხელმძღვანელობის საკმაოდ არასერიოზული სურვილი და განცხადება — ბათუმში საერთაშორისო საჭადრაკო ასპარეზობის გამართვის შესახებ. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ საპასუხოდ სააკაშვილი თბილისში ჰოკეის ჩემპიონატის გამართვას არ მოინდომებს... როგორც ჩანს, აჭარის რეგიონზე ჩაბღაუჭებულ „აღორძინებას“ ხელს ვერც ბიზნესმენები გააშვებინებენ — მათი მცდელობა უკანასკნელი ვალის მოხდას უფრო ჰგავს — ქვეყნისთვის კრიტიკულ მომენტში ვინმეს უქმად ჯდომა რომ არ დაებრალებინა.

ამასობაში კი, ხელისუფლება უმთავრესი დანაპირების შესრულებას იწყებს — გადასახადების ლიბერალიზაციისკენ პირველი ნაბიჯი გადადგმულია. თანაც ეს ნაბიჯი კანცელარიიდან პირდაპირ ქუჩაში, „პირიმზეში“ გადაიდგა და „პლაშჩებში“ გამოწყობილმა საქართველოს მთავრობამ ინდმეწარმეებს გადასახადების გაუქმების შესახებ თავადვე ამცნო. თუმცა ამ ხალხს შვებამოგვრილი აღტაცება დიდად არ ეტყობოდა, რადგან გადასახადებს არც გაუქმებამდე იხდიდა ვინმე. მაგრამ ფაქტის კონსტატაცია თავისთავად მნიშვნელოვანია და გაცილებით საინტერესო იქნება, მივლენ თუ არა საქართველოს მთავრობის წევრები ბიზნესმენებთან, გადასახადების შემსუბუქებისა და გამარტივების საუწყებლად. როგორც პრეზიდენტის საყვედურებიდან ჩანს, გამარჯვებული ხალხის მიერ ხელისუფლებაში მოყვანილ პოლიტიკოსებს სახალხო ტრანსპორტით მგზავრობა მაინცდამაინც არ უნდა მოსწონდეთ. მაგრამ შესაძლებელია, საერთაშორისო თანამეგობრობა ამაშიც დაგვეხმაროს და ევროსაბჭომ „მერსედესის“ მარკის შავი, მუქმინიანი პერსონალური ტროლეიბუსები გამოგვიგზავნოს, რომლებითაც ქართველი მინისტრები იმგზავრებენ... სანამ საამისო დრო გვაქვს, თორემ ერაყელ შიიტებში გაღვიძებულმა პატრიოტულმა გრძნობამ შეიძლება ამერიკელი ამომრჩევლების გრძნობებზეც იმოქმედოს და თეთრ სახლში რესპუბლიკელები დემოკრატებმა შეცვალონ — ეს უკანასკნელნი კი საერთაშორისო, შორეულ სტრატეგიულ პოლიტიკას დიდად არ წყალობენ და შესაძლებელია, საქართველო ჩრდილოელი, გაბრაზებული მეზობლის პირისპირ ისევ ისე მარტო დარჩეს, როგორც ეს გასულ საუკუნეში, აფხაზეთის ომის დროს მოხდა... მანამდე კი, როგორც ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის, რიჩარდ მაილსის გახშირებული ვიზიტები მოწმობს, ვაშინგტონი აქტიურად არის ჩართული ცენტრსა და რეგიონს შორის მოლაპარაკებებში და, თუ თავად მაილსის გამოცდილებას და პოლიტიკურ-დიპლომატიურ „წონას“ გავითვალისწინებთ, ეს მოლაპარაკებები საქართველოს ფარგლებს ნამდვილად გასცდა...

საქართველოსა და მასთან მიმართებით, მსოფლიოში შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით ვესაუბრებით ტერორიზმისა და პოლიტიკური ძალადობის კვლევის ცენტრის უფროსს **ბადრი ნაჭყებიას**:

**— რამდენად რეალური შეიძლება იყოს თბილისის მიერ გამოცხადებული ბრალდება — აჭარაში ნარკოკარტელისა და უკონტროლო შეიარაღების არსებობის შესახებ. ეს ორი ცნება პირდაპირ კავშირშია საერთაშორისო ტერორიზმთან, რომელსაც მთელი ცივილიზებული მსოფლიო ებრძვის...**

— საყოველთაოდ ცნობილია ტერორიზმის მიმართ საერთაშორისო საზოგადოებრიობის დამოკიდებულება. ამ ფონზე აღნიშნული ბრალდება უაღრესად სერიოზულია და, სხვათა შორის, არცთუ უსაფუძვლო. იმისდა მიუხედავად, არსებობს თუ არა სინამდვილეში აჭარის ტერიტორიაზე ნარკოტიკული ანკლავი, ან დიდძალი იარაღი, ცენტრალური ხელისუფლება ამაზე გადაჭრით პასუხისმგებლობას ვერ აიღებს, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ის ამ ტერიტორიას ბოლომდე ვერ აკონტროლებს. და ეს ფაქტი, განსაკუთრებით ბოლო დროს, მთელი მსოფლიოსთვის გახდა ცნობილი. როგორი დამაჯერებლობითაც არ უნდა უარყოს ბათუმის ხელისუფლებამ ბრალდებები, დე იურე მთელი საქართველოს ტერიტორიაზე არსებული იარაღის, ტერორიზმისა და ნარკოტიკების მოძრაობის თვალსაზრისით, საერთაშორისო საზოგადოების წინაშე პასუხისმგებელი მხოლოდ ცენტრალური ხელისუფლებაა. მით უმეტეს, რომ ახლახან გახმაურებული ბოლო ინფორმაციების მიხედვით, აჭარის ტერიტორიაზე ჰაერსაწინააღმდეგო სისტემებიც უნდა იყოს. საერთაშორისო კანონმდებლობისა და ხელშეკრულებების თანახმად, ასეთი შეიარაღება, ისევე, როგორც პლასტიკური ასაფეთქებელი მოწყობილობები მკაცრ აღრიცხვასა და მარკირებას ექვემდებარება. როგორც გითხარით, ამის აღსრულებაზე პასუხისმგებელი მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ცენტრალური ხელისუფლებაა. როდესაც ეს უკანასკნელი, აჭარის შემთხვევაში, დიპლომატიური არხებით აცხადებს, რომ იხსნის პასუხისმგელობას ამ რეგიონზე, მასზე კონტროლის უქონლობის გამო (გავიხსენოთ თუნდაც საჭადრაკო ჩემპიონატის ჩატარება-არჩატარების პერიპეტიები). ბუნებრივია, ეს ფაქტი საერთაშორისო ორგანიზაციების და დასავლეთის წამყვანი სახელმწიფოების სერიოზულ შეშფოთებას გამოიწვევს. მით უმეტეს, რომ მთელ მსოფლიოში ასეთი მაგალითები მათ მრავლად აქვთ — დღესდღეობით მსოფლიო ტერორიზმისა და ნარკოტიკების მოძრაობის მთავარ ბაზისებს სწორედ ამა თუ იმ ქვეყნის არაკონტროლირებადი ტერიტორიები წარმოადგენენ. ვაშინგტონსა და ბრიუსელში ნაკლებად დაიწყებენ მიზეზების დეტალიზებას — თუ რამ გამოიწვია დაპირისპირება ბათუმსა და თბილისს შორის. მთავარია ის ფაქტი, რომ საქართველოში, მათთვის სტრატეგიულ რეგიონში, კონტროლს მიღმა დარჩენილი ტერიტორიები არსებობს. მით უმეტეს, რომ საქართველოში საერთაშორისო მისიების წინააღმდეგ უკვე მოეწყო რამდენიმე ტერორისტული აქტი — კოდორისა და პანკისის ხეობებში. ასე რომ, არცთუ სახარბიელო სახელი ისედაც გვაქვს და თუ ეს კონფლიქტი დროულად არ მოგვარდა, საერთაშორისო თვალსაზრისით, საქართველოს სერიოზული დაბრკოლებები შეექმნება. რაც შეეხება ნარკოტიკების მოძრაობას, ცნობილია, რომ მსოფლიოში ნარკოტიკების წარმოებისა და ექსპორტის მომეტებული წილი ავღანეთზე მოდის. ყველაზე იოლად გასავლელი მარშრუტი ევროპის მიმართულებით კი, ამ ქვეყნიდან შუა აზიისა და აზერბაიჯანის გავლით, სწორედ საქართველოზე, ბათუმზე გადის. სარწმუნოებიდან და სახელმწიფო ფორმაციებიდან გამომდინარე, ირანზე ნარკოტიკების გატარებას ვერც ერთი ნარკოდილერი ვერ გაბედავს — კურიერებს ვერ მონახავენ, რადგან ნარკოტიკების აღმოჩენის შემთხვევაში ირანში ხალხს ხელებს აჭრიან და ასახიჩრებენ. კარგად ვიცით, თუ რამდენად სერიოზული და გაწვრთნილი სპეცსამსახურები ჰყავს რუსეთს — ამდენად, ნარკოტიკების რეექსპორტისთვის ესეც საკმაოდ რთული რაიონია. რჩება კორუფციაში ჩაფლული შუა აზია, აზერბაიჯანი და საქართველო, საიდანაც ზღვით ნარკოტიკების ნაკადი ასევე ნაკლებად კონტროლირებადი აღმოსავლეთ ევროპის ყოფილი სოციალისტური ქვეყნების მეშვეობით, დასავლეთ ევროპაში შეიძლება მოხვდეს. სხვათა შორის, საინტერესოა, რომ ევროგაერთიანებამ პრობლემის აღმოსაფხვრელად ავღანეთს უზარმაზარი თანხა — 26 მილიარდი ევრო — გრანტის სახით გამოუყო, რათა ავღანეთის სოფლის მეურნეობა ნარკოტიკების შემცველი მცენარეულობის მოყვანის ნაცვლად სხვა, ლეგალურ წარმოებაზე გადავიდეს — დღემდე ხომ ავღანელი გლეხის მთავარი შემოსავლის წყარო სწორედ ე.წ. „ყაყაჩოა“.

**— მაგრამ ამ მარშრუტის თანახმად, ბათუმში ჩასვლამდე ნარკოტიკებმა ლამის მთელი საქართველო უნდა გამოიაროს — ასეთ შემთხვევაში ხომ ცენტრალური ხელისუფლების პასუხისმგებლობაც არანაკლები გამოდის...**

— თანამედროვე მსოფლიოში ნარკოტიკების გადატანის იმდენნაირი და იმგვარი საშუალებები არსებობს, რომ ცენტრალურ ხელისუფლებას ყოველთვის შეუძლია თავი იმართლოს და განაცხადოს — ჩემს ტერიტორიაზე გამავალი მარშრუტის ბოლო, უმთავრეს პუნქტს ვერ ვაკონტროლებ და, შესაბამისად, ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლაც ნაკლებეფექტიანი გამომდისო. სხვათა შორის, თუ დააკვირდებით, უკანასკნელ ხანს თბილისში აშკარად შეიმჩნევა ინდოპაკისტანელთა მომრავლება — კარგად არის ცნობილი ნარკოტიკების გადატანა მუცლით, ე.წ. „ცოცხალი კონტეინერების“ მეშვეობით (როდესაც კურიერი ყლაპავს ნარკოტიკების არცთუ მცირე პარტიას 100გ-დან 600-700გ-მდე). გარდა ამისა, თუ ლაპარაკი იქნება ნედლეულზე, ძლიერ მოქმედი პირველადი ნარკოტიკის მოთავსება შესაძლებელია რამდენიმე ვაშლის მულაჟშიც, რომლებიც 10-ტონიან, ვაშლით დატვირთულ კონტეინერში მოთავსდება. ისე რომ, მისი აღმოჩენა პრაქტიკულად შეუძლებელი იქნება.

ასეთ შემთხვევებში ამ ტვირთების აღმოჩენა და დაკავება ყოველთვის უფრო ეფექტიანად შეიძლება ე.წ. ბოლო წერტილში ანუ პორტსა თუ საბაჟოში, მაგრამ ამ შემთხვევაში არსებითი და მთავარი ეს არ არის. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, შორს ვართ იმ აზრისგან, რომ გადაჭრით ვამტკიცოთ, არის თუ არა ჩარეული აჭარის ხელისუფლება ნარკობიზნესში. ფაქტი ერთია — არსებული ვითარება თბილისს ზემოთ მოყვანილი მსჯელობის გაშლის საშუალებას აძლევს მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ მას პასუხს ვერავინ მოსთხოვს იმაზე, რასაც ვერ აკონტროლებს და რის თაობაზეც საერთაშორისო, პრევენციულ განცხადებას აკეთებს.

უპირველესად, აჭარის ხელისუფლებამ უნდა გააცნობიეროს, რომ სანამ აჭარაში ასეთი საინფორმაციო ვაკუუმი იქნება, ცენტრს ყოველთვის ექნება მორალური უფლება, ეჭვი გამოთქვას და საგანგაშო განცხადებები გაავრცელოს. თუმცა ამ შემთხვევაში ცენტრის სპეცსამსახურების მიერ რეგიონში კრიმინალური სფეროს გაკონტროლება პოლიტიკურ საკითხს უკავშირდება — ბათუმი ჯერჯერობით სასტიკი წინააღმდეგი იქნება აჭარაში ნარკობიზნესის გაერთიანებული ძალების მიერ გაკონტროლებისა და აღკვეთისა. შესაბამისად, იმასაც უნდა შეეგუოს, თუ თბილისი ამ მოტივაციას პოლიტიკური მიზნით გამოიყენებს — როგორც გითხარით, მას ამის სრული მორალური უფლება აქვს. სხვათა შორის, ერთი საინტერესო დეტალიც: მოსკოვში, გამომცემლობა „ასტრელიამ“, რომელიც უმთავრესად ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებულ ლიტერატურას გამოსცემს, 2003 წელს დასტამბა კატალოგი — „მესამე მსოფლიო ომი“. ეს არ არის შემთხვევითი და ხელწამოსაკრავი გამომცემლობა. კატალოგის ავტორია საკმაოდ საეჭვო წარსულის მქონე არაბული წარმოშობის ექსპერტი ჯანგირას არასი. საეჭვო წარმოშობისა იმიტომ, რომ მან განათლება მოსკოვში მიიღო და შემდეგ დასავლეთ ევროპისა და ამერიკის თითქმის ყველა სამხედრო-სადაზვერვო, სტრატეგიულ სასწავლებელში გაიარა სტაჟირება. კატალოგის პირველ ნაწილში არასი ევროპისა და აზიის რეგიონებში არსებული „ბოევიკებისა“ და ტერორისტების სიას გვთავაზობს საერთო სათაურით „დამრტყმელი ეშელონი“. რატომღაც, საქართველოს პუნქტში მას მოყვანილი ჰყავს ქართული პარტიზანული მოძრაობა, ჩრდილოეთ ოსეთის არმია, აფხაზეთის უშიშროება და... აჭარის უზენაესი საბჭოს უშიშროების სამსახური. ამ ქვეთავში დეტალურადაა აღნუსხული ის შეიარაღება, რასაც ეს სამსახური ფლობს. თუ რა მიზანს ემსახურება კატალოგში ამ ინფორმაციის გამოქვეყნება, ან რამდენად შეესაბამება იგი სიმართლეს, ამაზე მსჯელობა შორს წაგვიყვანს და ვფიქრობ, მართებული იქნება, თუ ამასთან დაკავშირებით ოფიციალურ განცხადებას გააკეთებს ორივე მხარე — თბილისი და ბათუმი. კატალოგი სამსახურებრივი მოხმარებისაა და იგი მსოფლიოში არსებულ ყველა ექსპერტსა თუ ტერორიზმის მკვლევარ ორგანიზაციას ექნება გამოწერილი...

**— სპეცსამსახურები ახსენეთ. უკანასკნელ ხანს ამერიკის ელჩის, რიჩარდ მაილსის გახშირებული სტუმრობა ბათუმში ხომ არ ნიშნავს იმას, რომ ცენტრისა და რეგიონის დაპირისპირება საქართველოს ფარგლებს გასცდა, მით უმეტეს, რომ ბოლო დროს გავრცელებული ინფორმაციების თანახმად, ასლან აბაშიძეს შეურიგებელი პოზიციის დაკავებას სწორედ ჩრდილოეთით მდებარე მეზობელი სახელმწიფოდან ურჩევენ...**

— ვფიქრობ, დიდი სჯა-ბაასი არ უნდა სჭირდებოდეს იმის დასკვნას, რომ საქართველო მსოფლიოს ზესახელმწიფოების ინტერესთა სფეროშია მოქცეული. თუნდაც სამხედრო ბაზებთან დაკავშირებული, საკმაოდ გავრცელებული ვერსია გავიხსენოთ — ცნობილია, რომ ამ ბაზებს რუსეთი ადრე თუ გვიან გაიყვანს, მაგრამ საკითხავია, რამდენად, რა ფასად — მოსკოვს დღეს ფინანსურად ძალიან უჭირს. კიდევ ერთი ფაქტორი: რუსეთში სამხედროებს ყოველთვის მნიშვნელოვანი დამოუკიდებლობა ჰქონდათ. შესაბამისად, მათ თავისი აზრი აქვთ როგორც რუსეთის ზესახელმწიფოზე, ასევე მის მეზობლად მდებარე ქვეყნებზე. არ გამოვრიცხავ, აბაშიძეს ურჩობისკენ სწორედ ეს წრეები აქეზებდნენ და აგულიანებდნენ, თუნდაც იმ მიზნით, რომ სიტუაციის უაღრესად დაძაბვით, რუსეთმა რეგიონიდან გასვლა რაც შეიძლება ძვირად „გაყიდოს“. თუმცა იმას, ვინც ეს გასვლა უნდა „იყიდოს“, სხვა ბერკეტებიც აქვს — იმ საერთაშორისო კანონმდებლობებისა და შეთანხმებების სახით, რომლებიც ზემოთაც ვახსენეთ. საჭიროების შემთხვევაში, რუსეთი შეიძლება საკანონმდებლო ვალდებულებათა ისეთ ჩიხში მიიმწყვდიონ, რომ ისიც დაკარგოს, რასაც დღეს ბაზების სანაცვლოდ სთავაზობენ...

**— თუმცა ერაყში განვითარებული მოვლენები ოპტიმიზმის საფუძველს არ უნდა გვიტოვებდეს. შესაძლებელია, ამერიკის ჯარების მძიმე მდგომარეობაში ჩაყენებამ ბუშის რეიტინგზე სავალალოდ იმოქმედოს და ხელისუფლებაში მოსულმა დემოკრატებმა ისევ რუსეთს შეგვატოვონ ხელში.**

— მე ასეთ ანალოგებს არ მოვიყვანდი, რადგან არც აჭარაა აფხაზეთი და არც დღევანდელი საქართველოა ჩამოყალიბების სტადიაში მყოფი ის ქაოსური სახელმწიფო, როგორიც 90-იანი წლების დასაწყისში იყო. რაც შეეხება ერაყს — მიუხედავად იმისა, რომ ბოლო პერიოდში გააქტიურდნენ შიიტები, ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს ამერიკული და კოალიციის სხვა ჯარების მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნას. რაც შეეხება რეიტინგს — ნუ დაგვავიწყდება, რომ დღეს ერაყში შიიტები იბრძვიან — ხალხი, რომლებიც მართლა გაათავისუფლა ამერიკის ჯარმა. რაც არ უნდა ვილაპარაკოთ ნავთობსა და გეოპოლიტიკურ თუ ეკონომიკურ ინტერესებზე, ფაქტია — ჰუსეინის რეჟიმი შიიტებს საშინლად აწამებდა და დევნიდა. იმავე ფალუჯასთან, მახსოვს, ჰუსეინის დროინდელი უზარმაზარი სამარხი გათხარეს, სადაც ნაწამები შიიტების 20 ათასამდე გვამი იქნა აღმოჩენილი. ასეთ შემთხვევაში არარეალურია, ერაყში გამათავისუფლებელი მოძრაობის აღმოცენებაზე ლაპარაკიც კი — ეს უფრო კონკრეტული სახელმწიფოს კონკრეტული, პროპაგანდისტულ-დივერსიული მუშაობის შედეგია. სამწუხაროდ, ამ ეტაპზე მეტს ვერაფერს მოგახსენებთ... ასე რომ, სათუოა, ჯონ კერიმ, ბუშის შემდეგ ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში, უარი თქვას იმ კარტ-ბლანშზე, რომელიც ვაშინგტონმა 11 სექტემბრის შემდეგ მიიღო და საგარეო პოლიტიკა, მით უმეტეს, საქართველოსთან მიმართებაში, სერიოზულად შეიცვალოს.

***დაჩი გრძელიშვილი***



**როგორი დამაჯერებლობითაც არ უნდა უარყოს ბათუმის ხელისუფლებამ ბრალდებები, დე იურე მთელი საქართველოს ტერიტორიაზე არსებული იარაღის, ტერორიზმისა და ნარკოტიკების მოძრაობის თვალსაზრისით, საერთაშორისო საზოგადოების წინაშე პასუხისმგებელი მხოლოდ ცენტრალური ხელისუფლებაა. მით უმეტეს, რომ ახლახან გახმაურებული ბოლო ინფორმაციების მიხედვით, აჭარის ტერიტორიაზე ჰაერსაწინააღმდეგო სისტემებიც უნდა იყოს.**

საჭიროების შემთხვევაში, რუსეთი შეიძლება საკანონმდებლო ვალდებულებათა ისეთ ჩიხში მიიმწყვდიონ, რომ ისიც დაკარგოს, რასაც დღეს ბაზების სანაცვლოდ სთავაზობენ...

**კატალოგის პირველ ნაწილში არასი ევროპისა და აზიის რეგიონებში არსებული „ბოევიკებისა“ და ტერორისტების სიას გვთავაზობს საერთო სათაურით „დამრტყმელი ეშელონი“. რატომღაც, საქართველოს პუნქტში მას მოყვანილი ჰყავს ქართული პარტიზანული მოძრაობა, ჩრდილოეთ ოსეთის არმია, აფხაზეთის უშიშროება და... აჭარის უზენაესი საბჭოს უშიშროების სამსახური. ამ ქვეთავში დეტალურადაა აღნუსხული ის შეიარაღება, რასაც ეს სამსახური ფლობს. თუ რა მიზანს ემსახურება კატალოგში ამ ინფორმაციის გამოქვეყნება, ან რამდენად შეესაბამება იგი სიმართლეს, ამაზე მსჯელობა შორს წაგვიყვანს და ვფიქრობ, მართებული იქნება, თუ ამასთან დაკავშირებით ოფიციალურ განცხადებას გააკეთებს ორივე მხარე — თბილისი და ბათუმი.**

# სიტყვა აღარ გეცოდება?

*1978 წლის შემდეგ არც ისე დიდი ხანი გასულა, მაგრამ იმ წლებში ენისთვის ბრძოლა თავგანწირვა იყო. მაშინ, 14 აპრილს, ქართველებმა დავამტკიცეთ, რომ ჩვენთვის მშობლიური ენა მამულისა და სარწმუნოების ტოლფასია. რაც ხდებოდა იმ დღეს, კარგად იციან ყოფილი ცეკას გამომცემლობის (ახლანდელი „სამშობლოს“) თანამშრომლებმა — კონსტიტუციაც იქ იბეჭდებოდა და ერის სულიერი საუნჯეც — წიგნები. სხვათა შორის, კომუნისტები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ მათ უნებართვოდ ამ დაწესებულებაში სიტყვაც ვერ დაიბეჭდებოდა. მაგრამ ასე არ მოხდა. გვიამბობს* **ვახტანგ დოხნაძე**.

— ჩვენზე ამბობენ, დაკომპლექსებული თაობააო... ადვილია ახლა ამის თქმა. ეცხოვრათ იმ სახელმწიფოში და ნახავდნენ, თუ არ იქნებოდნენ დაკომპლექსებულები — აბა, ერთი ხმა ამოგეღო!.. 1956-ში რუსთაველზე ტანკებით გამოგვეკიდნენ. თან გავრბოდით, თან კალოშები გვძვრებოდა. გაივსო ქალაქი პროფესორებისა და სტუდენტების კალოშებით — მაშინ ერთნაირად გვეცვა ყველას. ყველანი ღარიბები ვიყავით. სიღარიბე კარგი კი არ არის, მაგრამ პატიოსნება ჩანდა ამაში. ისე ვიცხოვრეთ, სიბერეში აღარ გვრცხვენია... მართალია, ისევ გვიჭირს, სამაგიეროდ, სულიერ სიღარიბეს არ ვუჩივით. ჩემი თაობა მოაზროვნე თაობა იყო. სხვათა შორის, ყველა დიდი შემოქმედი ამ დაწესებულებაში დაბრძანდებოდა.



**— ეგენი იოლად გასაძლები ხალხი არ იქნებოდა...**

— ნეტავ, მაგათნაირი ბევრი გვყავდეს. ვერ წარმოიდგენთ, რა უბრალოები არიან დიდი ადამიანები. პავლე ინგოროყვა თვითონ დადიოდა თავისი „საკვოიაჟით“ კორექტურის წასაკითხად. დამიჯდებოდა ოთახში და სანამ სვეტებს არ ჩაასწორებდა, თავს არ ასწევდა. გვერდების ანაბეჭდსაც თვითონ ასწორებდა. მუშასაც თვითონ ადგა თავზე და კარნახობდა, რა უნდა გაეკეთებინა. კონსტანტინე გამსახურდია დაბრძანდებოდა თეთრი კიტელით. ერთხელ ჩვენს უფროსს უთხრა, — ბატონო თეიმურაზ, ეს ყმაწვილი და თქვენ კოლხურ კოშკში უნდა წამომყვეთ, წიგნი დამილოცროთო. ბატონი თეიმურაზი ვერ გაჰყვა, მარტო ხომ ვერ წავყვებოდი? გული დამწყდა. გალაკტიონთანაც ამცდა ქეიფი. ვიდექი ჩემთვის ქუჩაში და სტენდზე გაზეთს ვკითხულობდი. ბარათაშვილის პორტრეტი იყო დაბეჭდილი. ზურგს უკან მესმის: კი, მაგრამ, ამას რომ ხატავს მხატვარი, საიდან იცნობს ბარათაშვილსო?! მივიხედე — გალაკტიონია. შინელის პალტოზე ლენინის ორდენით... მოვიდა კაცი. პატარა გოგო ახლდა. გადაკოცნეს ერთმანეთი. დაუჩემა გალაკტიონმა — შენ და ეს ყმაწვილი ჩემთან უნდა ავიდეთ და დავლიოთო. არაო, — იმ კაცმა, — ბავშვი მიმყავს სკოლაშიო... ასე იყო...

**— ვიცი, რომ დღედაღამ მუშაობდით, რას აკეთებდით ამდენს?**

— მილიონობით ტირაჟით ვბეჭდავდით გაზეთებს. მხატვარი გვყავდა, იგორ ვასილკოვსკი. საწყალი, იმასაც კი ხატავდა, რომელი დელეგატი სად უნდა დამჯდარიყო... როგორც იყო, დამთავრდა ეს ტანჯვა და საღამოს მე და ვასილკოვსკი პირზე კოცნით დავემშვიდობეთ ერთმანეთს... გავიხედოთ — ღამის 2 საათზე არ რეკავს ტელეფონი! ცეკადან იყვნენ, სამსახურში გამოცხადდიო. წავედი. დაგვხვდა სოლიკო ხაბეიშვილი. მოგვცა მუხის ნაჭერი და ტყავი. ბრეჟნევი იყო ჩამოსული. იმ ტყავზე უნდა ამოგვეტვიფრა ოქროთი: — იცოცხლეთ იმდენ ხანს, რამდენ ხანსაც მუხა ცოცხლობსო და გაგვეტანებინა. არ გამოგვივიდა. დარეკავს ხაბეიშვილი ცეკაში და ეტყვის: გაფრენა 1 საათით გადადეთო... ასე გადაადებინეს ბრეჟნევს წასვლა სამჯერ. დილას, როგორც იყო, დავწერეთ ის დასაწვავი...

**— ალბათ სამთავრობო დოკუმენტებზეც არ გადგათ უკეთესი დღე...**

— მოსკოვში დაფრინავდა ჩვენი წარმომადგენელი ამ დოკუმენტების ჩასასწორებლად. 1978 წელს, საქართველოს კონსტიტუციას რომ ვიღებდით, გიორგი ბედინეიშვილს ჰქონდა ეს საქმე დავალებული. ყველა მუხლი ისეთი ჩამოჰქონდა, თვალებს ითხრიდნენ მუშები ამოსაკითხად. გავასწორებდით. ისევ წაიღებდა. კიდევ უარესი ჩასწორებული ჩამოჰქონდა. ბოლოს, ისეთი ვარიანტი მივიღეთ, ხომ გახსოვთ, რაც მოჰყვა? ამ ფანჯრებიდან ვუყურებდი, რუსთაველის პროსპექტი მომიტინგეებით რომ გაივსო. უცებ ნუგზარ ფოფხაძე გამოჩნდა. მომცა პატარა ფურცელი და მითხრა, — 250 ცალად დაბეჭდეო. გული ყელში მომებჯინა. ვუთხარი, — შეიძლება მეტი რომ დავბეჭდოთ-მეთქი? რამდენიც გინდაო... დავბეჭდეთ და მომიტინგეებს გადავუყარეთ. ზუსტად იმ სახით შევიდა კონსტიტუციაში.

**— ახალი გამომცემლობები გაჩნდა. ძალიან მტკივნეულია?**

— მტკივნეულია, თუმცა შესაცვლელი უნდა შეიცვალოს. მაგრამ ქართული სიტყვა და დამწერლობა ხომ იქნება, სანამ ქართველობა იქნება? ამიტომ თანამედროვე ტექნიკის პირობებშიც უნდა ქართულ ენას მოფრთხილება. ჩვენთან მოსაწევვი არ დაიბეჭდებოდა, ცენზორს რომ არ შეემოწმებინა, მაგრამ ქართული აზროვნება და სიტყვის სილამაზე შევინარჩუნეთ. იცით, რა არის გაზეთში „დერეფანი“ — დაუბეჭდავი ცარიელი ადგილებია სტრიქონებს შორის, რომელიც ეკალივით ერჭობა თვალს. ქართული დამწერლობა ვერ იტანს ამხელა დაშორებებს. მახინჯდება. არც უსაშველოდ გაგრძელებული სტრიქონების დაბეჭვდა შეიძლება, უშნოა, ბოლოში ველარ გადიხარ. მერე მარტო ერთი ასოს გადატანა რა უბედურებაა? ერთ „ა“-ს ან „ი“-ს რომ გადაიტან, აღარ გეცოდება სიტყვა?!

**— ვიცი, რომ „საგამომცემლო ლექსიკონი“ გაქვთ გამოცემული...**

— გამომცემლობებში, სამწუხაროდ, ლექსიკონებით აღარ სარგებლობენ. არადა საჭიროა, დამიჯერეთ. რაც არ უნდა რევოლუციები მოხდეს, ყველაფერი მაინც წარსულს უკავშირდება. ვერც წარმოიდგენთ, ძველ ქართულ სიტყვებზე რამდენი საგამომცემლო ტერმინია აგებული. მდიდარია ჩვენი ენა. უბრალო ქალისგან დედაჩემისგან ისეთი სიტყვები გამიგია, სამკაულებივით იყო. ასეთი სიტყვები იკარგება, გაზეთები კი ამის გარდა, ყველაფერზე წერენ. არ შეიძლება ერთხელ მაინც ახსენონ, რომ ხალხმა დაიხსომოს? თუ ღმერთი გწამთ, შეინახეთ ქართული სიტყვა... დამიჯერეთ, უკეთეს საქმეს ვერ გააკეთებთ.

***ნანა რამიშვილი***

## ფოტო უკომენტაროდ...



ფიროსმანის ქუჩა, აპრილი, 2004 წელი.

# უკანასკნელი მეფაიტონე: გამოვჩნდები, აბა, რას ვიზამ!

*თბილისელებმა ყველაფერს გაუძლეს, მაგრამ დედაქალაქის ძველი ხიბლის დაკარგვას ვერასოდეს შეეგუებიან. იქნებ რაღაც მაინც შევინარჩუნოთ? მაგალითად, ფაიტონი, იგივე ეტლი, რომლითაც ხანდახან თვით ინგლისის დედოფალიც დაბრძანდება... თბილისში, სადაც ასე, 4 ათეული წლის წინ, ტაქსი-ფაიტონებიც კი იყო, წამლადაც აღარ შეგვხვდებათ წიწილასავით ყვითელ ჯუბაში გამოწყობილი მეეტლე... კი არის ერთი, მაგრამ ისიც ცხოვრებაზეა გაბრაზებული, ახლა ერთ-ორ ჭიქაში რომ არ „ვიჯდე“, არ დაგელაპარაკებოდიო, — მითხრა* **ვაჟა ქოზულაშვილმა**.



***— ძველი მეფაიტონეებიც თქვენსავით სუტყვაძუნწები იყვნენ?***

— არა, კაცო, თამამები იყვნენ. მთელი თბილისი პატივს სცემდა და იმიტომაც. წინათ მეფაიტონეებს „ძმაოს“ და „შენ გენაცვალეს“ ეძახდნენ... მე კიდე, ბოლოს ვაკეში, ჭავჭავაძეზე რომ გამოვჩნდი ეტლით, ბიჭბუჭებმა ლაგამში წამივლეს ხელი — წყნეთში აგვასეირნეო... ავიყვანდი, მაგრამ იგრე უყვიროდნენ ცხენებს, კაცი შემაძულეს. ჰოდა, მოვიფიქრე: ცხენები გავაჭენე და ვუთხარი, ახლა ეტლს ბორბალი მოსძვრება, თავს უშველეთ, ჯერ თქვენ გადახტით, მერე მე-მეთქი. პანტაპუნტით ჩაცვივდნენ. აი, ეგრე გავაკეთე, ცხენის სიყვარული არ იცოდნენ და იმიტომ!

***— ჩანს, ცხენი თავს გირჩევნიათ.***

— ეგრეა. მცხეთაში მომაბარეს ცხენები მოსავლელად. ღამით იმათთან ერთად მძინავს. მეცოდებიან: რავი, დაბმულია პირუტყვი, ვნახოთ და ფეხი ცუდად ჩაუვარდა სადმე?!

***— სად შეიყვარეთ ეგრე ცხენები?***

— ქართველ კაცს ცხენი სისხლით უყვარს. ბავშვობაში, სოფელ დიღომში, ოჯახში გვყავდა ცხენები. მოვიდა ერთხელ მიხეილ ჭიაურელი, „რაც გინახავს, ველარ ნახავს“ იღებდა. მოეწონა ჩემი ცხენი და დაიქირავა. 16 წლის ვიყავი. გავყევი ცხენს გადაღებაზე. მაშინ უცხოელები ჩამოჰყავდათ ტრიუკების შესასრულებლად. ვუყურე, ვუყურე და ვიფიქრე: უცხოელებს თუ შეუძლიათ ამის გაკეთება, ქართველები, რა, მაგათზე ნაკლებები ვართ-მეთქი? მერე ისეთ ტრიუკებს ვაკეთებდი, სანამ გადავხტებოდი, დამიძახებდა დირექტორი და ხელს მომაწერინებდა — თუ რამე მოგივა, იცოდე, პასუხისმგებელი ჩვენ არ ვართო... ასე ჰოლივუდში რომ მემუშავა, ერთ ტრიუკში 10 წლის სამყოფ ფულს ვიშოვიდი.

***— საკუთარი ეტლი როდის იყიდეთ?***

— 1968 წელს. თემურ ჩაჩავა იყო, ცნობილი ცხენოსანი. მითხრა, წამოდი, ფაიტონი ვიყიდოთო. წავედით ერთ ებრაელთან. ფაიტონის ტაქსი ჰყავდა. ვიყიდეთ. საკუთარი ნომრებიც ჰქონდა.

***— ტაქსად იყენებდით...***

— სანახევროდ. გადაღებებზეც დავდიოდი და ქორწილებშიც. ერთხელ ბათუმში მექორწილეები შემეხვეწნენ, გაგვასეირნეო. უარი ვერ ვუთხარი, მაშინ პირველად ავიღე 100 მანეთი. იცით, ეს რა ფული იყო?

***— ეტლი მანქანაზე ძვირი ღირდა?***

— ჰო, რომანტიკაა! ცხენი, მეეტლე... მეფესავით ხარ... თბილისში ჟორა ქურდიანი იყო, მოხუცი მეეტლე. იმან გამგზავნა თავის მაგივრად ბოდბისხევში ქორწილში. თან არღანი გამატანა. დავატრიალე. ფულის აღება არც მიფიქრია... მიყურა ერთმა და მკითხა, — შენ ძმაო, ფული არ გინდაო? დაუძახა ხალხს — ვინც ამას არღნის დაკვრაში ფული არ მისცეს, იმისი ასე და ისეო!... 400 მანეთი გავაკეთე...

***— რაში ხარჯავდით ამ ფულს?***

— ძმაკაცი ცოტა მყავდა? ხან ქეიფში ვხარჯავდი, ხანაც იმათ ვეხმარებოდი. გაუჭირდა ერთხელ თემურ ჩაჩავას. ავდექით მე, ნიკო ჯანგირაშვილი, რეზო მესტვირიშვილი. წავედით აზერბაიჯანში გადაღებებზე. ისეთი ტრიუკი გავაკეთე, ასმა ცხენმა კინაღამ ზედ გადამიარა. რაც ვიშოვეთ, თემურს მივეცით.

***— საკუთარი ხელით შეგიძლიათ ეტლის აწყობა?***

— ჩემსავით ეგ საქმე თბილისში არავინ იცის. ისე, რამდენიმე ეტლი არის, მაგრამ თემურ ბაბლუანს ჰყავს დატყვევებული თავის სტუდიაში — გადაღებებისათვის, მე გავარემონტე და ჩემიაო... ვერ გამოიყენებს, რომ გაფუჭდეს, ჩემს მეტი ვერავინ შეაკეთებს...

***— თქვენ რატომ არ ააწყვეთ საკუთარი ფაიტონი?***

— ფული უნდოდა. ბოლო დროს შემხვდა ერთი წესიერი კაცი და დავიწყეთ ეგ საქმე... რა ვიცი, რა იქნება — ნაწილებია ძნელი საშოვნი. ადრე კიდევ იშოვიდი რაღაცას აბაშასა და ხონში. ხონში კეთდებოდა ფაიტონები, მაგრამ ახლა იქაც მიავიწყდათ ეგ საქმე. ერთხელ, მე და თემო ჩავედით ხონში ნაწილებისთვის. ვხედავთ, ვიღაცას შეუტყუპებია ეტლის კულაჯები და მიწაში ჩაუდგამს საყვავილედ. გადაირია თემო, დაეტაკა იმ კაცს — ეგ რა გიქნიაო...

***— ავარიაში თუ მოხვედრილხართ ეტლით?***

— წილკნიდან წამოვიყვანე მექორწილეები. საგურამოში შემოგვიღამდა. უკნიდან დამეჯახა მანქანა. აყვირდა: შენი ბრალია, ფარნები არ გენთოო. კაცმა რომ თქვას, მართალი იყო, — ეტლს აქვს ფარნები. მოკლედ, წამიყვანეს ჩემი ეტლიანად მილიციაში...

***— როგორ დავიჯერო, საქართველოში ერთი კაცი არ გამოჩნდა, რომ ეტლი ეყიდა და ბიზნესისთვის მაინც ემუშავებინეთ?***

— გამოჩნდა, მაგრამ იცით, რა მითხრა: გადი, რესტორნის წინ დადექი და იქ იშოვე კლიენტები, თანაც ფულს ჩემი კაცი გამოგართმევსო. ვუპასუხე, — ეტლი წესიერი ხალხისთვის არის, ფულით დაბინძურებულები ცხენებს არ უყვართ, თანაც მე პატიოსანი კაცი ვარ, თუ ფულში არ მენდობი, შენთან მუშაობას შიმშილით სიკვდილი მირჩევნია-მეთქი...

***— და მაინც მგონია, რომ ეტლისა და თბილისის გარეშე ვერ გაძლებთ და ისევ გამოჩნდებით ქუჩაში.***

— გამოვჩნდები. უეტლოდ მეც დავმძიმდი და თბილისიც. ვერა ხედავთ?

***ეთერ ერაძე***

## მკითხველის პრემია ✱ მკითხველის პრემია

ეს თქვენი გაზეთია და რადგან ასეა, „კვირის პალიტრის“ ჟურნალისტებს თქვენ ანიჭებთ ყოველკვირეულ პრემიას. შეაფასეთ ამ ნომრის მასალები, აღნიშნეთ რეიტინგის ქვითარში თქვენი აზრით, ნომრის საუკეთესო ჟურნალისტური ნამუშევარი. იმ მასალის ავტორს, რომელიც ყველაზე მეტ ხმას მიიღებს თქვენგან, მკითხველის სახელით, რედაქცია პრემიას — 50 ლარს გადასცემს. გამარჯვებული ჟურნალისტის ვინაობას მომდევნო ნომერში შეიტყობთ. *რეიტინგის ქვითარი იხ. 35-ე გვერდზე.*

## წინა ნომრის მკითხველის პრემიის შედეგები ასეთია:

1. **ვაჟა გავაშელი** — „აფხაზეთში მოწინააღმდეგის ყველა გამარჯვების სულისჩამდგმელი სერგეი შოიგუ იყო(!)“ — 88 ხმა
2. **ზვიად ჩაკვეტაძე** — „ვისთვის „იხარშება“ მანგანუმი ფეროში“ — 64
3. **ინგა ჯაყელი** — „სააღდგომო“ — 39
4. **იზო რიკაძე** — „თუ აბაშიძე არ განიარაღდება, თავისი ტანკები ვერ დაიცავენ“ — 34
5. **ეკა ლომიძე** — „მოსკოველი ქალებისა და უსურიელი ვეფხვების გულთამპყრობელი“ — 25

მკითხველის სახელით პრემიას კვლავ **ვაჟა გავაშელი** მიიღებს.



***„მკითხველის პრემიის“ მფლობელი 364-მა რესპონდენტმა გამოავლინა***

# სუნთქვა სახიფათოა (?!)

## „გამოსავალი“ – რაც შეიძლება ნაკლები ვისუნთქოთ...

*კონტრაბანდული საწვავი დღემდე ქართული ეკონომიკის აქილევსის ქუსლია. ქვეყანაში ბენზინის თუ დიზელის საწვავის უკანონოდ შემოტანისა და რეალიზაციის მექანიზმი წლების მანძილზე ისე დაიხვეწა, რომ მისი სავსებით აღმოფხვრა ვერ ხერხდება.*

*ეკონომიკის ამ სენის წინააღმდეგ პირველი იერიში ექსპრეზიდენტმა შევარდნაძემ თავისი მმართველობის ბოლო თვეებში მიიტანა. კონტრაბანდული საწვავის აღმოჩენა და დაკავება უშიშროების სამინისტროს დაავალეს. უშიშროების თანამშრომლებმა მაშინ ტრასებზე გადაინაცვლეს და ავტოინსპექტორებთან ერთად აჩერებდნენ მანქანებს. ამბობდნენ, რომ ამ მექანიზმმა გაამართლა და კონტრაბანდულმა საწვავმა საგრძნობლად იკლო... უშიშროების სამინისტროს შემდეგ ესტაფეტა ფინანსურმა პოლიციამ მიიღო. ახლა ფინანსური პოლიციის თანამშრომლები ნადირობენ კონტრაბანდისტებზე. თუმცა, შემოწმებების მიხედვით, კონტრაბანდული ბენზინიც არსებობს და არც უკანონოდ შემოტანილი დიზელის საწვავის ყიდვა გაუჭირდება კაცს.*

*ეს გარემოება 16 აპრილს თბილისის საკრებულოს მიერ ჩატარებულ რეიდზეც დადასტურდა. საკრებულოს თავმჯდომარე ზაზა ბეგაშვილი და ეკონომიკური კომისიის თავმჯდომარე დავით იოსელიანი ერთდროულად ამოწმებდნენ ბენზინის ხარისხიანობას, აკლებდნენ თუ არა ბენზინგასამართი სადგურების თანამშრომლები მომხმარებელს საწვავს და იყიდებოდა თუ არა კონტრაბანდული საწვავი.*

*შემოწმება დიღმის გზატკეცილზე განთავსებულ ბენზინგასამართ სადგურებზე დაიწყო. თუმცა, ვფიქრობ, ასეთ რეიდებს უფრო ფსიქოლოგიური ხასიათი აქვს, რადგან საკრებულოს ჯერჯერობით არ გააჩნია ისეთი აპარატურა, რომელიც ბენზინის ხარისხიანობის ზუსტად დადგენას შეძლებს. რაც შეეხება კონტრაბანდულ ბენზინს, ამაზე საკრებულოს კომისიას მხოლოდ ფასების მიხედვით თუ შეუძლია მსჯელობა. მაგალითად, ბენზინგასამართ სადგურზე „გიორგი-200“ დიზელის საწვავს 73 თეთრად ყიდიან. „საწვავი კანონიერი გზით რომ შემოიტანო და განაბაჟო, მისი მინიმალური ღირებულება 78 თეთრს აღწევს და საინტერესოა, როგორ ყიდიან ესენი 73 თეთრად?“ — კითხულობს დავით იოსელიანი. საეჭვო ფასი ედო „სუპერსაც“ — 99 თეთრი. „როცა მთელ საქართველოში ამავე მარკის ბენზინის ფასი 1 ლარი და 25 თეთრია, აქაური ფასი მართლაც საეჭვოა“, — აღნიშნავენ კომისიის წევრები. ერთი სიტყვით, კონტრაბანდული საქონლის არსებობა მხოლოდ დაბალი ფასებით „დასტურდება“. საწვავის ხარისხზე კი ბენზინგასამართი სადგურის მეპატრონეები აცხადებენ, რომ ისინი მწარმოებელი ქარხნის სერტიფიკატს ენდობიან. სხვა გზა არც აქვთ — ერთადერთი ლაბორატორია ჯიქიას ქუჩაზეა და ისიც არ მუშაობს. ჩვენთან საუბრისას უშიშროების თანამშრომელი გელა კობახიძე აცხადებს, რომ საქართველოში შემოტანილი საწვავის დიდი რაოდენობა უხარისხოა, რაც მომხმარებლის ჯანმრთელობაზე ცუდად აისახება.*



— **რატომ დაინტერესდნენ მაინცდამაინც „სუპერის“ მარკის ბენზინით?**

— ყველაზე მაღალი ხარისხის გამო. მართალია, „სუპერი“ ყველაზე ძვირია, მაგრამ მას ბევრი მომხმარებელი ჰყავს. ამიტომ ხშირია შემთხვევები, როცა ამ მარკის ბენზინს აყალბებენ და მასში უფრო დაბალი ხარისხის ბენზინს ურევენ. ამიტომაა, რომ მძღოლები წუწუნებენ, უხარისხო ბენზინს გვისხამენო. უფრო დამაფიქრებელია ის გარემოება, რომ ასეთი ბენზინის გამონაბოლქვი უარყოფით ზეგავლენას ახდენს ადამიანებზე. სამწუხაროდ, ეს ჩვენთან საფუძვლიანად არავის გამოუკვლევია, მაგრამ არსებობს მონაცემები, რომ ბოლო წლებში ფილტვის კიბოთი გარდაცვალების გახშირებული ფაქტები სწორედ ამ გარემოებას უნდა უკავშირდებოდეს(!).

— **გამოდის, კონტრაბანდის წინააღმდეგ ბრძოლა ერთადერთი პრობლემა არ ყოფილა.**

— ცხადია, მაგრამ კონტრაბანდის სრულიად აღმოფხვრამდე ეს პრობლემაც არ გადაიჭრება.

— **რატომ?**

— კონტრაბანდული ბენზინი და სალიარი, ძირითადად, ცხინვალიდან და წითელი ხიდიდან შემოდის. განსაკუთრებით ცხინვალშია ბევრი საწვავის კუსტარული გამოსახდელი ქარხანა. იქაური საწვავი განსაკუთრებული ხარისხიანობით, ცხადია, არ გამოირჩევა. სამაგიეროდ, იაფია. ამიტომ მასზე მოთხოვნაც არის. როცა მას მაღალხარისხოვან საწვავში გადაურევენ, კარგი საწვავის ფასადაც გაყიდიან.

***(გაგრძელება იხ. გვ. 13)***

# რას ვსვამთ — „წყლის ხარისხი ბევრად გაუარესდა...“

## რატომ ეშინია საკრებულოს თავმჯდომარეს თბილისში სურსათის შეძენა?

*მიუხედავად იმისა, რომ გარე ვაჭრობებთან (რომელმაც საგრძნობლად იკლო) სერიოზული ბრძოლა გამოცხადდა, ვაგზლის მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე ისევ შეხვდებით იმ ხალხს, ვინც „ტრადიციას“ არ არღვევს და ბაზრის ნაცვლად ქუჩაში ვაჭრობს. კითხვაზე, აქ რატომ დგახარ? — გპასუხობს: — უფროსმა მომცა ნებაო. როგორც ირკვევა, „უფროსი“ (ე.წ. „ნაჩალნიკი“) ერთი რიგითი პოლიციელია. ახირებული გარე მოვაჭრე (მიუხედავად იმისა, რომ ბაზარში იგი გადასახადს არ იხდის) ქუჩაში სამართალდამცველს საკუთარი ინიციატივით ურიგდება — ოღონდ აქედან არ გამაგდო და ფულს გადაგიხდიო. პოლიციელიც წილში უდგება გარე მოვაჭრეს და „პურის ფულს“ აკეთებს. ისევ იყიდება ქუჩაში მალფუჭებადი პროდუქტები და ამიტომ მომხმარებელი მოწამვლისგან დაზღვეული არ არის. მას ასევე ელის საფრთხე საკოლმეურნეო ბაზრებიდან, სადაც ენით აუწერელი ანტისანიტარიაა გამეფებული. თუ პროდუქტის (განსაკუთრებით ხორცის და თევზის პროდუქტების) შეძენის სურვილი საერთოდ არ გაგიქრებათ, აუცილებლად ინანებთ, რომ ბაზარში წასვლის წინ აირწინაღი არ შეიძინეთ (ისევ აირწინაღი? ეს ხუმრობა მწარე რეალობად არ გვექცეს. — ე.ლ.). თბილისელებს ამ პრობლემის გარდა, სხვა საზრუნავიც დღითი დღე ემატებათ. უკვე დადის ხმები სასმელი წყლის გაძვირების შესახებ. ყოველივე ამ საკითხებთან დაკავშირებით სასაუბროდ თბილისის საკრებულოს თავმჯდომარეს* **ზაზა ბეგაშვილს** *მივმართეთ.*

— **რატომ დგანან გარე მოვაჭრეები ქუჩაში, მათი ბაზრების ტერიტორიაზე შეყვანა ვერ ხერხდება?**

— მას შემდეგ, რაც თბილისის საკრებულომ გარე ვაჭრობების აკრძალვის განკარგულება გასცა და საქმეში შესაბამისი სამსახურები ჩართო, ეს პრობლემა ფაქტობრივად მოგვარებულია და გარე მოვაჭრეების 99% ალტერნატიული სავაჭრო ადგილებით არის დაკმაყოფილებული.

— **ბატონო ზაზა, თქვენ ეჭვი გეპარებათ, რომ თუნდაც ამ წუთებში ქუჩაში ან ბაზრებთან ახლოს გარე მოვაჭრეებს ვნახავთ?**

— შეიძლება ვნახოთ, მაგრამ ისიც დავინახოთ, წერეთლის ბაღთან, „დინამოს“ მიმდებარე ტერიტორიაზე, აბასთუმნის ქუჩაზე გარე მოვაჭრეები რომ აღარ დგანან. საღამოს საათებში ისინი მხოლოდ სასტუმრო „კოლხეთის“ მიმდებარე ტერიტორიებზე გამოჩნდებიან ხოლმე. ასეთებს უმკაცრესად ვაგებინებთ პასუხს. გეთანხმებით, რომ ჯერ ბევრი რამ მოსაგვარებელია, საბურთალოს ბაზრის, დელისის და სამგორის მეტროების გასასვლელებში ვიცი, რა მდგომარეობაც არის და ამასაც ეტაპობრივად მივხედავთ.

— **პოლიციელებისა და გარე მოვაჭრეების ურთიერთგარიგების ფაქტები თუ დაგიფიქსირებიათ?**

— ასეთი რამ გამორიცხულია(?!). მე და გიორგი ბარამიძემ ერთობლივად უზარმაზარი სამუშაო ჩავატარეთ და პრობლემა აღვკვეთეთ. ვერ გამიგია, რაზე უნდა გაურიგდნენ პოლიციას, როცა ყველა გარე მოვაჭრე ბაზარში ერთი წლის განმავლობაში ყოველგვარი გადასახადისგან გავათავისუფლეთ? თუ ვინმე ქუჩაში გამოვა სავაჭროდ, იმასაც მოვუვლით. პოლიცია ფულს ვერ აიღებს. იციან, რომ ასეთ





ზაზა ბეგაშვილი



„დეზერტირების“ ბაზრის შესასვლელი აბასთუმნის ქუჩიდან

შემთხვევაში მათი ადგილი სისტემაში აღარ იქნება.

— **იმ საშინელ ანტისანიტარიას როდის მოევლება, „დეზერტირების“ ბაზარში რომ მეფობს?**

— იმაზე მეტი სიბინძურეა, ვიდრე ადრე იყო? მე ყოველ დილით დავდივარ შემოვლაზე!

— **ბაზარში ფაქტობრივად არაფერი შეცვლილა, საშინელი ანტისანიტარიაა თუნდაც იქ, სადაც თევზს ყიდიან. თუ ყოველ დილით დადიხართ, ვერ ამჩნევთ, რა ხდება?**

— ამისთვის პასუხს ბაზრის დირექტორს მოვთხოვ. ბაზარში სანიტარული დღე თვეში ერთხელ ეწყობა. ჩემი აზრით, ეს ძალიან ცოტაა. სამწუხაროდ, უნდა ვაღიარო, რომ როგორც „დეზერტირებში“, ისე ნავთლუღის და სხვა ბაზრებში სერიოზული პრობლემებია მოსაგვარებელი. რახან გარე მოვაჭრეები შიგნით შევიყვანეთ, ახლა იმასაც გავარკვევთ, ვინ რითი და როგორ ვაჭრობს.

— **თქვენ სად ყიდულობთ პროდუქტს?**

— რაც საკრებულოს თავმჯდომარე ვარ, ყველაფერს ჩემი მეუღლე ყიდულობს, ალბათ ბაზრის ტერიტორიაზე. სიმართლე გითხრათ, ზოგჯერ მეშინია კიდეც. ვფიქრობ ხოლმე, ნეტავ, შემოწმებული პროდუქტი თუ იყიდა-მეთქი. მალე ყველაფერს მოვაგვარებთ. არ დავუშვებ, რომ 35-გრადუსიან სიცხეში ჩანგლებზე დაკიდებული ხორცი გარეთ იყიდებოდეს და ვაჭრები ბუზებს ქაღალდებით იგერიებდნენ.

— **ბატონო ზაზა, თბილისი ისევ მსოფლიოს ყველაზე ჭუჭყიან ქალაქთა ლიდერების სიაში რჩება. როგორ უნდა მოევლოს ამ საქმეს, რომ სხვადასხვა აირტოქსინებით მოწამვლისგან მაინც ვიყოთ დაზღვეული?**

— თბილისის ყველა ქუჩა გაირეცხება ყოველ დილით. გარდა ამისა, „დინამოს“ სტადიონზე აღდგება ყველა სკამი. ამას გააკეთებენ ადგილობრივი მეწარმეები. ამ საკითხის გადაწყვეტას მილიონ-ნახევარი ლარი ეყოფა. საქართველოს ეროვნული ნაკრები ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ პირველ მატჩს „დინამოს“ სტადიონზე გამართავს.

— **„თბილწყალკანალის“ ფრანგული კომპანიისთვის ათწლიანი იჯარით გადაცემის ფაქტმა უკვე დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. რამდენად საიმედოდ მიგაჩნიათ ამ კომპანიასთან თანამშრომლობა და გაძვირდება თუ არა თბილისში სასმელი წყალი?**

— დღეს ფრანგებს თუ არ შემოვიყვანთ, ხვალ უმძიმესი მდგომარეობა იქნება. წყლის ხარისხი ბევრად უარესდება. ვარკეთილში უკვე ქვიშა მოსდევს მას. მიწისქვეშა გაყვანილობები ყველა ამორტიზებულია და ჩვენი სახლების სარდაფები წყლით ივსება. ვერ ვაგვარებთ წყლის გადასახადების აკრეფას, რის გამოც ყოველწლიურად 15 მილიონ ლარამდე თანხას ვურიცხავთ „თბილწყალკანალს“ მერიიდან. ფრანგული მხარე თავის თავზე იღებს პასუხისმგებლობას წყლის ხარისხზე, შეცვლის მილებს 150-წლიანი გარანტიით. მოაწესრიგებს გამრიცხველიანების საკითხს.

— **მე, როგორც მოქალაქეს, პირველ რიგში მაინტერესებს საქართველოში, სადაც სასმელი წყლის დეფიციტი არ არის, გამიძვირებთ თუ არა გადასახადს?**

— პირველი სამი წლის განმავლობაში წყალი არც ერთი თეთრით არ გაძვირდება, მერე კი გვეცოდინება, რამდენ წყალს ხარჯავს თბილისი რეალურად. დაითვლება, რა თანხაა საჭირო იმისთვის, რომ წყალსაცავიდან თქვენს ონკანებამდე მოვიყვანოთ წყალი და ამის მიხედვით დადგინდება მისი რეალური ღირებულება. თუ გამოიკვეთება ისეთი სოციალური ფენა, რომელიც გაზრდილ ღირებულებას ვერ გადაიხდის, მისთვის გამოიყოფა დოტაცია. როგორც „ჯენერალ დეზო“ გვიცხადებს, 10 წლის განმავლობაში ყველა პრობლემას მოაგვარებს. ეს საიმედო კომპანიაა.

— **თელასის მწარე მაგალითს თუ გავიხსენებთ, თავის დროზე „ეი-ი-ესიც“ საიმედო კომპანია იყო. მერე გამოჩნდა შავი ლაქები და მათ შორის ისიც, რომ ჩვენი ბედოვლათობის გამო, ხელშეკრულება კაბალური გამოდგა. იქნებ ის ხელშეკრულებაც, რომელიც ქართულ და ფრანგულ მხარეებს შორის უნდა დაიდოს, ჯერ საზოგადოებისთვის გახდეს საჯარო განხილვის საგანი და მერე რატიფიცირდეს.**

— პარიზში ვუთხარი ფრანგებს, თბილისში თქვენს ლობირებას კი არ დავიწყებ, ჩვენ შორის გასაფორმებელ კონტრაქტს განიხილავს ქალაქის საკრებულო, ხელისუფლება, საზოგადოება და ამის შემდეგ შეიძლება მივიღოთ გადაწყვეტილებები. თუ არ გვინდა „ჯენერალ დეზო“, ვუთხრათ უარი და ეგ იქნება. მათი წლიური კაპიტალბრუნვა 28 მლნ ევროა და სულ არ აინტერესებთ აქაურ კაპიკებზე გამოკიდება.

— **როგორც „ეი-ი-ესს“ არ „აინტერესებდა“ ქართული თეთრები?**

— „ეი-ი-ესთან“ დაკავშირებით ძალიან კარგად მახსოვს, ღამის ორ საათზე რომ ჩაიკეტნენ და ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას. ქართველი ხელის მომწერების ვინაობა დღემდე გაურკვეველია და ხელშეკრულების ტექსტიც არავის აქვს ნანახი. იმ ხელისუფლებაში მე არ ვყოფილვარ. ძალიან გავღიზიანდი, როცა როგორც მოქალაქეს, არ მკითხეს და ისე გაასხვისეს თელასი. ამჯერად „ჯენერალ დეზო“ კი არა, მამაღმერთი რომ ჩამოვიდეს ციდან, იმასაც არ მოვუწერ ხელს ხალხთან შეთანხმების გარეშე.

— **რა ეშველება ძველ თბილისს ან იმ უკანონო მშენებლობებს რას უპირებთ, რომლებიც ყოველდღე მატულობს?**

— ვის გამოც ეს უკანონო მშენებლობები მიმდინარეობს, ყველა დამნაშავე აგებს პასუხს, ძველიც და ახალიც. შეიძლება ისეც გავაკეთოთ, რომ კანონდამრღვევებს გადავახდევინოთ ჯარიმა და აღვადგენინოთ ძველი თბილისის ის ადგილები, რომელიც ინგრევა. ამ ქალაქში და საერთოდ ქვეყანაში, კონტროლის მექანიზმის არსებობა თუ არ იგრძნეს, თუ დაუსჯელობის სინდრომით გათავხედებული ხალხი არ შეაშინე, არაფერი გამოვა.

***ეკა ლომიძე***

# რატომ არ სთხოვს გენერალური პროკურატურა სათბობენერგეტიკის ყოფილ მინისტრს ზარალის ანაზღაურებას?!

ოთხ თვეზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ სახელმწიფო ქონებისა და გადასახადების დამალვაში ეჭვმიტანილი ჩინოვნიკებისა თუ ბიზნესმენების ორთაჭალის ერთ პირქუშ დაწესებულებაში გამწესება დაიწყო. დაპატიმრებული ჩინოვნიკების უმრავლესობა დათანხმდა ხელისუფლების წინადადებას და მიტაცებულ-მოპარული თანხები დაუბრუნა სახელმწიფოს, ოღონდ მხოლოდ ის თანხა, რომლის მითვისება დამნაშავეებს გამომძიებლებმა „დაუდგინეს". კორუმპირებულთა დაპატიმრებები კვლავაც გრძელდება და მეხუთე იზოლატორის „კომფორტით დამტკბარი" და უკვე „ზალოგით" გათავისუფლებული ჩინოვნიკები მუხლების კანკალით ელოდებიან, როდის წავა ოქრუაშვილი მეორე „კრუგზე". ყოველივე ამან ნოდარ დუმბაძის რომანის, „თეთრი ბაირაღების" ერთ-ერთი გმირის, შოშიას მონოლოგი გამახსენა: „...გამომძიებელმა ის თანხა მითხრა, რაც მოვიპარე, მილიონ ჩემტაო. კიდევ კარგი, ის ჩემტო არ იცოდა, ცხრაასი ათასი რომ იყო... მთელი შენი საგვარეულო და ჯილაგი რომ დაჯდეს, ათ წელიწადს ვერ დაითვლის მილიონ დევიატსოტ ტისიაჩს! ეს რაზეც დამიჭირეს! რაზეც ვერ დამიჭირეს, კიდევ ათი წელი უნდა..."

პირველი, ვინც „რეპრესიების" მსხვერპლი შეიქნა, საქართველოს სათბობენერგეტიკის ყოფილი მინისტრი დავით მირცხულავა გახლდათ. 16 იანვარს, როდესაც საქართველოს გენერალურ პროკურატურაში უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციაზე სისხლისსამართლებრივი დევნის სპეციალური სამსახურის უფროსის მოადგილემ გენადი ქაჩიბაიამ მირცხულავას ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის დადგენილება წაუკითხა, ყოფილ მინისტრს ინფარქტი მოუვიდა და ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში გადაიყვანეს. ინფარქტს ინსულტიც დაერთო, მაგრამ ექიმების ძალისხმევით დავით მირცხულავა ორ-სამ კვირაში ისე გამოკეთდა, რომ მისი დაკითხვა შეიძლებოდა, მაგრამ გამოძიება რატომღაც არ ჩქარობდა. მხოლოდ ერთხელ „შეაწუხეს" გამომძიებლებმა მირცხულავა. ამასთან, პროკურატურას მირცხულავასთვის სხვების მსგავსად არც ბიუჯეტისათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურების წინადადებით მიუმართავს! ამასობაში კი წინასწარი პატიმრობის ვადა — სამი თვეც ამოიწურა.

წინასწარი პატიმრობის ვადის გასრულებამდე ორი დღით, ადრე პროკურატურამ სასამართლოს სთხოვა, ყოფილი მინისტრისთვის სამი თვით კიდევ გაეგრძელებინა პატიმრობა. სასამართლომ მოთხოვნა დააკმაყოფილა. ამასობაში კი (ვფიქრობ, სავსებით სამართლიანად) საზოგადოების ერთ ნაწილს ასეთი კითხვები გაუჩნდა — რა რაოდენობის ზარალი მიაყენა ბიუჯეტს დავით მირცხულავამ და თუ მიაყენა, რატომ არ მოსთხოვა პროკურატურამ მას ზარალის ანაზღაურება? ბუნებრივია, იგივე კითხვები ჩვენც დაგვებადა, ამიტომ შევეცდებით მათზე პასუხი გავცეთ.

გთავაზობთ საქართველოს სათბობენერგეტიკის ყოფილი მინისტრის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის დადგენილებას მცირეოდენი შემოკლებით (სტილი დაცულია): — „საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 14 ნოემბრის №1213 განკარგულებით მას, როგორც სათბობენერგეტიკის მინისტრს, დაევალა სომხეთის ენერგოსისტემის წინაშე არსებული დავალიანების დაფარვის გრაფიკის შესრულებაზე სისტემატური კონტროლი. თავის მხრივ, აღნიშნული დავალიანება წარმოიშვა სომხეთიდან 1998-99 წლებში ელექტროენერგიის შესყიდვის გამო. კერძოდ: 1998 წლის 24 ივლისს და 11 აგვისტოს გაფორმდა ხელშეკრულებები, რომელთა საფუძველზეც სომხეთის მხარემ საქართველოს 1998 წლის აგვისტოდან იმავე წლის დეკემბრის ჩათვლით მიაწოდა ელექტროენერგია. არც ერთი აღნიშნული კონტრაქტი პროდუქციის საფასურის გადაუხდელობის შემთხვევაში საჯარიმო სანქციების დაკისრებას არ ითვალისწინებდა და ფაქტობრივად წარმოადგენდა უპროცენტო კრედიტს. 1999 წლის 1 იანვრიდან 31 მარტამდე საქართველოს ელექტროენერგია მიეწოდებოდა უკვე 1998 წლის 31 დეკემბერს და 1999 წლის 15 თებერვალს გაფორმებული მეორე ხელშეკრულების საფუძველზე (რომელშიც წინა ხელშეკრულებების პირობებისაგან განსხვავებით, დასახელებულ კონტრაქტში უკვე ჩაიდო საჯარიმო სანქციების გავრცელების პირობაც). სულ 1998 წლის აგვისტოდან 1999 წლის მარტამდე სომხეთის რესპუბლიკამ საქართველოს მოაწოდა 172,9 მლნ კვტ/სთ. 1999 წლის 3 სექტემბერს გაფორმდა შემაჯამებელი ურთიერთშემაჯერებელი აქტი, რომლითაც საქართველოს დავალიანება განისაზღვრა 4 მილიონ 394 ათასი დოლარით. დავალიანების განსაზღვრისას სრულად იქნა გათვალისწინებული 1999 წლის 15 თებერვლის ხელშეკრულებით რეგლამენტირებული საჯარიმო სანქციები. საქართველომ ვალის დაფარვა ვერ მოახერხა. ამიტომ 2001 წლის 19 იანვარს „არმენენერგომ", სათანადო შეთანხმების საფუძველზე, საქართველოდან ვალის მოთხოვნის უფლება გადასცა რუსულ-სომხურ კომპანიას — „ენერგომანქკორპორაციას". ამ შეთანხმებით განისაზღვრა და დაკომპლექტდა საქართველოს დავალიანების მოცულობა, რამაც ძირითად თანხასთან და საჯარიმო სანქციებთან ერთად შეადგინა 4,394 მილიონი დოლარი.

მიუხედავად იმისა, რომ ზემოხსენებული შეთანხმება საკმაოდ ბუნდოვნად განსაზღვრავდა შუამავალი ორგანიზაციის — „ენერგომანქკორპორაციის" როლს ვალის ამოღების ნაწილში და პრაქტიკულად ვერ ასაბუთებდა სომხურ-ქართულ ურთიერთობებში ასეთი სუბიექტის ჩართვის აუცილებლობას, დ. მირცხულავამ უკრიტიკოდ გაიზიარა შეთანხმების შინაარსი და იგი დაამტკიცა ხელმოწერით. მეტიც, მირცხულავამ, რომელიც წარმოადგენდა საქართველოს სახელმწიფო ინტერესებს, გამოავლინა არაკომპეტენტურობა და მითითებული შეთანხმების 6.3 და 6.4 პუნქტებში ჩადო საქართველოსთვის კაბალური აშკარად წამგებიანი პირობა, რომლის თანახმად, ქართული მხარე არ იხსნიდა სომხეთის რესპუბლიკის წინაშე პასუხისმგებლობას „ენერგომანქკორპორაციის" მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაშიც კი; ანუ თუ შუამავალი ორგანიზაცია ქართული მხარისაგან ვალის ამოღების შემდეგ, სომხეთის მხარეს, ანუ „არმენენერგოს" არ აუნაზღაურებდა თანხებს, დავალიანების გადახდის ვალდებულება ისევ საქართველოს რჩებოდა. ათი დღის გასვლის შემდეგ საქართველოს მხარესა და „ენერგომანქკორპორაციას" შორის შედგა შეთანხმების აქტი, რომლითაც სათბობენერგეტიკის მინისტრმა სახელმწიფოს სახელით ფაქტობრივად აღიარა არა 4 მილიონ 394 ათასი აშშ დოლარის, არამედ 6 მილიონ 737 ათასი აშშ დოლარის დავალიანება; ანუ მან საქართველოს სახელმწიფოს კანონიერი ინტერესების იგნორირებით იკისრა 1998-99 წლებში სომხეთიდან მიღებული ელექტროენერგიის არა მარტო დავალიანების, არამედ ხელოვნურად „ენერგომანქკორპორაციისათვის" გამორჩენის მისაღებად შექმნილი საჯარიმო სანქციების 2 მილიონ 343 ათასი აშშ დოლარის გადახდის ვალდებულებაც, მაშინ, როცა 2001 წლის 19 იანვარს გაფორმებული შეთანხმება არავითარ დამატებით საჯარიმო სანქციას არ ითვალისწინებდა და ეხებოდა მხოლოდ 4 მილიონ 394 ათასი დოლარის გადახდას. საქართველომ სრულად გადაიხადა 2001 წლის 23 თებერვლიდან 2002 წლის 13 დეკემბრამდე, როგორც ვალის ძირითადი თანხა, ასევე ხელოვნურად შექმნილი საჯარიმო სანქციები. თავის მხრივ, შუამავალი ორგანიზაციის „ენერგომანქკორპორაციის" ხელმძღვანელებმა ისარგებლეს რა ერთი მხრივ მირცხულავას დანაშაულებრივი უმოქმედობით, ხოლო მეორე მხრივ, ამ უკანასკნელის მიერ 2001 წლის 19 იანვრის შეთანხმებაში ჩადებული კაბალური პირობით, რომლის თანახმად „ენერგომანქკორპორაციის" მიერ სომხეთის მხარისათვის ვალის გადაუხდელობის შემთხვევაში სომხეთის რესპუბლიკის წინაშე ვალი მაინც საქართველოს რჩებოდა, „არმენენერგოს" აუნაზღაურეს მხოლოდ 439 ათასი დოლარი. დარჩენილი თანხა, ექვს მილიონზე მეტი აშშ დოლარი მიითვისეს... არადა მირცხულავას პრეზიდენტის განკარგულებით უნდა გაეკონტროლებინა დავალიანების დაფარვის შესრულება. მან ასევე რეაგირების გარეშე დატოვა სომხეთის რესპუბლიკის სათანადო სამსახურებიდან 2002-2003 წლებში მიღებული არაერთი წერილობით შეტყობინება იმის თაობაზე, რომ „ენერგომანქკორპორაცია" არ ასრულებდა ნაკისრ ვალდებულებებს და არ იხდიდა თანხებს. მეტიც, მირცხულავა... მინისტრის პრივილეგირებული მდგომარეობის შესანარჩუნებლად, კარიერისტული ქვენაგრძნობით, შეგნებულად უშვებდა ამ შედეგის დადგომის შესაძლებლობას; ანუ „ენერგომანქკორპორაციის" ხელმძღვანელების მიერ დიდი ოდენობით თანხების თაღლითურად დაუფლებას". ამ დადგენილებას ხელს აწერს გენადი ქაჩიბაია.

დადგენილების წაკითხვის შემდეგ მკითხველს ეჭვი არ შეეპარება იმაში, რომ ყოფილმა მინისტრმა სახელმწიფოს ექვს მილიონ დოლარზე მეტი აზარალა. რატომ არ მოსთხოვა ამ თანხის დაბრუნება პროკურატურამ მირცხულავას?

ჩვენ დეტალურად შევისწავლეთ ის დოკუმენტები, ასევე სხვებიც, რომლებიც ნახსენებია ბრალდების დადგენილებაში. ვესაუბრეთ ექსპერტებს, სამართალდამცველებს, ენერგეტიკოსებს და აღმოჩნდა, რომ... თუმცა სჯობს ყველაფერს თავიდან მივყვეთ.

აუდიტური და საკონსულტაციო კომპანიის „თბილისის მენეჯერებისა და კონსულტანტების" პარტნიორმა **ზურაბ ლალაზიშვილმა** დავით მირცხულავას ადვოკატების თხოვნით შეისწავლა ზემოხსენებული დადგენილება და ყველა ის დოკუმენტი, რომლებითაც იხელმძღვანელა გენადი ქაჩიბაიამ და განაცხადა: — დადგენილების მიხედვით გამოძიება ბრალს დებს დავით მირცხულავას „ენერგომანქკორპორაციის" სასარგებლოდ ხელოვნურად შექმნილი საჯარიმო სანქციის, 2 მილიონ 343 ათასი აშშ დოლარის დავალიანებისა და „ენერგომანქკორპორაციის" მიერ 6 მილიონ 338 ათასი აშშ დოლარის მითვისების ხელშეწყობაში. მაგრამ თუ დოკუმენტებს გაეცნობით, დარწმუნდებით, რომ პროკურატურის გამომძიებელს სათანადო კვალიფიკაცია არ გააჩნდა, ან უარესი — მან ბრალდება შეთითხნა და ყველაფერი ისე წარმოადგინა, თითქოს მირცხულავა იყოს დამნაშავე. მან ალბათ შეგნებულად გამოტოვა ან არც წაუკითხავს რუსულ ენაზე შედგენილი ხელშეკრულება. გამომძიებელი დადგენილებაში ამტკიცებს, რომ 1999 წლის 3 სექტემბერს გაფორმებულ ურთიერთშედარების აქტში მოყვანილი თანხა, 4 მილიონ 394 ათასი აშშ დოლარი მოიცავს, როგორც ძირითად, ასევე საჯარიმო სანქციებსაც. სინამდვილეში, აქტში ერთი სიტყვაც არ არის ნახსენები იმის შესახებ, რომ თანხა მოიცავს საჯარიმო სანქციებსაც. საინტერესოა, საიდან მოიტანა ბრალდებაში მან ეს მტკიცებულება? გამომძიებელს დადგენილებაში აღნიშნული აქვს, რომ „არმენენერგომ" „საქენერგოს" მიაწოდა 172,9 მლნ კვტ/სთ ელექტროენერგია. თუ გავითვალისწინებთ, რომ ელექტროენერგიის ტარიფად ხელშეკრულებებით განსაზღვრული იყო 0,0254 აშშ დოლარი 1 კვტ/სთ-ზე და მიწოდებული ელექტროენერგიის საერთო რაოდენობას გავამრავლებთ ტარიფზე, მივიღებთ 4 მილიონ 394 ათას აშშ დოლარს, რაც წარმოადგენს მხოლოდ მოწოდებული ელექტროენერგიის ღირებულებას ყოველგვარი საჯარიმო სანქციის გარეშე. აქედან გამომდინარე, უსაფუძვლოა იმის მტკიცება, რომ დავალიანება 4 მლნ 394 ათასი აშშ დოლარი მოიცავდა საჯარიმო სანქციებსაც.

**— გამოძიება ამტკიცებს, რომ საჯარიმო სანქციები, რომელიც დაერიცხა ძირითად თანხას, ხელოვნურად იყო შექმნილი, მაგალითად 1998 წლის ხელშეკრულება ელექტროენერგიის ღირებულების გადაუხდელობის შემთხვევაში საჯარიმო სანქციების დაწესებას არ ითვალისწინებდა და იგი უბრალოდ უპროცენტო კრედიტს წარმოადგენდა.**

— ხელშეკრულების მეოთხე თავის მეორე პუნქტში მითითებულია, რომ მისაწოდებელი ელექტროენერგიის ღირებულების გადახდას „საქენერგო" დაიწყებს ელექტროენერგიის მიწოდებამდე ხუთი დღით ადრე; ანუ წინასწარი გადახდა თავისთავად არ ითვალისწინებდა საჯარიმო სანქციებს და ის არც არის და არც უნდა იყოს მითითებული ხელშეკრულებაში. რაც შეეხება შემდგომ ხელშეკრულებას, იგი ხელშეკრულება კი არა, შეთანხმებაა და ნაწილობრივ წინა ხელშეკრულების გაგრძელებას წარმოადგენს. შეთანხმებაში ვკითხულობთ — „ვალი დაფარული იქნება „საქენერგოს" მიერ უპროცენტოდ, თუ „საქენერგო" დაუბრუნებს იმავე მოცულობის ელექტროენერგიას სომხეთის მხარის მიერ მითითებულ მესამე პირს." ანუ აქ თანხაზე ლაპარაკი არ არის და ვალის დაბრუნება ნატურით უნდა მომხდარიყო. ამ შეთანხმებაშიც არ ჩაიწერებოდა საჯარიმო სანქცია. საქართველომ ხელშეკრულებით მიიღო ელექტროენერგია, მაგრამ მას მისი საფასური არც წინასწარ გადაუხდია და არც შემდგომ და ვერც მესამე პირისთვის შეძლო იმავე რაოდენობის ელექტროენერგიის დაბრუნება. სომხეთის მხარე იძულებული გახდა უკვე შემდგომი ხელშეკრულებით მოეთხოვა 1998 წელს მოწოდებული ელექტროენერგიის საფასურის გადახდა და საქართველოც დაეთანხმა. ამ ხელშეკრულებაში ძველი ვალის გადახდის გრაფიკიც არის მითითებული და იქვე აღნიშნულია, რომ თუ ვალი გრაფიკის მიხედვით არ დაიფარება, „საქენერგო" ვალდებულია „არმენენერგოს" გადაუხადოს 0,1 პროცენტი ვალის საერთო თანხისა ყოველ გადაცილებულ დღეზე. იგივე საჯარიმო სანქციაა გათვალისწინებული მიმდინარე წელს მისაწოდებელი ელექტროენერგიის საფასურის გადაუხდელობის შემთხვევაში, ხოლო 1999 წლის 15 თებერვალს დადებული ხელშეკრულება ყოველ გადაცილებულ კვარტალზე საჯარიმო სანქციის ოდენობას 10 პროცენტით განსაზღვრავს. აქ გამომძიებელი ყურადღებას ამახვილებს ახალი ხელშეკრულების იმ ნაწილზე, სადაც მისაწოდებელი ელექტროენერგიის საჯარიმო სანქციებზეა ლაპარაკი და არაფერს ამბობს იმაზე, რომ ხელშეკრულება ძველი, ანუ წინა წლის ვალის რეგულირებასაც ითვალისწინებს. მასში ხაზგასმით მითითებულია, რომ თუ „საქენერგომ" გრაფიკის მიხედვით არ გადაიხადა ძველი ვალი, მას საჯარიმო სანქცია დაეკისრება. ნიშანდობლივია ერთი ფაქტიც: როდესაც პირველი ხელშეკრულებები იდებოდა სომხეთის მხარესთან, საქართველოს სათბობენერგეტიკის მინისტრი დავით მირცხულავა არ ყოფილა და რამდენად მომგებიანი თუ წამგებიანი იყო ისინი, პასუხს იგი არ აგებს. როდესაც მირცხულავა მინისტრად დაინიშნა, ზემოხსენებული ვალები საჯარიმო სანქციებთან ერთად უკვე ძალაში იყო.

ჩვენ დავუკავშირდით „პი-ეი გოვერმენთ სერვისის" მისიის ხელმძღვანელს, ბატონ დინ უაითს, საქართველოს მთავრობის კონსულტანტს ენერგეტიკის საკითხებში და მას რამდენიმე კითხვით მივმართეთ. ბატონმა დინ უაითმა კითხვებს წერილობით უპასუხა.

**—„არმენენერგომ" თავისი სურვილით დაუთმო „ენერგომანქკორპორაციას" საქართველოში სომხეთიდან 1998-1999 წლებში მოწოდებული ელექტროენერგიის ვალის ამოღების უფლება. საქართველომ „ენერგომანქკორპორაციას" გადაუხადა ვალი, მაგრამ თავის მხრივ მან „არმენენერგოს" არ გაუსწორა ანგარიში. შეიძლება თუ არა სომხეთის მხარეს საქართველოს მიმართ ჰქონდეს რაიმე პრეტენზია ვალის ხელახალი გადახდის მოთხოვნით?**

— ვალის დათმობა საერთაშორისო პრაქტიკაში ნიშნავს, რომ დამთმობს, ანუ ამ შემთხვევაში „არმენენერგოს", ვალის მოთხოვნის უფლება აღარ აქვს.

სოციალურ-ეკონომიკური და რეგიონული პრობლემების სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დირექტორმა, აკადემიკოსმა **ნოდარ ჭითანავამ** განაცხადა: „ჩვენ ინსტიტუტის წამყვან სპეციალისტებთან ერთად შევისწავლეთ სომხეთიდან საქართველოში მოწოდებული ელექტროენერგიის საფასურის დაფარვის შესახებ არსებული მასალები. უნდა მოგახსენოთ, რომ სომხურ მხარეს უფლება არ აქვს რაიმე პრეტენზია წაუყენოს ქართულ მხარეს. „არმენენერგომ" ვალის გადახდა უნდა მოსთხოვოს არა ქართულ მხარეს, არამედ საკუთარ კრედიტორად აღიარებულ „ენერგომანქკორპორაციას". ამასთან, ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, სათბობენერგეტიკის სამინისტროს არ ეკისრება ოპერატიულ-სამეურნეო ფუნქციების განხორციელება. ჩვენ სავსებით ვიზიარებთ აუდიტური ფირმებისა და თბილისის საარბიტრაჟო პალატის დასკვნას, სადაც კერძოდ მითითებულია: „საჯარიმო სანქციების დასადგენად რომ არ გამოყენებულიყო 1999 წლის 15 თებერვლის ხელშეკრულება, მაშინ აუცილებლად უნდა ემოქმედა 1998 წლის 31 დეკემბრის ხელშეკრულებას, რომლის მიხედვით „საქენერგო" ვალდებული იყო ყოველ გადაცილებულ დღეზე გადაეხდა საჯარიმო სანქცია დავალიანების 0,1 პროცენტი."

ჩვენ ვცადეთ დავკავშირებოდით სათბობენერგეტიკის ყოფილ მინისტრს, დავით მირცხულავას. მისმა ძმამ, სამეცნიერო კვლევითი შპს „დიადჰესის" დირექტორმა, **ზაზა მირცხულავამ** გვითხრა: — დავითი ინტერვიუს ვერ მოგცემთ, ციხის ადმინისტრაციამ და პროკურატურის გამომძიებელმა მას ჟურნალისტებთან კონტაქტი კატეგორიულად აუკრძალეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მას ციხის საავადმყოფოდან იზოლატორის საკანში გადაყვანით დაემუქრნენ. ჩემი ძმა სერიოზულადაა ავად და ამიტომ მის სიცოცხლეს საფრთხეში ვერ ჩავაგდებ. შემიძლია მე გიპასუხოთ თქვენთვის საინტერესო კითხვებზე. — დავიწყოთ იმით, რომ დავით მირცხულავამ თავისივე ქმედებით ბევრი მტერი გაიჩინა ძველ თუ ახალ ხელისუფლებაში... გაიხსენეთ 2000 წლის დასაწყისი. ეს ის დროა, როდესაც ახალი დანიშნული იყო იგი მინისტრის თანამდებობაზე. მან იმ პერიოდში ამოაგდო შუამავალი კომპანია „საქგაზი" (რომლისგანაც „თბილგაზი" ბუნებრივ აირს 1.000 კუბმეტრს 60-65 დოლარად ყიდულობდა) და „თბილგაზი" პირდაპირ დააკავშირა „იტერასთან", რომელიც ბუნებრივ აირს 45 დოლარად ყიდდა. „საქგაზი" ამ ოპერაციით მუქთა 20 დოლარს შოულობდა. „საქგაზის" მაშინდელი ხელმძღვანელი დღევანდელი თავდაცვის მინისტრის ძმა, დავით ბეჟუაშვილი გახლდათ. ბევრს არ მოეწონა, როცა დავითმა 69 რაიონული ენერგოკომპანია, რომლებიც მოსახლეობის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის თანხებს ითვისებდნენ, გააუქმა და მათ ნაცვლად ჩამოაყალიბა სადისტრიბუციო კომპანია. გაიხსენეთ, ვინ აწოდებდა ზესტაფონის ფეროს ელექტროენერგიას — ეს იყო „ალიონი პლუსი". დავითმა ფეროს პირდაპირი ხელშეკრულება დაადებინა ელექტროენერგიის მიწოდების თაობაზე. მოგეხსენებათ, ყველა კომპანია რომლის დასახელებაში, სიტყვა ან ნიშანი „პლუსი" იყო, ნუგზარ შევარდნაძეს ეკუთვნოდა. სხვათა შორის, ამან ბატონი შევარდნაძე ძალიან გააბრაზა. იმაზე აღარაფერს ვამბობ, როგორი მტერი გაუჩნდა, როცა კაპიკებად შემოტანილ მაზუთში 50 მილიონი დოლარი არ გადაუხადა ერთ-ერთ ყოფილ პარლამენტარს. „გაზპრომთან" დადებული ხელშეკრულების გამო მირცხულავა მაშინდელმა ოპოზიციამ, ახლა კი ხელისუფლებამ, ხალხის მტრად შერაცხა. დრომ გვიჩვენა, რომ ეს ხელშეკრულება ერთადერთი მომგებიანი ხელშეკრულებაა საქართველოს ენერგეტიკის სფეროში.

**— აშოცკ-ნინოწმინდის ხაზზე და იმ ათეულ მილიონობით დოლარის გათეთრებაზე რას იტყვით, რომელიც საქართველოს ენერგეტიკის სფეროში ხდებოდა?**

— აშოცკ-ნინოწმინდის ხაზის მშენებლობას უპირველესად ჩემი ძმა ეწინააღმდეგებოდა. მან არაერთი ოფიციალური წერილით მიმართა პრეზიდენტს, მაგრამ ხომ გაგიგიათ, ძალა აღმართს ხნავსო. რაც შეეხება ფულის გათეთრებას, კერძო კომერციული სტრუქტურების გაკონტროლება ძნელი იყო. ამასთან, მაშინ მათ ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში ძლიერი მფარველები ჰყავდათ... იმისთვის არსებობდა და არსებობს სხვადასხვა ორგანო, რომ გამოევლინათ და დაესაჯათ დამნაშავეები.

დასასრულ, კომენტარი ვთხოვეთ ზემოხსენებული დადგენილების ავტორს, გამომძიებელ **გენადი ქაჩიბაიას**:

**— თქვენ ბრალდებაში ამტკიცებთ, რომ ხელშეკრულებებში არ იყო ჩადებული საჯარიმო სანქციები და ისინი უპროცენტო კრედიტს ითვალისწინებდა.**

— დიახ, ასეა.

**— მაგრამ ეს ხელშეკრულება თურმე წინასწარ გადახდას ითვალისწინებდა და საჯარიმო სანქციას როგორ ჩაწერდნენ?**

# „ბევრი ქვეყანა საქართველოში თავის აგენტურას ამუშავებს“

## „დღეს უფრო მომზადებული ვარ პარლამენტის თავმჯდომარეობისთვის“

*აჭარაში შექმნილმა დაძაბულობამ ყველას დაუკარგა მოსვენება. ცენტრი კონსტიტუციური უფლებების აღსრულებას ითხოვს, მაგრამ რატომღაც აბაშიძეს საპირისპირო არგუმენტები აქვს, თანაც თავისივე მიღებული აჭარული კონსტიტუციის საფუძველზე. კიდევ ერთი პრობლემა: სააკაშვილი ურჩობას ვერ იტანს. აბაშიძე კი მორჩილებას არ არის ნაჩვევი — ამის შედეგად კი ჩოლოქთან კვლავ შეიარაღებული ხალხი ტრიალებს. მაინც სადამდე გაგრძელდება აჭარული ჩიხი?*

*ახალი პარლამენტი 21 აპრილს შეუდგება მუშაობას. განსახილველად უპირველესი საკითხი აჭარა იქნება და აჭარის თემითვე დავიწყეთ ინტერვიუ პარლამენტის თავმჯდომარესთან, ქალბატონ* **ნინო ბურჯანაძესთან:**

— ზოგიერთი შეეცადა, აჭარასთან დაპირისპირება ამ ხელისუფლების მიერ შექმნილად წარმოეჩინა, მაგრამ ეს ასე ნამდვილად არ არის. ყველას კარგად გვახსოვს, რომ იგივე პრობლემა ორი-ხუთი წლის წინაც და უფრო ადრეც არსებობდა. პრობლემა, რომელიც წინა ხელისუფლებამ დაგვიტოვა, აუცილებლად საჭიროებს მოგვარებას. ასეთ ვითარებაში აღარ შეიძლება ურთიერთობების გაგრძელება. ეს მხოლოდ პოლიტიკურ ელიტას კი არა, თითოეულ მოქალაქეს, მთლიანად საზოგადოებას თრგუნავს. თითოეული ჩვენგანი შიშობს, რა მოხდება ხვალ აჭარაში. ამასთან, აქ ერთ და ორ პრობლემასთან არ გვაქვს საქმე — არის პრობლემების მთელი კომპლექტი. ის, რომ ჯერჯერობით არ არის გამიჯნული ცენტრისა და რეგიონის უფლებამოსილებები, თავისთავად ქმნის ძალზე ბევრ პრობლემას. ყველას გვახსოვს, წლების მანძილზე რა წინააღმდეგობებს ვაწყდებოდით რეგიონიდან ბიუჯეტში თანხების გადმორიცხვასთან, საბაჟოს გაკონტროლების, კონტრაბანდასა და ადამიანის უფლებების დაცვასთან დაკავშირებით.

აჭარის ავტონომიის ხელმძღვანელობას მოვუწოდებ (იმედი მაქვს, ჩემს მოწოდებას ყურად იღებენ), აუცილებლად გადადგას ნაბიჯი ცენტრალური ხელისუფლების სამართლიანი მოთხოვნების შესასრულებლად. არ შეიძლება ქვეყანაში ორი სამართლებრივი სივრცე არსებობდეს, არ შეიძლება რომელიმე რეგიონს შეიარაღების მთელი არსენალი ჰქონდეს.

თავად ბატონი ასლანი მოითმენდა ქობულეთის, ხულოს ან ავტონომიური რესპუბლიკის რომელიმე რაიონის გამგებელს მისგან დამოუკიდებლად და უკითხავად იარაღი რომ ეყიდა, გამგეობის შენობის წინ კი ტანკი დაეყენებინა? რა თქმა უნდა, არა და არც არის მოსათმენი. არ შეიძლება, ქვეყანაში იყოს იარაღი, რომელსაც ცენტრალური ხელისუფლება არ აკონტროლებს. ამიტომ განიარაღების, ადამიანის უფლებების დაცვისა და დემოკრატიის საკითხები აუცილებლად და სასწრაფოდ გადასაწყვეტია. გასაგებია, რომ ყველაფერი ეს ერთ დღეში არ მოგვარდება, მაგრამ საამისოდ მუშაობა უნდა დაიწყონ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ცენტრი ძალზე რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდება, რადგან ის უარს ვერ იტყვის ამ კანონიერ მოთხოვნებზე, — კონსტიტუციური სივრცის აღდგენა სწორედ ამ გზით შეიძლება. თუმც იმავდროულად ყველამ ვიცით, რომ ეს პრობლემა მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობიანი გზით უნდა მოგვარდეს. იმედი მაქვს, გონიერება გაიმარჯვებს და ორივე მხარე სწორ ნაბიჯებს გადადგამს.

— **ამბობენ, აჭარის მოსახლეობა მეტისმეტად დაზაფრული და შეშინებულიაო...**

— ასეთივე განცდა გვაქვს მთელს საქართველოში. ღმერთმა ნუ ქნას, აჭარაში რამე მოხდეს, რადგან ამან შესაძლოა ჯაჭვური რეაქცია გამოიწვიოს. ამ საფრთხეს ყველა კარგად ვხედავთ.

— **ურთიერთობის დასარეგულირებლად და დიალოგისათვის 22-ჯერ იყო ედუარდ შევარდნაძე აჭარაში, მაგრამ ამაოდ. ახალი ხელისუფლებაც ხშირად სტუმრობს აჭარას, მაგრამ ხელშესახები შედეგები არ ჩანს. როდის გამოიღებს აჭარა-თბილისს შორის მისვლა-მოსვლა პოზიტიურ ნაყოფს?**

— წინა ხელისუფლება ბათუმში მართლაც უშედეგოდ დადიოდა. როგორც კი სიტუაცია გამწვავდებოდა, ნაცვლად იმისა, კატეგორიულად მოეთხოვა პრობლემის გადაწყვეტა ან მისი გადაწყვეტის გზები ეძებნა, ხელისუფლება, ფაქტობრივად შუბის ხალთაში დამალვის პოლიტიკას მიმართავდა. დღეს ასე ნამდვილად არ ხდება. თუ დააკვირდებით, ცენტრის მკვეთრ პოზიციასა და აჭარაში არაერთხელ ჩასვლას აბაშიძის მხრივ გარკვეული ნაბიჯები მოჰყვა. ანუ ცენტრალურმა ხელისუფლებამ დაანახვა ავტონომიის ხელმძღვანელობას, რომ არ აპირებს ბათუმსა და თბილისს შორის უშედეგო სიარულს. ჩვენ კარგად გვესმის, რომ აჭარაში ერთი ჩასვლით ყველა პრობლემა არ მოგვარდება. ამიტომაც, როდესაც პარლამენტი მუშაობას დაიწყებს, ერთ-ერთ პრიორიტეტად ცენტრსა და რეგიონს შორის პრობლემების კონსტიტუციურად დარეგულირებას დავსახავთ. რთულია 10 წლის მანძილზე დაგროვებული მწვავე საკითხების ერთბაშად გადაწყვეტა. ამას ფსიქოლოგიური ბარიერიც უშლის ხელს და წყალქვეშა დინებებიც, მაგრამ პრობლემების მოგვარების წლობით გაჭიანურებაც შეუძლებელია.

ბატონი ასლანისთვის არასდროს დამიმალავს ჩემი პრინციპული პოზიცია, რომელიც სამწუხაროდ ჯერჯერობით გაზიარებული არ არის. 1997 წელს, პარლამენტში ჩემი ერთ-ერთი პირველი გამოსვლისას ვთქვი, — ჩემთვის შეურაცხმყოფელია, რომ საქართველოში ჩოლოქის საკონტროლო-გამშვები პუნქტი არსებობს-მეთქი. სხვათა შორის, ერთ-ერთი შეხვედრისას მითხრა ბატონმა ასლანმა, — თქვენ ჩოლოქის გამო გაგვაკრიტიკეთო. მე არ დამიწყია მტკიცება, — არაფერი მითქვამს-მეთქი და დავუდასტურე — არანორმალურია, როდესაც საზღვარი არსებობს საქართველოს ორ ნაწილს შორის-მეთქი. გასახარია, რომ ამას წინათ, ბატონმა გიორგი აბაშიძემაც განაცხადა, მკვეთრად უარყოფითად ვაფასებ ჩოლოქზე საკონტროლო-გამშვები პუნქტის არსებობასო და დასძინა, ჩემი ნება რომ იყოს, ახლავე გავაუქმებდი მასო.



— **ამბობენ, განსხვავებულად ლაპარაკი აბაშიძეების ტაქტიკაა, გიორგი აბაშიძე დემოკრატს თამაშობს, თორემ ისიც მამის პოლიტიკას იზიარებსო.**

— ასე თუ ისე, ადამიანების ცნობა ვიცი და არა მგონია, გიორგი აბაშიძე ჩვენთან საუბრისას არაგულწრფელი ყოფილიყო. არაერთხელ მისაუბრია მასთან. ბათუმში ჩემი ბოლო ჩასვლისასაც მან ძალზე პოზიტიური როლი შეასრულა მოლაპარაკებაში. მახსოვს, შეწუხებულმა მითხრა — ქალბატონო ნინო, იქნებ მოახერხოთ ამ საკითხის დარეგულირება, ეს პრობლემა ძალზე მაწუხებსო. არა მგონია, ახალგაზრდა კაცი გულწრფელი არ იყოს, მაშინ, როდესაც თავისი ქვეყნის ხვალინდელ დღეზე ლაპარაკობს. შესაძლოა შეცდომებს გიორგი აბაშიძეც უშვებს, ისევე როგორც ყველა ჩვენგანი. მით უმეტეს, როდესაც უკონტროლო გარემოში ცხოვრობს და განუსაზღვრელი ძალაუფლება აქვს, ახალგაზრდამ კი არა, შესაძლოა გამოცდილმა ადამიანებმაც არასწორი ნაბიჯები გადადგან.

— **ანუ შეიძლება ვთქვათ, რომ ბატონი ასლანი აჭარაში თუ არა, საკუთარ ოჯახში მაინც არის დემოკრატი?**

— ალბათ ასეა.

— **გახმაურდა ვერსია, ცენტრსა და აჭარას შორის დაპირისპირებაში უცხო ქვეყნების სპეცსამსახურების ხელი ურევია. ისინი ერთი მხრივ პრეზიდენტს აქეზებენ, — აჭარის პრობლემას დროულად თუ არ მოაგვარებთ, თქვენი რეიტინგი დაეცემაო, მეორე მხრივ კი ასლან აბაშიძეს ეუბნებიან, — დრო გააჭიანურე, ახალი ხელისუფლების დღეები დათვლილიაო.**

— ამ ვერსიას არათუ გამოვრიცხავ, დარწმუნებულიც კი ვარ, რომ ასეა. ეს დაპირისპირება სპეცსამსახურების ჩარევის გარეშე არ დაწყებულა. ბევრ ქვეყანას აქვს სტრატეგიული ინტერესი საქართველოში და, ბუნებრივია, ისინი აქ თავის აგენტურას ამუშავებენ. კარგად ვიცი, მოარული გზებით როგორ ინფორმაციასაც აწვდიან ბატონ ასლანს. მეორე მხრივ, ზოგიერთი მართლაც ცდილობს ცენტრალურ ხელისუფლებას რადიკალური ნაბიჯებისკენ უბიძგოს და ამით ჩიხში მოაქციოს.

ხმა, ამ ხელისუფლებასა და პარლამენტს დღეები დათვლილი აქვსო, აბსოლუტურად მცდარია. ჩვენ მოსახლეობა გვიჭერს მხარს, არ გადაგვიდგამს ისეთი ნაბიჯები, რომ მას ზურგი ექცია ჩვენთვის.

— **ქალბატონო ნინო, ისევ ხომ არ აპირებთ აჭარაში ჩასვლას?**

— ამისი აუცილებლობა ამჟამად არ არის. თუ საჭირო იქნება, ნებისმიერ შემთხვევაში და ნებისმიერ დროს ჩავალ აჭარაში და შევეცდები დადებითი მუხტის შეტანას ვითარების მოწესრიგებაში.

— **რას იტყოდით ახალ პარლამენტზე?**

— დრო მჭირდება ყველას გასაცნობად. თუმც ძირითადი შემადგენლობა ცუდი ნამდვილად არ არის. ჩვენ შევძლებთ თანამშრომლობას და იმას, რომ ნორმალური პარლამენტი გვყავდეს. ნამდვილად არ მაქვს იმის ილუზია, რომ ამ პარლამენტში იოლი იქნება მუშაობა, მაგრამ ვფიქრობ, შევძლებ მოსახლეობას შევუქმნა განცდა, — ეს ის პარლამენტია, რომელიც ჩვენზე ზრუნავსო. ჩვენ გვინდა ეს იყოს ქმედუნარიანი ორგანო, რომელიც აქტიურად ითანამშრომლებს მთავრობასთან, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში, სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, მას ოპონირებასაც გაუწევს.

— **ორსუბიექტიან პარლამენტს ზოგი იწონებს, ზოგიც იწუნებს, თქვენ რა აზრის ხართ ამ საკითხზე?**

— პარლამენტი რომ ორსუბიექტიანია, ამას მინუსებიც აქვს და პლუსებიც. ერთმა უცხოელმა ჟურნალისტმა მითხრა, — თქვენს პარლამენტში ორი ძალაა წარმოდგენილი და როგორ იმუშავებსო. უკაცრავად, მაგრამ ამერიკის კონგრესსა ან დიდ ბრიტანეთში რამდენი პარტიაა-მეთქი, ვკითხე. ამაზე ტრაგედიის შექმნა არ ღირს. თუმც ხელისუფლებას პარლამენტში ნამდვილად სჭირდება კონსტრუქციული ოპოზიცია.

პარლამენტში დღეს ისეთი ხალხი მოვიდა, რომლებმაც თავიანთი მრწამსისა და დემოკრატიული ფასეულობების დაცვისთვის რევოლუცია მოახდინეს. დარწმუნებული ვარ, პარტიული კუთვნილების მიუხედავად, ისინი არ გაჩუმდებიან, თუ მიიჩნევენ, რომ დუმილი ქვეყნისთვის საზიანო იქნება.

— **ამბობენ, რომ შესაძლოა თქვენმა გუნდმა ცალკე ფრაქცია შექმნას, რომელიც ოპოზიციური ნიშის დაკავებას შეეცდება.**

— ამ ხმებს ისინი ავრცელებენ, რომელთაც დიდი სურვილი აქვთ წარმოაჩინონ, თითქოსდა ჩემი და ჩემი გუნდის მიზანი ოპოზიციონერობაა. პარლამენტში ცალკე ფრაქციის შექმნას არ ვაპირებ და ჩემი მეგობრებიც ამავე აზრს იზიარებენ. პირველი არ გადავდგამ ნაბიჯს დეზინტეგრაციისა და გამიჯვნისკენ. ჩვენი გუნდის ერთიანობა იმდენად მნიშვნელოვანია, რომ მისი დარღვევა ნამდვილად არ წაადგება ქვეყანას. თუ ნაციონალები და გაერთიანებული დემოკრატები ცალ-ცალკე შექმნიან ფრაქციებს, ამის შემდეგ კიდევ დავფიქრდებით, შევქმნათ თუ არა დამოუკიდებელი ფრაქცია. აქტიურ თანამშრომლობას ვაპირებ იმათთან, რომლებთან ერთადაც მოვედი ამ ხელისუფლებაში. მაგრამ იმაზე თავის დაქნევას, რაზეც დასაქნევი არ არის, ოპოზიციონერობა არ სჭირდება. დათვური სამსახური და მტრობაა ვინმეს სიამოვნებისთვის დუმილი მაშინ, როდესაც რაღაც სწორად არ კეთდება. მე კი არ ვაპირებ ამ ხელისუფლებას ვუმტრო. თუკი რამე არასწორად გაკეთდება, ვალდებულად ჩავთვლი თავს ამის თაობაზე დახურულ კარს მიღმა ვუთხრა ხელისუფლებას და ტელევიზიით არ ვიყვირო. თუ აუცილებელი იქნება, პარლამენტის სხდომათა დარბაზშიც არ მოვერიდები პოზიციის გამოხატვას. ასეთი სტილი მაქვს — ათჯერ ვიტყვი დახურულ კარს მიღმა, მაგრამ როცა ყურს არ მათხოვებენ, მეთერთმეტეჯერ უკვე პრესასთან ან პარლამენტში ვლაპარაკობ.

— **პარლამენტის თავმჯდომარეობა ხომ არ გადაგიფიქრებიათ?**

— რატომ უნდა გადამეფიქრებინა? მგონია, რომ ამ მოვალეობას თავს გავართმევ. დღეს ბევრად უფრო მომზადებულად მიმაჩნია თავი პარლამენტის თავმჯდომარეობისთვის, ვიდრე 2 წლის წინ. როდესაც დავრწმუნდები, რომ სხვა მეტად გამოდგება ამ თანამდებობაზე, ნამდვილად არ ჩავებღაუჭები სავარძელს.

— **დასასრულ, სავსებით აპოლიტიკური კითხვა მინდა დაგისვათ. რამდენადაც ვიცი, აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს პრეზიდენტის, პატრიარქისა და პრემიერ-მინისტრის გარემოცვაში აღნიშნეთ და სადღეგრძელოც გითქვამთ. თუ საიდუმლო არ არის, ვინ ადღეგრძელეთ?**

— უპირველესად, პატრიარქს გადავუხადე მადლობა. მართლაც მნიშვნელოვანია მისი როლი ერის გაერთიანებასა და გამთლიანებაში. ჩემი სადღეგრძელოს მთავარი არსი ის იყო, რომ ჩვენ, დღევანდელმა ხელისუფლებამ გავამართლოთ იმათი იმედები, რომლებსაც ჩვენი სჯერათ. ასევე პრეზიდენტსა და დღევანდელ ხელისუფლებას (ცხადია, ჩემს თავსაც) ვუსურვე ის იმედი გაგვემართლებინოს, რომელიც არა მარტო ქვეყნის შიგნით, მის გარეთაც აქვთ-მეთქი.

# „საქართველოში თუ სროლა იქნება, ვინ ჩადებს ინვესტიციას?!“

(დასაწყისი იხ. გვ. 6)

ტვირთების გადაზიდვა შეწყდება. ბიუჯეტი ვერ შეივსება და ვერც პენსიონერებს მოვუმატებთ შეპირებულ 3 და 5 ლარს. არ გახმაურებულა, მაგრამ მითხრეს, აჭარასთან დაძაბულობის გამო თურქეთიდან ტვირთების შემოზიდვამ იკლოო. ეს დღეს არ იგრძნობა, მაგრამ ერთ თვეში უთუოდ ვიგრძნობთ. თანამდებობის გამო დაპირისპირება უაზრობად მიმაჩნია. ცასა და სავარძელს გამოკერებული არავინ არის. ადრე თუ გვიან, აჭარის ავტონომიის ხელმძღვანელობა შეიცვლება, ეს გარდაუვალი მოვლენაა და არ შეიძლება სულსწრაფობით სახელმწიფო საქმე გავაფუჭოთ.

— **რაკი თანამდებობა ახსენეთ, გადამხდელთა კავშირის თავმჯდომარეობიდან თქვენი გადადგომის მიზეზს გკითხავთ. როგორ ფიქრობთ, ბადრი პატარკაციშვილი უკეთ გაართმევს თავს თავმჯდომარეობას თუ რამე სხვა მოსაზრება გქონდათ?**

— რა, თავის დროზე სახელმწიფო მინისტრობიდან არ გადავდექი? მანამდე კი, კომუნისტების დროს, ქალაქის საბჭოს თავმჯდომარეობა დავტოვე. ვცდილობ, დიდხანს არ ვიყო რაიმე თანამდებობაზე...

— **გბეზრდებათ?**

— როდესაც ერთ ადგილზე საკუთარ შესაძლებლობებს ამოწურავ, უნდა წახვიდე და ახალს, უფრო ენერგიულს უნდა დაუთმო. კაცმა ახალ-ახალ საქმეში უნდა მოსინჯოს თავი.

ჩემი იდეა იყო, რომ გადამხდელთა კავშირის თავმჯდომარე ბადრი ყოფილიყო. ამ პოსტზე ის ბიზნესმენი უნდა იყოს, ვისაც ფინანსური პოლიციის შიში არ ექნება. ბადრის საქართველოში არ აქვს სადავო ბიზნესი, გავითვალისწინე მისი საერთაშორისო კონტაქტებიც და ამიტომ შევთავაზე ეს პოსტი.

წინა ხელისუფლების უბედურება ის იყო, რომ თანამდებობაზე მუდმივად ყოფნა უნდოდა. არ შეიძლება კაცი 12 წელიწადი გუბერნატორი იყოს. ზოგიერთი 15 წელი რაიკომის მდივანი იყო, არ შეიძლება ხალხმა 30 წელი უყუროს ერთ კაცს, გული გაუსკდება. მე ჩემი სტილი მქონდა, ბადრის თავისი ექნება, სიახლეს მოიტანს გადამხდელთა კავშირში და აქაურობა გახალისდება. მომავალი კვირიდან პარლამენტში გადავდივარ. იქ გავაგრძელებ ახლებურად საქმიანობას, ათასი პრობლემა და საკითხია მოსაგვარებელი. პარლამენტში სერიოზული წინადადებებიც მაქვს (დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის თავმჯდომარის პოსტზე. — ი. რ.) და ვნახოთ, რა იქნება.

— **გასულ კვირას ითქვა, მთავრობას ხელფასები ბიზნესმენებმა გადავუხადოთ. სირცხვილია, უცხოური ფონდები რომ აფინანსებენ აღმასრულებელ ხელისუფლებასო.**

— სკეპტიკურად ვუყურებ ორივე ვარიანტს — მთავრობას ხელფასი არც ბიზნესმენებმა უნდა აძლიონ და არც სოროსმა — მას ბიუჯეტი და სახელმწიფო უნდა აფინანსებდეს. განა რამდენი იქნება ეს თანხა? მითხრეს, 300 ათასიო. 3 მილიონიც რომ იყოს, შევიტანოთ ეს ფული ბიუჯეტში, ასე აჯობებს. ცუდია, რომ სოროსი უხდის ჩვენს მინისტრებს ხელფასს, მაგრამ არც ბიზნესმენები უნდა უხდიდნენ. სჯობს, ფული ბიუჯეტს გადაუხადონ კეთილსინდისიერად.

როდესაც თბილისის მერი გავხდი, ერთი დოლარი მქონდა ხელფასი (მანამდე ბიზნესში ვიყავი, „კოკა-კოლას“ დამფუძნებელი გახლდით და ეს მაძლევდა საშუალებას, ხელფასზე დამოკიდებული არ ვყოფილიყავი). მსოფლიოს მერების შეკრებაზე რომ ჩავედი, ხელფასი რამდენი გაქვსო, მკითხეს. შემრცხვა, რომ გამემხილა და 100 დოლარი-მეთქი, ვუთხარი. სიცილით დაიხოცნენ, იმათ 10 ათასი დოლარი ჰქონდათ. ქვეყანას ღირსეული მთავრობა უნდა ჰყავდეს. ისინი რომ ღირსეულები იქნებიან, შენც მოგემატება ღირსება. აბა, მინისტრმა თუ ის იფიქრა, საღამოს საჭმელი მაქვს შინ მისატანი და ვის რა წავგლიჯოო, ასე საქვეყნო საქმე არ გაკეთდება.

ასევე უნდა ვიფიქროთ ჩვენი დიპლომატიური მისიის წარმომადგენლებზეც. ჩვენი საელჩოს თანამშრომლები დანჯღრეული მანქანებით არ უნდა დადიოდნენ, მეპატრონეები ბინიდან არ უნდა ასახლებდნენ ქირის გადაუხდელობის გამო და კიდევ სუპერმარკეტებიდან ნისიად არ უნდა იღებდნენ პროდუქტს(!). ეს ქვეყნის სირცხვილია. ყველამ უნდა მოვიკლოთ, რათა საელჩოებმა ღირსეულად წარმოაჩინონ ჩვენი ქვეყანა.

ბუნებით ოპტიმისტი ვარ, იმედს არასდროს ვკარგავ. გასულ კვირასაც ბათუმში რომ ჩავფრინდით, აეროპორტში თვითმფრინავი ვერ დაჯდა, ღრუბლებმა გადაგვიკეტა გზა და იძულებულნი გავხდით, ქუთაისში დავბრუნებულიყავით. აჭარიდან წამოსვლის დროსაც ღრუბლებმა შეგვიშალა ხელი, მაგრამ მოულოდნელად თითქოს ცა გაიხსნაო, ღრუბლები გაიფანტა და ჩვენ მშვიდობიანად დავბრუნდით თბილისში. იმედი მაქვს, საქართველოს მოშორდება ღრუბლები და გამოიდარებს. ჩინელებს აქვთ კარგი ნათქვამი, როდესაც ორი მეფე ჩხუბობს, შუამავალი ცხონდება, თუ ერთი დღით მაინც დაამყარებს მშვიდობასო. იმედი გვაქვს, ბათუმში ჩვენი ჩასვლა მშვიდობის მომტანი იქნება.

***გვერდი მოამზადა იზო რიკაძემ***

# სამხედრო წვრთნები და არჩევნები შეუთავსებელია?!

## რატომ გადაიდო სამხედრო წვრთნები „დიოსკურია-2004“

16-18 აპრილს ფოთში დაგეგმილი წვრთნები ჯარების მოუმზადებლობის გამო კი არა, აჭარის რამდენიმე რაიონში დაგეგმილი არჩევნებს ხელახალი ტურის გამო გადაიდოო, — განუცხადა გენერალური შტაბის მაღალჩინოსანმა „კვირის პალიტრას“.

არადა პრეზიდენტის — სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდლისთვის ეს წვრთნები, კოდური სახელწოდებით „დიოსკურია-2004“, პირველი ფართომასშტაბიანი სამხედრო მანევრები იქნებოდა, რომელზეც მას მიეცემოდა საშუალება, რეალურად შეეფასებინა საქართველოს სამხედრო ძალების შესაძლებლობები.

იმის გამო, რომ თავდაცვის სამინისტრომ ოფიციალურად არ განაცხადა წვრთნების თვის ბოლომდე გადადების მთავარი მიზეზები, ათასნაირი ხმა გავრცელდა. მათ შორის ისიც, რომ თავდაცვის სამინისტრო და გენერალური შტაბი მზად არ იყვნენ წვრთნების ჩასატარებლად.

მაგრამ, როგორც სტატიის დასაწყისშივე ვთქვით, წვრთნების გადადების მთავარი მიზეზი შეიძლება აჭარაში განვითარებული მოვლენებიც იყოს. ცენტრმა აღარ ისურვა ისედაც რთული სიტუაციის დამძიმება და ეს წვრთნები ორი კვირით გადადო, რადგან ბათუმიდან უკვე ისმოდა საპროტესტო განცხადებები — ამ საზღვაო წვრთნების საფარქვეშ ცენტრი აჭარაში სამხედრო ოპერაციას განახორციელებსო.

აჭარაში საქართველოს კონსტიტუციური წყობის აღსადგენად საქართველოს პრეზიდენტი ისედაც არ გამორიცხავს პოლიციური, და არა სამხედრო სპეცოპერაციის, ჩატარების შესაძლებლობას.

ამიტომაც აბაშიძის რეჟიმი გულმოდგინედ აკვირდება და აგროვებს ინფორმაციას საქართველოს სამხედრო ძალების სხვადასხვა დანაყოფის გადაადგილების შესახებ დასავლეთ საქართველოში.

მაგალითად, როდესაც პრეზიდენტ სააკაშვილის კორტეჟი 14 მარტს ჩოლოქს უახლოვდებოდა, ამის შესახებ ბათუმში თურმე წინასწარ იცოდნენ, რადგან პრეზიდენტის კორტეჟის გამცილებელი სპეცდანიშნულების რაზმის მებრძოლები ტრასაზე მანქანებში საწვავის ჩასხმის დროს სულაც არ მალავდნენ მგზავრობის მიზანსა და მიმართულებას.

თუმცა, ისიც აღსანიშნავია, რომ ასლან აბაშიძეს მისი მსტოვრები ხშირად არასწორ და სასაცილო ინფორმაციას აწვდიან საქართველოს არმიის შესახებ, რაც ხშირად კურიოზულ მდგომარეობაში აყენებს თავად აბაშიძეს.

„დიოსკურია-2004“-ის აპრილის ბოლოსთვის გადატანის კიდევ ერთი მიზეზი შეიძლება ისიც იყოს, რომ თავდაცვის სამინისტროს სურს პრეზიდენტს აჩვენოს ახალშემომატებული საბრძოლო ტექნიკის მოქმედებაც.

სავარაუდოდ, თვის მიწურულს უკვე ჩამოტანილი იქნება უკრაინიდან შვიდივე ქართული სამხედრო შვეულმფრენი, რომელთაგან ამ წვრთნებში, ეტყობა, მონაწილეობას მიიღებენ სამი დამრტყმელი Ми-24 და ორი ამბიფია Ми-14.

ამასთან, სწავლებების დაწყებამდე ფოთის პორტში წესით, უკვე შემოსული უნდა იყვნენ თავის დროზე საბერძნეთის მიერ ნაჩუქარი ორი საარტილერიო კატარღა — „ივერია“ და „მესტია“ (მათ საბერძნეთში კაპიტალურად არემონტებდნენ) და, რაც მთავარია, ფრანგული წარმოების ბერძნული სარაკეტო კატარღა „ლა კომბატანტე“.

ამ უკანასკნელის გადმოცემის შესახებ ჩვენი გაზეთი ორი თვის წინ წერდა. იგი ალბათ ფლაგმანობას „ჩამოართმევს“ სარაკეტო კატარღა „თბილისს“. მას „დიოსკურიას“ დაარქმევენ და, ეტყობა, მის კურთხევას თავად პრეზიდენტიც დაესწრება.

ხოლო იქნება თუ არა „დიოსკურია-2004“ ერთგვარი ძალის დემონსტრირება ცენტრის ურჩი აბაშიძის რეჟიმისთვის, ამას ორიოდ კვირაში ვნახავთ.

# პრეზიდენტის მიერ ნაქებ მფრინავს სვანეთიდან ემუქრებიან

სვანეთში, სოფელ ეცერში, აფრასიძეების ჯგუფის წინააღმდეგ ჩატარებული ოპერაციის შემდეგ საქართველოს პრეზიდენტმა განსაკუთრებით შეაქო ერთი მფრინავის სიმამაცე: მიუხედავად იმისა, რომ მის შვეულმფრენს ოთხი ტყვია მოარტყეს, მაინც მოახერხა კოპიტნარში მშვიდობიანად დაბრუნება და დავალების შესრულება სხვა შვეულმფრენით გააგრძელაო.




მადლობის ნიშნად პრეზიდენტმა სააკაშვილმა მფრინავი თავის ოჯახში სადილად მიიწვია, რაც, ალბათ სიმამაცის ერთ-ერთი დიდი დაფასებაა.

მაგრამ მედალს მეორე მხარეც ხომ აქვს! მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტმა იმ მფრინავის გვარი არასწორად წარმოთქვა ათამდე ტელეკამერის წინ, პირდაპირ ეთერში, ძალიან ბევრი მაინც მშვენივრად მიხვდა, ვისზეც იყო ლაპარაკი და საპასუხო რეაქციამაც არ დააყოვნა — სვანეთიდან ზოგიერთებმა იმ მფრინავს შემოუთვალეს, — მართალია, აფრასიძეებს გაწამებული ვყავდით, მაგრამ ამ სისხლის ღვრას არ გაპატიებთ. სჯობს სვანეთში არ გამოჩნდე, თორემ შურისძიებას ვერ ასცდებიო.

იმ ოპერაციაში ათი შვეულმფრენი მონაწილეობდა, ანუ ეკიპაჟების საერთო რაოდენობა 25 კაცს აღწევდა. საქართველოში შვეულმფრენის მფრინავი და ბორტმექანიკოსი თითზე ჩამოსათვლელია, მათ, ისევე როგორც პრეზიდენტის ნაქებ მფრინავს, არაერთხელ დაუდვიათ თავი სასწორზე, რომ თოვლით ჩაკეტილ და უგზოდ დარჩენილ მაღალმთიან სოფლებში (როგორც სვანეთში, ისე თუშეთსა თუ ხევსურეთში) ფქვილი ჩაეტანათ და იქიდან მძიმე ავადმყოფები გამოეყვანათ.

თუ სვანეთის ზოგიერთი მცხოვრების მუქარას გავითვალისწინებთ (არადა სვანებთან რომ ხუმრობა არ ღირს, ცნობილი ფაქტია), გამოდის, რომ იმ მხარეს ვერც ერთი შვეულმფრენი ვერ უნდა გაფრინდეს, რადგან ამ სპეცოპერაციაში ქართული ძალოვანი სტრუქტურების ყველა შვეულმფრენი მონაწილეობდა.

ამასთან, შვეულმფრენების ეკიპაჟები მარტოოდენ სატრანსპორტო ფუნქციას ასრულებდნენ, ანუ მხოლოდ დესანტი გადასხეს სოფელ ეცერში და არავის ერთი ტყვიაც კი არ უსვრია.

პილოტებს, სპეცრაზმელებისგან განსხვავებით, შავი ნიღბების თავზე ჩამოცმა არ შეუძლიათ.

**P.S.** ამ სტატიის დაწერამდე პრეზიდენტს არ ჰქონდა ასრულებული დანაპირები და პილოტი, რომელიც ისე შეაქო, რომ სვანეთიდანაც კი დაემუქრნენ, ჯერ არ ჰყავდა მიპატიჟებული შინ სადილზე. სააკაშვილი ალბათ სიტყვას არ გატეხს, მაგრამ თუკი ის მფრინავი თავადაც მოინდომებს პრეზიდენტის გადაპატიჟებას, ძალიან გაუჭირდება, რადგან საქართველოში შვეულმფრენების ერთ-ერთ საუკეთესო პილოტს საპატიო სტუმრის მიღება საერთო საცხოვრებელში მოუწევს.


AXIS

აქსისი

ახალი მშენებარე კომპლექსი

ყაზბეგის გამზირზე

(მეტრო „დელისთან“)



ტელ: 25 34 34; 91 25 34

რეპორტაჟი ჰაერიდან

# ციდან დანახული საქართველოს საზღვრები

## საქართველოს საზღვრის პირველ საპატრულო ფრენაში „კვირის პალიტრაც“ მონაწილეობდა

საზღვრის დათვალიერება ყოველთვის ამაღელვებელია, რადგან სულ რამდენიმე მეტრის იქით სხვა ქვეყნის ტერიტორიაა, რომელიც ქვეცნობიერად მუდამ ცდილობს, მიჯნა შენს მხარეს გადმოსწიოს და ორიოდ გოჯი ქართული მიწა მაინც წაგართვას.

არანაკლებ შთამბეჭდავია, როდესაც საზღვარს შვეულმფრენით შემოუფრენ და მაღლიდან აკვირდები შენი ქვეყნის ტერიტორიის ბოლო მონაკვეთებს.

მაგრამ ბევრად უფრო საინტერესო ყოფილა თვითმფრინავით საპატრულო ფრენა საქართველოს საზღვრის გასწვრივ. ეს ფრენა არა მარტო „კვირის პალიტრის“ სამხედრო მიმომხილველისთვის იყო პირველი, არამედ თვით მესაზღვრეების საავიაციო რაზმის მფრინავებისა და შტურმანისთვისაც, რადგან პირველად განხორციელდა Ан-28-ის ტიპის პატარა სამგზავრო თვითმფრინავით საქართველოს ჩრდილოეთი საზღვრის ერთი მონაკვეთის შემოფრენა.

ქართველ მესაზღვრეებს Ан-28 ტიპის ორი თვითმფრინავი ჰყავთ, თითოეულში 17 კაცი ეტევა. იგი უფრო ეკონომიურია, ვიდრე Ми-8МТ ტიპის შვეულმფრენი. ამასთან პატრულირება უფრო სწრაფად ხორციელდება.

ალექსეევკიდან აფრენილი მესაზღვრეების Ан-28-მ სახელმწიფო საზღვრის აღმოსავლეთ საქართველოს რაიონის გაკონტროლება ჯანდარის ტბის მხრიდან დაიწყო, შემდეგ გეზი ლაგოდეხისკენ გადიოდა. მარჯვენა ილუმინატორებიდან კარგად მოჩანდა მეზობელი აზერბაიჯანის ტერიტორია და ისიც, რომ ამ საზღვრის სრული გაკონტროლება თითქმის შეუძლებელია, იმდენი საცალფეხო ბილიკი თუ შარაგზა კვეთს საზღვარს.

მაგრამ უფრო შთამბეჭდავი თუშეთისა და ხევსურეთის თავზე ფრენა გახლდათ. სოფლების — დიკლო-გირევი-შატილი-არხოტის თავზე მთები ჯერ კიდევ თოვლითაა დაფარული. მათ მიღმა დაღესტანი, ჩეჩნეთი და ინგუშეთია, საზღვარზე კი აქა-იქ რუსი მესაზღვრეების საგუშაგოებია ჩამალული, საიდანაც ალბათ ეჭვიან მზერას და ტყვიამფრქვევების ლულებს გვაყოლებდნენ.

დიკლოელები კი ამაოდ გვიქნევდნენ ხელს, რადგან მესაზღვრეთა თვითმფრინავი, შვეულმფრენისგან განსხვავებით, დასაჯდომად რამდენიმე ასეულ მეტრ სწორ ადგილს მოითხოვს.

საპატრულო ფრენა 300 კმ/სთ სიჩქარით 4,2 კმ-ის სიმაღლეზე (ზღვის დონიდან) ხორციელდებოდა და თვითმფრინავის არაჰერმეტულ სალონში სუნთქვა ჟანგბადის ნაკლებობის გამო ჭირდა, თანაც ხეობებიდან უეცრად მოვარდნილი ქარი პატარა თვითმფრინავის „ხელში ატაცებას“ ცდილობდა.



საპატრულო თვითმფრინავის ფრთის ქვეშ გაწოლილ კავკასიონის ქედზე საქართველოს ჩრდილოეთი საზღვარი გადის

მთელ საპატრულო ფრენას სულ ორი საათი დასჭირდა. კიდევ ერთხელ დაფიქსირდა საქართველო-რუსეთის საზღვრის დაღესტან-ჩეჩნეთის მონაკვეთი და ის საცალფეხო ბილიკები, რომელთა უმეტესობა ჯერ კიდევ თოვლითაა დაფარული. თუმცა ორიოდ თვეში გზა გაიხსნება და, შესაბამისად, გაიზრდება საფრთხე ჩრდილოეთიდან უკანონო შეიარაღებული ჯგუფების საქართველოში გადმოსვლისა.

შვეულმფრენებისგან განსხვავებით, თუკი მესაზღვრეების Ан-28 ტიპის საპატრულო თვითმფრინავს (რომელსაც უკვე აქვს მეტეოროლოგიური რადიოლოკატორი, რომელიც ღამით და რთულ მეტეოროლოგიურ პირობებში ფრენის საშუალებას იძლევა) დაუყენდება საზღვრის გაკონტროლებისთვის აუცილებელი თანამედროვე რადიოელექტრონული დაზვერვის მოწყობილობა, მაშინ მუდმივად იქნება შესაძლებელი საქართველოს საზღვრის ამა თუ იმ მონაკვეთის ოპერატიულად „გაშუქება“.

# ერაყი მეორე ვიეტნამი ხდება... ვაშინგტონისთვის

## ისლამური რადიკალიზმის გაძლიერება ერაყში საქართველოს ინტერესებსაც ეწინააღმდეგება



ერთი წლის წინ კოალიციურმა ძალებმა, აშშ-ის მეთაურობით, მართალია, ჩამოაგდეს სადამ ჰუსეინის რეჟიმი ერაყში, მაგრამ „ჯინიც“ გამოუშვეს ბოთლიდან. ამ „ჯინს“ კი ისლამური რადიკალიზმი ჰქვია.

ფაქტობრივად, გაიზარდა შანსი, ერაყი მეორე ირანს ან უარესი — თალიბების დროინდელ ავღანეთს დაემსგავსოს, რომელსაც უკვე ველარავინ გააკონტროლებს.

აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის ხელმძღვანელობა კვლავ ირწმუნება, რომ 30 ივნისს ერაყში მმართველობა ადგილობრივ ხელისუფლებას გადაეცემა; მაგრამ საეჭვოა, ერაყის ახალმა პროამერიკულმა ხელისუფლებამ გააკონტროლოს ეს ტერიტორიები, რომელსაც დღეს 110-120-ათასიანი ამერიკული სამხედრო კონტინგენტი ვერ „ერევა“.

ამასთან, ნათელია, რომ ერაყში თანდათან იზრდება მეზობელი ირანის გავლენა. თუ სადამ ჰუსეინის ხელისუფლებას უმეტესად სუნიტები ემხრობოდნენ, ხოლო შიიტები იდევნებოდნენ, დღეს ამერიკელებს არა მარტო სუნიტები, არამედ ის შიიტებიც ებრძვიან, რომლებიც ერთი წლის წინ მიესალმებოდნენ ამერიკელი სამხედროების მიერ ჰუსეინის რეჟიმის ჩამოგდებას.

თუკი განუწყვეტელი დივერსიებითა და პარტიზანული ომით გადაღლილმა პენტაგონმა ბოლოს და ბოლოს, მაინც გაიყვანა ჯარები ერაყიდან, მაშინ შეიძლება იქ იგივე მოვლენები განვითარდეს, რაც ავღანეთში. 1989 წლის დასაწყისში, იქიდან საბჭოთა არმიის გასვლის შემდეგ, ხელისუფლებას ისლამური ექსტრემისტები — თალიბები დაეპატრონნენ და ვაჰაბიზმის გავრცელებას ჩრდილოეთით, ჯერ შუა აზიაში, ხოლო შემდგომ თვით რუსეთშიც კი, ძალით აპირებდნენ.

აშშ-ში საპრეზიდენტო არჩევნების მოახლოებისთანავე ერაყში ალბათ კვლავ გართულდება მდგომარეობა და უფრო ინტენსიური გახდება საბრძოლო მოქმედებები, რაც, ერთი მხრივ, ხელს აძლევთ დემოკრატებს, მაგრამ ამომრჩევლებში რეიტინგის კატასტროფულად დაცემით შეშინებულმა რესპუბლიკელმა პრეზიდენტმა ბუშმა შეიძლება მიიღოს გადაწყვეტილება, ერაყიდან ჯარების დიდი ნაწილის ნოემბრამდე გამოყვანის შესახებ.

თუმცა არც ისაა გამორიცხული, რომ რეიტინგის ასამაღლებლად, პირიქით, უფრო გააქტიუროს საბრძოლო მოქმედებები, რათა გადამწყვეტი დარტყმა მიაყენოს ერაყში მოქმედ პარტიზანულ მოძრაობას.

ორივე შემთხვევაში აშშ ვერ აცდება თავისი სამხედროების მნიშვნელოვან მსხვერპლს, რაც ერაყს მეორე ვიეტნამად აქცევს.

როგორც მოვლენების განვითარებამ აჩვენა, სულ სხვა იყო ჰუსეინის რეჟიმის ჩამოგდება, როცა აშშ-ის ელიტარულმა სამხედრო დანაყოფებმა კუდით ქვა ასროლინა ერაყის დემორალიზებულ არმიას, და სულ სხვაა პარტიზანების წინააღმდეგ ბრძოლა, სადაც არ არსებობს ფრონტის ხაზი და უმაქნისი ხდება პენტაგონის კოზირი — ტანკები, ქვემეხები და ბომბდამშენები.

თუ ერაყში ხელისუფლება ექსტრემისტმა ისლამისტებმა ჩაიგდეს ხელში, ძალიან დიდი თავსატეხი გაუჩნდებათ მეზობელ ქვეყნებს, რომლებიც მეტ-ნაკლებად ეხმარებოდნენ დასავლეთს ერაყის წინააღმდეგ სამხედრო კამპანიის დაწყებისას. ამ ქვეყნების სიაში ქუვეითის, კატარის, საუდის არაბეთისა თუ არაბთა გაერთიანებული საამიროების გარდა, ჩვენი მეზობელი თურქეთიც შეიძლება აღმოჩნდეს, მიუხედავად იმისა, რომ მან გზა არ მისცა ამერიკის ჯარს ერაყისთვის ჩრდილოეთიდან შესატევად.

თურქეთში კი ისედაც ძლიერდება ისლამისტების გავლენა, რაც ამ ქვეყანაში ბოლო საპარლამენტო არჩევნებმაც აჩვენა. ამიტომაც საქართველოსთვის სულერთი არ უნდა იყოს ერაყში რადიკალური ისლამისტების გამარჯვება.

არსენალი

# ამერიკელი განგსტერების საყვარელი „ავტომატი“

ამ იარაღს ბევრი ავტომატს უწოდებს, თუმცა შეცდომით. მან თავისი ადგილი დაიმკვიდრა თანამედროვე ამერიკის ისტორიაში, რადგან მისი საშუალებით იქმნებოდა თავად ქვეყნის ისტორია.

იგი არ იყო პისტოლეტ-ტყვიამფრქვევების კლასის პირველი იარაღი, მაგრამ გახდა მსოფლიოში პირველი ყველაზე პოპულარული პისტოლეტ-ტყვიამფრქვევი და ამერიკელი განგსტერების განუყრელი „მეგობარი“.

შეიძლება ამიტომაც, ამერიკელი გენერლები თავის დროზე ამრეზით უყურებდნენ ამ პისტოლეტ-ტყვიამფრქვევს, ზიზღით „მშრალი კანონის“ ნაშიერ განგსტერთა იარაღს უწოდებდნენ და ყოველნაირად ეწინააღმდეგებოდნენ არმიის შეიარაღებაში მის მიღებას.



მაგრამ მიუხედავად ყველაფრისა, სწორედ იგი გახდა პისტოლეტ-ტყვიამფრქვევების პირველი ყველაზე პოპულარული ნიმუში მთელ მსოფლიოში.

ამერიკელმა ბრიგადის გენერალმა ჯონ ტომპსონმა, მისმა ვაჟმა, პოლკოვნიკმა მარცელო ტომპსონმა და კაპიტანმა ბლიშემ პისტოლეტ-ტყვიამფრქვევზე მუშაობა 1919 წელს დაიწყეს. იგი იქმნებოდა პისტოლეტ „კოლტის“ 11,43 მმ კალიბრის საშტატო ვაზნის ბაზაზე.



გასული საუკუნის 30-იან წლებში სწორედ „ტომპსონები“, რომლებსაც ჩიკაგოელი განგსტერები მოფერებით „ტომის“ ეძახდნენ, აშშ-ის არმიამ მაინც მიიღო შეიარაღებაში, რადგან იგი ქუჩის ბრძოლებში ბევრად ჯობდა თვითდამტენ შაშხანებს.

მეორე მსოფლიო ომის დროს ამერიკელი და ინგლისელი მებრძოლები ევროპაში, ფრონტის ხაზზე, MP38 ტიპის პისტოლეტ-ტყვიამფრქვევებით შეიარაღებულ გერმანული ვერმახტის ჯარისკაცებს „ტომებით“ ეომებოდნენ.

ეს კი არა და, „ტომპსონების“ მცირე პარტია, დახმარების სახით (ლენდ-ლიზის პროგრამით) შეერთებულმა შტატებმა წითელ არმიასაც გაუგზავნა.

არსებობს „ტომის“ რამდენიმე, ერთმანეთისგან სულ მცირედ განსხვავებული მოდიფიკაცია. პისტოლეტ-ტყვიამფრქვევის სიგრძე 82 სმ-ია, ტყვიის საწყისი სიჩქარე — 270 მ/წმ, ხოლო ავტომატური ჯერით სროლის ტემპი — წუთში 900 გასროლა.

„ტომპსონს“ სამი სახის მჭიდი უყენდება — 20-ვაზნიანი (ამ მჭიდს წაგრძელებული მართკუთხედის ფორმა აქვს), 50 და 100-ვაზნიანი.

განგსტერებზე შექმნილ მძაფრსიუჟეტიან ფილმებში უმთავრესად სწორედ 100 ვაზნის ტევადობის ცილინდრული ფორმის უზარმაზარ მჭიდებიანი „ტომებით“ ერთი განგსტერული დაჯგუფება მოწინააღმდეგეთა ძველებურ „ფორდს“ ერთ წუთში საცრად აქცევს ხოლმე.

დღეს „ტომპსონი“ რარიტეტული იარაღია და ყოველი კოლექციონერი ცდილობს, რამენაირად ხელში ჩაიგდოს ერთი ცალი მაინც.

მალე! ყოველთვიური სამხედრო-ანალიტიკური ჟურნალი „არსენალი“! — „კვირის პალიტრისაგან“

სამხედრო კალეიდოსკოპი

## რუსები ავღანეთში ბრუნდებიან?

მას შემდეგ, რაც NATO-მ გადაიბარა ავღანეთში მიმდინარე ანტიტერორისტული ოპერაციის ხელმძღვანელობა, მოსკოვმა პირველად მოისურვა ამ ოპერაციაში მონაწილეობა.

ამჟამად კრემლი აწარმოებს მოლაპარაკებებს NATO-სთან იმ სადაზვერვო ინფორმაციების გაცვლის შესახებ, რომლებიც ავღანეთში მიმდინარე მოვლენებს ეხება. ამასთან, რუსეთის თავდაცვის სამინისტროს სურს, დამატებითი სავალუტო სახსრები მიიზიდოს და ამიტომაც თავის სამხედრო-სატრანსპორტო ავიაციას სთავაზობს NATO-ს ხელმძღვანელობას ავღანეთში ძალების როტაციისთვის.

## ჩეჩნეთის საზღვართან სამხედრო ინსპექტორები გამოჩნდნენ

12-17 აპრილს საქართველო-რუსეთის საზღვრის ჩეჩნეთის მონაკვეთზე რუსეთის თავდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსანთა „დესანტი“ დაჯდა. ამდენი რუსი გენერალი ერთად ჩეჩნეთში აქტიური საბრძოლო მოქმედებების დამთავრების შემდეგ არავის ენახა.

ამჯერად რუსი გენერლები ინსპექტირებას უტარებდნენ საქართველოს საზღვართან დისლოცირებულ რუსეთის ფედერალური ძალების გაერთიანებული დაჯგუფების სამთო დანაყოფებს. შემოწმებული იქნა მათი შეიარაღებისა და საბრძოლო ტექნიკის მდგომარეობა და მოქმედების ტაქტიკა.

## ალიევი სომხეთიდან რუსეთის ჯარის გაყვანას ითხოვს

აზერბაიჯანის ახალმა პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა გასულ კვირას სენსაციური განცხადება გააკეთა. იგი კატეგორიულად მოითხოვს მეზობელი და არცთუ მეგობარი სომხეთის ტერიტორიიდან გიუმრის 102-ე რუსული სამხედრო ბაზის გაყვანას.

აზერბაიჯანის ტერიტორიაზე არ არიან რუსი სამხედროები და მათ სომხეთიც უნდა დატოვონ, რათა სამხრეთ კავკასიაში სამხედრო-პოლიტიკური ბალანსი აღდგეს, — აცხადებს ალიევი.

მართალია, აზერბაიჯანში მართლაც აღარ დარჩნენ რუსი სამხედროები, მაგრამ იქ კვლავ ფუნქციონირებს შორეული რადიოლოკაციური აღმოჩენის რუსული სადგური, რომელიც თავისი სტრატეგიული მნიშვნელობით ბევრად მეტს ნიშნავს კრემლისთვის, ვიდრე სომხეთში დატოვებული 74 რუსული ტანკი.

## პენტაგონი საბრძოლო რობოტების იმედადაა

ერაყის პარტიზანულ ომში ამერიკის არმიის დანაკარგი თვალდათვალ იზრდება. ამან პენტაგონი აიძულა, დააჩქაროს მეომარი რობოტების შექმნა.

საბრძოლო რობოტებმა უნდა იმოქმედონ როგორც მიწაზე, ისე ჰაერსა და წყალში. ისინი შეასრულებენ არა მარტო სადაზვერვო ფუნქციებს, არამედ გაანადგურებენ აღმოჩენილ სამიზნეებსაც. მათ შეიძლება არ ჰქონდეთ ისეთი ფორმა, როგორც ეს ფანტასტიკურ ფილმებში გვინახავს. საბრძოლო რობოტების უმეტესი ნაწილი მინიატურული იქნება, რაც გააძნელებს მათ აღმოჩენას ბრძოლის ხაზზე.

## 10-30-30

ეს მობილური ტელეფონის პრესტიჟული ნომერი არ გეგონოთ — იგი გახლავთ პენტაგონის ახალი სამხედრო კონცეფციის დედააზრი.

„10“ — ნიშნავს, რომ ბრძანების მიღებიდან ათ დღე-ღამეში აშშ-ის შეიარაღებული ძალები გადასროლილი უნდა იყვნენ დედამიწის ნებისმიერ წერტილში და დაიწყონ საბრძოლო მოქმედება.

„30“ — 30 დღე-ღამეში ამერიკელმა სამხედროებმა უნდა გაანადგურონ მოწინააღმდეგე, მოუსპონ მას აქტიური ქმედების საშუალება უახლოეს მომავალშიც.

„30“ — ეს ბოლო ციფრი კი მიანიშნებს, რომ ისევ 30 დღე-ღამეში ამერიკულმა საბრძოლო დანაყოფებმა უნდა მოახდინონ ძალების აღდგენა, რათა მზად იყვნენ ახალი ომის მოსაგებად.

ასე ადვილი ჰგონია ომების მოგება პენტაგონს, თუმცა ერაყის მოვლენები ადასტურებს, რომ მთავარი მარტო ომის მოგება კი არაა, არამედ სიტუაციის შენარჩუნებაც.

რუბრიკა მოამზადა ირაკლი ალადაშვილმა

# მეოთხე დღეს მილიციელს ნერვებმა უმტყუნა და დანაშაული აღიარა

## დოკუმენტური ისტორიები ანუ პირველი პირის ნაამბობი

**ჩემი პუბლიკაციაში ვწერდი: ჩემი ყოფილი კოლეგები, პოლიციელები, ბაჟა ხალხია. საქმე საქმეზე რომ მიდგება, აღმოჩნდება, რომ მათ უმრავლესობას გასახსენებელიც არაფერი აქვს-მეთქი. ერთეულებს კი გაგიხარიათ, მოსაგონარიც მრავლად აქვთ და სატრაბახოც, მაგრამ ასეთები, როგორც წესი, თავმდაბალი ხალხია და ამიტომ მათ საზოგადოება ნაკლებად იცნობს. არადა, ჩვენს მილიციას და მის მემკვიდრე პოლიციას ჰყავდა და დღესაც (სამწუხაროდ, შედარებით ცოტა) ჰყავს ისეთი ალღოიანი და გონებამახვილი მაძებრები, სასწაულებს რომ ახდენდნენ და ახდენენ... თითქმის შიშველი ხელებით. იმედია, ოდესმე ჩვენი პოლიციაც აღიჭურვება უახლესი ტექნიკითა და ტექნოლოგიებით, მანამდე კი ისევ ძველებურად მოუწევთ მუშაობა, რადგან პისტოლეტი მხოლოდ და მხოლოდ თავდაცვის საშუალებაა და მეტი არაფერი.**

ამჯერად ჩემი ძველი კოლეგა, უშიშარი და გონიერი მაძებარი ვაჟა ასათიანი შემოგვეხმაურა: — იმ „უმრავლესობაში“ რომ არ აღმოვჩნდე და შვილიშვილებმაც დაკარგულად არ ჩამითვალონ მილიცია-პოლიციაში გატარებული წლები, თქვენი ნებართვით, რამდენიმე ეპიზოდს გავიხსენებ ჩემი პროფესიული ცხოვრებიდანო, გვითხრა და მიუხედავად იმისა, მეც და ბატონ ვაჟასაც ერთდროულად მოგვიწია შინაგან საქმეთა ორგანოებში სამსახურმა და მასზე საკმაოდ ბევრი რამ ვიცი, უმჯობესად ჩავთვალე, უშუალოდ მისი მონათხრობი გამეცნო მკითხველისთვის და მას „პირველი პირის ნაამბობი“ ვუწოდე („კვირის პალიტრის“ რედაქცია და რუბრიკა „ვერსიის“ ავტორი მოხარული იქნებიან, თუ კვლავაც შემოგვეხმიანებიან ჩვენი პოლიციისა და უშიშროების სამსახურის ვეტერანი და მოქმედი ოპერმუშაკები და საინტერესო ისტორიებს შემოგვთავაზებენ). მაშ, ასე, იგონებს **ვაჟა ასათიანი:**

— 1974 წელია, ის დრო, როცა კა-გე-ბეს გარეშე ჩიტიც ვერ გადაფრინდება ერთი ტოტიდან მეორეზე. თბილისში, კალინინის ქუჩაზე (ახლანდელი წინამძღვრიშვილის), დიდი იტალიური ეზოს ნახევარსარდაფში ცხოვრობს სამოცდათხუთმეტი წლის მარტოხელა ქალბატონი ინა კრილოვა და სამართალდამცველთა, უფრო სწორად, იმდროინდელი კა-გე-ბეს ყურადღებას მხოლოდ იმით იმსახურებს, რომ დროდადრო მის სახელზე ლონდონიდან პატარ-პატარა ამანათები მოდის, რომლებშიც უმეტესად მოხუცისთვის საჭირო წამლები აწყვია. თითქოს ყველაფერი ნათელია — მოხუცი ხშირად ავადმყოფობს, ჩვენში წამლები არ იშოვება (ასე კი არ იყო, ახლა რომაა აფთიაქები გამოტენილი). ჰოდა, მისი ტყუპისცალი და ეხმარება შორეული ბრიტანეთიდან. ვის რა უშავდება ამით? პირიქით, ინას წამლებით კიდევ იმდენი მეზობელი იბრუნებს სულს, რომ მის ლონდონელ დას, ნინას, იმათი ლოცვაც ეყოფა. თუმცა ვეჭვობ, დღემდე ცოცხალი იყოს, დიდი დრო გავიდა მას შემდეგ. ჰოდა, თქვენ წარმოიდგინეთ, როგორ შეიცხადებდნენ მეზობლები, როცა ერთ დილით მოხუცი მკვდარი, უფრო სწორად, მოკლული და გაუპატიურებული იპოვეს მისსავე სარდაფში. მე მაშინ დედაქალაქის სამმართველოს სისხლის სამართლის სამძებროში ვმუშაობდი. განყოფილების უფროსმა, აწ გარდაცვლილმა უშანგი ჭიჭინაძემ მითხრა:

— არა მგონია, ეგ დანაშაული გაიხსნას, მაგრამ ფორმალურად საქაღალდე მაინც უნდა შევავსოთ, უნდა მოვისმინოთ კიდეც, მაგრამ...

ვიცოდი, რასაც გულისხმობდა გაბრიელოვიჩი და მეც მოვალეობის მოხდის მიზნით ვეწვიე პოლიციის განყოფილებას. მკვლელობის საქმე მოვითხოვე და როგორც მოსალოდნელი იყო, ცარიელი საქაღალდე შემომაჩეჩეს. მაშასადამე, ისევე, როგორც ჩვენთან, აქაც ფიქრობდნენ, რომ მოხუცი კა-გე-ბემ გაამგზავრა იმ ქვეყნად... მკვლელობა კიდევ გასაგებია, მაგრამ გაუპატიურება? მით უმეტეს, მოხუცის... ნუთუ ანდროპოვის უშიშროებას იმდენად აშინებდა ამ ქალბატონის არსებობა, რომ კვალის წაშლის მიზნით ასეთ ვერაგობას მიმართა? თუმცა მოსკოველებისგან არც ეს იყო გამორიცხული, მაგრამ მაინც გადავწყვიტე, მოხუცის სარდაფი დამეთვალიერებინა და სისხლის სამართლის სამძებროს უფროსს, ჟორა სიხარულიძეს ვთხოვე, შემთხვევის ადგილი მაჩვენეთ-მეთქი.

თაღიანი შესასვლელის მარჯვენა მხარეს, სამსაფეხურიანი ჩასასვლელის იქით, სიბნელეში ჩაკარგულიყო ის ავბედითი სარდაფი, რომელიც თითქოს მიზიდავდა კიდეც და ხელსაც მკრავდა. მაინც პირველმა აჯობა... ეზოში თავმოყრილი, დანაღვლიანებული მობინადრენი ერთმანეთში არჩევდნენ მკვლელობის სხვადასხვა ვერსიას. ისიც გაგვაგონეს, მილიცია არაფერს აკეთებსო. მომეჩვენა, რომ ერთი შუახნის ქალბატონი ზედმეტად აქტიურობდა და მანამ არ მოვიცვალე ფეხი იმ ეზოდან, ვიდრე არ დავინახე, რომელ ბინაში შევიდა და მეც გვიან ღამით, ისე, რომ არც ერთ მეზობელს არ შევუმჩნევივარ, კარზე მივუკაკუნე. ვგრძნობდი, რაღაც უნდა ჰქონოდა სათქმელი, მაგრამ ვერაფერი დავაცდენინე. გვიანი იყო და ღელავდა, ჩემი გოგო მეგობრის დაბადების დღეზე წავიდა და ძალიან აგვიანდებაო. ვუთხარი — აგერ, მანქანით ვარ, წავიდეთ და მოვიყვანოთ-მეთქი. როგორც იქნა, დამყაბულდა, თუმცა ყოველი შემთხვევისათვის გამაფრთხილა — იცოდეთ, მკვლელობისა არაფერი ვიცი. ის კი ყველამ გავიგეთ, რომ მიცვალებულისთვის მკვლელებს ის ბეჭედიც წაუძვრიათ, რომელიც დის ნაჩუქარი იყო და ზედ ნინა კრილოვა იყო წარწერილიო.

გაუპატიურება, მკვლელობა, ძარცვა... მართლაც მეტისმეტია, — გამიელვა უეცრად, — ამას არც რუსების კა-გე-ბე გააკეთებდა-მეთქი და კიდევ უფრო ჩავეჭიდე იმ ერთადერთ ძაფს, რომელიც ჯერ კიდევ ხელში მქონდა.

— აი, ხომ ხედავთ, რაღაც გაგახსენდათ. ცოტაც და შესაძლოა სხვა რამეც გაიხსენოთ და რაღაც კვალზე დავდგე-მეთქი, — მივუგე და მანქანის კარი გამოვაღე. სამი საათის განმავლობაში ვეძებეთ გლდანში ის სახლი, მისი გოგო რომ უნდა ყოფილიყო სტუმრად. მერე კი, როცა ბოლოს და ბოლოს, მიაგნო თავის ერთადერთ გოგონას და მისი წყევლით გულიც იჯერა, დამშვიდობებისას მადლობის სანაცვლოდ რამდენიმე სიტყვა გადმომიგდო — ინას სარდაფის მოპირდაპირე მხარეს იუსუპოვების ოჯახი ცხოვრობს.

მეთქი. აჯიმამ მაშინვე წამოიცვა ფეხებზე ქოშები და სამგზავროდ მოემზადა. ქმარი უღრენს — სად მიხვალო, თვალებს უბრიალებს, მაგრამ ამას არაფრის გაგონება არ სურს.

— ჩვენი ვაჟა კარგი კაცი არი. ეს ყოვლიფერი გაგიკეთე ასე...

რაღა ბევრი გავაგრძელო, როცა ბიჭისთვის მოულოდნელად იმ ოთახში აღმოვჩნდით, სადაც ის ტელევიზორს უყურებდა, პირველი, რაც თვალში მეცა ის იყო, რომ მარჯვენა ხელი ჯიბეში იკრა და როგორ არ ვეცადე, არაფრით აღარ ამოიღო. მერე კი გაირკვა, ინა კრილოვასთვის წაგლეჯილი ბეჭედი შუათითზე ჩამოუცვამს და ვეღარ იხსნიდა. ბეჭედზე გარკვევით იკითხებოდა რუსული წარწერა: Нина Крылова. ბიჭს მართლაც ბავშვური იერი ჰქონდა. სხვათა შორის, არც დანაშაულის მეორე მონაწილე, არამ მნაცაკანიანი გახლდათ დიდი გოლიათი. იუსუპოვების ჯარში წასული ბიჭიც მათი თანამონაწილე აღმოჩნდა. მაგრამ მე მასთან საქმე აღარ მქონია. ის სხვებმა ჩამოიყვანეს მურმანსკიდან. მისი მშობლები შემეცოდა, კარგი ხალხი იყო. გასაოცარია პირდაპირ, მაინც რატომ ჰყავს ასეთ კარგ ხალხს უვარგისი შვილები? ჰო, მართლა — მაშინ რომ ხმა დაირხა, ტრამვაის ბილეთით გახსნეს ეს მკვლელობაო, ტყუილია. ყველაფერი ისე იყო, როგორც გიამბე.



### სააღდგომო თავსატეხი

ისევ სამოცდათოთხმეტი წელია. კარგად არ მახსოვს, ჩვიდმეტ თუ თვრამეტ აპრილს აღდგომა იყო. მეორე დილით კი გვაცნობეს, რომ ე. წ. შანხაის დასახლებაში ერთ-ერთი სახლის ეზოში ახალგაზრდა ქალის გვამია ნაპოვნიო. შემთხვევის ადგილზე მოვიდნენ დედაქალაქის მილიციის სამმართველოს უფროსის მოადგილე შალვა ჩხატარაშვილი, ვაკის რაიონის პროკურორი ფრიდონ ტვილდიანი, მკვლელობათა ქვეგანყოფილების უფროსი ზურაბ მაჩაიძე და პროკურატურის ახალგაზრდა სტაჟიორი თენგიზ მახარაძე. მე იმ დროს ამ ზონის ინსპექტორი გახლავართ, ჩინით ყველაზე დაბლა მდგომი. ჩვენ წინ შემზარავი სურათი გადაიშალა — ასე ოცდაექვსი-ოცდაშვიდი წლის პერანგისამარა ქალი აგდია. გვამს მკერდის ქვეშ გარკვევით მოუჩანს დანით ნაჩხვლეტი. თითქოს ვილაცას ემუქრებაო, ქალს ხელში ახლაც მარჯვედ უჭირავს იატაკის საწმენდი ჯოხი...

ბიჭი ჯარში გააცილეს და იმ ღამით გამოსამშვიდობებელი ქეიფი ჰქონდათ, იქ მოიკითხეთო... ეს უკვე იმაზე მეტი იყო, რასაც მისგან ველოდი, მაგრამ რაკი მადა ჭამაში მოდის, მანქანის ძრავა გამოვრთე, გოგოს ვთხოვე, დედაშენთან ცოტა ხანს მარტო დამტოვე-მეთქი და ქალს შევევედრე, კიდევ ერთ კითხვაზე ეპასუხა — რატომ გაუჩნდა ეჭვი?

— იმ ღამეს ჩემს ბინაში შპალერს ვაკრავდი. შუაღამისას სარდაფში ჩასვლა მომიწია და მაშინ დავინახე, რომ ეზოში ინას ფანჯარასთან ვიღაც ბიჭი იდგა. ვიფიქრე, ალბათ რომელიმე მეზობელს წამალი დასჭირდა და ბავშვი გააგზავნა-მეთქი, მაგრამ მოგვიანებით დავრწმუნდი, რომ ის ბიჭი არც ისეთი ბავშვი იყო, როგორიც იმ წუთში მომეჩვენა. თუ ის არის მკვლელი, მაშინ უეჭველად იუსუპოვების კამპანიიდან უნდა იყოს...

ღამის ოთხი საათი იქნებოდა, შინ რომ მივედი. ვერ მოვითმინე და ჩემს უფროსს დავურეკე: — უშანგი გაბრიელოვიჩ, ათი დღე მომეცით და იმ მკვლელობას გავხსნი-მეთქი. ცხონებულმა ბავშვივით შეჰყვირა: — ვაშა, ვაშაო და გახარებულმა სხაპასხუპით მომაყარა, ოღონდ ეგ საქმე გააკეთე და თუ გინდა, სამ თვეს ნუ გამოჩნდებიო სამსახურში...

ის დღე იყო და მთლიანად ამ საქმეზე გადავიტანე ყურადღება. იუსუპოვები კარგი ხალხი აღმოჩნდნენ, ყველა გაიხსენეს, ვინც იმ ღამით სტუმრობდა მათთან. მეც ყველა მოვინახულე, მათ შორის ერთი ლოტკინელი ქურთი და მისი მეზობელი სომეხი ბიჭიც კი, რომელზეც თვითონ მასპინძლებმაც გამოთქვეს ეჭვი. პირველად ქურთს ვეწვიე, მაგრამ ვიდრე კიბეზე ავიდოდი, ზემოდან დიასახლისმა შემნიშნა და ისე მწარედ მომატირა, ცოტა გულსუსტი რომ ვყოფილიყავი, აუცილებლად ავტირდებოდი. მოაჯირზე გადმომდგარი ჩემი ნაცნობი მეეზოვე ქალი ხმამაღლა მოთქვამდა — ვაჟა! ვაჟა! ვაიმე, დაიღუპე! ჩემი ბიჭი! სულ ტყუილა დაიჭირეს. იმის ბრალი არ არი, მაინც გაასამართლეს და ხუთი წელი მოგისაჯეს. ახლა აღარ იცი, რა გააკეთე, რომელ წყალში წახვიდე...

თურმე სწორედ იმ ბიჭზე მოთქვამდა ქალი, ვის დასაკავებლადაც ვიყავი მისული. საცოდავი დედამისი ჯერ კიდევ ჩემი უბნის ინსპექტორად მუშაობის დროიდან მიცნობდა და ვერავინ ვერასოდეს დააჯერებდა, მილიციაში ყველაზე დიდი კაცი რომ არ ვიყავი. ძალიან მეცოდება, მაგრამ ახლა ისეთ საქმეზე ვარ მისული, უკან დახევა არ იქნება. ჩიქორთული ქართულით მიამბო, ბიჭს დააბრალეს, თითქოს საქურდლად შეძვრა ვიღაცის ბინაში და როცა პატრონმა ქალბატონმა მიუსწრო, ამან გაუპატიურება დაუპირაო. აჰა, აქაც ქურდობა და გაუპატიურება, ვფიქრობ, ჩემთვის. ქალი კი არ ცხრება, — სასამართლომ ხუთი წელი მიუსაჯა ბიჭს, მაგრამ არასრულწლოვანია და თავდებით გამოუშვაო.

— ახლა სად არის, — ისე შევყვირე, სხვა ალბათ გამშიფრავდა კიდეც, ამან კი დანდობილად მითხრა: — ახლა ჩემს ძმასთან არი გლდანში, ძალიან მეცოდება.

— ჰოდა, ჩემო აჯიმა, მეც მაგ საქმეზე მოვედი. ის ქალბატონი ჩივის, ასე ცოტა რად მიუსაჯეს, მე ათ წელს ვითხოვდიო და ახლა ათწლიან სასამართლოში უნდა წამეყვანა, მაგრამ რაკი შენი შვილია, რაღაცას დავაწერინებ და მაგ ხუთ წელს ვაკმარებ, მაგრამ ახლავე უნდა მანახვო-

**ბებიაქალის ხალათი ჩავიცვი და სამშობიაროში გადავსახლდი. იმას არ დავჯერდი, ჟურნალებში ყასიმოვას გოგო, ბიჭად რომ იყო გადასწორებული და ტატიანას დაქალის ბიჭი კი გოგოდ. ნახევარი საქართველო შემოვიარე იმ ქალების ძებნაში, ვინც იმ დღეებში იწვა სამშობიარო სახლში და, ფაქტობრივად, დავადასტურე, რომ სამშობიაროში ბავშვები გაცვალეს.**

ამ ეზოში ყასიმოვების ოჯახი ცხოვრობს. სახლიც მათია. ორ ოთახს აქირავებენ. წინა ოთახში მარტვილელი სტუდენტი გოგონები ცხოვრობენ. უკანაში ეს უბედური, ლენინგრადელი ტატიანა პანოვა ცხოვრობდა აქამდე. არანაირი კვალი, არც ჭორი, არც მართალი. თითქოს ყველამ პირი შეკრაო. ცხოვრობდა, მშენებლობაზე მუშაობდა, განსაკუთრებული არაფერი შეუნიშნავთ. თუ იმას არ ჩავთვლით, რომ გუშინ, აღდგომას, სტუდენტ გოგონებს თავიანთივე თანასოფლელი, ასევე სტუდენტი ბიჭები ჰყავდათ მოწვეული და დღესასწაული აღნიშნეს. ეს იყო და ეს. სხვა რამ მნიშვნელოვანი არ მომხდარა... იმ დღიდან დაიწყო და შვიდ თვეს გაგრძელდა ჯოჯოხეთი. მაშინ მკვლელობის გაუხსნელობას ვინ გაპატიებდა, მით უმეტეს, რუსი მოქალაქისას და ჩვენც დღე და ღამეს ვასწორებთ, ყოველ კვირას სამმართველოს უფროსთან მიბარებენ... საქმის მოსასმენად. მაგრამ რა უნდა მოვასმენინო, როცა თვეები გადის და კვლავაც არაფერია ხელჩასაჭიდი. მოგვიანებით პატარა ჭორმა გამოჟონა, — სახლის პატრონ ქალბატონს რომ ხუთი გოგოს შემდეგ მეექვსე ბიჭი „შეეძინა“, ეგ იმ ცხონებული ტატიანას ნაჩალიჩევია და იმიტომაც მოკლეს, ეს ამბავი რომ არ გახმაურებულიყოო. როგორ? საიდან? — როგორ და ეს ქალი რომ მეექვსე ბავშვს ელოდებოდა, ქმარს გამოუცხადებია, თუ ბიჭი არ იქნება, იცოდე, სხვასთან წავალო. საყვარელი ჰყოლია და იმ ქალს ბიჭიც გაუჩენია კაცისთვის. ეს ამბავი დიასახლისს თავისი მდგმურისთვის შეუჩივლია და ტანიასაც უნუგეშებია — ამ დღეებში ერთმა ჩემმა დაქალმა უნდა იმშობიაროს. თუ ბიჭი იქნა, უეჭველად შეგიცვლი (მოგეხსენებათ, მაშინ ექოსკოპია არ არსებობდა). სულერთია, ის გოგო ბავშვის სამშობიაროში დატოვებას აპირებსო და ასე იყო თუ ისე, ერთ მშვენიერ დღეს ხუთი გოგოს დედა მეექვსე ბიჭით დაბრუნდა საავადმყოფოდან. რა უნდა მექნა?! ბებიაქალის ხალათი ჩავიცვი და სამშობიაროში გადავსახლდი. იმას არ დავჯერდი, ჟურნალებში ყასიმოვას გოგო, ბიჭად რომ იყო გადასწორებული და ტატიანას დაქალის ბიჭი კი გოგოდ. ნახევარი საქართველო შემოვიარე იმ ქალების ძებნაში, ვინც იმ დღეებში იწვა სამშობიარო სახლში და, ფაქტობრივად, დავადასტურე, რომ სამშობიაროში ბავშვები გაცვალეს. მე რომ ამ გაწამაწიაში ვარ, ერთ დილით შრომის გმირის ვარსკვლავებითა და ლენინის ორდენებით მკერდდახუნძლული თხუთმეტამდე მეჩაიე დამადგა თავს, — ჩვენი შვილები უსაფუძვლოდ გამოგირიცხავთ ინსტიტუტიდან და ახლა პასუხი უნდა აგოო. ვეუბნები — ქალბატონებო და ბატონებო, რაღაც გეშლებათ, რომელი ინსტიტუტის რექტორი მე ვარ, ნეტავ თვითონ არ გამრიცხავდნენ (მაშინ დაუსწრებელი განყოფილების სტუდენტი ვიყავი და ჩემი სამსახურის გადამკიდეს სამ საგანში დავალიანება მქონდა) და მე რა ხელი მაქვს სტუდენტებთან-მეთქი. შენც არ მომიკვდე, არაფრის გაგონება არ სურთ. შენა ხარ ჩვენი დამაქცევარი, შენ გაგვიმწარე შვილები და ახლავე მთავრობაში წამოდი, პასუხი უნდა გაგებინოთო. მაინცდამაინც არ შემიცხადებია. ვიდრე მეგონა, ეს ხალხი ალბათ ვინმემ გასამასხარავებლად გამომიგზავნა-მეთქი, გულში მეცინებოდა. არადა, როცა ბოლოს და ბოლოს, გავაცნობიერე, რასაც მედავებოდნენ, ჩემს მტერს, მე დღეში ჩავვარდი. იმ ჩემი ცოდვით სავსე პროკურატურას წერილი გაუგზავნია უმაღლესი სასწავლებლისთვის — თქვენი სტუდენტები საბჭოთა ახალგაზრდებისთვის შეუფერებელ საქციელში იმხილებიან, ბიჭები და გოგოები ერთად ქეიფობდნენ და მეორე დღეს იმ ეზოში მკვლელობა მოხდაო(!). მართალია, ახალგაზრდების ქეიფსა და მკვლელობას შორის არავითარი კავშირი არ არსებობდა, მაგრამ ესეც საკმარისი იყო და ექვსივე სტუდენტი გაურიცხავთ ინსტიტუტიდან. სოფელსაც თავის მხრივ თითოზე სამ-სამი გმირი გამოუგზავნია უდანაშაულო გოგო-ბიჭების დასაცავად. ამათ კი სულაც არ აინტერესებთ, პროკურატურას შეეშალა თუ სხვა ვინმეს. პროკურატურაც და მილიციაც მათთვის ერთი და იგივეა და ღმერთმა ნუ ქნას, ახლა მთავრობაში მივიდნენ, თორემ იქაც ამათებურად იმსჯელებენ და მეც ციხეში ამოვყოფ თავს.

ფეხებში ჩავუცვივდით ინსტიტუტის რექტორს მე და პროკურატურის გამომძიებელი. არადა, ამისთვის მეცალა? ამდენი რომ მეჩალიჩა, ჩემს საგამოცდო დავალიანებას დავფარავდი და მეხუთე კურსზე გადავიდოდი, მაგრამ ახლა ბედნიერი ვიყავი, რომ გარიცხულები აღადგინეს. მეც გადავრჩი და გამომძიებელიც.

ჰოდა, იმას ვამბობდი, ბოლოს და ბოლოს, დავადასტურე, რომ ბავშვი შეცვლილია და ახლა ეს ამბავი მკვლელობის მოტივაციად უნდა წარმოვაჩინო, მაგრამ ჩემდა იღბლად სხვა ვერსიებზეც ხომ ვმუშაობდი? ეს ინსტრუქციითაც მევალებოდა და როგორც მოგვიანებით დავრწმუნდი, არ შეიძლება მხოლოდ ერთი ვერსიის იმედად იყოს მაძებარი. როგორღაც ყურში ჩამაწვეთეს, მაგ მკვლელობის ამბავი გლდანში მცხოვრებმა, თეთრიწყაროელმა ვინმე ნონამ, ანუ იმავე ნანამ იცის, რომელიც პარაზიტულ ცხოვრებას ეწევა ქალაქშიო. ეს იყო და ეს. მიდი და ეძებე გლდანში ვინმე ნონა ანუ ნანა, რომლის არც გვარი იცი და არც მისამართი. ქუჩაქუჩა, სადარბაზოებში ვეძებე ის ნონა თუ ნანა და სამი კვირის თავზე მივაკვლიე, მაგრამ ისეთ მთვრალს, რომ ვერაფერი გავაგებინე. მეუბნება, — არაფერსაც არ გეტყვი, ტატიანა ჩემი დაქალი იყო, მაგრამ ვინ მოკლა და რისთვის მოკლა, ეგ შენი საქმე არაა. ეგ მე ვიცი და იმ კაცმა, ვინც მოკლა, შენ მაგას არავინ გეკითხებაო... თითქოს თვალებში ნათელი ჩამიდგა. ვხედავ, თითქმის ხელთა მაქვს დანაშაულის გახსნის გასაღები, მაგრამ ამ ლოთბაზარას როგორ დავუმტკიცო, რომ სწორედ მე მეკითხება, ვინ მოკლა ტატიანა პანოვა. იმ ღამით მილიციის მორიგესთან დავტოვე ნონა თუ ნანა და მეორე დილით, ნაბახუსევზე, ლუდით რომ მივადექი, მადლიერმა ჩამიჩურჩულა: — ეგ გოგო მილიციელმა იბრაგიმოვმა მოკლა. ძალიან მოსწონდა, მაგრამ ტანია არ ნებდებოდა. იბრაგიმოვი უკანა კარიდან შედიოდა ხოლმე ოთახში. ის კი ხან ცოცხით იგერიებდა, ხანაც იატაკის საწმენდი ჯოხით. თან სულ ცდილობდა, არავის შეეტყო ამ ვიზიტების შესახებ. სახლის პატრონის ეშინოდა, არ გამასახლოსო. იბრაგიმოვს იმ დღეს დანა ამოუღია, შევაშინებო და ამ შეშინებაში გოგო შემოაკვდა. გუშინწინ ტრამვაიში დავემგზავრე, კაცის სახე აღარა აქვს. მითხრა, არ მინდოდა ტანიას მოკვლა, შემთხვევით მომივიდაო...

იბრაგიმოვმა ქვა ააგდო და თავი შეუშვირა, — რას ჰქვია, მკვლელობას მაბრალებთ, მინისტრთან გიჩივლებთო. მეც კი დავეჭვდი, — იმნაირი ქალისგან, როგორიც ჩემი ინფორმატორი იყო, არც ტყუილი იყო გამორიცხული. მაგრამ დაკავებიდან მეოთხე დღეს ნერვებმა უმტყუნა მილიციელს და დანაშაული აღიარა. მანაც იგივე გაიმეორა, რაც ლოთმა ნონა-ნანამ მიამბო და ისიც დაამატა: — ბოლოს და ბოლოს, დავწყნარდი. რამდენი ძაღლი დაიყეფებდა, რამდენი მილიციელი ჩამივლიდა გვერდით, სულ გულის ხეთქვა მქონდა. ჯანდაბას ჩემი თავი, ციხეში უფრო მშვიდად ვიქნებიო.

ახლა ვინმე იტყვის, ეს რა უბრალო დასასრული ჰქონიაო ამ საქმეს, მაგრამ მე შვიდი თვე არ მიძინია ამ უბრალო დასასრულის მისაგნებად.

და საერთოდ, ყველაფერი გენიალური ხომ ძალზე უბრალოა?!

***ვაჟა გავაშელი***

# „ასეთი ამბის შემდეგ გუმბარიძე დააწინაურეს, რატომ?“

*მიუხედავად იმისა, „ერთობას“ პარლამენტში მოხვედრას თავად პრეზიდენტი სააკაშვილი უწინასწარმეტყველებდა, პატიაშვილის გუნდი საკანონმდებლო ორგანოში მაინც ვერ მოხვდა. ვარდების რევოლუციაში მონაწილეობა ცკ-ის ყოფილი მდივნისთვის პარლამენტში მოხვედრის საწინდრად ვერ იქცა. მიუხედავად ამისა, პატიაშვილი განაწყენებული არ არის და წარუმატებლობასაც „ყოველთვის ყველაფერში დამნაშავე“ ხელისუფლებას არ აბრალებს. თუ საჭირო იქნება, მიშას ჩხუბშიც კი დავუდგები გვერდითო, ამბობს* ***ჯუმბერ პატიაშვილი,*** *რომელმაც „კვირის პალიტრასთან“ საუბრისას 1989 წლის 9 აპრილის რამდენიმე ახალი, ჩვენთვის უცნობი დეტალი გაიხსენა.*

— ასე მგონია, წესიერი ქართული არჩევნები არასდროს ჩატარდება. ქართულში პატიოსნებას ვგულისხმობ. ჩვენთან უწესო კაცს არასდროს ჰქონია ისეთი ადგილი, რომ წარმოჩენილიყო. მას საზოგადოება ზურგს აქცევდა. სამწუხაროდ, ეს ჩვენი ეროვნული ღირსება, ისევე როგორც არაერთი, თანდათან წაიშალა, სინდის-ნამუსის დევალვირება ხდება! საარჩევნო კოდექსში უამრავი შესწორება შეიტანეს და რისთვის, ვერ გამიგია. წლობით რომ ვლაპარაკობთ არჩევნების გაყალბებაზე, დასჯილა რომელიმე გამყალბებელი? ან რა საჭიროა პარტიების წარმომადგენლებით საარჩევნო კომისიების დაკომპლექტება? პარლამენტში კაცი ღირსეულად უნდა მოხვდე, რომ მერე სხვასაც ღირსეულად მოჰკითხო პასუხი. ზოგს უნდა რცხვენოდეს, რომ გაიმარჯვა. არჩევნებზე ისეთი ხრიკები გამოიყენეს, საზოგადოებასაც არ დარჩენია შეუმჩნეველი.

**— რას გულისხმობთ?**

— ხრიკი არ იყო არჩევნების წინ ახალი პოლიტიკური ძალის — „თავისუფლების“ შექმნა? რაკი ზვიად გამსახურდიას შვილი ჩაუყენეს სათავეში, ამ ძალამ საკმაო ხმები წაართვა სხვა პარტიებს. ნაციონალები და დემოკრატები რომ არ გაერთიანებულიყვნენ, პარლამენტში განსხვავებულ ძალთა განლაგება გვექნებოდა. მიშას პიროვნებამ გადაწყვიტა ყველაფერი.

ჩვენი ქვეყანა პარლამენტით არც იწყება და არც მთავრდება. სერიოზულად მაშფოთებს და მაფიქრებს ის, თუ როგორ უნდა იცხოვროს ჩვენმა ხალხმა, როგორ უნდა იარსებოს საზოგადოებამ. ახალგაზრდობის დასაქმების თემა მეორე პლანზე გადავიდა. არადა, ადრე მატერიალურ მოთხოვნილებებთან ერთად, სამსახურით ახალგაზრდა თავმოყვარეობასაც იკმაყოფილებდა. ათასგვარ შეურაცხმყოფელ საქმეს ჰკიდებენ ხელს საზღვარგარეთ ჩვენი ახალგაზრდები, ეს როგორ მოვიწონო? არ მინდა შეურაცხყოფა მივაყენო მეეზოვეებს, მაგრამ ახალგაზრდა კაცი აქ ქუჩის დასაგველად ცოცხს დაიჭერს ხელში? ან შეხედეთ, რა ხდება ნაგავსაყრელებზე. ისეთი ხალხი იქექება სანაგვე ურნებში, გული მიკვდება. ამ ქვეყანაში საქმეა გასაკეთებელი და ფუჭი ლაპარაკი ვითარებას ვერ შეცვლის. ვამჩნევ, ქართველები ამდენმა გასაჭირმა ფიზიკურადაც შეგვცვალა. მახსენდება ფირი, რომელიც 1912 წელს რაჭა-ლეჩხუმში აკაკი წერეთლის მოგზაურობას ასახავს. სხვანაირი სახეები აქვთ იმ დროის ადამიანებს. საოცრად მომხიბვლელნი და პეწიანად ჩაცმულნი არიან. მას შემდეგ თითქმის საუკუნე გავიდა და ვფიქრობ, ეს ერთი საუკუნე სრულიად ამოვარდა ჩვენი ერის ცხოვრებიდან. საუკუნით ჩამოვრჩით იმ პროცესებს, რომელშიც უნდა ვყოფილიყავით ჩართულნი. ჩვენი გლეხობაც უილაჯო მდგომარეობაშია. ვითომ მიწა მივეცით, მას კი მიწის მოსავლელი საშუალებები არ აქვს. აშშ-ში ყოველწლიურად 10 მილიარდ დოლარს აძლევენ ფერმერებს უპროცენტო სესხად. ჩვენთან კი პროცენტიანი ვალიც რომ აიღოს კაცმა, იმის წილშიც უჯდებიან. უნდა მოისპოს, ამოიძირკვოს კორუფცია, სხვანაირად ვერ განვვითარდებით. კორუფცია ჩემი ცკ-ის მდივნობის დროსაც იყო, მაგრამ მაშინ სასჯელის ეშინოდათ. ბოლო დროს კი ისე ყვლეფდნენ ქვეყანას მაღალჩინოსნები, რომ ოდნავი შიშის განცდაც არ ჰქონიათ. ვისაც 2 მილიონი მიატანინეს, იმას ხომ 10 მილიონი კიდევ ექნება? საიდან მოიტანეს ან ის 2 მილიონი — სახლი არ გაუყიდიათ, მანქანები და აგარაკები. კაცს რომ 2 ათასი ლარი აქვს ყოველწლიური შემოსავალი და მილიონიან სასახლეს აშენებს, იმას რა შემოწმება უნდა? ასეთ ღატაკ ქვეყანაში, კაცი მილიონს რომ იშოვის (ბიზნესით და კანონიერი გზით ნაშოვნს არ ვგულისხმობ), ის ადამიანი კი არა, ცხოველია.



დაპატიმრებები ჩემს დროსაც იყო, მაგრამ ვინმეს დაჭერა თვითმიზნად არასოდეს მქონია. წვრილმანი ფასების დამახინჯებისა და წონაში მოტყუების გამო მაშინ ბევრი დაიჭირეს და ყველა გამოვაშვებინე, ჯობს, ბანდიტებს მივხედოთ-მეთქი. იოლი არ არის ასეთი ქვეყნის მართვა. უნდა გავარკვიოთ, როგორი ქვეყნის აშენება გვინდა — ისეთის, რომელშიც 15 ბობოლა იქნება და დანარჩენი ღარიბ-ღატაკი თუ ნორმალური სამართლებრივი სახელმწიფოსი.

ზოგი რომ კითხულობს, ერის განვითარების როგორი გზა ავირჩიოთო, ჩაიხედონ ილია ჭავჭავაძის თხზულებებში და პასუხს იქ იპოვიან. იმ სულმნათ კაცს ყველაფერი მარტივად აქვს განსაზღვრული — სადაც ხილი და ყურძენი მოდის, უნდა მოვიყვანოთ, მარცვალს რუსეთიდან და ამერიკიდანაც შემოვიტანთო. ჩვენები კი უცხოელ ექსპერტებს უსმენენ — ყურძნის ფართობი 30%-ით შეამცირეთ და ხორბალი მოიყვანეთო. მსოფლიოში არსებული ყურძნის 1500 ჯიშიდან 600 ქართულია — ამაზე მეტი სიმდიდრე რა უნდა ჰქონდეს ერს? მაგრამ ხელისუფლება, რომელიც კონკურენტ ქვეყანას ქართული ღვინის წარმოების ლიცენზიას მიჰყიდის, ნორმალურია? თურქებს ჩვენთან კარტოფილი შემოაქვთ, საქართველოში მოყვანილი კი გააქვთ. სად მოდის ჩვენნაირი ბოსტნეული და ბაღჩეული? მსოფლიოში სადაა ისეთი წყლები, ჩვენ რომ გვაქვს? საქართველოსნაირი ჰიდრორესურსები ევროპაში არც ერთ ქვეყანას არა აქვს, ჩვენ კი მხოლოდ 12%-ს ვიყენებთ.

**— ახლა ცოტა თემას გადავუხვიოთ, 9 აპრილის ტრაგედიაზე კომენტარის გაკეთებისას ექსპრეზიდენტმა განაცხადა, პატიაშვილი რომ უფრო პრინციპული ყოფილიყო, ეს არ მოხდებოდაო.**

— როგორ შეიძლებოდა მნდომებოდა, რომ ჯარებს ახალგაზრდები დაერბიათ. ეროვნული მოძრაობის ლიდერებს მოველაპარაკე, აქციები შეეწყვიტათ, რადგან საქართველოში ზამთრის ოლიმპიადის ჩატარება იგეგმება და მოსკოვიდან კომისიას ველოდები-მეთქი. კარგიო, მითხრეს. რამდენიმე რესპუბლიკა გვიწევდა კონკურენციას და მინდოდა, მოდავეების საბაბი არ მიმეცა ვინმესთვის, სამარანჩთანაც კი მქონდა ამაზე მოლაპარაკება. გორბაჩოვს შევხვდი და ვუთხარი, თქვენი

> **„არ შეიძლება 15 წლის მანძილზე პასუხგაუცემელი რჩებოდეს კითხვა, რა მოხდა 9 აპრილს“**

მხარდაჭერა მჭირდება აფხაზეთის საკითხის გადაწყვეტასა და ოლიმპიადის საქართველოში ჩასატარებლად-მეთქი. დამეთანხმა. 3 აპრილს მოსკოვიდან კომისია ჩამოვიდა. ხომ ვერ ვეტყოდი, აქ მიტინგებია, არ ჩამოხვიდეთ-მეთქი. 4 აპრილს ბაკურიანში ავიყვანე ოლიმპიური კომიტეტის წარმომადგენლები, ეს საკითხი დადებითად გადაწყდებაო. ჩვენ ხარჯთაღრიცხვაც გვქონდა გაკეთებული. მილიარდ ექვსას ორმოცდაათი მილიონი საბჭოთა მანეთი იყო საჭირო ოლიმპიადის ჩასატარებლად. დღეს ეს ფული 3 მილიარდია, წარმოიდგინეთ, ამხელა თანხა საქართველოში რჩებოდა. უკვე აღვნიშნავდით საკითხის დადებითად გადაწყვეტას და დამირეკეს — მიტინგი დაიწყო აფხაზეთის საკითხის გამოო. სასწრაფოდ წავედი აფხაზეთში, ადლეიბა მოვხსენი და რომ მეგონა, პრობლემა მოგვარდა-მეთქი, მორიგ მიტინგზე საბჭოთა კავშირიდან საქართველოს გამოსვლის მოთხოვნა გაისმა. მეუბნებოდნენ, მხარი დაგვიჭირეო. ვერ დავუჭერდი მხარს, მით უმეტეს, არავისზე ნაკლები პატრიოტი არ მგონია თავი. ვიცოდი, რომ ეკონომიკურის გარეშე პოლიტიკური დამოუკიდებლობა არ გამოვა.

თბილისში მიმდინარე მოვლენებზე ჩემზე უკეთესი ინფორმაცია რუსეთში ჰქონდათ. 9 აპრილის წინა პერიოდში ჩამოვიდნენ, ვის ხვდებოდნენ და რას ელაპარაკებოდნენ, რა ვიცი! ჩემი ინფორმატორი უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე გივი გუმბარიძე უნდა ყოფილიყო, მე კი ბევრი რამ არ ვიცოდი. გენერალმა კოჩეტოვმა 8 აპრილის საღამოს დამირეკა და მითხრა, თუ მოედანი ამაღამ არ გაიწმინდება, სუმგაითი თბილისშიც გამეორდებაო. იარაღის აყრა მოვითხოვე სამხედროებისთვის. ჩვენ იარაღი პოლიციასაც ავყარეთ და სამხედროებსაც. აქციის დაშლის გადაწყვეტილება ერთპიროვნულად არ მიმიღია, 400 კაცი იჯდა დარბაზში და უჭერდნენ მხარს რუს გენერლებს. აქციის დაწყებამდე ჩემთან ირაკლი აბაშიძე და რეზო თაბუკაშვილი მოვიდნენ — იქნებ აქცია ძალით არ დაშალონო. შიშობდნენ, სამხედროებმა იარაღი არ გამოიყენონო. რეზომ თქვა, მონადირე კაცი ვარ და ვიცი, სადაც იარაღია, იქ ტყვია უთუოდ გავარდებაო. გამორიცხულია იარაღის გამოყენება-მეთქი. მე ასე მითხრეს, ასე ვიცოდი. ამ დროს რუსთავიდან დამირეკეს, მომიტინგეები მეტალურგიული ქარხნისკენ დაიძრნენ, სროლაც იყო და კაცია დაჭრილი, მოგვეხმარეთო. როდიონოვი ძლივს მოვძებნე და ვუთხარი, აქცია არ ჩავატაროთ, მოედანზე ბევრი ხალხია-მეთქი. დღემდე ვერ გავიგე, საიდან გაჩნდნენ იქ სნაიპერები. ეს სობჩაკის კომისიამაც ვერ გაარკვია.

**— როდიონოვს არ ჰკითხეთ?**

— როდიონოვს იქ მყოფი ყველა შენაერთი კი არ ემორჩილებოდა. ცალკე იყო შსს-სა და უშიშროების ჯარები, კიდევ გაურკვეველი შენაერთები. როდიონოვი დამპირდა, არაფერი მოხდებაო... მაგრამ, რისიც მეშინოდა, სწორედ ის მოხდა. როგორც კი მსხვერპლის შესახებ მაცნობეს, დავიბარე პარტიული ბიუროს წევრები. ვუთხარი, რისი ღირსიც იყვნენ და გადავდექი. მეუბნებოდნენ, ხალხი 1956 წელსაც დაარბიეს, მაგრამ მჟავანაძე არ გადამდგარაო. ზოგიერთები მაშინ ცუდად მოიქცნენ. ვერ გაირკვა, საიდან გაჩნდნენ მოედანზე იმ დროს უშიშროების ქვედანაყოფები. ასეთი ამბის შემდეგ უშიშროების ხელმძღვანელს ყველაზე მეტი პასუხისმგებლობა ეკისრებოდა. გუმბარიძე კი ცკ-ის მდივანი გახდა. რატომ? არავინ დაინტერესებულა.

**— ფიქრობთ, რომ გუმბარიძე მოსკოვის დირექტივებს ასრულებდა?**

— რასაკვირველია, ვიღაცის დირექტივა შეასრულა. ეს კითხვა გენერალ კრიუჩკოვსაც დაუსვეს და მან ასე უპასუხა — გუმბარიძემ ამ აქციის ჩატარების შესახებ დაწყებამდე 15 წუთით ადრე შეიტყოო.

როგორც თქვენ არ გაგიგზავნიათ მოსკოვში დეპეშები, ისე მეც. ამას უშიშროების სამსახური აკეთებდა. კონკრეტული პირები მუშაობდნენ ამ საკითხზე. ამიტომ ვეთანხმები მიხეილ სააკაშვილს, როდესაც ამბობს, უშიშროების აგენტების ლუსტრაცია უნდა მოხდესო. მხოლოდ ლუსტრაცია კი არა, ის მასალებიც უნდა გამოქვეყნდეს, რომლებიც მოსკოვში იგზავნებოდა. მაშინ გამოჩნდება, ამ ტრაგედიაში ვინ არის დამნაშავე. დავიღალე მეც და საზოგადოებაც, არ შეიძლება 15 წლის მანძილზე პასუხგაუცემელი იყოს კითხვა, რა მოხდა 9 აპრილს. პასუხი იმ მასალებში იქნება.

***იზო რეკაძე***


## ერთი კაფსულა ჯანმრთელი და წარმატებული დღისთვის




ნატურალური ვიტამინომინერალური კომპლექსი „სინგლ დეი“ განკუთვნილია საქმიანი ადამიანებისთვის, რომელთა ცხოვრებაც დაკავშირებულია მომატებულ გონებრივ, ფიზიკურ და ემოციურ დატვირთვასთან, აგრეთვე მათთვის, ვისაც ნებისმიერ სიტუაციაში სურს იყოს ენერგიული, ჯანმრთელი და ლამაზი.

პრეპარატის საშუალებით შეგიძლიათ ხანმოკლე პერიოდში აღიდგინოთ შრომისუნარიანობა, იმუნიტეტი, მშვიდი ძილი და კუჭ-ნაწლავის სისტემის ნორმალური ფუნქციონირება, გაიუმჯობესოთ ორგანიზმის ზოგადი მდგომარეობა.

ხარისხის გარანტია – GMP-ის საერთაშორისო სტანდარტის სერტიფიკატი

ამერიკული კომპანია „შიფ“-ის ოფიციალური დისტრიბუტორი საქართველოში კომპანია „ჯეოვიტი“

ჯეოვიტი
GEOVIT

მის: ილია ჭავჭავაძის 41 (ვაკის პარკის პირდაპირ), ☎29-20-91; 899 10-99-20; 899 14-35-56
www.schiffvitamins.com



ჟურნალი თქვენთვის!

# „სიკვდილმისჯილის“ მონოლოგი

## „აქ, მოსკოვში, გულხელდაკრეფილი არც ქართველები ვსხედვართ და არც ჩვენი მტრები“

ჩემი რესპონდენტი, როგორც მითხრა, ერთ-ერთი იმათგანია, ვისი სურათიც აფხაზებს განსაკუთრებულ დამნაშავეთა კარტოთეკაში უდევთ და იმ შემთხვევაშიც კი, თუ ქართველთა დაბრუნება აფხაზეთში ორივე მხარის — ქართველთა და აფხაზთა კეთილი ნებით მოხდება, მას სიკვდილით დასჯით ემუქრებიან.

სამშობლოს უსაზღვროდ მოყვარულ ქართველს მშობლიურ სოხუმში ჩასვლის უფლება ჩამოართვეს. აფხაზეთის ომის სახსოვრად ტყვიის ნამსხვრევი ჩარჩა ფეხში და სამუდამოდ დაკოჭლებულს „ჟოფრეი“ შეარქვეს რუსმა ლამაზმანებმა...

არც ერთი სამხედრო შენაერთის წევრი არ ყოფილა, სოხუმელი იყო და ამიტომ თავისი ანგარიში ჰქონდა აფხაზებთან, უფრო სწორად, იმ ერთ მუჭა მოღალატეებთან, ხალხს ისტორია რომ გაუყალბეს და ტვინიც აურიეს. ყველა მათგანს იცნობდა; ამიტომ განაჩენიც არავისთან შეუთანხმებია — ვინ უნდა მომკვდარიყო და რატომ...

მართლაც ბევრის სისხლი ადევს ცოდვად, რასაც ნანობს, მაგრამ იმას უფრო ნანობს, ბევრს სიცოცხლე რომ შეუნარჩუნა:

— რომ მეგონა, იმაზე მეტი გამყიდველი ჰყოლია აფხაზეთს. ვიცი, ბევრი ბოდვად ჩამითვლის, რასაც ახლა ვიტყვი, მაგრამ მართლა ფული აიღეს იმისთვის, ქართველი ჯარისკაცები რომ დაებნიათ, არ დაეშვათ გაერთიანება და ერთიანი ტაქტიკის შენარჩუნება. რაც ტყვია-წამალი იყო, ისიც არ მიჰქონდათ განწირულ ბიჭებამდე...

ვიცი, ბევრს უნდა მარტო შევარდნაძეს დაჰბრალდეს აფხაზეთის ტრაგედია, მაგრამ დამნაშავე ის გარემოცვაა, მას რომ ეხვია ირგვლივ... არ იცით, ვინ იყო სოხუმში მის გვერდით — 27 (შეიძლება 24-25-ში) სექტემბერსაც კი?.. თათბირზე ეუბნებოდნენ, — ყველაფერი წესრიგშიაო! — ამ დროს ფაქტობრივად სოხუმი დაცემული იყო... გაიწირა ხალხიც, ჯარისკაცებიც და ის პატრიოტი ხელმძღვანელებიც, ვინც ხმის ამოღება გაბედა და სიმართლის თქმა ისურვა!.. სოხუმი იმათ გაყიდეს, ვინც შევარდნაძესაც კი თვალს უხვევდა, თორემ სხვები მით უფრო არ ენაღვლებოდათ... ათასი წელი რომ ეყოფა მათ ცოდვიან შთამომავლობას, იმდენი ფული იშოვეს, თუმცა მეათასედიც არ გამოუჩენიათ. თუ დასჭირდათ, მარსზეც იყიდიან ნაკვეთებს, აიგებენ სასახლეებს, მაგრამ მაინც



ვერსად დაგვემალებიან...

...მე და ბევრ ჩემს მეგობარს სოხუმის გარეშე ცხოვრება არ შეგვიძლია — ვერც თბილისში ვპოვებ სიმშვიდეს, ვერც ქუთაისში და ვერც ბათუმში. ფიცი გვაქვს ბიჭებს დადებული, აუცილებლად დავბრუნდებით სოხუმში, თუნდაც სიცოცხლის ფასად დაგვიჯდეს ეს. 1994 წლიდან მოსკოვში ვცხოვრობ და იქიდან ვაკვირდები იმ მოვლენებს, რაც აფხაზეთში ხდება... ჩემდა სასიხარულოდ, აღმოვაჩინე, რომ აფხაზეთში უბრალო ხალხს ქართველების საწინააღმდეგო არაფერი აქვს. დესპოტური რეჟიმის გამო ვერ იღებენ ხმას, თორემ მათ აღარ სურთ გაურკვევლობაში ცხოვრება და ენატრებათ ქართველები — მეზობლები, მეგობრები და ნათესავები!... მათ არ უნდათ არც რუსეთის ქვეშევრდომობა და არც იქაური მოქალაქეობა, რადგან იციან, რუსეთში თავისუფლება არ არსებობს, მით უმეტეს, მცირე ერებისთვის და ისიც კავკასიელებისთვის. აფხაზები კი მონობას არასოდეს შეეგუებიან. ისინიც გაყიდულნი არიან და არც მათი მოთმინების ფიალას აკლია ბევრი ასავსებად. ახლაა სწორედ დრო გაერთიანებისთვის, რათა აფხაზეთი დაუბრუნდეს ხალხს — აფხაზებს და ქართველებს.

საქართველოს ქალაქები და სოფლები სავსეა დევნილი მოსახლეობით — ჰკითხეთ უფროსი თაობის წარმომადგენლებს და ისინი იტყვიან, ვინცაა დამნაშავე მათ უბედურებაში. ყველამ იცის, ხალხის სახელით რამდენმა დალია ხალხისვე სისხლი და რამდენისთვის აფხაზეთის ომი ტრამპლინად იქცა თანამდებობისკენ თუ ქონების მოხვეჭა-დაგროვებისკენ... ნახეთ, სად და როგორ ცხოვრობენ ე.წ. „აფხაზეთის მთავრობის“ წევრები და სად იტანჯება ხალხი, რომლის ტკივილი ვერ აღწევს გალავნებშემოვლებული სასახლეების დარბაზებში...

ხალხის რჩეული რომ ხარ, ეს არ ნიშნავს მათ ხარჯზე ცხოვრებას, იქნება ეს სასახლეები დედაქალაქში, ძვირად ღირებული იმპორტული მანქანები თუ სასწავლებლად საზღვარგარეთ გაგზავნილი შვილები...

მიპასუხეთ, რით ვერ დაიმსახურეს ადამიანური ცხოვრება სხვებმა — ვინც საქართველოს სკოლებშიც კი ვერ დადის, იმიტომ, რომ არა აქვს წიგნები, ტანსაცმელი და ფეხსაცმელი!

უფიქრიათ ამაზე? მათ ბედნიერებად უნდა ჩათვალონ მხოლოდ თანამდებობის დატოვება თუ აკმარა ხალხმა, რომლისთვისაც არაფერი გაუკეთებიათ და ალბათ ზოგიერთს არც შეეძლო, მაგრამ... რატომ იტვირთა, სთხოვა ვინმემ?!.

ისტორია ყველას მოსთხოვს პასუხს — ჩემი და ჩემი მეგობრების სახით შურისძიება ახლოსაა!..

არასოდეს მიოცნებია იარაღი მჭეროდა ხელში, არც „შავი სამყარო“ იყო ჩემი მისწრაფება, მაგრამ... როცა ხელი სისხლში გაქვს გასვრილი და მკვლელის სახელი გქვია, სულერთი ხდება მერე მსხვერპლის რაოდენობა — მით უმეტეს, როცა იცი, რომ იმას კლავ, ვინც ოჯახი დაგირბია, დედა და ცოლი აგიტირა, შვილი კი კოსმოპოლიტად გიქცია და ველარ აგებინებ, რატომ ტირი სოხუმის გახსენებაზე?!.

...თქვენთან საუბრის სურვილი საქართველოში ახალი მთავრობის მოსვლამ გამიჩინა, მინდა მათ მივაწვდინო ხმა: — დროა, მოიცალოთ აფხაზეთისთვის და მართლა იფიქროთ მის დაბრუნებაზე. სწორად წარმართულ პოლიტიკას სასწაულის მოხდენა შეუძლია, რწმენას კი ქუდზე კაცი გამოჰყვება და ჯარისკაცის ფარაჯასაც ჩაიცვამენ ვაჟკაცები, თუ გულანთებულ წინამძღოლს დაინახავენ. არადა — ჩვენ ჩვენი გზა და გეგმები გვაქვს, თმაში ჭაღარა გაგვერია ბიჭებს, ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ სოხუმის მიწაზე დამარხვის უფლება მოვიპოვოთ!..

აფხაზებმა უკვე გამასამართლეს და სიკვდილი მომისაჯეს, არ მინდა ვიფიქრო, რომ ქართველებმაც სასიკვდილო განაჩენი გამოგვიტანეს მე და ჩემს მსგავსებს, თორემ წინააღმდეგობის გაწევის უნარი ნამდვილად არ დაგვიკარგავს...

...აფხაზეთისადმი გამოჩენილი გულგრილობის შედეგია ისიც, რაც ახლა აჭარაში ხდება და მინდა შეგახსენოთ, რომ ხალხის ორად გახლეჩით და დაპირისპირებით დაიწყო ყველა უბედურება აფხაზეთში!..

ასლან აბაშიძე მარტო არ არის და არც „აჭარის ლომს“ ეძახიან ტყუილუბრალოდ. დიდი უბედურების დატრიალება შეუძლია და მარტო რომ იყოს, რა გვიჭირს — აქ, მოსკოვში, ბევრი რიგითი რუსიც კი აჭარას რუსეთის საკუთრებად მიიჩნევს და იმისი კი არ ეშინიათ, ქართველები შეგვიშლიან ხელსო(!) — იმას ეჭვობენ — ასლანმა არ გვიმუხთლოს, თურქებისკენ არ გაიწიოსო...

რუსები აჭარის ბედსაც თავისებურად წყვეტენ, ისევე როგორც აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის არ ეეჭვებოდათ თავის დროს... მოსკოვს სხვაც ბევრი „სტუმრობს“ ხარკით ხელდამშვენებული და მხარდაჭერის სანაცვლოდ, საქართველოს ღალატს არად დაგიდევთ... ესეც ჩემზე უკეთ უნდა იცოდეს ახალმა მთავრობამ და თუ არ იცის, ბრალი მისი.

აქ, მოსკოვში, გულხელდაკრეფილი არც ქართველები ვსხედვართ და არც... ჩვენი მტრები!... ღმერთმა ქნას, საერთო ვიპოვოთ ქართველებმა და მტერს დავასწროთ ბრძოლის დაწყება, თორემ სოროსის ფულები, რითაც შევარდნაძის ხელისუფლების დამხობა დაფინანსდა, ზღვაში წვეთი იქნება იმასთან შედარებით, რასაც ისინი გაიღებენ საქართველოს დასაჩეხ-დასანაკუწებლად. გონს მოვეგოთ ყველა, სანამ ჯერ კიდევ არ არის გვიან!..

...სიტყვა გაუგრძელდა ჩემს რესპონდენტს... ღელავდაო, ვერ ვიტყვი, აღშფოთებული უფრო იყო. — არც ერთ მთავრობას სერიოზული ნაბიჯი არ გადაუდგამს აფხაზეთის დასაბრუნებლადო! — მითხრა და როცა შევახსენე — ახალი მთავრობა სულ რამდენიმე თვეა, რაც მოვიდა-მეთქი, — უხეშად შემაწყვეტინა: მერე, საკმარისი არ არის, რომ ერთი ნაბიჯით მაინც წაწეულიყვნენ წინ?!.

იქნებ არც ღირდა იმ კაცთან კამათი, რომელიც საქართველოში მამის დაკრძალვაზე ჩამოვიდა და მშობლის უკანასკნელი ნებაც ვერ აასრულა — მამაშვილობას გაფიცებ, სოხუმის მიწის გარეშე არ დამტოვოო!...

P.S. არ დაგიმალავთ და ჩემი დღევანდელი რესპონდენტის ოჯახს ახლოს ვიცნობ, ისიც ვიცი, რომ მოსკოვში ნაშოვნი ფულით სახლები ქუთაისშიც იყიდა და ბათუმშიც... მოსკოვში ფული ქუჩაში არ ყრია და იქ გადახვეწილი ბევრი ჩვენი თანამემამულე პატიოსანი შრომით უკან დასაბრუნებელი ბილეთის ფულსაც ვერ შოულობს წლების მანძილზე...

არაფერი მითქვამს მისთვის ამის შესახებ... არც იმაზე, „შავი სამყაროს“ წევრად რომ თვლიან... იმიტომ არ ვუთხარი, რომ აფხაზეთის ომამდე, ისიც ჩვეულებრივი ბიჭი იყო და ინტელიგენტურ ოჯახში გაზრდილს, აზრადაც არ მოსვლია „შავობაზე“ ოცნება...

ჩემთან საუბარი იმიტომ ისურვა — ამ გაზეთს ბევრი კითხულობს, იმედი მაქვს, ყველა სათავისო მინიშნებას იპოვის ჩემს მონოლოგშიო!..

***ინგა ჯაყელი***





## რას გვეტყვი, მამაო?

**— რას ნიშნავს „მსგეფსი“ და რა დატვირთვა აქვს მას საეკლესიო კალენდარში?**

— „მსგეფსი“ ბერძნული სიტყვაა და შვიდეულს ნიშნავს. საეკლესიო კალენდარში წერენ ასე: „მსგეფსი ხსნილია“, — ეს ნიშნავს, რომ ეს შვიდეული ხსნილია, ანუ ამ კვირაში — შვიდი დღის განმავლობაში ხორცი ყოველ დღეს იხმევა. დღეს რატომღაც მეტყველებაში მხოლოდ სიტყვა „მსგეფსი“ დამკვიდრდა ხსნილის აღსანიშნავად, რაც სწორი არ გახლავთ.

**— გთხოვთ მოგვითხროთ იმ პირველ ქართველ წმინდანებზე, რომლებიც ქრისტეს მოსვლის პირველივე საუკუნეში ეწამნენ მაცხოვრისთვის.**

— ასეთები გახლავთ ქართველი არისტოკრატები, რომლებიც წმინდან ქართველთა ზეციურ დასში ასე მოიხსენიებიან: „წმინდა მოწამე სუქია და მის თანა 16 ქართველი“. ისინი ალბანეთის (ახლანდელი აზერბაიჯანის ტერიტორია) მეფის კარზე მსახურობდნენ და სომხეთში გამოთხოვილ ალბანეთის მთავრის ასულს გამოჰყვნენ მხლებლებად. მაშინ სომხეთში წმინდა თადეოზ მოციქული ქადაგებდა, რომელმაც ისინი მონათლა. საეკლესიო გადმოცემის მიხედვით მათ ნათლობისას მაცხოვარი გამოეცხადათ და ძალა მისცა, რომ მომავალი განსაცდელისთვის გაეძლოთ.

ცოტა ხანში ალბანეთის მეფემ შეიტყო თავისი ქვეშევრდომი ქართველების გაქრისტიანება, მოსთხოვა მათ უარეყოთ ქრისტეს რჯული და უკან დაბრუნებულიყვნენ. ქართველებმა უარი თქვეს. მაშინ თვითონ ალბანელები ჩამოვიდნენ და ხუთი გაქრისტიანებული ქართველი მახვილით განგმირეს. გადარჩენილ საძმოს წმინდა სუქია ჩაუდგა სათავეში, ძმები სომხეთში, სოფელ ბაღდევანის ახლოს დასახლდნენ. ალბანელებმა კვლავ მოსთხოვეს ძმობის წევრებს, ქრისტეს მსახურება შეეწყვიტათ და როცა ისევ უარი მიიღეს, ისინი შეკრეს და ცეცხლი წაუკიდეს. დამწვარი გვამებიდან წმინდა ნაწილები დარჩა, რომლებიც დაუფლავი, 30 წლის განმავლობაში უხრწნელად შეინახა. 123 წელს ადგილობრივმა ქრისტიანებმა ეს ნაწილები შეკრიბეს და დაფლეს (ათონის ივერთა მონასტრის ცნობით, ეს მოვლენა 100 წელს უნდა მომხდარიყო), ხოლო შემდეგ სომეხთა წმინდა მღვდელმთავარმა გრიგოლმა მათი წამების ადგილზე ეკლესია ააგო. შემდგომში ამ ადგილზე მკურნალმა წყალმა ამოხეთქა.

ამ ქართველების მოხსენიების დღეა 15 აპრილი (ძვ. სტილით).

**— ჩემი ნათესავის ვაჟი იეღოველ გოგონასთან მეგობრობს, მგონი უყვარს კიდეც. აღარ ვიცი, რა ვურჩიო. შეიძლება მათი მეგობრობა გაგრძელდეს?**

— მეგობრობა, თუ ის ჩვენს რწმენას არ აზიანებს, ანუ არ ვარღვევთ ქრისტიანულ ცნებებს, ყველა სარწმუნოების ადამიანთან შეიძლება, მაგრამ ეკლესია სხვადასხვა სარწმუნოების ადამიანებს ჯვარს არ დასწერს. ეკლესიის ხედვით, ოჯახი პატარა ტაძართან არის გაიგივებული, სადაც ცოლ-ქმარი „ერთ სულ და ერთ ხორც“ არიან. როგორ იქცევა ორი ადამიანი „ერთ სულ და ერთ ხორც“, თუკი მათ სხვადასხვა რწმენა აქვთ? რწმენათა სხვადასხვაობა ოჯახურ ცხოვრებაში აუცილებლად პრობლემებს შეუქმნით. იმედი გვაქვს, ოჯახის შექმნის სურვილი ახალგაზრდებს უფალთან მისასვლელ სწორ გზას აპოვნინებს. ამისთვის ვაჟს ლოცვა მართებს...

**— შეიძლება თუ არა ძმისშვილები „დედის ლოცვაში“ შვილთან ერთად მოვიხსენიოთ?**

— რაღა თქმა უნდა, შეგიძლიათ. თუ ძმისშვილებს სულიერადაც შვილებად აღიქვამთ, „დედის ლოცვაში“ მათი მოხსენიებისთვის ხელს არაფერი გიშლით — ისინი ხომ თქვენი სისხლის ნაწილნი არიან.

**— 3 წელია, ეკლესიაში დავდივარ და მოძღვარიც მყავს. აქამდე ყველაფერი კარგად იყო, მაგრამ ბოლო ხანს, როცა აღსარების ჩაბარება მინდოდა, მოძღვარმა მითხრა, როცა საჭირო იქნება, აღსარებას მაშინ ჩავიბარებო. ამ პასუხმა შემაწუხა. გთხოვთ, მირჩიოთ, შემიძლია თუ არა ახალი მოძღვრის არჩევა.**

— ყოველი მოძღვრისა და სულიერი შვილის ურთიერთობა არა მარტო საეკლესიო წესებზე, არამედ მათ ხასიათზედაც არის დამოკიდებული. ვფიქრობთ, პირველ რიგში იმაზე უნდა დაფიქრდეთ, რამ გამოიწვია მოძღვრის ასეთი პასუხი — საეკლესიო წესების შეუსრულებლობამ თუ ხასიათის თავისებურებამ. გაითვალისწინეთ ისიც, რომ მოძღვარი შუამავალია თქვენსა და უფალს შორის, ხოლო უფალთან მიახლოება საეკლესიო წესების მორჩილებას მოითხოვს. თუ ამ წესების გამო მან აღსარებამდე დროის გახანგრძლივება საჭიროდ ჩათვალა, მაშინ მისი ეს გადაწყვეტილება თანხმობით უნდა მიიღოთ.

რასაკვირველია, მოძღვრის გამოცვლის უფლებაც გაქვთ, თუმცა მართებული არ იქნება, მხოლოდ იმ მიზეზით მიატოვოთ სულიერი მამა, რომ მკაცრად გიპასუხათ. ასე მოძღვრის არჩევას თვითმიზნად აქცევთ და შეიძლება მომავალშიც რაიმე წყენის გამო მოისურვოთ მისი გამოცვლა.

***თქვენთვის საინტერესო კითხვები მოგვაწოდეთ „კვირის პალიტრის“ ყუთების საშუალებით. მათი განლაგების შესახებ იხ. გვ. 36.***

***მკითხველთა შეკითხვებზე უპასუხებენ მართლმადიდებელი მამები.***



# ქართული მწვანილი ქურდებსაც ჰყვარებიათ

## „ცალკე თათარი რეკეტიორები გვაწერენ ფულს, ცალკე — ქართველი ქურდები“

*რუსეთის ქალაქებში სავაჭროდ ჩასულ ქართველ მემწვანილეებს კანონიერი ქურდები ავიწროებენ. კრიმინალური სამყაროს „ელიტურ“ წარმომადგენლებს თითოეულ კილოგრამ მწვანილზე ნიხრი აქვთ დაწესებული. „კარგი ბიჭი ხარ და ნუ გადაიხდი, ბაზრიდან გაგიყვანენ და იმდენს გირტყამენ, სულ დაგავიწყდება, მწვანილი რა არის“, — ამბობენ ქუთაისელი მემწვანილეები.*

*იყო დრო, როცა კანონიერი ქურდებისათვის მდიდრული ცხოვრების უარყოფა პრესტიჟულად ითვლებოდა. დრო შეიცვალა. „გვირგვინოსანი“ დამნაშავეები დღეს განცხრომით ცხოვრებას ამჯობინებენ: ფეშენებელური ვილები პრესტიჟულ კურორტებზე, ბოლო მოდელის ავტომობილები, პირადი დაცვა. ყველაფერ ამას კანონიერმა ქურდებმა ბიზნესის შემოსავლიანი დარგების გაკონტროლებით მიაღწიეს. შეიძლება ბევრს გაუკვირდეს, მწვანილის ბიზნესი რა არის და მისი გაკონტროლებაო, მაგრამ ეს სფერო, ეტყობა, იმდენად მომგებიანია, რომ კანონიერმა ქურდებმა საქართველოდან რუსეთში გასაყიდად ჩატანილ მწვანილზე სრული მონოპოლია მოიპოვეს.*

**კრიმინალურ-მემწვანილური სინდიკატი იფურჩქნება. სხვათა შორის, ჩვენი ინფორმაციით, რუსეთში მყოფი ქართველი კანონიერი ქურდები არა მარტო მემწვანილეებს ავიწროებენ, პრობლემები იქ მყოფ სხვა ქართველ მეწარმეებსაც აქვთ. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ქართველი ქურდები მხოლოდ ქართველ ბიზნესმენებზე ნადირობენ და რუს ბიზნესმენებზე „გასვლას“ ვერ ბედავენ.**

*რუსულ ბაზარზე, ძირითადად, ქუთაისსა და მის მოსაზღვრე ტერიტორიებზე მოყვანილი მწვანილი შედის. ქართულ მწვანილს იქ კარგი მაზანდა აქვს. ამიტომ იმერეთის სოფლების — გეგუთის, ტყაჩირის, პატრიკეთის და ფარცხანაყანების მოსახლეობა დიდი ხანია ამ ბიზნესს მისდევს. ბიზნესის ხანგრძლივობა თავისთავად მის მომგებიანობაზე მეტყველებს. ამიტომ თვითმხილველთა ინფორმაციით, კრიმინალური სამყარო ჯერ კიდევ 5-6 წლის წინ შეეცადა აქ თავისი წილი დაედო. ეს გეგმა წარმატებით განხორციელდა. რა უჯდებათ ეს „სიამოვნება“ რუსეთში მყოფ მოვაჭრეებს, ამ თემაზე „კვირის პალიტრა“ მოსკოვში, „ბაუმანის ბაზრობაზე“ მწვანილით მოვაჭრე ლენა დ-ძეს ესაუბრება:*

— თითქმის სამი წელია, მწვანილის ბიზნესში ვსაქმიანობ. თავიდან ყველაფერი კარგად მიდიოდა. ქუთაისიდან მწვანილი ჩვენი ტრანსპორტით მიგვქონდა. არ იფიქროთ, კონტრაბანდულად გადაგვქონდა — ცხინვალის საბაჟოზე კილოგრამი მწვანილის განბაჟებაში 19 რუბლს ვიხდიდით.

ერთხელ კი დაგვიბარეს ქურდებმა და გვითხრეს, ქუთაისიდან მწვანილი მხოლოდ ჩვენი მანქანებით უნდა გაიტანოთ. ვინც საქონელს საკუთარი მანქანით წაიღებს, მანქანებს დავუწვავთო.

**— რა მნიშვნელობა ჰქონდა, ვისი მანქანებით ჩავიდოდა მწვანილი რუსეთში?**

— ის, რომ კილოგრამ მწვანილში 25 რუბლი მოგვთხოვეს. ამიტომ აძლევდათ ხელს საკუთარი ტრანსპორტით გადატანა. მძღოლი საბაჟოზე ისევ 19 რუბლს იხდიდა, 6 კი ქურდებს რჩებოდათ. არადა, ადრე მხოლოდ ბაზარში გვესხდნენ წილში. ეს წესი იანვრიდან შემოიღეს და მას შემდეგ უკულმა წავიდა ჩვენი საქმე. ამას ისიც დაემატა, რომ მოსკოვში უზბეკეთიდან შემოვიდა მაღალი ხარისხის მწვანილი, რომელმაც დიდი კონკურენცია გაგვიწია და დიდი ვალი დაგვედო... გთხოვთ, იქნებ ვინმემ ყურად იღოს ჩვენი გასაჭირი და ეს წურბლები მოგვაშორონ.

**— სულ რამდენი მოვაჭრეა „ბაუმანის ბაზრობაზე“?**

— 15-20 კაცი ვართ. ესენი ჩვენზე მეტნი არიან. მათთან რას გავხდებით? ამიტომ ვთხოვთ თქვენს გაზეთს დახმარებას.

**— რამდენს იხდით ქურდების სასარგებლოდ ვაჭრობის შემოსავლებიდან?**

— თუ კარგი ვაჭრობა გვაქვს, ერთი კილოგრამი მწვანილიდან 10 რუბლს ქურდებისათვის გადავდებთ ხოლმე, ისე კი 5-ს ვიხდით. ეს დაწესებული გადასახადია — რამდენი კილოგრამი მწვანილიც გვაქვს, იმდენი 5 რუბლი უნდა გადავიხადოთ.

**— ამ თანხას ყოველდღიურად იხდით?**

— მანქანა მოვა, მწვანილი აიწონება და ამის მიხედვით ვიხდით.

**— მწვანილი ქურდების თანდასწრებით იწონება?**

— არა. ადგილობრივი რეკეტი წონის.

**— ადგილობრივი რეკეტი ვინღაა?**

— „ბაუმანის ბაზარი“ თათარი რეკეტიორების ხელშია. მაგრამ მათთან პრეტენზია არა გვაქვს — კილოგრამ მწვანილში სამ რუბლს ვუხდით და ალალი იყოს. გვერდში გვიდგანან და ბევრ რამეში გვეხმარებიან. მაგალითად, კლიენტმა ნისიად თუ წაიღო მწვანილი და ფულის მოტანა აღარ უნდა, თათარი რეკეტიორები მოძებნიან და მოატანინებენ ამ თანხას.

**— თუკი ბაზარს თათრების რეკეტი აკონტროლებს, ქართველ ქურდებს იქ რაღა ხელი აქვთ?**

— ერთმანეთს არ ეხებიან. ეტყობა, რეკეტიორებსაც ეშინიათ ქურდების. თათრები თანაგვიგრძნობენ, ქართველი ქურდები კი ისე გვექცევიან, ვითომ მოსისხლე მტრები ვიყოთ. ხშირად, რაღაც მიზეზის გამო, მძღოლი გზაში ყოვნდება და მწვანილი უფუჭდება. ასეთ საქონელს მოსკოვში არავინ იყიდის და გადასაყრელია. ეს ხომ თავისთავად ზარალია, რომელიც ჩვენ გვეწერება, მაგრამ ქურდებს არაფრის გაგება არ უნდათ. დაწესებული 5 რუბლი მაინც უნდა გადავუხადოთ. ბოლო დროს, 3.500 დოლარის ღირებულების საქონელი ჩავიტანე და ათას დოლარზე მეტი ვერ ამოვიღე. ქურდებმა კი თავისი წილი მაინც წაიღეს. ოღონდ გვეშველოს და მათი გვარების დასახელებასაც არ მოვერიდებით. ნეტა ვინმე დაინტერესდებოდეს ჩვენი ბედით.

**— არ გიცდიათ ადგილობრივი სამართალდამცველებისთვის მიგემართათ?**

— რა აზრი აქვს. მილიციას დღემდე არავინ დაუკავებია. ქურდები თვითონ კი არ მოდიან ფულის ასაღებად, თავიანთ კაცს აგზავნიან. ეს კაცი რომც დავაჭერინოთ, ამით არაფერი შეიცვლება. მის ადგილზე ახლა სხვა მოვა. ქურდები კი ისევ იპარპაშებენ და, ვინ იცის, გაბრაზებულ გულზე „სტავკებიც“ გაგვიზარდონ.

*ერთი სიტყვით, კრიმინალურ-მემწვანილური სინდიკატი იფურჩქნება. სხვათა შორის, ჩვენი ინფორმაციით, რუსეთში მყოფი ქართველი კანონიერი ქურდები არა მარტო მემწვანილეებს ავიწროებენ, პრობლემები იქ მყოფ სხვა ქართველ მეწარმეებსაც აქვთ. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ქართველი ქურდები მხოლოდ ქართველ ბიზნესმენებზე ნადირობენ და რუს ბიზნესმენებზე „გასვლას“ ვერ ბედავენ. ამ მოვლენის არსის ასახსნელად „კვირის პალიტრა“ ექსპერტ-კრიმინალისტს* ***ამირან ბუაძეს*** *ესაუბრა:*

— იმ ფაქტში, რომ ქართველი ქურდები სწორედ ქართველ მეწარმეებს ავიწროებენ, გასაკვირი არაფერია. ბევრმა ბიზნესმენმა, რომლებსაც რუსეთში საქმის წამოწყება სურდათ, ხელი აიღეს ამ განზრახვაზე მხოლოდ იმის გამო, რომ ქურდები აწუხებდნენ. პარადოქსია, მაგრამ ქართველი ქურდები იშვიათად თუ შეაწერენ ფულს რუს მეწარმეებს.

**— რატომ?**

— ამაში უპირველესად ჩვენი მენტალიტეტია დამნაშავე. ფსევდოკაცური გაგების გამო ჩვენთვის სირცხვილია, პოლიციაში მისვლა და დანაშაულის ფაქტის დაფიქსირება, ამიტომ ქურდები ბიზნესმენებს ცხვრებივით წველიან. სამაგიეროდ, იმავეს ვერ გაუბედავენ რუსებს. რუსი მაშინვე მილიციაში გაიქცევა და ქურდებსაც გათოკავენ. ამდენად, სამართალდამცველთა მიმართ უნდობლობა დიდ როლს თამაშობს.

**— მაგრამ ამ უნდობლობასაც ობიექტური მიზეზები აქვს — ხშირად სამართალდამცველები და ქურდები ერთობლივად „წველიან“ იმავე ცხვრებს.**

— გასაგებია, რასაც გულისხმობთ, მაგრამ სამართალდამცველების სახით როგორი „კრიშაც“ უნდა ჰყავდეს ქურდს, მილიციელი მაინც გაწირავს, თუკი მასზე ოფიციალური საჩივრები იარსებებს. ყოველ შემთხვევაში, თუ არ დაიჭერს, იმას მაინც ეტყვის, ამ საქმეს შეეშვას. მიუხედავად ამისა, კონკრეტული საჩივრით ჯერ არავის მოუმართავს. ერთ მაგალითს მოგიყვანთ: ორი წლის წინ თბილისელმა ბიზნესმენებმა ნოვოსიბირსკში ხეტყის დამამუშავებელი პუნქტი გახსნეს. იქ მყოფმა ქართველმა ქურდებმა იმდენი ფული შეაწერეს, რომ იძულებულები გახდნენ, თბილისში დაბრუნებულიყვნენ. როცა ვკითხე, ოფიციალურად რატომ არ განაცხადეთ-მეთქი, მიპასუხეს — ცოლშვილიანად ამოგვწყვეტდნენო. ერთეულ შემთხვევაში ეს შეიძლება მართლაც ასე იყოს, მაგრამ თუკი ნებისმიერი გამოძალვის ფაქტი დაფიქსირდება, მაშინ ყველაფერი შეიცვლება.

**— მოსკოველმა მემწვანილეებმა რა უნდა ქნან, რომ გამოძალვას თავი დააღწიონ?**

— თუკი კონკრეტული გვარები დასახელდება, ალბათ ამას შესაბამისი რეაგირებაც მოჰყვება. ვიმეორებ — ყველა კონკრეტულ შემთხვევაში, როცა საქმე გამოძალვას ეხება, სამართალდამცველებს უნდა დაუკავშირდნენ.

ჩვენთან საუბრისას იმავეს იმეორებს შსს-ს სისხლის სამართლის სამძებროს მთავარი სამმართველოს უფროსი ზაზა ფერაძე: „როცა ფაქტი გამოიკვეთება, მივმართავთ რუს კოლეგებს და მოვითხოვთ ჩვენი მოქალაქეების დაცვას.“

P. S. იმედია, ქართველი სამართალდამცველები გაითვალისწინებენ მოსკოვში მყოფი ჩვენი თანამემამულეების გასაჭირს და შესაბამის ზომებს მიიღებენ. ამით ეს ხალხიც იხეირებს და საქართველოში საექსპორტო ბიზნესიც დაუსხლტება კრიმინალის კლანჭებს.

**დავით დევდარიანი**

# სუნთქვა სახიფათოა (?!)

## „გამოსავალი“ — რაც შეიძლება ნაკლები ვისუნთქოთ...

***(დასაწყისი იხ. გვ. 5)***

**— კონტრაბანდის აღსაკვეთად არაერთ ხერხს მიმართეს. მაინც რა არის საჭირო, რომ ქვეყანაში ასეთი სახის საწვავი აღარ შემოვიდეს?**

— კონტრაბანდის სრულიად აღმოფხვრა არც ერთ ქვეყანას არ ძალუძს. ასეთი სახით ბენზინი ამერიკაშიც შედის და ევროპის ნებისმიერ ქვეყანაშიც. ჩვენ მისი მასშტაბების შემცირებისთვის უნდა ვიბრძოლოთ. მგონი, ამ ეტაპზე ჩვენში ეს ტენდენცია იგრძნობა, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი რამეა გასაკეთებელი. თუმცა, კონტრაბანდასაც თავისი ობიექტური მიზეზები აქვს: ვიდრე ცხინვალის სახით განდგომილი რეგიონი იარსებებს, კონტრაბანდის საკითხი ყოველთვის აქტუალური იქნება.

**— ამბობენ, რომ კონტრაბანდული სახით დიზელის საწვავი უფრო მეტი შემოდის, ვიდრე ბენზინი.**

— დიზელის საწვავი, ძირითადად, პატარა პარტიებად, მსუბუქი მანქანებით შემოაქვთ. მათი დაკავების ფაქტიც უფრო ხშირია. ამიტომ იქმნება შთაბეჭდილება, რომ კონტრაბანდისტები ძირითადად „სალიარკის“ შემოტანით არიან დაკავებული. ბენზინი უფრო დიდ პარტიებად შემოდის, მაგრამ აქ სრულიად სხვა მექანიზმია. კონტრაბანდული ბენზინის გამოპარების ერთ-ერთი ხერხი ასეთია: ვთქვათ, ცისტერნებით შემოაქვთ ათასი ტონა ბენზინი. განბაჟების დროს მითითებული არ არის მისი რეალური რაოდენობა. საბაჟო პუნქტებზე ფიქსირდება, რომ გატარებულია ხუთასი ტონა; ანუ დანარჩენი ხუთასი, რომელიც არ აღრიცხულა, უკვე კონტრაბანდას წარმოადგენს.

**— ასეთ შემთხვევაში, რატომ აძლევს ხელს ბენზინგასამართი სადგურების მეპატრონეებს უხარისხო ბენზინის ხარისხიანში გადარევა?**

— ზედმეტ მოგებაზე უარს ვინ იტყვის. თანაც, კონტრაბანდით. ძირითადად, კონტრაბანდისტი ხეირობს და არა ბენზინგასამართი სადგურის მეპატრონე. ამიტომ მიმაჩნია, რომ კონტრაბანდული საწვავის საკითხი მაინც საბაჟოზე უნდა გადაწყდეს და არა — ბენზინგასამართ სადგურზე.

*P. S. ერთი სიტყვით, კონტრაბანდა მძიმე სენია, მაგრამ საგანგაშო უფრო ის არის, რომ იგი ეკონომიკის გარდა, ნებისმიერი ჩვენგანის ჯანმრთელობასაც ემუქრება.*

*იმედია, ეს პრობლემაც მოგვარდება და ჩვენს ქვეყანაში სუნთქვა სახიფათო აღარ იქნება. მანამდე კი, ალბათ, უპრიანი იქნება აირწინაღები შევიძინოთ და ისე ვისეირნოთ თბილისის ქუჩებში, იქნებ ვინმემ შეგვამჩნიოს, შეგვეცოდოთ და დახმარების ხელიც გამოგვიწოდოს... ან მეორე „გამოსავალი“ — რაც შეიძლება ნაკლები ვისუნთქოთ(?!).*

**დავით დევიძე**



# მე კი ვარ რომანტიკოსი, მაგრამ...



***რუსთაველის პროსპექტზე საუკუნოვან ჭადრებს ტოტები დააჭრეს. ეს ახალი საქართველოს სიმბოლოა. შევარდნაძისეული ეპოქის საქართველო აღარ აღორძინდება, კორუფციას ძირფესვიანად ამოვძირკვავთო, — ამბობენ თბილისელები და ძირკვავენ კიდეც. საქართველოში იტალიური ოპერაციის, „სუფთა ხელების“ ფორმატის წმენდა მიდის. უკვე სამი თვეა, ქართველები დღე და ღამე თვალმოუშორებლად უყურებენ ქართულ სატელევიზიო ტრილერს: დაჭერები, ნიღბიანი სპეცრაზმელები, აფეთქებები, ავტომატების კაკანი, კანონიერი ქურდების დაპატიმრება, მათი ცოლების კივილ-წივილი, გრუხუნი, ტყვიების ზუზუნი... ყველაფერი ეს ნამდვილი ომის შეგრძნებას იწვევს, რასაც სამართლიანად განრისხებული და გულწრფელად შეწუხებული ახალგაზრდა პრეზიდენტის სახე ერთვის. და მაინც, ვინ არის ეს შეუდრეკელი გოლიათი შეუდარებელი ქარიზმით, ვინ არის ეს „ახალი ქართველი“, რა არის მისი წარმატების საიდუმლო? რა და, მისი უშიშარი გულწრფელობა, სისხარტე და სიმძაფრე, მრისხანება. ის არ თამაშობს, ჩვენი, გამორჩენის მაძიებელი მასხარებისაგან განსხვავებით, ნაღდია და თავისი ყოველი სიტყვისა სჯერა. მიხეილ სააკაშვილს სწამს, რომ სამშობლოს განაახლებს, ეს მისი მოვალეობაა. ამიტომაც საკუთარი ჯიბგირების მიერ გაძარცულ და გამათხოვრებულ საქართველოს გულწრფელად სჯერა მისი. სააკაშვილი ამას გრძნობს და.... ჩქარობს.***

**— ბატონო პრეზიდენტო, თქვენ ბრძანებთ, რომ კორუფციასთან ბრძოლაში პუტინის მოწაფე ხართ. მგონი, ამ საქმეში პუტინსაც აჯობეთ და კორუფციას ბრძოლა კი არა, ომი გამოუცხადეთ.**

— სამწუხაროდ, მკვეთრი გადაწყვეტილებების გარეშე საქართველოს განახლება არ მოხერხდება. ქართველები რუსებივით მომთმენნი არ არიან. 10 წელი ითმინეს და მერე ვარდების რევოლუცია მოახდინეს. ისინი დაიღალნენ მოთმენით. უნდათ ნახონ, რა კეთდება განახლებისათვის და ხედავენ კიდევაც — პირდაპირი ეთერით. ამას წინათ ორმა ყოფილმა მინისტრმა სახელმწიფო ხაზინაში 10 მილიონი დოლარი შეიტანა, ყველა დანარჩენი ქურდიც იმდენს დააბრუნებს, რამდენიც მოიპარა.

**— სკეპტიკოსები ამბობენ, რა მოხდა, ფულს შეიტანენ და საქმეც დაიხურებაო.**

— ასე უწინ იყო. ახლა კი დაბრუნებული თანხა ინდულგენცია არავისთვის იქნება. ქურდი ჩინოსნის მიმართ აღძრული სისხლის სამართლის საქმე არ დაიხურება — ყველა წარდგება სასამართლოს წინაშე. ხოლო თუ სასამართლო ამ პირებს განაჩენს გამოუტანს, სასჯელის მოხდის შემდეგ სამუდამოდ აეკრძალებათ საპასუხისმგებლო თანამდებობების დაკავება! ამოღებული თანხა გაყინულ ხელფასებსა და პენსიებზე წავა.

**— ამას როგორ უყურებს დასავლეთი?**

— ეტყობა, დასავლეთშიც ყველა ალხანას თავისი ჩალხანა ჰყავს! ჩვენი თაღლითები დასავლეთში ჟურნალისტებს ქირაობენ და ისინიც აცხობენ პუბლიკაციებს მათ დასაცავად. მე ვეკითხები იქაურ პოლიტიკოსებს: ხომ ითხოვდით ჩემგან კორუფციასთან ბრძოლას? ჰოდა, დავიწყეთ ბრძოლა, მაგრამ თქვენ აღარ მოგწონთ ეს. ხან ყვიროდით, რატომ არ იბრძვითო, ახლა კი გაიძახით — ასე თავგამოდებით რატომ ებრძვითო... მაგრამ ეს ხომ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაა, წავიდა თამაშისა და ლაქუცის დრო!

ჩვენ გვირჩევნია, მაფიოზი თავისუფალი იყოს და უფულოდ, ვიდრე ბევრი ფულით ციხეში იჯდეს. იქ ხომ მას კომფორტი აქვს, იქიდან მართავს თავის მაფიოზურ ჯგუფს. თავისუფლებაში მყოფი და უფულო მაფიოზის ფასი კი კაპიკია.

**— თქვენ არა მარტო კორუფციას, სეპარატიზმსაც ომი გამოუცხადეთ. აფხაზეთთან და აჭარასთანაც ომია?**

— აფხაზეთთან ჩვენ სერიოზულ მოლაპარაკებებს დავიწყებთ კონსენსუსის მისაღწევად. აჭარაში კი ყველაფერი გაქურდულია, მთელი სანაპირო ჩინოსნებმა შეისყიდეს, ხალხი აბაშიძის ფეოდალიზმის წინააღმდეგია. პოლიტპატიმრები აჭარის ციხეებში სხედან, ამის გამო კი საქართველოს დააჯარიმებენ! არა, ბატონო, ამაზე პასუხი შევარდნაძეს და აბაშიძეს უნდა მოეთხოვოს. ჩვენ არ შევურიგდებით იმას, რომ ამ კაცის ჯიბეში მილიონობით დოლარი ჩადის — 120 მილიონი დოლარი მარტო ბათუმის პორტში ქრება!

**— როგორ აპირებთ ამ სეპარატიზმ-ფეოდალიზმთან ბრძოლას?**

— ჩვენ არ გვინდა ამ პრობლემის ძალისმიერი გზით გადაჭრა. ჯერ ვითმენ... ვემუდარები აბაშიძეს — თუ შეიძლება, როგორც ცივილიზებულ ქვეყნებშია მიღებული, დაუქვემდებარეთ ფედერალურ ხელისუფლებას საბაჟო და საზღვარი-მეთქი. მაგრამ ყველაფერს საზღვარი აქვს. გახსოვთ, ჟან-ჟაკ რუსოს ნათქვამი: „მხოლოდ ძლიერი სახელმწიფო უზრუნველყოფს თავისი მოქალაქეების თავისუფლებას“.

**— რუსოს კიდევ ერთი ცნობილი ფორმულა ეკუთვნის: „სახელმწიფოს ღირსება მის მოქალაქეებზეა დამოკიდებული“. თქვენს მოქალაქეებს ვისი იმედი აქვთ?**

— ახალი ქართველების — დასავლეთში განათლებამიღებული რეფორმატორების, ისინი ზრუნავენ საქართველოს კეთილდღეობისათვის, პრაგმატულად, საქმიანად.

**— რომანტიზმს რაღას უშვრებით? თქვენ ხომ მგზნებარე რომანტიკოსი ხართ?**

— მე კი ვარ რომანტიკოსი, მაგრამ სახელმწიფო რომანტიკული არ შეიძლება იყოს — საქართველოც კი. დღევანდელ ცივილიზებულ ყოფაში ძველი რომანტიკული ფორმატი არ ივარგებს. სახელმწიფო ევროპულად ან ამერიკულად ცივილიზებული და პრაგმატული უნდა იყოს.

**— და ცოტაც — ქართული?**

— სამარადისოდ, უკუნითი უკუნისამდე და არა — ცოტ-ცოტა...

***იბეჭდება შემოკლებით***
***იზვესტია №67***

# აფხაზეთის ამბები

აფხაზეთში სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდა გაეროს გენერალური მდივნის წარმომადგენელი საქართველოში ჰაიდი ტალიავინი. ქ-ნი ტალიავინი მიიღო რესპუბლიკის ვიცე-პრეზიდენტმა ვალერი არშბამ. მათ განიხილეს 21-23 აპრილს, გაეროს ეგიდით ჟენევაში დაგეგმილი ქართულ-აფხაზური შეხვედრის საკითხები. გენერალური მდივნის საგანგებო წარმომადგენელს იმედი აქვს, რომ ჟენევის შეხვედრა ბევრ შეკითხვაზე გასცემს პასუხს, რომელიც უსათუოდ განაპირობებს შემდგომ სოხუმში შეხვედრას. ვალერი არშბამ და ჰაიდი ტალიავინიმ ისაუბრეს მოსკოვში სამმხრივ შეხვედრაზე, რომელიც 2003 წლის სოჭის მოლაპარაკების რეალიზებას შეეხება.

***ლენტა.რუ***

„ეკონომიკური საკითხების გადაწყვეტა, კერძოდ, სოჭი-თბილისის სარკინიგზო კავშირის აღდგენა, ენგურჰესის კასკადის მოდერნიზება და გალის რაიონში დევნილთა დაბრუნება სოჭის ხელშეკრულების რეალიზებაზეა დამოკიდებული“, — აცხადებს აფხაზეთის მთავრობის მეთაური რაულ ჰაჯიმბა. პრემიერ-მინისტრმა მკაფიოდ აღნიშნა, რომ სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენის საკითხი აფხაზეთის და იმათი გადასაწყვეტია, ვინც მას არემონტებს, ანუ რუსეთისა. „აფხაზეთის ტერიტორიაზე რკინიგზის სარემონტო სამუშაოებში ქართული მხარის მონაწილეობა გამორიცხულია. საქართველომ თავის ტერიტორიაზე აწარმოოს შესაბამისი სამუშაო“, — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა და დასძინა, — აფხაზეთი თავად გადაწყვეტს, ვისთან იმუშაოს“. აღსანიშნავია, რომ სოჭის ხელშეკრულებას, რომელიც ლტოლვილების უსაფრთხო დაბრუნებას, რკინიგზის აღდგენას და ენგურჰესის სამუშაოებს ეხება, 2003 წელს ხელი მოაწერეს ვლადიმირ პუტინმა, ედუარდ შევარდნაძემ და აფხაზეთის პრემიერ-მინისტრმა გენადი გუგულიამ.

***რეგნუმ.რუ***

***გვერდი მოამზადა თინათინ მარგველაშვილმა***

# აბაშიძეს გადასახლებაში ისტუმრებენ

ოპოზიციური მოძრაობა „ჩვენი აჭარის“ ერთ-ერთმა წარმომადგენელმა, პარლამენტის დეპუტატმა ნუგზარ მგელაძემ ბრიფინგი გამართა და აჭარის პრეზიდენტის ასლან აბაშიძის უახლესი გეგმები გაამხილა — აჭარის მეთაური ავტონომიის დატოვებას და დევნილი მთავრობის სათავეში ჩადგომას აპირებს უცხოეთშიო. მეტიც, აბაშიძე თითქოს უკვე აყალიბებს მთავრობას, რომელიც მასთან ერთად წარმართავს პროცესებს საზღვარგარეთიდან. ამ ვერსიით, ქვეყნიდან გაქცევის საბაბი აბაშიძის მომხრეების მიერ მოწყობილი „მსხვილი პროვოკაცია“ იქნება. სცენარი ძალზე საინტერესოა: შეთქმულება, პროვოკაცია, ქვეყნიდან გაქცევა და „მთავრობა დევნილობაში“, რომელიც უხელმძღვანელებს არეულობებს აჭარასა და საქართველოს სხვა რაიონებში. ჯერ გაურკვეველია, რომელ ქვეყანაში აპირებს დაფუძნებას აბაშიძე.

საგულისხმოა, რომ ეს თქვა კაცმა, რომელიც აჭარის მეთაურის ლანძღვითაა ცნობილი, თანაც თქვა საქართველოს სახელმწიფო კანცელარიაში, პრეზიდენტ სააკაშვილთან შეხვედრის წინ. ყველა ეს „დამთხვევა“ შეიძლება იმის დასტურად მივიჩნიოთ, რომ აბაშიძის „გაქრობის“ მორიგი ინფორმაცია შეკვეთილი ხასიათისაა — წელიწად-ნახევრის წინ აჭარის მეთაური ერთხელ უკვე „გაქრა“! აბაშიძის რუსეთში ხშირი ვიზიტებით შეწუხებულმა შევარდნაძემ აჭარის ლიდერი ახსნა-განმარტებისთვის თბილისში დაიბარა. სპეცსამსახურების თავდასხმის შიშით აბაშიძე 11 წელი არ ჩასულა თბილისში და არც მაშინ შეუწუხებია თავი. პრესაში კი დაიწერა — აბაშიძე რუსეთსა თუ ამერიკაში გაემგზავრაო. თუმცა მეორე დღესვე ბათუმში „აღმოჩენილმა“ აბაშიძემ ბრძანა, ეს არის პროვოკაცია, ჭორები სიტუაციის გასამწვავებლად გავრცელდაო. ასეთსავე მიზანმიმართულ პროვოკაციას ჰგავს მგელაძის განცხადებაც, თუმცა არც იმის გამორიცხვა შეიძლება, რომ აბაშიძემ უკვე მოიმზადა „სათადარიგო აეროდრომი“, იმ შემთხვევისთვის, თუკი თბილისი მისი ძალით გადაყენებას შეეცდება. ადვილი შესაძლებელია, რომ მიხეილ სააკაშვილის გარემოცვას აბაშიძის ნეიტრალიზების გეგმაც ჰქონდეს.

თუმცა ყოველივე ეს აჭარის ელიტასა და საზოგადოებას შორის განხეთქილების მოსახდენად პოლიტიკურ პროვოკაციას უფრო ჰგავს. ამ ჭორების კვალდაკვალ ადვილი შესაძლებელია, რომ აჭარის პოლიტიკურ ელიტაში დაიწყონ მარჩიელობა — ვის იახლებს პრეზიდენტი დევნილობაში. მეორე მხრივ, მას შემდეგ, რაც მგელაძემ აბაშიძის გარემოცვის მიერ ვითომდა მომზადებულ პროვოკაციაზე გააფრთხილა საზოგადოება, აჭარის ტერიტორიაზე მომხდარი ყველანაირი არეულობა თამამად შეიძლება დაჰბრალდეს მის ლიდერს. ამ შემთხვევაში „ჩვენი აჭარის“ წარმომადგენლის განცხადება შეიძლება აღიქმებოდეს, როგორც თბილისის აშკარა რჩევა აჭარის პრეზიდენტისადმი — დატოვოს ქვეყანა და არ მიიყვანოს საქმე სისხლის ღვრამდე.

***პოლიტ.რუ***

# რა ელის ჩემპიონატს...



ქართული ხელისუფლების ურჩმა ასლან აბაშიძემ აჭარაში ქალთა მსოფლიო საჭადრაკო ჩემპიონატის ჩატარება გადაწყვიტა. საპრიზო ფონდი 500 ათასი დოლარია. აჭარის ლიდერი ამ საკითხზე ფიდეს პრეზიდენტს ყირსან ილ-უმჟინოვსაც მოელაპარაკა, ხელშეკრულებასაც მოაწერეს ხელი, რომლის თანახმად, ტურნირი გაიმართება ბათუმში, 23 მაისიდან 7 ივნისამდე. თბილისი აღშფოთდა — მას მოჭადრაკეთა ბედი ადარდებს. კულტურისა და სპორტის მინისტრმა გიორგი გაბაშვილმა განაცხადა, შეჯიბრება არ გაიმართებაო, — „საქართველო ამ ტურნირს არ ჩაატარებს, ჩვენ ამის შესახებ ფიდეს ხელმძღვანელობასაც ვაცნობებთ“. ხელისუფლებამ აჭარა განსაკუთრებულად საშიშ ზონად გამოაცხადა, მისი ლიდერი კი დაადანაშაულა — საჭადრაკო ბატალიების ჩატარებაში პირად გამორჩენას ელისო. „აბაშიძეს ამ ჩემპიონატით ცოდვების ჩამოწერა უნდა. ის არ აპირებს განიარაღებას. ასეთ ვითარებაში წარმოუდგენელია ამ დონის შეჯიბრების გამართვა“, — ამბობს გაბაშვილი. აღსანიშნავია, რომ ამჟამად მსოფლიო ჩემპიონატისათვის შვიდი ქართველი მოჭადრაკე ემზადება. გაიმართება თუ არა ეს ტურნირი, გაურკვეველია. საჭადრაკო ჩემპიონატის თბილისში ჩატარების საკითხი ჯერ კიდევ თბილისსა და ბათუმს შორის ურთიერთობის გამწვავებამდე განიხილებოდა. ეს ექსპრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის დაჟინებული მოთხოვნა იყო. მაშინ აბაშიძე ყაბულს იყო — ამის გამო ომს არ დავიწყებთო...

***უტრო.რუ***






ძვირფასო მშობლებო და ჩვენო პატარებო!

კვლავ მივიღეთ თქვენი წერილები. გმადლობთ, რომ ასე აქტიურად გვეხმიანებით და მოგწონთ თქვენი გვერდი. თითოეულ ბარათს ვინახავთ და შევეცდებით, მათ შორის საუკეთესოები მომდევნო ნომრებში შემოგთავაზოთ.



## პატარები ხუმრობენ

**ᲗᲐᲛᲗᲐ ᲓᲐ ᲖᲐᲥᲐᲠᲐ ᲬᲘᲗᲚᲐᲜᲐᲫᲔᲔᲑᲘ** დახუჭობანას თამაშობენ.

— ზაქარ, უკვე დაიმალე?

— არა, ჯერ არ შევმძვრალვარ სკამის ქვეშ.

***

ქარიანი დღეა. პატარა **ᲛᲐᲙᲐ** და დედა მიდიან ქუჩაში. უცებ მაკა ამბობს:

— დედა, თმა მაყალზე მიდგასო (უნდოდა ეთქვა, ყალყზე მიდგასო).

***

4 წლის **ᲔᲚᲘᲡᲐᲑᲔᲓ ᲪᲘᲛᲘᲜᲢᲘᲐ** ხელს უსვამს თმაშეთხელებულ ბიძას თავზე და ეკითხება:

— ძია გივი, შენ სულ ყველგან შუბლი გაქვს?

***

**ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲔᲚᲘᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ** დიდხანს უყურა ბებიას, რომელიც ხორცს ატარებდა და უთხრა:

— მომეცი, ეთო ბებო, ახლა მე დავქოქო!

### I ანა, გამოიცანი

**1) რა ჰქვია საკუთარი ხელით შესრულებულ წარწერას ან ხელმოწერას?**

ა) ავტობიოგრაფია; ბ) ავტოპორტრეტი; გ) ავტოგრაფი; დ) ავტორიტეტი.

**2) რომელია ზედმეტი?**

ა) ორატორი; ბ) ენაწყლიანი; გ) ენამჭევრი; დ) მუნჯი.

**3) რა ერქვა მირიან მეფის მეუღლეს?**

ა) ქეთევანი; ბ) ნანა; გ) ნინო; დ) თამარი.

**4) რომელი პოეტი გირჩევთ: „ტყუილის მთქმელს, ტლუს და ორგულს ნუ გაიხდი თანამგზავრად“?**

ა) ანა კალანდაძე; ბ) აკაკი წერეთელი; გ) იოსებ გრიშაშვილი; დ) შიო მღვიმელი.

**5) სად აღმოაჩინეს საქართველოში დინოზავრის ნაკვალევი?**

ა) სათაფლიაში; ბ) ვარძიაში; გ) შიომღვიმეში; დ) ქვათახევში.

**6) რას შეისწავლის სერპენტოლოგი?**

ა) სოკოებს; ბ) გველებს; გ) მწერებს; დ) თევზებს.

**7) ვინ ჩამოათალა მახვილით ყური იესოს შემპყრობ მღვდელმთავრის მონას?**

ა) ბართლომემ; ბ) მათემ; გ) იაკობმა; დ) პეტრემ.

### II იპოვე ორი ერთნაირი ცხოველი



### III გამოცანა

**მოვალ — აჩუხჩუხდება**
**მთაში წყარო ანკარა,**
**ხან წვიმები შხაპუნობს,**
**ხან მზე არის თაკარა;**
**ყვავილების სურნელით**
**აივსება მთა-ბარი,**
**ხის ფოთოლი ხასხასებს**
**დილის ცვარით ნაბანი.**

## ᲓᲔᲕᲘ

ჩვენს ქუჩაზე დევი ცხოვრობს, ნამდვილი დევი: დიდი, მხარბეჭიანი, ბაჯბაჯა, ოღონდ ბოროტი კი არ არის, კეთილია.

როცა პატარა ვიყავი, მისი ძალიან მეშინოდა. ბაბუა რომ იტყოდა: „დევი მოვიდაო!“ — საწოლქვეშ ვიმალებოდი და სანამ არ წავიდოდა, ცხვირს არ ვყოფდი გარეთ.

სხვებს კი, ყველას ახარებდა რატომღაც დევის მოსვლა:

— შენ გაიხარე, დევი, შეშა დაგიჩეხია!

— დევი, ბავშვს ვერ გაასეირნებ? ნაყინის ფულსაც მოგცემთ!..

— დევი, მაწონი ამომიტანე, და, როცა ქადებს გამოვაცხობ, აუცილებლად გაჭმევ!...

დევიც ყველას უსრულებდა თხოვნას.

ერთხელ ბაბუამ ფეხსაცმელებიც უყიდა: „ძველები სულ დახევია, ცოდვააო...“

გავიკვირვე: დევს კაცის ფეხსაცმელი რად უნდა-მეთქი?!

— აბა, ფეხშიშველი ხომ არ ივლისო?! — ბაბუამაც გაიკვირვა.

მოკლედ, მესმოდა დევის შესახებ და მისი ნახვის სურვილი ერთხელაც არ გამჩენია.

ერთხელ, შინ მარტონი ვიყავით მე და ბებო, კარზე დააკაკუნეს. ბებო კატლეტებს წვავდა და არ ეცალა, — წადი, ნახე ვინ მოვიდა! — მითხრა.

გავაღე კარი და იმოდენა კაცი დავინახე, თვალი ვერ შევაწვდინე. მან ჩაიმუხლა, გამიღიმა, — წადი, ბებოს უთხარი, დევი მოვიდა-თქო!

„დევი მოვიდაო!“ — და ავღრიალდი, საწოლქვეშ შევძვერი და ველარ გამომიყვანეს, ბევრს მეხვეწებოდნენ, მაგრამ გავჯიუტდი — სანამ დევი არ წავა, არ გამოვალ-მეთქი!

ისიც წავიდა, რას იზამდა.

საღამოს დიდხანს მიმტკიცებდა ბაბუ, რომ დევი ჩვეულებრივი კაცი იყო, მაგრამ ვერაფრით გამაგებინა — როგორ შეიძლებოდა დევი ჩვეულებრივი კაცი ყოფილიყო. ბოლოს ხელი ჩაიქნია და მითხრა: ჩვენი დევი ისეთი კეთილი იყო, ღმერთმა კაცად აქციაო!..

— თუ ღმერთმა აქცია კაცად, მაშინ აღარ მეშინია-მეთქი! — ვთქვი და აღარც შემშინებია მეტად. დავუმეგობრდი კიდევაც — კვირაობით ზოოპარკში დავყავარ, ჩემს კლასელებსაც გავაცანი და ყველას ძალიან შეუყვარდა ჩემი ქუჩის კეთილი, კაცად ქცეული დევი.

*ეს ზღაპარი გამოგვიგზავნა 12 წლის ეკამ*

### IV

შეიტანე კროსვორდის ბადის ცარიელ უჯრებში ნახატის შემადგენელი გამოსახულებების სახელწოდებები ვერტიკალურად და ყვითელ ჰორიზონტალურ რიგში მიიღებ შემდეგი გამოცანის პასუხს: ***„ის ლომივით ძლიერია, ტანმოქნილი, ფერად ჭრელი, სასტიკი და ღონიერი, ბრჭყალბასრი და კბილებმჭრელი“.***



**ჩაინიშნეთ დრო და მოძებნეთ აქ ჩაწერილი ყოველი ციფრი ერთიდან ორმოცამდე. ვინც უფრო მალე მოასწრებს ყველა ციფრის თანამიმდევრობით ჩვენებას, გამარჯვებულიც ის იქნება.**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 38 | 22 / 36 | 24 39 | 30 / 21 1 | 31 | 4 / 20 | |
| 27 17 | 5 | 26 | 35 / 15 | 9 | 32 | |
| 7 18 | 29 | 3 33 | 6 14 / 16 10 | 11 37 | 40 | |
| 13 | 12 / 28 | 2 | 23 / 8 | 25 | 19 34 | |

**პასუხები იხილეთ 31-ე გვერდზე**

**გვერდი მოამზადა მამუკა ხუციშვილმა**


# ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲖᲦᲐᲞᲠᲔᲑᲘ
## +4 ᲒᲐᲡᲐᲠᲗᲝᲑᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘ

ᲒᲐᲛᲝᲡᲣᲚᲘᲐ 50-ᲖᲔ ᲛᲔᲢᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲣᲪᲮᲝᲣᲠᲘ ᲖᲦᲐᲞᲐᲠᲘ



ᲔᲠᲗᲘ ᲬᲘᲒᲜᲘ-ᲖᲦᲐᲞᲐᲠᲘ + ᲒᲐᲡᲐᲠᲗᲝᲑᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲔᲑᲘ
1 ᲚᲐᲠᲘ ᲓᲐ 20 ᲗᲔᲗᲠᲘ ᲦᲘᲠᲡ

ᲖᲦᲐᲞᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲫᲔᲜᲐ ᲨᲔᲒᲘᲫᲚᲘᲐᲗ „ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲞᲐᲚᲘᲢᲠᲘᲡ“ ᲡᲐᲒᲐᲖᲔᲗᲝ ᲯᲘᲮᲣᲠᲔᲑᲨᲘ, ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲡᲮᲕᲐ ᲒᲐᲛᲐᲕᲠᲪᲔᲚᲔᲑᲚᲔᲑᲗᲐᲜ ᲓᲐ ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲔᲑᲨᲘ

ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ!
ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲗᲮᲝᲕᲜᲘᲗ, ᲖᲦᲐᲞᲐᲠᲘ „ᲜᲐᲪᲐᲠᲥᲔᲥᲘᲐ“ ᲮᲔᲚᲐᲮᲚᲐ ᲓᲐᲘᲡᲢᲐᲛᲑᲐ

# „ამ ნახატის სანახავად უცხოეთიდან ჩამოდიოდნენ"

## ამერიკამ ნათელა იანქოშვილი 2003 წლის მსოფლიოს ათ საუკეთესო ადამიანს შორის დაასახელა



*თანამედროვეობის ერთ-ერთი საუკეთესო ხელოვანი თავისივე ნახატების მუზეუმში ექსპონატივით ცხოვრობს და მხოლოდ იმაზე ფიქრობს, რომ თავისი ტილოები საქართველოს შეუნახოს. მას დაახლოებით ათასი ტილო აქვს დაწერილი.*

***ნათელა იანქოშვილი** 86 წლის არის. ქუჩაში მხოლოდ სასეირნოდ გამოდის. საერთოდ კი ურჩევნია, შინიდან არც გამოიხედოს და ხატოს, სანამ თვალი უჭრის.*

**— ხშირად ხატავთ?**

— განა ამ წუთშიც არ ვხატავ? შენ რომ გიყურებ — ტვინი ხატავს... შენთან ლაპარაკში უკვე მივხვდი, რასაც გავაკეთებ, მაგრამ არ გეტყვი. იმიტომ, რომ ხელოვნება ისეთი ვერაგი რამეა, წინასწარ რომ თქვა, შეიძლება არაფერი გამოგივიდეს... სულ მაწუხებს, ავადმყოფობასავით არის. რომ შემომიჩნდება, თუ არ ვხატე, გავგიჟდები... მაგრამ თუ უგუნებოდ ვარ, რამდენიც უნდა მეხვეწონ, ხელსაც ვერ გავანძრევ. აი, ახლა გუნებაზე არ ვარ და ვერ დაგხატავ. სხვა დროს რომ მოსულიყავი, შეიძლება დამესვი და დამეხატე.

**— ცუდია, რომ დრო ვერ შევარჩიე, მაგრამ რომც დაგეხატეთ, ვიცი, პორტრეტს მაინც არ მაჩუქებდით.**

— სხვა გაჩუქებდა? არც ერთ მხატვარს არ უყვარს თავისი ნახატის გაჩუქება. მე კახელი ვარ, კახელების ამბავი არ იცი? ყველას მიუკიბ-მოუკიბავად ვეუბნებოდი, — თავი დამანებეთ, თქვენ რას აკეთებდით, გულხელდაკრეფილი იჯექით, მე ვმუშაობდი და ნახატიც მე მეკუთვნის-მეთქი. ბევრი გამებუტა, მაგრამ რა ვქნა? მათ რა იციან — ბევრია ისეთი ნახატი, რომლის გაჩუქება არ შეიძლება, ისტორიას უნდა დარჩეს.

**— მაინც ვინ გაგებუტათ?**

— მაგალითად, რეჟისორი ნანა მჭედლიძე. რა ვუყო, ამ ნახატებით ვცოცხლობ. ნახე, რომელიმე გაქვავებული თუა! ყველა მოძრაობს... აგე, ჩვენი ოპერის მოცეკვავე მარია ბაუერი. ბრწყინვალედ ცეკვავდა. ვუთხარი, უნდა დაგხატო-მეთქი. დამთანხმდა, აბა, რას იზამდა!... ამ ნახატშიც ცეკვავს. ეს ილია ჭავჭავაძეა, ეს — აკაკი წერეთელი, აქ კიდევ ექვთიმე თაყაიშვილი მყავს. იცი, ისტორიულ პირებს როგორ ვხატავდი? წავიდოდი, ვივლიდი, ვივლიდი, მოვძებნიდი მათ მსგავს ადამიანს და დავხატავდი... მარტო მე ვაკეთებდი ამას. ნატურა მიდიოდა, ნახატი რჩებოდა. სხვები რომ სამი თვე უნდებოდნენ პორტრეტს, მე სამ დღეში ვხატავდი... ზოგი მაინც ახერხებდა, ტვინს მიჭამდა — ვჩუქნიდი. მოსპეს ნახატები! ეს მსახიობები დაუდგამდნენ ქვეშ ვაზას, ჩაასხამდნენ შიგ წყალს და ჩააწყობდნენ ყვავილებს! ასე როგორ შეიძლება — წყალი ორთქლდება და ნახატი ფუჭდება! სამხატვრო გალერეიდან წამოვიღე ჩემი ნახატები. თავის დროზე შესყიდული ჰქონდათ, მაგრამ უპატრონოდ ეყარა. მომეცით, მე მოვუვლი-მეთქი. მომცეს. არც აქ მაქვს დიდად შესაშური პირობები. აგე, მეზობლებმა კედელი დამისველეს, მაგრამ ჩამოვხსნი ნახატს და სანამ კედელი არ გაშრება, არ დავკიდებ. ამ სიბერეში მარტო ერთსა ვნატრობ — ჩემს ნახატებს როგორმე დასაკიდი ადგილი ჰქონდეთ. გაიხედე, ერთმანეთზეა მიწყობილი კედელზე.



ნინო ჭავჭავაძე

**— აქ ისეთი სიჩუმეა, თითქოს თქვენსა და ნახატების გარდა, არავინ იყოს.**

— სწორედ მასეა. მარტო ვცხოვრობ. მწერალ ლადო ავალიანის ქვრივი გახლავართ. შვილი არ გვყოლია. რომ გვყოლოდა, ამდენ რამეს ვერ გავაკეთებდი. მე დღე ვმუშაობდი. ჩემი ქმარი — ღამით. გვიყვარდა ერთმანეთი... მაგრამ ლადოს სიარული არ უყვარდა. არსად არ წამოგყვებოდა. სამაგიეროდ, თუ გავიგებდი, ვინმე მთაში მიდიოდა, უკან გავეკიდებოდი. თან დამქონდა ფურცელი და ფანქარი. გაქანებულ მანქანაში ვაკეთებდი ჩანახატებს. ფერებს ვიმახსოვრებდი. მე რეალისტი მხატვარი ვარ, არ მიყვარს ეს აბსტრაქციული ხელოვნება. აბა, მითხარი, ხელოვნების დანიშნულება რა არის? — დაგაფიქროს, დაგატკბოს, გააზროვნოს. ეს აბსტრაქციონიზმს შეუძლია? არ შეუძლია! ხატავენ რაღაც სისულელეებს, თავს ვერ გაუგებ და ბოლოს. მხოლოდ პირველმა აბსტრაქციონისტებმა შექმნეს ნამდვილი მხატვრობა. ასე! მედავონ რამდენიც უნდათ, ამაზე!

**— მართლა კახური ხასიათი გაქვთ. ასე როგორ შეიძლება წლის გადასხმა. ხალხს თავი მოსწონს...**

— ვარ, მაშ! მერე რა? ილიაც კახელი იყო და სწორედ ის ამბობდა — მოყვარეს პირში უძრახეო. არავის სიამოვნებს სიმართლის თქმა... ეწყინოთ, მერე! ისე, მეც ბევრი მაკრიტიკებდა. ერთხელ ელენე ახვლედიანმა გააკეთა გამოფენა. მე მამაჩემის პორტრეტი დავკიდე. ელგუჯა ამაშუკელისა და სერგო ქობულაძისთვის მიუტანიათ ამბავი — ნახეთ, ნათელამ რა სიმახინჯე დაკიდაო. მისულან, უნახავთ. ელგუჯამ მიამბო: ქობულაძემ თქვა, — ასეთი პორტრეტი მსოფლიოში არ არსებობსო. მეც თვალი ველარ მოვაშორე. რომ გამოვფხიზლდი, იმ შენი მაგინებლებიდან იქ აღარავინ იყოო...

**— რატომ საუბრობთ მხოლოდ პორტრეტებზე, თქვენ ხომ პეიზაჟისტი და გრაფიკოსიც ხართ?**

— იმიტომ, რომ თქვენ დაიწყეთ ასე საუბარი. კი, პეიზაჟებიც მაქვს და გრაფიკაც. სამხატვრო აკადემიაში სწავლისას სულ მეუბნებოდა უჩა ჯაფარიძე: — ნათელა, სად პოულობს ასეთ ფერებს, კედელს მიმაჭყლიტეო... სად ვპოულობდი და ამ ჩემს მთასა და ბარში. ჩემს გურჯაანში, სადაც დავიბადე. იქ სახლი გვქონდა. დედამ ის სახლი რომ გაყიდა, შვილებს როიალი გვიყიდა. ძვირფასი როიალი იყო. მე მედგა ბინაში. აიჩემეს ვილაცებმა, — უნდა მოვიდეთ, როიალზე დავუკრათ და შენს სახლში სალონი გავმართოთო. კინაღამ გავგიჟდი. იმ როიალის ხმაზე ხომ დასცვივდებოდა საღებავი ნახატებს. ავდექი და იმათ ჯინაზე პირველ სკოლას ვაჩუქე. ჩემმა მეუღლემ ამ სკოლას მთელი ბიბლიოთეკა აჩუქა.

**— მთავრობასთან არ მეგობრობდით?**

— იმათთან რომ მევლო, მერე როდისღა მეხატა? არაფრად მჭირდებოდა ეგ შენი მთავრობა. ჩემი საქმე სახლში ჯდომა და ხატვა იყო. მე საუკეთესო ტექნიკა გამოვიმუშავე. ასეთი ტექნიკა არც ერთ მხატვარს არ აქვს. ამას ვერც ვერავინ გასწავლის. ნიჭი არ ისწავლება. შენ, მაგალითად, და ყველაც, ხატვას ისწავლით, მაგრამ ნიჭს ვერ გამოიმუშავებთ. ამას განგება აძლევს. სამი წელიწადი იყო ჩემი მასწავლებელი დავით კაკაბაძე. ამ ხნის განმავლობაში სულ ზურგს უკან მედგა, რომ მკითხოთ რას გელაპარაკებოდაო, ვერ გიპასუხებთ. იმიტომ, რომ არაფერსაც არ მელაპარაკებოდა. სულ ჩუმად იყო და მიყურებდა, რას ვაკეთებდი. მაშინ ვბრაზობდი — გაიღოს ხმა-მეთქი, მაგრამ ამას ხომ ვერ ვეტყოდი ამხელა კაცს... მერე მივხვდი, რომ იმიტომ არ მასწავლიდა, რომ ხელოვნების სწავლა არ შეიძლება, მხოლოდ ხელი უნდა შეუწყო. ჩემი აზრით, დავით კაკაბაძე ყველაზე დიდი ქართველი მხატვარი იყო. აბა, ნახეთ, სად გაშალა ფერწერა, — იმერულ სიუჟეტებში! იქ სულ არ იყო ფერწერის საშუალება, მაგრამ შეძლო. სხვათა შორის, ბატონმა დავითმა მე, ერთადერთს, დამინიშნა სტიპენდია. მივედი ერთხელ აკადემიაში და ვხედავ, შემოხვევიან სტუდენტები და ედავებიან, — იმას რომ მიეცი სტიპენდია, ჩვენ რატომ არ დაგვინიშნეო. შემრცხვა და დავიმალე. მხოლოდ ეს სიტყვები შემომესმა: — იმ-აა-ს ფერწერაში ფრიადი ა-ა-ქვსო! — ცოტა ენა ებორკებოდა. კარგი ხალხი იყო მაშინ, ნიჭის პატრონობა იცოდნენ.

**— ახლა ვინ გპატრონობთ? ამბობენ, ნათელა იანქოშვილს ქუჩაში ახალგაზრდა კაცი დაასეირნებსო.**

— ეგ ახალგაზრდა კაცი მხატვარი თემურ დვალიშვილია. მე ამ მუზეუმის დირექტორი ვარ, ის — მოადგილეა. მე 60 ლარი მაქვს ხელფასი, მაგას — 50. ეგ რომ არ მყავდეს, არ ვიცი, რა მეშველებოდა. წასვლა-წამოსვლა თუ დახმარება, ეგ მიკეთებს ყველაფერს. პატიოსანი კაცია. ყველა ასეთი პატიოსანი რომ გვყავდეს, ჩვენი ქვეყანა ძლიერი იქნებოდა. ვერ ვიტანთ ქართველები ერთმანეთის წინ წასვლას. აბა, ეგ საქმეა? ჩართავ ტელევიზორს და სულ ერთმანეთს ლანძღავენ. ამიტომაც არის, ამდენი უბედურება რომ ხდება. რუსთაველზე ვცხოვრობ. ომი რომ გვქონდა, პირდაპირ ჩემს ფანჯრებში ისროდნენ. ქუჩიდან რომ გაისროდნენ, მე და ჩემი ქმარი ეზოს მხარეს გავიქცეოდით, ეზოდან რომ გვესვროდნენ, ქუჩის ფანჯარას მივაწყდებოდით. მარტო მე და ლადო დავრჩით ამ სახლში. ქვეყანას უკვირდა: — რა გინდათ, ამ შუაგულ ომშიო... ვერსად წავიდოდით. ამ ნახატებს რომ რამე მოსვლოდა, მერე? ვერც ახლა წავალ ვერსად. სად მივატოვო ამდენი სული!.. სულ ნაირგვარი ხალხი იყო. თავი მისკდებოდა იმაზე ფიქრით, ისე დამეხატა, თვითონაც მოსწონებოდა თავისი თავი და არც ხასიათი დამეკარგა. აი, პოლიკარპე კაკაბაძე... არ იყო ლამაზი კაცი, მაგრამ ისეთს ხომ ვერ დავხატავდი როგორიც იყო? ხატვა რომ დავამთავრე, პოლიკარპეს თავისი თავიც მოეწონა და ხასიათიც...

**— მამაკაცი-ნატურა ალბათ მშვიდია, ქალებს როგორ აჩერებდით, განსაკუთრებით მსახიობ ქალებს?**

— ძალიან მკაცრი ვიყავი. მაგათ კი არა, დაუმთავრებელ ნახატთან ჩემს ქმარსაც არ ვუშვებდი. ვაფრთხილებდი, თუ ფეხს გადმოდგამთ, ტილოს დავფხრეწ-მეთქი. ასეც ვიზამდი! მიჯერებდნენ, სხვა რა გზა ჰქონდათ.



მეფე თამარი

**— მაინც რომელი პორტრეტი გიყვართ ყველაზე მეტად?**

— ნინო ჭავჭავაძისა. ჩემი დისშვილი ჰგავდა და დავხატე. ამ ნახატის სანახავად უცხოეთიდან ჩამოდიოდნენ.

**— ახლა თუ ნახულობენ თქვენს ნახატებს უცხოელები?**

— აბა, რას შვრებიან? მაგრამ ყველას არ ვუშვებ. ჯერ გამოვკითხავ, ხელოვნებისა ესმით თუ არა რაიმე. ამას წინათ ერთმა გერმანელმა მითხრა, — თბილისში მუზეუმს აგიშენებო. ვიფიქრე, იმ მუზეუმში ჩემს ნახატებს ვინ იცის, როგორ მოუვლიან-მეთქი და უარი ვუთხარი. მე ეს ნახატები ჩემი სამშობლოსავით მინდა. მათთან უცხოს ვერ მივუშვებ.

**— 60 ლარი გყოფნით საღებავების და ტილოების საყიდლად?**

— სასაცილო თანხაა, მაგრამ რა ვუყო? ეტყობა, მეტის მოცემა არ შეუძლიათ. ისე, ამ შემოდგომაზე მერიამ იუბილეც გადამიხადა. მრცხვენოდა, რა არ თქვეს — მოვლენააო, გენიოსიაო... იცი, რაზე დამწყდა გული? ამდენი ხალხი მოვიდა და მხოლოდ ერთ პატარა სუფრაზე იყო შამპანურები და ნამცხვრები. მე რომ შესაძლებლობა მქონოდა, ასე ღარიბულად არ დავხვდებოდი ხალხს. თანაც, არც მკითხეს, ვისი დაპატიჟება მინდოდა. ახლა იტყვი — მადლობის მაგიერიაო? რა ვქნა, ხომ გითხარი, კახელი ვარ და პირდაპირ რომ არ ვთქვა, რასაც ვფიქრობ, არ შემიძლია-მეთქი... ახლა ვუყურებ ერთი, რას გააკეთებს ეს ჩვენი პრეზიდენტი. მერე მივალ, აქ წამოვიყვან, ვანახვებ, ნახატების შესანახი ადგილი რომ არ მაქვს. ეგება, რაიმე მიშველოს...

**— უნდა გითხრათ, რომ მიუხედავად ასაკისა და 60 ლარისა, მშვენივრად გამოიყურებით.**

— იცი, რატომ გამოვიყურები ასე? იმიტომ რომ პატიოსანი ადამიანი ვარ, გულში შური არ მაქვს. ჩემს სიცოცხლეში ცუდი არავისთვის გამიკეთებია და არც გავუკეთებ. მერე კიდევ, ქალმა ყველა ასაკში თავს უნდა მიხედოს, მისმა დანახვამ თვალები რომ არ ატკინოს ხალხს. ჰოდა, ვისვამ ჩემი ხელით 50-თეთრიან ინდურ საღებავს თმაზე და ვარ ასე. ეს ვარცხნილობა დედაჩემმა ბავშვობაში გამიკეთა...

**— ვერ მეტყვით, ვისი რეკომენდაციით დაგასახელათ ამერიკამ 2003 წლის მსოფლიოს ათ საუკეთესო ადამიანს შორის?**

— ვერაფერს გეტყვი!.. ამ ამბავზე ქაღალდი მომივიდა. ეგ იყო და ეგ. ერთი ჩემი ნათესავი ინგლისში ცხოვრობს. მეუბნება, ინგლისში ქართველი მხატვრებიდან მხოლოდ შენ და ფიროსმანს გახსენებენო... არ ვიცი, დავუჯერო თუ არა, მაგრამ ნამდვილად მჯერა, ჩემი სიკვდილის შემდეგ ჩემს ნახატებს კიდევ უფრო დაედება ფასი... ეს ასეა. მაგრამ, სანამ ცოცხალი ვარ, მინდა ქვეყანა დამეხმაროს და ეს ნამუშევრები დამიბინაოს ისევ და ისევ თავისი თავისთვის...

***ეთერ ერაძე***




DURA LEX SED LEX

# სასამართლო ქრონიკა

ყოველთვიური ჩანართი N34 19.04.2004

ლანა უგრეხელიძე



# პრეცედენტი

როგორ ჭამა სამართალმა პური ევროპის შუაგულში და როგორ გაათავისუფლა სტრასბურგის სასამართლომ აჭარის ხელისუფლების მიერ 11 წლის განმავლობაში დილეგში გამომწყვდეული თენგიზ ასანიძე, ამის შესახებ ქართულ მედიაში საკმაოდ დაიწერა. სტრასბურგის სასამართლოს 8 აპრილის გადაწყვეტილება პრეცედენტულია არა მარტო აბაშიძის რეჟიმისათვის, არამედ საქართველოს ხელისუფლებისთვისაც. ეს არის პირველი გადაწყვეტილება, რომელიც ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ საქართველოს წინააღმდეგ გამოიტანა და საქართველოს ბიუჯეტს რეგიონალური ხელმძღვანელის ურჩობა 150 ათასი ევრო დაუჯდა, რადგან ეს ის სანქციაა, რომელიც სასამართლომ საქართველოს ხელისუფლებას ასანიძის უკანონო პატიმრობის გამო კომპენსაციის სახით დააკისრა. სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ საქმეში „ასანიძე საქართველოს წინააღმდეგ“ დაირღვა ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-5 (თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება) და მე-6 (სამართლიანი სასამართლო პრო-ცესის უფლება) მუხლები.

თავის დროზე (1993 წელს) ბათუმის ყოფილი მერი და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პარლამენტის წევრი თენგიზ ასანიძე ფინანსური მაქინაციების ბრალდებით დააკავეს. 1994 წელს მას 8 წლით პატიმრობა მიუსაჯეს და მისი ქონების კონფისკაცია მოახდინეს. 1999 წელს ის პრეზიდენტმა შევარდნაძემ შეიწყალა, თუმცა ასანიძე კვლავაც პატიმრობაში რჩებოდა. 2000 წელს აჭარის ა/რ უმაღლესმა სასამართლომ მას 12 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა და მიუხედავად იმისა, რომ ეს გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესმა სასამართლომ გააუქმა, ასანიძე სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებამდე პატიმრადვე რჩებოდა.

**P.S.** როცა ხალხმა არ იცის თავისი უფლებები, ხელისუფლება გაცილებით იოლად გადის ფონს. ერთ-ერთი ასეთი უფლებათაგანი საერთაშორისო ბერკეტების მეშვეობით საკუთარ ხელისუფლებაზე ზეწოლის მოხდენაა. საქართველოს მოქალაქეებისათვის, როგორც ევროპის საბჭოს ახალბედა წევრი ქვეყნის წარმომადგენლებისათვის, ბევრი ევროპული ნორმა სიახლეს წარმოადგენს და სწორედ ამ სიახლეების მკითხველისათვის გაცნობაა სამართლებრივი განათლების ასოციაცია ALPE-ს მიზანი. სამი წლის წინათ „სასამართლო ქრონიკამ“ სწორედ ევროპის სასამართლოში გასაჩივრების წესებს დაუთმო თავისი პუბლიკაცია, *„ევროპის სასა-მართლო – ქერის ორმო უკანონო პატიმრებისათვის“* (17 აპრილი, 2001). მაშინ რედაქციას თენგიზ ასანიძის მეუღლე, ქალბატონი გულიკო ასანიძე დაუკავშირდა და ევროსასამართლოში გასაჩივრების პერსპექტივებით დაინტერესდა. გულწრფელად გვიხარია, რომ მისმა შემართებამ შედეგი გამოიღო და საქართველოს მოქალაქეებმა დაინახეს უმთავრესი: ცივილიზებულ სამყაროში უსამართლობა არა ცალკეული ადამიანის, არამედ მთლიანად საზოგადოების პრობლემაა.

მაია დვალი

# ყველა საქმეს ცოდნა უნდა

**გამოცდილმა ადვოკატმა კარგად იცის, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ნებისმიერ, თუნდაც უმნიშვნელო დეტალს სამართლებრივ პროცესში და რომ მცირედი შეცდომაც კი, ზოგჯერ რადიკალურად ცვლის სამართლებრივ შედეგს. სწორედ ამიტომ სამართლიან გადაწყვეტილებას სასამართლოში გამოძიების პროფესიონალიზმი უნდა დაედოს საფუძვლად. არადა, ხშირად ასე არ ხდება და სწორედ ასეთ შემთხვევაზე მოგვითხრობს ადვოკატი ეკა ბესელია:**

„კანონდარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებებს იურიდიული ძალა არა აქვს“, – სწორედ ამ კონსტიტუციური ნორმის საფუძველზე, საპროცესო კოდექსის უხეში დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებებს სასამართლო დაუშვებლად ცნობს, რაც ხშირ შემთხვევაში გამოძიების მიერ შეკოწიწებულ საქმეს ხუხულასავით ანგრევს. ამჯერად ერთი კონკრეტული სისხლის სამართლის საქმის მაგალითზე მოგითხრობთ, გამომძიებლის მიერ საპროცესო კოდექსის უხეშმა დარღვევებმა როგორ იმოქმედა საქმის მსვლელობაზე, რა რეაგირება მოახდინა გენპროკურატურამ და როგორი გადაწყვეტილება მიიღო სასამართლომ.

2001 წლის 26 აგვისტოს მცხეთის პროკურატურამ ა.ჯ.-ს სიცოცხლის გაუფრთხილებლობით მოსპობის ანუ მკვლელობის ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე აღძრა. მუხრანის შს ქვეგანყოფილების მიერ მიღებული ინფორმაციით, ერთ-ერთი ავტომანქანით იარაღი და ნარკოტიკები გადაჰქონდათ. 2001 წლის 20 აგვისტოს მცხეთის კრიმინალური პოლიციის უფროსმა მუხრანის პოლიციის ქვეგანყოფილების უფროსს ამ მანქანის შემოწმება, დაკავება და გაჩხრეკა დაავალა, მუხრანი-ქსოვრისის



გზაზე ექვსკაციანი ოპერჯგუფი გავიდა. სამ პოლიციელს ავტომატი ჰქონდა, სამს – ტაბელური ცეცხლსასროლი იარაღი. მძღოლი პოლიციელთა მოთხოვნას არ დაემორჩილა და იარაღიდან გაისროლა, საპასუხოდ ისროლეს პოლიციელებმაც. ასფალტიდან ასხლეტილი ტყვიები საბურავს მოხვდა და მანქანა დააზიანა. ტყვიის ერთი ფრაგმენტით მძღოლის გვერდით მჯდომმა ადამიანმა თავის ქალის გამჭოლი დაზიანება მიიღო. მძღოლი, რომელიც ნარკოტიკების მოხმარებისთვის ადრე დაჯარიმებული იყო, ფუთით ხელში გაიქცა, მანქანაში მჯდომი დაჭრილი იმავე დღეს გარდაიცვალა. გაირკვევა, რომ ავტომანქანა უკანა სავარძელზე მჯდომ კ.ჭ.-ს ეკუთვნოდა, რომელიც მოგვიანებით მანქანის დაზიანების გამო დაზარალებულად ცნეს. მის გვერდით ქალიც იჯდა, რომელსაც დაზიანება არ მიუღია, მაგრამ მომხდარის თვითმხილველი გახლდათ. მცხეთის პროკურატურამ პირველივე საგამოძიებო მოქმედებები კანონდარღვევით დაიწყო.

**პირველი დარღვევა:** გამოძიებამ ავტომანქანის დათვალიერებისას მანქანის მეპატრონე კ.ჭ. დამსწრედ გამოიყენა, რაც საპროცესო კოდექსის უხეში დარღვევა იყო: დამსწრე ნეიტრალური, დაუინტერესებელი პირი უნდა იყოს.

დასასრული მე-19 გვერდზე

# ახალი „ზღვარი“



**გასულ კვირას ასოციაცია ALPE-მ საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის საკონფერენციო დარბაზში საზოგადოებას წარუდგინა ახალი მედიაპროექტი – ჟურნალი „ზღვარი“. ზღვარი საქართველოში ჯერჯერობით ერთადერთი გამოცემაა, რომლის შექმნაში არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად თბილისის სასულიერო აკადემიის სტუდენტთა ერთი ნაწილიც მონაწილეობს. გთავაზობთ ინტერვიუს ჟურნალის მთავარ რედაქტორთან, თბილისის სასულიერო აკადემიის V კურსის სტუდენტთან, ბექა მინდიაშვილთან:**

**– რამ განაპირობა ამ ჟურნალის შექმნა?**

– მოგეხსენებათ, რომ საქართველოში ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში თავი იჩინა რელიგიურმა შეუწყნარებლობამ, ქსენოფობიამ, ამ ნიადაგზე ხდებოდა ამა თუ იმ რელიგიური თუ უფლებადაცვითი ორგანიზაციების დარბევა. ამ ვითარებას მარჯვედ იყენებდნენ ის პოლიტიკური ძალები, რომლებიც ცდილობდნენ ნეგატიური გავლენა მოეხდინათ ქვეყნის დემოკრატიზაციაზე, დასავლეთთან ინტეგრირებაზე. ამასთან, დღემდე გაურკვეველი რჩება რელიგიის კანონის მიღების საკითხი, პრობლემატურია ასევე სასწავლო დაწესებულებებში რელიგიის სწავლების ხასიათი და ფორმა. არსებობს კიდევ ერთი სერიოზული პრობლემა: საქართველოში ძირითადად რუსულენოვანი ან რუსულიდან თარგმნილი რელიგიური ლიტერატურა ვრცელდება, რომლის თეოლოგიური ღირებულება ხშირ შემთხვევაში მეტად საეჭვოა. ჟურნალ „ზღვარის“ შექმნით ჩვენ გვსურს საზოგადოებასთან ვაწარმოოთ დიალოგი ტოლერანტობის, ეკლესიის სოციალური მსახურების, რელიგიური ინტეგრაციის ავკარგიანობის, თანამედროვე, რელიგიური თვალსაზრისით პრობლემატური საკითხების შესახებ და ამით ხელი შევუწყოთ ქვეყანაში რელიგიური პროცესების დემოკრატიზაციას, ტოლერანტული გარემოს შექმნას და რელიგიური დაპირისპირების დიალოგის სივრცეში გადატანას.

**– რას მოელით ამ ჟურნალის გამოცემის შედეგად? რამდენად მოახერხებს იგი დასახული მიზნების განხორციელებას?**

– ვფიქრობ, მნიშვნელოვანია თუნდაც ის ფაქტი, რომ შედგა სასულიერო აკადემიის სტუდენტებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების თანამშრომლობა, ვინაიდან, ჩემი აზრით, სწორედ რელიგიური ორგანიზაციებისა და სამოქალაქო სექტორის თანამშრომლობით შეიძლება მივაღწიოთ საუკეთესო შედეგს ისეთ სფეროებში, როგორიცაა კორუფციასთან ბრძოლა, ადამიანის უფლებათა დაცვა, სოციალური და ეკოლოგიური პრობლემების გადაწყვეტა, ამა თუ იმ კონფლიქტური სიტუაციის განეიტრალება. რაც შეეხება თავად ჟურნალს, კარგი იქნება, რომ მისი ტირაჟი გაიზარდოს. უკვე გამოცემული სამი ნომრიდან თუ ვიმსჯელებთ, მკითხველის რეაქცია საკმაოდ საინტერესო და არაერთგვაროვანი იყო.

**– რას გულისხმობთ არაერთგვაროვან რეაქციაში?**

– როგორც ვთქვი, საქართველოში ძირითადად ვრცელდებოდა ისეთი შინაარსის „მართლმადიდებლური ლიტერატურა“, სადაც დემოკრატია, ლიბერალური ღირებულებები, პლურალიზმი, ადამიანების უფლებათა დაცვა, რბილად რომ ვთქვათ, ანტიქრისტიანულ მოვლენებად არის წარმოჩენილი. „ზღვარის“ საშუალებით ადამიანები სრულიად საპირისპირო ხასიათის და რაც მთავარია, სწორედ მართლმადიდებელი ავტორების ნააზრევს ეცნობიან. ჩემი აზრით, გაღიზიანებისა და მოწონების მიზეზი სწორედ „უცხოსთან“, „დასავლურთან“, ყველა რჯულის ადამიანისადმი კეთილგანწყობილ მართლმადიდებლობასთან შეხვედრა იყო. ჩვენი აზრით, მართლმადიდებლობა არ შეიძლება ვინმესთან დაპირისპირების საშუალება იყოს. მართლმადიდებლობა საყოველთაო სიყვარულის რელიგიაა.

ესაუბრა
**გვანცა ლიპარტელიანი**

# ყველა საქმეს ცოდნა უნდა

დასასრული. დასაწყისი მე-17 გვერდზე

**ეკა ბესელია:** „გამომძიებელმა თავიდანვე იცოდა, რომ კ.ჭ. მანქანის მეპატრონე იყო, მას ახსნა-განმარტებაც მიცემული ჰქონდა და შესაბამისად, მოწმედ მაინც უნდა დაკითხულიყო. შემდეგ იგი დაზარალებულადაც კი ცნეს, ვინაიდან მანქანას ტყვიებმა უკანა საქარე მინა ჩაუმტვრია და კ.ჭ.-მ მსუბუქი დაზიანება მიიღო. ცხადია, მისი დამსწრედ გამოყენება არ შეიძლებოდა.“

პირველივე საგამოძიებო მოქმედება – ავტომანქანის დათვალიერება, კანონდარღვევით ჩატარდა. მანქანის დათვალიერებისას გამოძიებამ სალონიდან ნივთმტკიცება – ტყვიის ფრაგმენტები ამოიღო.

**ეკა ბესელია:** „ამოღებულმა საგნებმა, თავის მხრივ, სამართლებრივი მნიშვნელობა დაკარგა: თუკი საგამოძიებო მოქმედება კანონდარღვევით ჩატარდა, შესაბამისად ის ნივთმტკიცებები, რომლებიც ამ მოქმედებით მოიპოვა გამოძიებამ, დაუშვებლად უნდა ეცნოთ. მოგვიანებით ასეც მოხდა.“

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 111: *„მტკიცებულება დაუშვებლად მიიჩნევა, თუ იგი მიღებულია... კანონით დადგენილი წესის დარღვევით.“* გამომძიებელმა კი მანქანის მეპატრონის დამსწრედ ჩართვით ამავე კოდექსის 102-ე მუხლი დაარღვია: *„საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაში მონაწილეობისთვის გამოძახებულ უნდა იქნეს არანაკლებ ორი დამსწრისა იმ პირთაგან, რომლებიც დაინტერესებულნი არ არიან საქმის შედეგით.“* მოგვიანებით, უზენაესმა სასამართლომ ეს მტკიცებულება დაუშვებლად ცნო და განჩინებაში მიუთითა: *„ავტომანქანის მეპატრონე კ.ჭ. არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ჩაითვალოს იმ პირად, რომელიც არაა დაინტერესებული საქმის შედეგით.“*

**დარღვევა მეორე:** შს ქვეგანყოფილების უფროსმა გამომძიებელს ის ავტომატები წარუდგინა, რომლებიც შემთხვევის დღეს პოლიციელებს ეკავათ. შესაბამისად, გამომძიებელს უნდა შეედგინა ოქმი ნივთმტკიცების წარმოდგენის, დათვალიერებისა და დალუქვის შესახებ. ეს მოქმედებებიც დამსწრეთა მონაწილეობით უნდა ჩატარებულიყო. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 334: *„დათვალიერება ტარდება ორი დამსწრის მონაწილეობით“*. ეკა ბესელიას თქმით, გამომძიებელმა ოქმი ისე შეადგინა, რომ არც საპროცესო მოქმედება – დათვალიერება ჩაუტარებია და არც დამსწრეებს მიუღიათ მონაწილეობა. ეს არსებითი ხასიათის დარღვევა გახლდათ და მოგვიანებით, სასამართლომ ეს მტკიცებულებაც დაუშვებლად ცნო.

**დარღვევა მესამე:** სასამართლო-სამედიცინო ექსპერტმა გამომძიებელს გვამის გაკვეთისას ამოღებული ტყვიის გულა და თავის ქალიდან ამოღებული დეფორმირებული ლითონის ნაჭერი, ანუ ტყვიის ორი ფრაგმენტი წარუდგინა. გამომძიებელი ვალდებული იყო, ეს ნივთები დამსწრეების მონაწილეობით დაელუქა. გამომძიებლის მიერ შედგენილი ნივთმტკიცების წარმოდგენის ოქმში, აბზაცამდე თავისუფალ ზედა სტრიქონში ჩამატებულია ფრაზა: *„ყოველივე დალუქულ იქნა პროკურატურის ბეჭდით“*. ადვოკატის თქმით, ამ ოქმში სიტყვა „დალუქვაც“ კი არ იყო, ანუ გაურკვეველია, ეს ნივთმტკიცებები საერთოდ დაილუქა თუ არა. ამ ოქმს მხოლოდ გამომძიებელი და ექსპერტი აწერენ ხელს. დამსწრეების ხელმოწერა ოქმზე არ არის, რაც კანონის უხეში დარღვევა გახლავთ.

დაზარალებულთა მოთხოვნით ამ საქმის გამოძიება უშუალოდ გენერალურმა პროკურატურამ გააგრძელა და ბრალდებულის ადვოკატის ეკა ბესელიას შუამდგომლობები ნაწილობრივ დააკმაყოფილა: ზემოთ ხსენებული კანონდარღვევებით მოპოვებულ მტკიცებულებათა ნაწილი, კერძოდ, ავტომანქანის დათვალიერებისა და ნივთმტკიცების წარმოდგენის ოქმები, გენპროკურატურამ დაუშვებლად ცნო და საქმის მასალებიდან ამოიღო. ამის მიუხედავად, ეკა ბესელია თვლის, რომ გენპროკურატურამ შერჩევის პრინციპით იმოქმედა: *„კერძოდ, საქმიდან ამოიღო ნაკლებღირებული ოქმები, რომლებზეც თვალის დახუჭვა მართლაც არ შეიძლებოდა.“* სამაგიეროდ, გენპროკურატურამ საქმიდან ამოსაღებად ვერ გაიმეტა ავტომანქანის ბალისტიკური ექსპერტიზის დასკვნა, რომლითაც ავტომანქანისთვის მიყენებული დაზიანებები დადგინდა.

**ეკა ბესელია:** „თუკი მანქანის დათვალიერება საპროცესო ნორმების დარღვევით ჩატარდა, მასზე ჩატარებული ბალისტიკაც კანონდარღვევით ჩატარებულად უნდა მიეჩნიათ. გენპროკურატურამ კომისიური ბალისტიკური (ავტომატებზე, მასრებზე, ტყვიის გულებზე, გვამიდან ამოღებულ ლითონის საგნებზე) ექსპერტიზა ჩაატარა. ეს იყო ერთადერთი მტკიცებულება, რომლითაც დადგინდა, რომელი ავტომატიდან მოხდა გასროლა, ანუ — ტყვიის ის ფრაგმენტი, რომელიც მოკლულის სხეულიდან ამოიღეს, რომელ ავტომატს ეკუთვნოდა. ეს დასკვნა, ერთი მხრივ, ავტომატების წარმოდგენის



ოქმს ეყრდნობოდა, მეორე მხრივ კი – ექსპერტის მიერ გამომძიებლისთვის წარდგენილი ტყვიის ფრაგმენტების, მასრების და ა.შ. ოქმს. ნივთმტკიცების წარმოდგენის ორივე ეს ოქმი გენპროკურატურას უკვე დაუშვებელ მტკიცებულებად ჰქონდა ცნობილი, ლოგიკურად, მათ საფუძველზე ჩატარებული კომისიური ბალისტიკური ექსპერტიზის დასკვნაც დაუშვებელ მტკიცებულებად უნდა მიჩნეულიყო.

ეკა ბესელიას თქმით, პროკურატურამ ეს დასკვნა საქმიდან არ ამოიღო, რადგან ეს იყო ერთადერთი მტკიცებულება, რომლის დაუშვებლად ცნობისა და საქმიდან ამოღების შემთხვევაში გამოძიება ვერასდროს დაადგენდა, კონკრეტულად რომელი პოლიციელის ავტომატიდან გასროლილმა ტყვიამ იმსხვერპლა მანქანაში მჯდომი ადამიანი. მოგვიანებით, უზენაესმა სასამართლომ კომისიური ბალისტიკური ექსპერტიზის დასკვნა დაუშვებელ მტკიცებულებად ცნო.

ასეთი დარღვევებით გამოძიებული საქმე, დამამძიმებელ გარემოებებში განზრახ მკვლელობისა და სხვა ბრალდებებით გენპროკურატურამ უზენაეს სასამართლოში გააგზავნა. უზენაესმა სასამართლომ მოსამზადებელ სხდომაზევე დააკმაყოფილა ადვოკატის შუამდგომლობა და 2002 წლის 12 ივლისს გამოტანილი განჩინებით, ზემოთ მითითებული კანონდარღვევების გამო დაუშვებლად ცნო შემდეგი მტკიცებულებები: ოქმი ავტომანქანის დათვალიერებისა და ნივთების ამოღების შესახებ; ოქმი შს მუხრანის განყოფილების უფროსის მიერ სამი ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღის ამოღების შესახებ; ოქმი ექსპერტის მიერ გვამიდან ამოღებული საგნების წარმოდგენის შესახებ; ბალისტიკური კომისიური ექსპერტიზის 2001 წლის 12 ოქტომბრის დასკვნა ავტომატურ იარაღებზე, მასრებზე, ტყვიის გულებზე და გვამიდან ამოღებულ საგნებზე. ეს განჩინება დღესდღეობით კანონიერ ძალაშია შესული, სამაგიეროდ, უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატამ ამავე მოსამართლის განაჩენი გააუქმა და საქმე დამატებით გამოძიებაში დააბრუნა. საკმაოდ ვრცელ განჩინებაში საკასაციო პალატამ პროკურატურას დეტალურად ჩამოუწერა მითითებები, კერძოდ: რომ პროკურატურამ უნდა გამოიკვლიოს, ხომ არ ჩაუდენიათ თავად პოლიციის ხელმძღვანელ პირებს სამსახურებრივი დანაშაული; რიგითი პოლიციელების დანაშაულებრივი ქმედების დადგენის შემთხვევაშიც კი მათ, შესაძლოა, ჩაედინათ გაცილებით მსუბუქი ანუ დამნაშავის შეპყრობისთვის აუცილებელი ზომების გადაცილებით განზრახ მკვლელობა და ა.შ. საკასაციო პალატამ მართებულად მიიჩნია ზემოთ ჩამოთვლილი მტკიცებულებების დაუშვებლად ცნობა. პალატის ეს გადაწყვეტილება გენპროკურტურისთვის არა მხოლოდ სავალდებულოა შესასრულებლად, არამედ, ფაქტობრივად, სახელმძღვანელოდაც შეიძლება მივიჩნიოთ, თუ რა მოქმედებები უნდა შეასრულოს გამოძიებამ და როგორ უნდა დააკვალიფიციროს ეს დანაშაული. თუმცა, საეჭვოა, ეს მითითებები პროკურატურას შეესრულებინა, ვინაიდან საკასაციო პალატის ამ მოთხოვნების მიუხედავად, გამოძიება უახლოეს მომავალში ძველებურად ისევ დამამძიმებელ გარემოებებში განზრახ მკვლელობის მუხლით გააგზავნის საქმეს უზენაეს სასამართლოში და თანაც ისე, რომ ეს მუხლი კვლავაც სამ პოლიციელს აქვს წაყენებული. მარტივად რომ ვთქვათ, პროკურატურას საკმაოდ მნიშვნელოვანი მტკიცებულებების საქმიდან ამოღების შემდეგ უკვე აღარ ძალუძს დაადგინოს, სამიდან კონკრეტულად რომელი პოლიციელის ავტომატიდან ნასროლმა ტყვიამ იმსხვერპლა ადამიანი. ეს კი ბრალის ინდივიდუალურად შერაცხვის პრინციპს ეწინააღმდეგება. უკვე დაუშვებლად ცნობილ მტკიცებულებებს კი აღარაფერი ეშველება. არადა, თავის დროზე გამომძიებელს რომ საქმეში პროცესუალურად გამართული მტკიცებულებები ჩაედო, შესაძლოა, ამ საქმეს სულ სხვა შედეგი მოჰყოლოდა.

1998 წლის 15 მაისს ძალაში შევიდა ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“. სწორედ ეს დღე შეიძლება ჩაითვალოს საქართველოში სასამართლო რეფორმის ათვლის წერტილად. თუმცა ამ რეფორმაზე საუბარი, და, რაც მთავარია, მისი მზადება გაცილებით ადრე დაიწყო. სწორედ ეს რეფორმა იყო პირველი იდეა, რომლითაც თავისი პოლიტიკური საქმიანობა საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა, 1995 წლის მოწვევის პარლამენტში დაიწყო. ამ იდეის ირგვლივ გაერთიანდა შემდგომში რეფორმატორთა გუნდად წოდებული ჯგუფი ხოლო სასამართლო რეფორმა არა მარტო ამ ჯგუფის, არამედ საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკურ სავიზიტო ბარათად იქცა.

სასამართლო რეფორმის ორი კონცეპტუალური ამოცანა იყო: შესაბამისი სამართლებრივი ბაზის შექმნა და სასამართლოების მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვა. რომელიმე მათგანისთვის უპირატესობის მინიჭება, ანუ იმის აღიარება, რომ მთავარია სამართლებრივი ან მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა, ამ ურთულესი პრობლემისადმი ზერელე დამოკიდებულების მანიშნებელი იქნებოდა. უბრალოდ, ერთი შეუძლებელია მეორის გარეშე, ხოლო მეორეს აზრი არა აქვს პირველის გარეშე.

ისევე, როგორც ბევრ სხვა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკაში, სასამართლო (ზოგადად, სამართლებრივი) რეფორმები საქართველოშიც საერთაშორისო ორგანიზაციების, კერძოდ, მსოფლიო ბანკის, აშშ-ის გერმანიის და სხვა ქვეყნების იურისტთა ასოციაციების მხარდაჭერითა და რეკომენდაციებით მიმდინარეობდა. სწორედ მათი დელიკატური მოთხოვნაც იყო, რომ საქართველოს სასამართლოების ეფექტური მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის მიზნით, სასამართლო ხელისუფლებაში შექმნილიყო სპეციალური სამსახური.

1997 წლის ნოემბერში, „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის შესაბამისად, ასეთი სამსახური შეიქმნა კიდეც და მას მოგვიანებით უზენაესი სასამართლოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტი ეწოდა.

დეპარტამენტის თავმჯდომარედ დაინიშნა მართვის სისტემების სპეციალისტი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი **მერაბ ახობაძე**, რომელსაც სოლიდური საწარმო-დაწესებულებების მართვის სისტემათა შექმნის უმდიდრესი გამოცდილებაც ჰქონდა.

# საქართველოს სასამართლოს სისტემა ხუთი წლისაა

## საერთო სასამართლოების დეპარტამენტი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს პლენუმმა მოისმინა საერთო სასამართლოების დეპარტამენტის თავმჯდომარის მერაბ ახობაძის მოხსენება დეპარტამენტის გაწეული მუშაობის შესახებ.**

**საერთო სასამართლოების დაფინანსებაში წარმოქმნილ პრობლემებს მიეძღვნა მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტის გაფართოებული სხდომა, რომელსაც ესწრებოდნენ იუსტიციის საბჭოს მდივანი, საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე, ამერიკის იურისტთა ასოციაციის, მსოფლიო ბანკისა და სხვა დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლები.**

**საერთო სასამართლოების დეპარტამენტმა კანონის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის საბჭოში წარადგინა 2004 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში საერთო სასამართლოებისა და საერთო სასამართლოების დეპარტამენტის აპარატის დაფინანსების პროექტი, სადაც, თითოეული სასამართლო მუხლობრივად იქნა წარმოდგენილი.**

**საქართველოს იუსტიციის საბჭო „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად, საერთო სასამართლოების ბიუჯეტს წარადგენს ფინანსთა სამინისტროში და 2004 წლის ბიუჯეტი, როგორც წინა წლებში, 9 960 000 ლარის ოდენობით წარადგინა (საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მოთხოვნა იყო და არის, რომ საერთო სასამართლოების ბიუჯეტი 8 360 000 ლარს არ აღემატებოდეს).**

### საერთო სასამართლოების 2003–2004 წლების I კვარტალის ფაქტობრივი ფინანსური მდგომარეობა (არადაცული მუხლები, აჭარისა და აფხაზეთის ა/რ სასამართლოების გარდა)

თანხა ლარებში

| | 2003 წლის I კვ. (ბიუჯეტს+ სპეცსახსრები) | 2004 წლის I კვ. | სხვაობა 2004 წლის I კვარტალის ფინანსურ მდგომარეობასა და 2003 წლის I კვარტალის ფინანსურ მდგომარეობას შორის | 2004 წლის I კვარტალის ფინანსური მდგომარეობის შედარება 2003 წლის I კვარტალის ფინანსურ მდგომარეობასთან % |
|---|---|---|---|---|
| დამტკიცებული გეგმა | 795900 | 321130 | -474770 | 40.3% |
| ფაქტობრივი დაფინანსება | 343084 | 131323 | -211761 | 38.3% |

**შენიშვნა: „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, დაუშვებელია სასამართლოთა მიმდინარე ხარჯების შემცირება წინა წლის საბიუჯეტო სახსრების ოდენობასთან შედარებით, ამიტომ საბაზისოდ აღებულია 2003 წლის მონაცემები.**

## მოქალაქეთა საყურადღებოდ!

საერთო სასამართლოებში სამოქალაქო საქმეთა განხილვის უსაფუძვლო გადადებებისა და საპროცესო ვადების დარღვევის სხვა ფაქტებთან დაკავშირებით, საერთო სასამართლოების დეპარტამენტსა და საქართველოს იუსტიციის საბჭოში მოქმედებს სპეციალური სატელეფონო ნომრები:

ტელ: 92-09-37, ტელ: (8 99) 41-60-78, ტელ: 95-78-61, ტელ: 95-14-23

დაგვიკავშირდით: 11 საათიდან 17 საათამდე,

შაბათ-კვირის გარდა.

საერთო სასამართლოების დეპარტამენტი

საერთო სასამართლოების დეპარტამენტის თავდაპირველად ჩამოყალიბებულმა სტრუქტურამ, მუშაობის სპეციფიკიდან გამომდინარე, სახეცვლილება განიცადა და გაძლიერდა ის კონკრეტული სამსახურები, რომლებიც ოპერატიულად ახორციელებენ შეზღუდული რესურსების პირობებში საერთო სასამართლოების ადმინისტრირებას.

დეპარტამენტი იმ დროისათვის 46 თანამშრომლისაგან შედგებოდა და უზენაესი სასამართლოს ერთ-ერთ ფლიგელში იყო შეხიზნული. ფუნქციური დატვირთვის მიხედვით, დეპარტამენტის სტრუქტურა ასე გამოიყურებოდა: 1. საქმეთა მმართველობა; 2. კადრების განყოფილება; 3. საფინანსო-ეკონომიკური სამმართველო; 4. ბუღალტერია; 5. მომარაგების სამმართველო; 6. სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების ორგანიზაციის სამმართველო; 7. ნორმატიული უზრუნველყოფის სამმართველო; 8. ინფორმატიზაციის სამმართველო; 9. მსოფლიო ბანკის ჯგუფი; 10. სახაზინო სამსახური.

სწორედ ამ დეპარტამენტს ეკისრება საქართველოში მართლმსაჯულების წარმოების ფინანსური, ორგანიზაციული და მატერიალური უზრუნველყოფა და საქმეში ოდნავ ჩახედულმა ადამიანმა იცის, რას ნიშნავს ამ პროცესის თუნდაც შეფერხება – ეს არის სრული განუკითხაობა, ძალმომრეობა, უსამართლობა, ყველა სახელმწიფო ორგანოს ფუნქციების მოშლა, ანუ ქვეყნის სახელმწიფოებრიობის ეჭვქვეშ დაყენება.

უზენაესი სასამართლოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტი (ასე ეწოდა მოგვიანებით უზენაესი სასამართლოს საერთო სასამართლოების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის დეპარტამენტს) ურთულესი პრობლემის წინაშე აღმოჩნდა. თუ იგი ფინანსური, ორგანიზაციული თუ სხვა ობიექტური მიზეზების გამო თავს ვერ გაართმევდა მინდობილ საქმეს, მთელ ქვეყანაში შეჩერდებოდა მართლმსაჯულების განხორციელების პროცესი. საქმეში ოდნავ ჩახედულმა ადამიანმა იცის, რას ნიშნავს მართლმსაჯულების განხორციელების პროცესის შეჩერება – სრულ განუკითხაობას, ძალმომრეობას, უსამართლობას, ყველა სახელმწიფო ორგანოს ფუნქციების მოშლას, ანუ ქვეყნის სახელმწიფოებრიობის ეჭვქვეშ დაყენებას.



ფოთის საქალაქო სასამართლო
2002 წლის 4 ოქტომბერი



კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლო
2003 წლის 30 სექტემბერი



რუსთავის საქალაქო სასამართლო
2002 წლის 7 მარტი



# 2 ათასი მანეთი და ერთი ქალი

მარიუპოლის ერთს მდიდარ ვაჭარს ამას წინათ ხელ-მოუწერელი ბარათი მოსვლია, რომელშიც ვილაც უცნობი სწერს, რომ, ამა და ამ დროს, ამა და ამ ალაგას 2 000 მანეთი დასდევი და შენი ქალიც იმ ალაგას დასვიო. თუ ღმერთი გაგიწყრა და ჩივილი გაბედე, იცოდეო, რომ, სანამ გამომძიებელი ჩვენ მოგვნახავს, მანამ შენ სიკვდილს ნახავო. ვაჭარს იმდენი მხნეობა გამოუჩენია, რომ აუღია და ეს წიგნი გამომძიებლისთვის გადაუცია. გამომძიებელს მალე გამოუცვნია დამნაშავე, რომელიც ასტრახანის მკვიდრი ღარიბი კაცი ყოფილა. ეს კაცი თურმე ერთი წლის წინ მუშად მდგარა ამ ვაჭართან და მისი ქალი შეყვარებია. ამ ქალს უთქვამს, შენ რომ გამოგყვე, მამაჩემი მემკვიდრეობას წამართმევსო და ასე და ასე მოიქეცი, მამაჩემს წერილი გაუგზავნე, შეეშინდება და გამომძიებელთან არ მივაო. ეს ქალი ახლა უარზე დგას თურმე და გასათხოვრად ემზადება სხვა მდიდარ ვაჭარზე. სასამართლოში უთქვამს, მე ეგ მახინჯი მათხოვარა როგორ შემიყვარდებოდაო?

**„დროება“ №3, 1875 წელი**

# ქურდობა სიღნაღში

სიღნაღიდან სწერენ გაზ. „კავკაზს“, რომ აქ ტფილისის ოლქის სასამართლოს განყოფილებამ გაარჩია საქმე **თუქურნიშის ფონდიდამ** 15.550 მან. მოპარვისაო 1883წ. ამ საქმეში ბრალი დაედოთ სულ 15 კაცს. სამი მათგანი ქურდებად იცნო სასამართლომაო. ხუთი იმაში გაამტყუნა, რომ დაჰფარეს ქურდებიო, ორი კიდევ იმაში, რომ მთავრობას არ მოახსენეს ეს ამბავი და ხუთი კი გაამართლესო.

**„ივერია“ №238, 1886 წელი**






# ყალბის მქმნელი ასლანი, შავარდნაძე და სხვები

გაზ. „კავკაზს“ სწერენ ქუთაისიდამ, რომ აქაურს სასამართლოში 30 სექტემბერს გაარჩიეს ფრიად საინტერესო საქმე ყალბის ფულის გამსაღებელთა გურიაშიო. ამ საქმის მოთავენი ასე აღმოუჩენიათ: 1883 წელს ორი გურული იასე ჯინჭარაძე და გერასიმე ლოლუა წასულან ვარშავას, მერე იქიდამ სამზღვარ გარედ გასულან პრუსიაში და ქ.კატოვიჩს ფოსტით მიუღიათ პაკეტი ყალბის ფულებით ლონდონიდამა. როცა უკითხავთ, ეს რა ფულებიაო, გურულებს უთქვამთ, რომ პაკეტი მივიღეთ ჩვენ ფოსტიდამ ალექსი მამულაშვილის მინდობილობითაო. ამ სახით აღმოჩენილა, რომ გურიაში მთელი დასი თურმე მოქმედობდა და ავრცელებდა ქაღალდის ყალბს ფულსა. ამ დასს თავისი კაცები ჰყოლია ვარშავაშიაც (გურული ბარნაბა შავარდნაძე), ყირიმშიაც (გურული სილოვან კალანდაძე). კაცები ჰყოლიათ აგრეთვე ტფილისში და სხვა ქალაქებშიაც და ეს კაცები ავრცელებდნენ ამ დასის ყალბს ფულსა. ქუთაისის ოლქის სასამართლომ დამნაშავედ იცნო ბრალდებულნი ალექსი მამულაშვილი, ასალო მამულაშვილი, ასლან საბაშვილი, ბარნაბა შავარდნაძე და სილოვან კალანდაძე ყალბის ქაღალდის ფულის გასაღებისათვის და განურჩინა კატორღა რვა წლითა, სამზღვარ გარედ დაჭერილნი ჯინჭარაძე და ლოლუა კი 1883 წელსვე გაასამართლა და გაუჩინა სასჯელი პრუსიის სასამართლომაო.

**ივერია №221, 1886 წელი**

**მამუკა ტყეშელაშვილის ნახატები**

ALPE
E-mail: office@alpe.ge www.alpe.ge

ისინი ხშირად ჩხუბობენ, უბრადაც ხშირად არიან. ამ ბოლო ხანს ძალიან გაუგრძელდათ გაბუტვა. შეფიქრიანებულმა მათმა ერთმა მეგობარმა (ჩემმა ნაცნობმა) დამირეკა და მთხოვა, შეყვარებულებს ცალ-ცალკე გავსაუბრებოდი, ეგებ ასეთი ჩარევით ყველაფერი კეთილად დასრულდესო.

**— მერე, უნდათ ჩემთან გულახდილი საუბარი?**

— ძალიან უჭირთ უერთმანეთობა, თუმცა საკმაოდ ჯიუტები არიან. ეს ყოყლოჩინობა ვერც ერთს ვერ დაუძლევია. დარწმუნებული ვარ, უარს არ იტყვიან თქვენთან შეხვედრაზეო.

შევთანხმდით და დილით ვაჟს შევხვდი, საღამოს — ქალს. არც ერთი არ გამოდგა მაგარი გაშალაშინება გჭირდება, შენი გაგება ძალიან გამიჭირდებაო. კინაღამ გავგიჟდი: აქეთ მჭირდებოდა მისი თანადგომა, ის კი იქით მიყენებდა პრეტენზიებს. ისე მქონდა ნერვები გაწვრილებული, არც მე დავუთმე და... აგერ მესამე თვეა უბრად ვართ.

ვიცი, ქეთიც უნდა ნახოთ. ნეტავ, რას გეტყვით? ქეთი ძალიან მიყვარს და სიყვარულის გარდა არაფერს ვითხოვ მისგან. გრძნობას პატარა დათმობას და გაგებასაც თუ მოაყოლებს, ჩემზე ბედნიერი კაცი არ იქნება. თუ არა და, გაუთავებელ კინკლაობას დაშორება სჯობს.

**ქეთი:** — გიორგი ადრე „ამოუხსნელ განტოლებას“ მეძახდა. რთული პერიოდი მედგა,

# ცალ-ცალკე მომჩივანი...



მაინცდამაინც იმ ასაკისა, მათი ბუტიაობა რომ არ გამიკვირდებოდა — გიორგი 30 წლისაა, ქეთი — 28-ის...

**გიორგი:** — ქეთი ექვსი წლის წინ გავიცანი. მაშინ ისეთი ოჯახური პრობლემები მქონდა, რომ სანამ არ მოვაწესრიგებდი, არ მინდოდა ცოლის შერთვა. ქეთი თამამი იყო, ლაღი, ძლიერი ოჯახიდან გახლდათ, განებივრებული ჰყავდათ მშობლებს, უარს არაფერზე ეუბნებოდნენ. ისე შემიყვარდა, რომ ერთი თვის თავზე — სხვამ არ დამასწროს-მეთქი და სიყვარულში გამოვუტყდი. თითქოს უცხო არ უნდა ყოფილიყო ქეთისთვის ჩემი გულახდილობა. ისე გაბრაზდა, როცა ვუთხარი, მიყვარხარ-მეთქი, გეგონებოდა, უცხოპლანეტელი სთხოვდა ხელს. თავი დამანებე, არ დამენახვოო. ერთ თვეში ბრაზმა გადაუარა. ხან ამხანაგებთან ერთად დავდიოდით, ზოგჯერ მარტო გასეირნებასაც შევაპარებდი და ჩემდა გასაკვირად, მთანხმდებოდა. თანდათან შევატყვე, რომ მისი მოჩვენებითი სიმკაცრე და სიცივე გაქრა. ვგრძნობდი, მასაც ვუყვარდი, მაგრამ არა და არ ტყდებოდა. ერთ ხელსაყრელ დროს ისევ „შევახსენე“, რომ ძალიან მიყვარდა და ცოტა ხანში ცოლადაც მოვიყვანდი. ისევ გამებუტა და პირს არ მაჩვენებდა. საგონებელში ჩავვარდი. თუ არ ვუყვარდი, რატომ დამყვებოდა სასეირნოდ და თბილად რატომ მექცეოდა, ხოლო თუ ვუყვარდი, რაღატომ ბრაზდებოდა, როცა სიყვარულს ვუხსნიდი? ვცადე შერიგება. არაფერი გამომივიდა. მეგობრები მამშვიდებდნენ — მაგისთანა ქალი „ხორცშესხმულ განტოლებად“ თუ გჭირდება, არ ვიცით და ცოლად არ გამოგადგება, სიცოცხლეს გაგიმწარებსო. ვერ ვიჯერებდი, რომ ქეთის მართლაც შეეძლო ვინმესთვის, მით უფრო ჩემთვის, სიცოცხლის გამწარება. მე მას კარგად ვიცნობდი, თბილი და მგრძნობიარე გოგო იყო, მხოლოდ ის ვერ გამეგო, რატომ აღიზიანებდა სიყვარულზე ლაპარაკი. ქეთი აღარ შემირიგდა. შევეცადე, როგორმე დამევიწყებინა ჩემი დიდი სიყვარული. არც ვურეკავდი, არც ვეჩვენებოდი, მაგრამ ვერ დავივიწყე. გავიდა ოთხი წელი. ხან ვინ გამაცნეს, ხან ვინ. ჩემი დასაწუნი არაფერი სჭირდათ იმ გოგოებს, მაგრამ გული მაინც არავისზე მიმდიოდა. ისევ ის „მწვალებელი“ ქეთი მერჩივნა ყველას. სრულიად შემთხვევით შევხვდი მეგობრის დედის პანაშვიდზე. რომ დამინახა, ისე გამიღიმა, თითქოს არასოდეს უწყენინებია ჩემთვის. ძალიან გამიხარდა. ამხელა კაცი პატარა ბიჭივით ავცმუკდი. დამაბნია მასთან შეხვედრამ. გადამეხვია და გადამკოცნა. რამდენიმე მეგობარი დავიყოლიე და ქეთისთან ერთად რესტორანში წავედით. ის საღამო ჩვენი შერიგებისა იყო. მეგობრებმა დაგვარიგეს: ორივეს ისევ გიყვართ ერთმანეთი, პატარებიც აღარ ხართ, აბა, თქვენ იცით, აწი მაინც მოიქეცით ჭკვიანადო. იმ დღიდან ისევ გაგრძელდა ჩვენი ურთიერთობა. თუკი ადრე არ მიტყდებოდა სიყვარულში, ახლა გაცილებით გულახდილი იყო და ჩემს კითხვაზე — გიყვარვარ თუ არა, — ალალად მპასუხობდა: მაშინაც მიყვარდი, ამას ახლაღა მივხვდი, მაგრამ ადრე ვერ ვაცნობიერებდიო. დავთქვით კიდეც ქორწილის დღე, მაგრამ ჩემმა ძმამ მანქანით გაიტანა კაცი. გარდაცვლილს სამი მცირეწლოვანი ბავშვი დარჩა. ჩემი ძმა დააპატიმრეს. მთხოვა, იმ ბავშვებს მიხედეო. ჩემს ოჯახში ნამდვილად არ იყო ის სიტუაცია, რომ ზარზეიმით გადამეხადა ქორწილი, ერთი წელი მაინც ხომ უნდა გასულიყო? ამიტომ ქეთის ვუთხარი, — ცოტა ხანს უნდა მოვიცადოთ-მეთქი. არაფერი უთქვამს, მაგრამ შევატყვე, ნაწყენი დარჩა. მერე და მერე კი, სულ მიზეზს ეძებდა, რომ წამჩხუბებოდა. ერთხელ მითხრა: როცა ის გავიცანი. მართალია, ვუყვარდი, მაგრამ სხვას რაიმე თუ აწუხებდა, — ამაზე არც ფიქრობდა. „მიყვარხარ და მორჩა!“ — ასეთი იყო მისი დევიზი. ამიტომაც იყო, რამდენჯერაც სიყვარულში გამომიტყდა, იმდენჯერ „ცუდად“ გავხდი, თუმცა გიორგისთან ურთიერთობა მსიამოვნებდა. რაღაც მაინც მაღიზიანებდა. მუდამ „მოზომილი“ იყო. ერთი შეხედვით, ეს თვისება კარგიცაა. როცა ადამიანს მოზომილი სიტყვა-პასუხი აქვს, მით უფრო — მამაკაცს, მაგრამ მინდოდა, გიორგი აღტაცებული და მგრძნობიარე შეყვარებული ყოფილიყო. სხვებისგან ვიცოდი, რომ სულ ჩემზე ლაპარაკობდა, ჩემთან კი ბოლომდე არ იხსნებოდა, მარტო იმის თქმა, რომ ვუყვარდი, არ მაკმაყოფილებდა. ის არ იყო კაცი, რომელიც ჩემი სიყვარულისთვის „რაღაც მსხვერპლს“ გაიღებდა. როცა საქმე საქმეზე მიდგა, ისე თავდაჯერებულმა მითხრა: მოიცადე, ჯერ რაღაც პრობლემებს მოვაგვარებ და მერე ვიქორწინოთო, რომ გავბრაზდი. ჯერ ერთი, ადრე მისთვის არ მითქვამს თანხმობა, მაშ, რატომ იყო დარწმუნებული, რომ ცოლად გავყვებოდი? მერე, თუკი გაგიჟებით ვუყვარდი, „მთავარი პრობლემა“ მე უნდა ვყოფილიყავი და რას აგვარებდა, ვერ გავიგე. შეყვარებულობის პერიოდში მეჩვენა პრაგმატულად, მერე ალბათ სრულიად მიუღებელი გახდებოდა ჩემთვის, ამიტომაც გადავწყვიტე, დავშორებოდი. კარგა ხანს მიტრიალა, ხან ვინ მომიგზავნა, ხან — ვინ, მაგრამ აღარ გავიკარე. გავიდა წლები. რაც დრო გადიოდა, ჩემდა გასაკვირად, უფრო და უფრო სიამოვნებით ვიხსენებდი გიორგისთან გატარებულ დღეებს. ზოგჯერ საოცრად მომინდებოდა მისი ხმის გაგონება, მაგრამ სიჯიუტე ამის ნებას არ მაძლევდა. ბოლოს, შემთხვევამ მაინც შეგვახვედრა ერთმანეთს. ვერ მოვიტყუები, შინაგანად ყოველთვის ვგრძნობდი, რომ ადრე თუ გვიან მაინც შევხვდებოდით, რადგან ასე უაზროდ არ შეიძლებოდა დავშორებულიყავით. მართლა ძალიან გამიხარდა მისი დანახვა. ეს მანაც იგრძნო. დაბნეულიც იყო და ბედნიერიც. იმ დღიდან აღდგა ჩვენი ურთიერთობა, მაგრამ დროდადრო ისევ ის „მოზომილობა“ და „დოზირება“ საშინლად მიშლიდა ნერვებს. ყველაზე გამაღიზიანებელი კი ის იყო, რომ ვერ ატყობდა, რა მწყინდა ან რა მიხაროდა. მერე მის ძმას უბედურება შეემთხვა და ერთი წლით კვლავ „გადამიდო“ დაოჯახება. სხვების თვალში ალბათ გათხოვებას დახარბებული ვჩანდი. სულაც არ არის ასე! მე მას არასოდეს ვთხოვდი, ახლავე ცოლად მომიყვანე-მეთქი. ერთადერთი, რაც მინდოდა, იყო ის, რომ „დაგეგმილი“ კაცი არ ყოფილიყო. ყოველთვის მჯეროდა, როცა გიყვარს, ხუჭავ თვალებს და საყვარელ ადამიანს „ბრმად“ ენდობი. ბოლო ხანს მე მართლაც „ბრმად“ ვენდობოდი, რადგან მიყვარდა და ვუყვარდი, მან კი კვლავ პრობლემათა პირამიდა ააგო ჩემ თვალწინ. კვლავ იმედი გამიცრუვდა. დამღალა გიორგისთან ურთიერთობამ. როგორ ველოდი და ვენდობოდი, როგორ მიყვარდა და მინდოდა მის გვერდით ვყოფილიყავი ჭირსა თუ ლხინში. მისგან (როგორც კი თავისად დამიგულებდა) „მოიცადეს“ და „ჯერ არ შეიძლებას“ მეტი არაფერი გამიგონია. სხვები მეუბნებიან, — ბედნიერი ხარ, ასე რომ უყვარხარო. მე კი მგონია, გიორგის იმიტომ ვუყვარვარ, რომ წლების წინ აღმართული „ბარიერი“ (ჩემ მიმართ გრძნობას ასე დაარქვა) ვერ გადალახა თავის დროზე. ახლა სწორედ ამ „ბარიერის“ გადალახვაში ეჭვი აღარ ეპარება. ერთხელ ნასვამს წამოსცდა, — ჩემთვის არ არსებობს დაუძლეველი პრობლემაო. თუ არ არსებობს, მაშ, საყვარელ ქალთან რატომ ლაპარაკობს ასე ხშირად პრობლემებზე? ამ სამი თვის წინ ისევ წავკინკლავდით, ვერ მოვითმინე და ვუთხარი: საშინლად დოზირებული კაცი ხარ, ასე მგონია, ჩემთან შეხვედრებიც საკუთარ თავს წამალივით გამოუწერე. „ისე რა“, გრძნობა არ მჭირდება. ამიტომ უნდა დავშორდეთ, ერთმანეთისთვის შეუფერებლები ვართ-მეთქი. იცით, რა მიპასუხა: — ისტერიკებს თავი დაანებე, ახლაც ისე კი აღარ მოვიქცევი, როგორც ადრე. იცოდე, მაინც „ამოვთხრიო“. ფილმ „მონანიებიდან“ ამ ყბადაღებული სიტყვით ერთგვარად გამაფრთხილა, რომ აღარ დამთმობდა, მაგრამ მე შეურაცხყოფილი დავრჩი. როცა უყვართ, ასე არ იქცევიან, ამიტომაც კვლავ ეჭვის ჭია შემიჩნდა: იქნებ, არც ვუყვარვარ. ვაითუ, სანანებლად გამიხდეს მის გვერდში ყოფნა-მეთქი. იქნებ მართლაც სჯობს, დავშორდეთ და გიორგის სიყვარული რომანტიკულ გრძნობად დამრჩეს, ვიდრე ყოველდღიურობამ ყველანაირი ხიბლი ჩამოაცილოს და ხელში შემრჩეს — „არაფერი“?!

რას იტყვით, როგორ მოვიქცე?

***მარინა ბაბუნაშვილი***

**ჩვენ გვწერენ**

# არასოდეს შეგაწუხებ ჩემი სიყვარულით

*თითოეულ ადამიანს მიაჩნია, რომ მისი ტკივილი და განცდა განუმეორებელია და ყველაზე მძიმე; ამიტომაც როცა გვთხოვს, ეს არის ჩემი „უკანასკნელი შანსი“ საყვარელი ადამიანისთვის ხმის მისაწვდენადო, წერილის გამოქვეყნებაზე უარს ვერ ვეუბნებით. აი, ერთ-ერთი ამ ბარათთაგანი:*

„...არ მინდა ვიფიქრო შენზე, მაგრამ მაინც ვფიქრობ. არ მინდა მიყვარდე, მაგრამ მაინც მიყვარხარ. გავურბივარ ყველას და ყველაფერს, ვეძებ მარტოობას, უშენობა მკლავს, მაგრამ აღარ შეგაწუხებ. მხოლოდ ერთხელ, ისიც გაზეთის მეშვეობით გეტყვი უკანასკნელად, რომ ისევე მიყვარხარ, როგორც მაშინ, პირველი ნახვისას.

ჩვენი სიყვარული ორივესთვის ზედმეტი აღმოჩნდა. ვერც ერთმა ვერ შევძელით გავფრთხილებოდით ამ გრძნობას, რომელიც არც ისე ხშირად მოდის. ჩვენი სიყვარული ჩვეულებრივი ამბავი გვეგონა, ამიტომაც არ ვაფასებდით სათანადოდ, მაგრამ ახლა, როცა ერთად აღარ ვართ, ორივე მივხვდით, რომ „წავაგეთ“. მინდა გითხრა, რომ არასოდეს დამავიწყდები. ჩემი სიჩუმე წყენა ან მიტოვება არ გეგონოს...

ნათქვამია, დიდი და წრფელი სიყვარული არ იჟანგებაო. მართალიცაა. ამ სიყვარულმა შეგვაძლებინა პრობლემათა დაძლევა და ოჯახის შექმნა, მაგრამ ვაი, რომ ხანმოკლე აღმოჩნდა ბედნიერება.

ვიცი, როცა ამ წერილს გაზეთში წაიკითხავ, კვლავ აფორიაქდები, მიხვდები, რომ ეს მე გიძღვნი ამ სტრიქონებს, მაგრამ გთხოვ, ნუღარ იზრუნებ „რაღაცებზე“.

ვერც დრო, ვერც მანძილი ვერ შეანელებს ჩემს გრძნობას შენდამი, მაგრამ ეგეც იცოდე, ჩვენი ერთად ყოფნა გამორიცხულია, ჩვენი ურთიერთობა ალბათ თავიდანვე განწირული იყო. მეტს ვერაფერს გეტყვი...

მშვიდობით, ჩემო სიყვარულო.“

# ლამაზები რომ ვიყოთ...



ყველა ქალს უნდა ლამაზად გამოიყურებოდეს და ათასგვარ კოსმეტიკურ კრემს ხმარობს სახის გასაწმენდად. მაგრამ რა ვუყოთ ყოველდღიური სტრესებით გამოწვეულ ამოღამებულ თვალებს, ნაოჭებს, ავიტამინოზისგან აქერცლილ, ფერდაკარგულ კანს? დროებით განზე გადადეთ მზა პროდუქცია და თავად დაამზადეთ ნიღბები.

**დამამშვიდებელი ნიღაბი.** შეურიეთ ერთმანეთს 1 ჩ/ჭ ზეითუნის ზეთი, 1 კვერცხის გული, 1/2 ლიმონის წვენი და ცოტაოდენი ლიმონის ცედრა.

**კომბოსტოს ნიღაბი — გამწმენდი და მათეთრებელი.** უმი კომბოსტოს ფოთლები გაატარეთ ხორცსაკეპ მანქანაში, მიღებული ფაფა 1:1-ზე აურიეთ მაწონში. ნიღაბი სახეზე 10 წუთზე მეტი არ გაიჩეროთ.

**სტაფილოს ნიღაბი — სახის ფერის მომყვანი.** აურიეთ ერთმანეთში 2 გახეხილი სტაფილო, 2 ს/კ კარტოფილის სახამებელი და 1 კვერცხის გული. ნიღაბი გაიჩერეთ 15-20 წუთი.

**თაფლისა და ლიმონის ნიღაბი — კანის მკვებავი.** 1 ს/კ თაფლი, 1 ლიმონის წვენი. ნიღაბი 15 წუთით გაიჩერეთ, ჩამოიბანეთ და კვლავ გაიმეორეთ პროცედურა. კურსის ოპტიმალური რაოდენობაა 15 ნიღაბი 5-დღიანი ინტერვალებით. ამის შემდეგ თქვენი კანი ხავერდოვანი გახდება.

გარდა ამისა, ყურადღება მიაქციეთ სწორ კვებას. კარგი იქნება, თუ არ მიირთმევთ ჰამბურგერებსა და ჩიფსებს და იკვებებით სალათებითა და ზღვის პროდუქტებით.

# სად ვეძებო ჩემი ბედი...

***„ჭიამაია, ჭიამაია, ჩემი ქმარეული საით არიან“ — ხომ გახსოვთ, ბავშვობის დროინდელი თამაში? თამაშია, აბა, რა, თორემ ვის გაუგონია, ჭიამაიას ვინმე გაეთხოვებინოს! თითზე შემოსკუპებულს სულს შეუბერავ, ფრთებს გაშლის და ისე უგზო-უკვლოდ გაქრება, სულ დაგეკარგება ყველაფრის იმედი. რახან 15 აპრილს სიყვარულის დღეს ზეიმობენ ჩვენში და რახან ჭიამაიას მოგონებამ ამაფორიაქა, ვიფიქრე, გავიგებ, ვინ როგორ ეძებს საკუთარი ბედს-მეთქი...***

**ნიცა (18 წლის):** — მომავალი მეუღლე ინტერნეტ-კაფეში გავიცანი. ისე ვერთობოდი თამაშით, რომ ირგვლივ ვერავის ვამჩნევდი, მაგრამ ერთ დღეს საქმეში ჩვეულებრივი ბუზი ჩაერია და... დიახ, ბუზი, რომელსაც თავიდან ვერ ვიშორებდი. გაზეთი გავკეცე და „მომხვდურის“ ლიკვიდაციისთვის მოვემზადე. ის კი ჩემი მეზობლის კლავიატურაზე დასკუპდა: ავიქნიე „იარაღი“ — ბუზიც მოვკალი და მშვენიერი ბიჭიც გავიცანი. ხანმოკლე რომანის შემდეგ დავქორწინდით. ჩემი ქმარი ხუმრობს ხოლმე — ბუზს ძეგლი უნდა დავუდგა. მისი თავხედობა რომ არა, ჩემკენ ერთხელაც არ გამოიხედავდიო.

**ნანა (26 წლის):** — სულ მგონია, რომ ჩემი საქმრო სადღაც შორეულ წარსულში ცხოვრობს. არის მდიდარი და თავს მსახურები ახვევია, აქვს ლამაზი სასახლეები და ბაღები. ამიტომ ვეძებ დროის მანქანას, რომ მოვხვდე წარსულში, გავყვე ცოლად და ბედნიერი ვიყო, ისე, როგორც ეს მოხდა ფილმში „ქეითი და ლეო“. ჩვენი დროის კაცები არ მომწონს...



**ნატა (38 წლის):** — სად შეიძლება ეძებო ბედი? ყველგან. შეიძლება სადმე მიფრინავდე. აეროპორტის ტუალეტში შემთხვევით შეირბინო, უცებ კაცების და ქალების შესასვლელი ერთმანეთში აგერიოს და კარებში სწორედ მას დაეჯახო, ვისაც მერე ცხოვრებას დაუკავშირებ, ისე როგორც მე დამემართა. თუმცა, ამ ამბის შემდეგ ჩემი მეუღლე, სადმე გაფრენის წინ, მაკონტროლებს ხოლმე — ტუალეტის შესასვლელი რომ არ შემეშალოს და ხუმრობს — ვაითუ, ვინმეს შეეჩეხო და შენი თავი წამართვასო.

**ლალი (42 წლის):** — დანიშნული ვიყავი. ის ბიჭი არ მყვარებია, მაგრამ იმდენი მიქეს, გადავწყვიტე, გავყოლოდი. ქორწილამდე ერთი კვირით ადრე მანიკიურის გასაკეთებლად მივდიოდი სალონში, გზაზე გადასვლისას მანქანა დამეჯახა. საბედნიეროდ, მსუბუქად. როცა ასფალტზე გართხმულს „დამნაშავე“ თავს წამომადგა, გავიფიქრე, რა ბედნიერებაა, ეს რომ მოხდა-მეთქი. ის ბიჭი დანახვისთანავე შემიყვარდა. საავადმყოფოში ყოველდღე მაკითხავდა. ჩემი დანიშნული კი საშინლად ეჭვიანობდა. ერთ დღესაც ისე, რომ არც ვიცოდი ჩემი გულის ვარდი რას ფიქრობდა, საქმროს გამოვუცხადე, აღარ მოგყვები ცოლად, ნიშანს გიბრუნებ-მეთქი. გაგიჟდა. ცოტა აყალმაყალი კი მოჰყვა ამ ამბავს, მაგრამ მალე ყველაფერი ჩაწყნარდა და მივთხოვდი მას, ვისაც შეიძლება მოვეკალი კიდეც...

**ქეთო (75 წლის):** — ბავშვობაში, სოფელში, ბებიის ნაჩუქარი პატარა ბაჭია დამეკარგა. დიდხანს ვეძებდი. თურმე მეზობლის ძაღლს შეეჭამა. კინაღამ დარდს გადავყევი. იმ ხანად მეზობელთან ნათესავი ბიჭი იყო ჩამოსული. თვალიც არ მქონდა მოკრული მისთვის. მას კი შეუმჩნეველი არ დარჩენია ჩემი დარდი და... ახალი ბაჭია მომიყვანა. ბავშვი ვიყავი, მისთვის წესიერად არ შემიხედავს. მოგვიანებით კი, უკვე დაქალებულს, სტუდენტს, უნივერსიტეტის კიბეზე ახალგაზრდა, სანდომიანი მამაკაცი გადამიდგა და ღიმილით მკითხა — როგორ არის თქვენი ბაჭიაო... ჭიამაიამ არა, მაგრამ ბაჭიამ ნამდვილად მაპოვნინა ბედი და მისი უზომოდ მადლობელი ვარ.

**ლია (40 წლის):** — უკვე შებინდებული იყო, თანაც წვიმდა და ტაქსი გავაჩერე. ორიოდე მეტრი გავიარეთ თუ არა, ვიღაც ბიჭმა დაგვიქნია ხელი. ისეთი თავსხმა იყო, შემეცოდა და მძღოლს ვთხოვე, — შეაჩერე-მეთქი. შინ მისვლამდე ყველაფრის გამოკითხვა მოასწრო. მეცინებოდა, მაგრამ ვპასუხობდი. მას მერე ყოველდღე მაკითხავდა ყვავილებით. ორი კვირა ვუძალიანდებოდი. მერე ვხვდებოდით ერთმანეთს. ორ თვეში კი დავქორწინდით.

**მაკა (31 წლის):** — ერთ დილას უგუნებოდ ავდექი, აღმოვაჩინე, რომ ჩემ ირგვლივ ყველა ბედნიერი და დაწყვილებული იყო. მე კი მარტოხელა და მარტოსული თავს საშინლად ვგრძნობდი. ძლიერი ქარი ქროდა. მიუხედავად ამისა, ქუჩაში ჯიუტად, უმისამართოდ მივდიოდი. მუშტაიდის ბაღთან ამოვყავი თავი. შევედი. „ეშმაკის ბორბალზე“ დაჯდომა გადავწყვიტე. უცებ უკნიდან მომესმა — შეიძლება შემოგიერთდეთ? ახალგაზრდა, სიმპათიური, გემოვნებით ჩაცმული მამაკაცი იყო. კი, ბატონო-მეთქი, — უხალისოდ ვუპასუხე და დავჯექი. ახლა მე და ის კაცი უკვე სამი წელია ცოლ-ქმარი ვართ. უცნაური არაა?

***ეკა ლომიძე***

# „ჩემს ზღაპარს ჰქვია „სად ცხოვრობს მზე?“

## „ალაზანმა საზამთრო წამართვა და გავეკიდე“



*მსახიობი* ***გოგა პიპინაშვილი*** *მაყურებელთა უმრავლესობას განსაკუთრებით დაამახსოვრდა ზაზა კოლელიშვილის ფილმიდან „გარიგება“, სადაც იგი მაროს „გათხოვილი“ ქმრის როლს თამაშობს. ახლახან მის შემოქმედებით ანგარიშზე სხვა საინტერესო როლებთან ერთად ერთიც გაჩნდა. მსახიობმა ცნობილი მწერალი ნოდარ დუმბაძე განასახიერა.*

**— ახალ ფილმში თქვენ დიდ მწერალს თამაშობთ, კმაყოფილი ხართ ნამუშევრით?**

— ეს ფილმი გადაიღო გიგა ლორთქიფანიძემ. ნოდარ დუმბაძის განსახიერება ძალიან რთული იყო, მაგრამ ბატონმა გიგამ გამიიოლა საქმე, პროტოტიპი არ გვინდა, ჩვეულებრივად ითამაშეო. ფილმის ნახვის შემდეგ კი გული დამწყდა, ეს არ არის ნამუშევარი. ცოტა დრო გვქონდა, მე კი მინდოდა უფრო სერიოზულად მივდგომოდი ამ საქმეს. ახლა ერთობ „სტახანოვური“ მეთოდებით მუშაობენ, რაც გაუგებარია. შეიძლება, ერთ კვირაში გადაიღო ფილმი?

**— როგორც ჩანს, ბატონი გიგა არ ცნობს საბაზრო ეკონომიკისთვის დამახასიათებელ კომერციულ ხერხებს და ფილმი გადაიღო არა უზომოდ გაშიშვლებულ ძალადობაზე, არამედ ისეთ თემაზე, სადაც ეფექტი უნდა მოახდინოს სიტყვამ, ფრაზამ, აზრმა და არა მკვლელობის, ძარცვის ან გაუპატიურების სცენამ.**

— ბატონმა გიგამ ამ ფილმზე მუშაობა დიდი ხნის წინ დაიწყო და ახლახან დაასრულა. ის და ნოდარ დუმბაძე მეგობრები იყვნენ, ამიტომაც აირჩია ეს თემა ფილმისთვის. რაც შეეხება იმას, რაც დღეს ქართველ რეჟისორებს ეკრანზე გამოაქვთ, არ მომწონს და ამიტომ ვერავინ მიხილავს მათ ფილმ-პლაკატებში. ჩემს რამდენიმე მეგობარ რეჟისორთან კამათიც კი მომივიდა. რატომ იღებთ ასეთ ტელესერიალებს, სადაც აუცილებლად სამი ქალი უნდა გააუპატიუროთ და 6 კაცი მოკლათ. ერთხელ რომ გადაიღეთ და არ გვესიამოვნა, რატომ აღარ გაჩერდით, შეიძლება ტერორში გვამყოფოთ-მეთქი? 14 წელი სულ ომში, სროლებში, უბედურებაში ვართ. ეკრანზეც ამას გვიჩვენებენ და ველარ ვგრძნობთ, რომ გაზაფხული მოვიდა. მინდა ფოთოლი, ია, ენძელა დავინახო. ეს არ არის უბრალოდ ლამაზი სიტყვებისთვის ნათქვამი. მშვენიერება ბადებს ადამიანურ სიყვარულს. ათბობს ურთიერთობებს, გიბიძგებს კეთილი საქმისაკენ და არა აგრესიისაკენ. წელს, ზამთარში ჩემი გოგონა წავიყვანე ბაკურიანში. სანამ სასტუმროში დაგვაბინავებდნენ, ეზოში მე და ჩემმა მეგობარმა ავაგორეთ დიდი გუნდა და ბავშვებისთვის თოვლის ბაბუა გავაკეთეთ. მერე ავედით სასტუმროში, გადმოვიხედე და რას ვხედავ, ჩემი შვილის კბილა ბიჭი ორი ჯოხით მისდგომია თოვლის ბაბუას... იცით რა უქნა? მიწასთან გაასწორა. ასეთი აგრესია ფილმშიც არ მინახავს. გავგიჟდი. ჩემმა მეგობარმა დამაკავა, თორემ ალბათ ყურებს ავახევდი მასაც და მამამისსაც, რომელსაც ყურიც არ შეუბერტყავს შვილის საქციელზე. ამით იმის თქმა მინდა, რომ რასაც ეკრანზე ვუყურებთ, ის ჩვენში ილექება. სწორედ ამიტომ, ქუჩაშიც ამაზრზენად იქცევიან ადამიანები, დიდი თუ პატარა. სერგო ზაქარიაძე „ჯარისკაცის მამაში“ რომ ამბობს — გოდერძი, ბიჭოო, ყელში ბურთი მოგებჯინება, შეიძლება გული გაგისკდეს სიყვარულისა და ტკივილისაგან კაცს. ამის შემდეგ კი „რემბოს“ და მსგავსი საშინელებების ნახვა აღარ შემიძლია.

**— მაგრამ რეჟისორები მაინც იღებენ ასეთ ფილმებს, რადგან თურმე უფრო კომერციული და მოდურია.**

— კომერციულის და მოდურის გაკეთება გემოვნებითაც შეიძლება, პლაკატები კი არ უნდა წარმოადგინო, ხელოვნება უნდა შექმნა. მაგრამ ამას ცოდნა და გამოცდილება სჭირდება. მხოლოდ პროფესიული მომზადება არ კმარა, ქუჩაც უნდა იცოდეს კარგმა რეჟისორმა. ამათ ქუჩა იციან? არ იციან, რაც ჩანს კიდეც მათ ფილმებში. როგორც ჩვენმა შს მინისტრმა თქვა, უნდა შეიცვალოს კრიმინალური სამყაროს მიმართ საზოგადოების დამოკიდებულება, უნდა განადგურდეს კრიმინალური ინსტიტუტი. რითი უნდა შეიცვალოს? ადამიანთა შორის ურთიერთობებით, არა? კრიმინალური ინსტიტუტი დღეს ამორფულია, წინათ კი ის ქმნიდა ერთგვარ დაუწერელ კანონებს, რომლითაც გარკვეულ შემთხვევებში კრიმინალსაც არ ჰქონდა უფლება ადამიანური ურთიერთობების უგულებელყოფისა. ამას ქუჩა შობდა, ასე ვიზრდებოდით, მანდილოსანს რომ გვერდით კაცი ახლდა, იმ ქალის შეურაცხყოფას ვინ გაბედავდა? ახლა დანასაც უყრიან, სხვა რომ არაფერი ვთქვათ.

**— რამდენიმე წლის წინ თქვენი ხელმძღვანელობით ჯანმრთელ და ასევე გარკვეულ უნარშეზღუდული ბავშვებისათვის საბავშვო-საყმაწვილო ცენტრი „არტ-ჰოლი“ შეიქმნა...**

— ჩემმა პატარებმა პირველი სერიოზული ნაბიჯები გადადგეს, ძალიან კმაყოფილი ვარ მათი მუშაობით. ვიღებთ კლიპებს სოციალურ თემებზე. მოგეხსენებათ, „არტ-ჰოლში“ არიან როგორც ჯანმრთელი, ისე უნარშეზღუდული ბავშვები. მათი მეგობრობის და ურთიერთობის პოპულარიზაციას ვცდილობთ. დღევანდელი საზოგადოება არ არის მზად იმისათვის, რომ გარკვეულ უნარშეზღუდული მოზარდი ადეკვატურად აღიქვას, უჩნდებათ შებრალების გრძნობა. ამას წინათ ჩემმა მეგობარმა რეჟისორმა გააკეთა ბრტყელი, პლაკატური კლიპი, სადაც ბავშვი მათხოვრობს. არ შეიძლება ამ თემის იგნორირება, მაგრამ არც ნატურალიზმია გამართლებული. ხელოვნების მაღალი ნიმუშით უნდა შეძლო აღუძრა მაყურებელს თანადგომის სურვილი, თანაგრძნობის და არა შებრალება-შეწყალების განცდა.

**— ასეთი ტერმინი გაჩნდა, „ახალი ქართველი“. რას ნიშნავს ეს და რომელს მიეკუთვნებით თქვენ — ძველს თუ ახალს?**

— ჩვენი საუბრიდან გამომდინარე, ძველს. მაგრამ სიახლისადმი ჩემი დამოკიდებულების გათვალისწინებით, ალბათ ახალსაც. ყველანაირად ვცდილობ, ნებისმიერ ჩემს როლში, ჩემს მოქმედებაში კაცური მარცვალი იდოს. ეს არ არის ლიტონი სიტყვები. ჩემი შვილისთვის, მისი ტოლებისთვის მიხარია ცხოვრება. ახალი ქართველობა მხოლოდ იმით არ უნდა გამოიხატებოდეს, რომ ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენზე, აბრეშუმის გზაზე და სხვა პროექტებზე ფიქრობ, ადამიანებში სულიერების განვითარებაზე უნდა იზრუნოს კაცმა, მატერიალური დოვლათი იქნება, მომხმარებელი კი აღარ გეყოლება, ან თუ გეყოლება, ადამიანი და ქართველი აღარ იქნები.

**— მას შემდეგ, რაც „გარიგება“ გავიდა ეკრანზე, მაყურებელმა მოსვენება დაკარგა, იგი მოუთმენლად ელის მაროს და მიტოს შერიგებას. თუ იცით, რას აპირებს ზაზა კოლელიშვილი?**

— რახან მაყურებელს ასე სურს „შერიგების“ ნახვა, გეტყვით, რომ არსებობს უკვე იდეა. თუმცა მის განხორციელებას დიდი დაფინანსება სჭირდება. ფინანსებს კი ზაზა ვერაფრით შოულობს.

**— სინამდვილეში თუ გსმენიათ, ცოლს რომ ქმარი „გაეთხოვებინოს“?**

— ეს ფილმი ნამდვილ ამბავზეა აგებული. კახეთში მოხდა და ზაზას დედამ ჩაწერა. ფილმის გმირების უმრავლესობაც ნამდვილი პერსონაჟების პროტოტიპები არიან. ფილმში რომ ორკესტრი უკრავს, მისი წევრებიდან უმრავლესობა უკვე ცოცხალი აღარ არის. „გარიგების“ გადაღება ჩემთვის ყველაზე სასიამოვნო პროცესი იყო. იუმორით გაცილებით მეტად გაჯერებული კადრები დარჩა ფილმის მიღმა, ჯერ ყველაზე დიდი კურიოზი ის იყო, რომ მე, სრულიად არამსმელ ადამიანს, არასდროს დალევის საღერღელი რომ არ ამშლია, ზაზამ ფილმში მონაწილეობა ასე შემომთავაზა, — წამოდი, ფილმში სხვას თუ არაფერს, დალევას მაინც გასწავლიო. მეც წავყევი და... ვაი, ყოველდღიურად, დილის 7 საათიდან ვქეიფობდით ხან იყალთოში, ხან შუამთაში და ხან — სად. კახურ კილოზე დასმულ კითხვაზე, — არ დავლიოოთ? — თვალებში მიბნელდებოდა.

**— მდინარეში ჩადგმულ მაგიდასთან ხშირად ქეიფობდით?**

— ეს სპონტანურადაა გადაღებული, სცენარით გათვალისწინებული არ იყო. იმ დღეს გადაღება არ მქონდა. ფილმის გადაღებისას შეძენილმა კახელმა ძმაკაცებმა გამომიარეს და წამიყვანეს საქეიფოდ. კაი შექეიფიანებულებმა გადავწყვიტეთ, გადამღებ ჯგუფს დავდგომოდით თავზე. პურმარილით წავედით. კაი მთვრალი ვიყავი. ზაზამ მითხრა, ახლა შენნაირ მდგომარეობაში მყოფი კაცი მჭირდება ზუსტადო, „ესკორტს“ ალავერდთან გადაახვევინა... ძლივს ჩამაგდეს გაყინულ წყალში, მერე კი ველარ ამოვყავდი იქიდან. სამლიტრიანით კახური არაყი მოიტანეს, იმას ვსვამდით. ზაზა კოლელიშვილი წელამდე წყალში იდგა. ოპერატორი მხრებზე ეჯდა და ისე გვიღებდნენ. სანამ ის სამლიტრიანი არ დავცალე, წყლიდან ვერ ამომიყვანეს. საზამთრო მომტაცა ალაზანმა და იმას გავეკიდე (ეცინება).

**— ამას წინათ ერთი ქართველი ხელოვანის ჩანაწერებში ასეთი რამ ამოვიკითხე: „ჩემმა მეგობარმა შოთა რუსთაველის დედის სადღეგრძელო დალიაო. მერე ვფიქრობდი, ნეტავ როგორი იყო ის ქალი, ვინც გენიოსი გაზარდა-მეთქი“, თქვენ გიფიქრიათ, რითი ასაზრდოებდა დედა ყრმა რუსთაველის სულს, გონებას?**

— ასე მგონია, მაშინ ეპოქა იყო სხვანაირი და დედებიც სხვანაირები იყვნენ, ისევე, როგორც ჩემს ბავშვობაში. ვაჟკაცობის და კაცობის გაცნობიერება ორი-სამი წლის ასაკში დავიწყე, როცა სამთვლიანი ველოსიპედიდან გადმოვვარდი და დედამ წამითაქა: — ისეთი ლაყე როგორა ხარ, რომ სამთვლიანი ველოსიპედიდან გადმოვარდი ამხელა „კაციო“, მაშინ მივხვდი, თუ ჯდები ველოსიპედზე, მისი ტარებაც უნდა შეგეძლოს.

**— ახლა „არტ-ჰოლი“ მუსკომედიის თეატრშია განთავსებული, ამ თეატრს ამჟამად ძალიან უჭირს. რა გახსენდებათ ძველი, კარგი დროიდან. ვიცი, რომ თითქმის აქ გაიზარდეთ...**

— სამწუხაროდ, თეატრს მართლა ძალიან უჭირს, ბევრი პრობლემა აქვს. მე მისი სერიოზული ქომაგი ვარ, რადგან ჩემი სამსახიობო კარიერა აქედან დაიწყო. მამაჩემი იყო მუსკომედიის თეატრის მსახიობი და ამას უკავშირდება თეატრთან ჩემი შეხებაც. მახსოვს, თითქმის ყველა თაობის მსახიობი და უამრავი კარგი სპექტაკლიც. სამწუხაროდ, ჩვენთან ამ თეატრალური ჟანრის გემო არ იციან, მაშინ როცა მთელი მსოფლიო მუშაობს ოპერეტაზე. გული მწყდება, რომ თეატრის კედლები დღეს გაყინული და ცივია. არადა, მახსოვს, პატარა ბალში რომ ხის სკამი იდგა, მის თავთით მდგომი ტირიფიც კი უზომოდ თბილი იყო...

**— თქვენ, მსახიობები, მეოცნებენი, არაპრაქტიკული ხალხი ჰგონიხართ ბევრს, მე კი რატომღაც ვფიქრობ, რომ სხვებზე მეტად ხართ რეალისტები და სულაც არ ფიქრობთ, რომ ცხოვრება ზღაპარს ჰგავს.**

— ცხოვრებას, ისევე როგორც ზღაპარს, აქვს დასაწყისი და დასასრული, მაგრამ იგი ყოველთვის არ ჰგავს ზღაპარს, რადგან ცხოვრების შინაარსი დამოკიდებულია როგორც ღმერთის მიერ ნაბოძებ „საჩუქრებზე“, ასევე ადამიანზე. რისთვისაც გაგაჩინა ღმერთმა, იმისთვის უნდა იცხოვრო, სიყვარულს და სიკეთეს უნდა ესწრაფოდე და შენი ყოფა ხანგრძლივი და კმაყოფილებით სავსე იქნება. მერწმუნეთ, არ ვცდები, თუ ასე არ იცხოვრებ, ცხოვრების თითოეულ ეპიზოდში შენივე წინააღმდეგობრივი ხასიათის გამო, გაჩნდება უამრავი ზღუდე, უამრავი უაზრო წუთი, წამი და... ცხოვრება თვითონ უნდა დაამსგავსო ზღაპარს. ისე კი ზოგი ქართული ზღაპარი არ მომწონს. აი, ნაცარქექია გაიძვერა, ცუდი ადამიანია, რომელიც ცუდ დღეში აგდებს დევს. ასევე არ მომწონს „ტომი და ჯერიში“ პატარა მაიმუნი თაგვი, რომელიც ძალიან საზიზღარი ვინმეა. ჩემს მეგობრებთან ერთად დავწერე ახალი ზღაპარი, რომელიც ჩემმა ბავშვებმა ჩაწერეს. მას მალე მოისმენთ და ვერ იგრძნობთ ვერავითარ აგრესიას, სამაგიეროდ, იგრძნობთ ზღაპრის ფენომენს. ჩემს ზღაპარს ჰქვია „სად ცხოვრობს მზე?“, ნახავთ და ყველაფერს მიხვდებით.

***ეკა ლომიძე***

მალე
ყველაფერი
უძრავი ქონების შესახებ
ახალ ყოველკვირეულ ჟურნალში


გარდა სარეკლამო ინფორმაციებისა, ჟურნალშია:
უძრავი ქონების ბაზრის ანალიზი, ტენდენციები, ფასები, პროგნოზები, რჩევები...

## ორშაბათი 19 აპრილი

კვირის პალიტრა

07.30 ალიონი 09.45 მულტსერიალი „კუსტოს ფანტასტიკური თავგადასავალი“ 10.10 მხ. ფილმი „მამები„ 11.35 დოკ. ფილმი „მელბურნის ზოოპარკი„ 11.40 საკვირაო გამოფენა 12.00, 15.00, 20.00, 23.00 მოამბე 12.15 ტელესერიალი „სოლედადი“ 13.00 ნაშუადღევს 14.00 მოამბე ინგლ. ენაზე 14.05 დოკ. ფილმი „სათამაშოების როლი ბავშვის აღზრდაში„ 15.15 მხ. ფილმი „ჩემი ამერიკელი ბიძა“ 16.55 რამპა 17.00 მეთუნეები 17.20 საქართველო, დრო, მოვლენები 18.00 ვესტნიკი 18.20 დოკ. სერიალი „ბუნების სამყაროში“ 18.30 სერიალი „წვრილვარსკვლავთა ღამე“ 19.00 გ. ამირეჯიბი 19.25 „იმღერე რამე“ 21.05 ბასტი-ბუბუ 21.20 სერიალი „სოლედადი“ 22.10 „სტუმრად მსახიობთა სტუდიაში„ 23.30 მხ. ფილმი „ინდოჩინეთი„

19.00 მულტსერიალი „შავი მეკობრე„ 19.30 კინოსეანსი „ჩემი ამერიკელი ბიძა“ 1-2ს. 21.00 „Вместе„ 21.30 მოგზაურობა სასიტყვეთში 22.00 მხ. ფილმი „ელიზა„

07.30 დილა მშვიდობისა 08.00 „ტელელიპუცები“ 09.40 სერიალი „შურისძიება“ 11.00 ღამის შოუ დ. გოგიჩაიშვილთან ერთად 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 01.10 კურიერი 12.20 „დისკავერი“ 13.30 მხ. ფილმი 15.20 ბუნდეს ლიგა 16.20 სერიალი „მაშველები„ 17.25 პერეკროსტოკი 18.20 „ტელელიპუცები“ 18.55 „დისკავერი“ 19.45 სერიალი „შურისძიება“ 22.00 სერიალი „ჯაშუში“ 22.50 ღამის კურიერი 23.20 მხ. ფილმი „იქს ადამიანები“. მთ. რ-ში: პატრიკ სტიუარტი, ფამკე იანსენი.

07.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00 ქრონიკა 07.10, 11.20, 17.20, 02.35 იმედის მელოდიები 07.30 „იმედის„ დილა 10.00 დროება 11.30 სპ. პროგრამა „ასი“ 12.10 სერიალი „კლონი„ 13.15 „ბ.პ.-ჩვენი პარტნიორი„ 13.25, 02.05 ტვ-მარკეტი 14.05 თამაში „უდაბნოს სამჭედლოები„ 15.00, 16.00, 17.00 ქრონიკა 15.15 მხ. ფილმი „მოკვდა კაცი„ 17.25 ანიმაციური ფილმი: „სანდოკანი, მალაიზიის ვეფხვი“ 18.00, 19.00, 21.25, 22.00, 01.50 ქრონიკა 18.05 სერიალი „ტყუპები„ 19.35 სერიალი „კლონი„ 20.30 ქართ. სერიალი „27 დრაკონი“ 1-ლი ს. 21.30 „ვაკაჭინიუსი“ 23.00 სპორტ. პროგრამა „გოლი“ 23.30 მხ. ფილმი „თუნუქის დოლი“

09.00 არჩევანის ზღვარზე 10.00 სერიალი „ველური მთვარე“ 11.10 დღის კინოდარბაზი 12.00, 15.00, 18.00 საინფ. გამოშვება „მზერა“ 17.10 მულტფილმი „კონკია 2“ 18.30 მულტსერიალი „რედვოლი“ 19.00 სერიალი „ველური მთვარე“ 20.00 საინფ. გამოშვება „მზერა“ 21.00 მხ. ფილმი „დაბოლილები„ (ჩიჩ მარინი, ტომ ჩინგი) 22.45 არჩევანის ზღვარზე 23.45 მხ. ფილმი „ლეგა ბუ“ (პირს ბროსნანი)

12.00 ინდური მხ. ფილმი „გზის გადაკვეთაზე„ 15.00 მხ. ფილმი „პიკის საათი 2„ 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა „დღეს“ 17.15 მულტფილმი „პიტერ პენი„ 19.20 სპექტრი 21.00 მხ. ფილმი „მარტის კატები„ 22.30 „საქმე და ეკონომიკა“

07.20 პოპ. ად. ათეული 08.00 ტოროლა 11.00 ქართული მუსიკა 13.00 ინფორმატორი 13.30 პროფათეული 14.10 მუსიკა 16.00 ფილმი „საღამოს ვარსკვლავი“. მთ.რ-ში შირლი მაკლეინი, ბილი პექსტონი. 17.00, 19.15 მუსიკა 19.00, 20.00, 21.00, 22.00 ინფორმატორი 19.30, 20.15 ვიდეორადიო 21.15 მუსათეული 22.35 პაპარაცი 23.00 პოპ. ად. ათეული 02.00 „ბრავო“ „ბამერი“. მთ.რ-ში ჯერემი რენერი, ბრიუს დევიდსონი. 03.00 პაუზის გარეშე

09.00 საინფორმაციო დაიჯესტი 09.30 დოკ. ფილმი 10.20 სათავგადასავლო ფილმი „დასავლეთისაკენ„ 11.55 მუსიკა 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00, 22.00, 00.00 საინფ. გამ. „დღეს„ 12.10, 16.10, 18.10, 22.30, 00.20 საინფ. გამოშვება „ნოვოსტი„ 12.20 თრილერი „როცა საათმა 13 დაჰკრა„ 14.10 მხ. ფილმი „შანჰაი„ 15.50, 19.00, 23.20, 04.55 მუსიკა 16.20 მულტფილმი „ვარდისფერი რაკეტა„ 17.10 კომედია „თავდავიწყებული სიყვარული„ 19.10 დოკ. ფილმი 20.10 დოკ. ფილმი 20.40 ბოევიკი „ცივი სისხლი„ 23.00 საინფ. გამოშვება აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე 00.40 საინფ. გამოშვება ინგლისურ და გერმანულ ენებზე 01.00 დრამა „მეუღლენაცვლი ქალი„ 03.10 მხ. ფილმი „ნიშნები„ 05.20 დოკუმენტური ფილმი

202 10.00 მულტფილმი 12.00 ღამის ფილმის განმ. 14.00 მუსიკა 15.00 მხ. ფილმი „შეშლილი მაქსი“ ინგ. ენაზე 17.00 საბ. ფილმი 19.00 სერიალი „მუსკულები“ (გან.) 19.30 ანიმ. ფილმი „დარდუბალა“ 20.00 მხ. ფილმი „ნაპოლეონი“ 22.00 სერიალი „მუსკულები“ 22.20 ნიკა ქავთარაძის ანეგდოტები 22.30 შიშველი სიმართლე 22.40 ი. სალინაძის „კენო“ 22.45 ანიმ. ფილმი „დარდუბალა“ 23.00 დებატები 202-ზე 00.30 მხ. ფილმი „ბედნიერი ტურისტები“

1 13.00, 16.00, 19.00 Новости 13.20 Комедия "ФИЛИАЛ" 15.10 Город женщин 16.20 Сериал "БЕРЕГ МЕЧТЫ" 17.20 "Угадай мелодию" 17.50 "Большая стирка" 19.20 Спасатели. Экстренный вызов 19.50 Сериал "КЛОН" 20.50 "Стирка на миллион" 21.00 Жди меня 22.00 Время 22.30 Сериал "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ" 23.40 Криминальная Россия. "Прописка на тот свет". 1 с. 00.10 Искатели. "Убийство Павла I" 00.40 "Фабрика звезд" 01.00 "Кинобизнес. Только для взрослых". Док.фильм 01.40 "Сканер". "Умная толпа" 02.10 Худ.фильм "ПЕРЕПРАВА КАССАНДРЫ" 04.30 Сериал "МЕРТВАЯ ЗОНА"

## სამშაბათი 20 აპრილი

07.30 ალიონი 09.45 მულტსერიალი „კუსტოს ფანტასტიკური თავგადასავალი“ 10.10 მხ. ფილმი „წინაპართა მიწა„ 12.00, 15.00, 20.00, 23.00 მოამბე 12.15 ტელესერიალი „სოლედადი“ 13.00 ნაშუადღევს 14.00 მოამბე ინგლ. ენაზე 14.05 ლერერის შოუ 15.15 მხ. ფილმი „ჩემი ამერიკელი ბიძა“ 11-12ს. 17.00 დოკ. ფილმი „დიზაინი“ 17.30 საქართველო და გარესამყარო 18.00 ვესტნიკი 18.20 დოკ. სერიალი „ბუნების სამყაროში“ 18.30 სერიალი „წვრილვარსკვლავთა ღამე“ 19.00 და არს მუსიკა 19.25 ტელეთამაში „იმღერე რამე“ 21.05 ბასტი-ბუბუ 21.20 სერიალი „სოლედადი“ 22.15 ჩვენი ფეხბურთი 23.30 მხ. ფილმი „ათასი მილიონი დოლარი„

19.00 მულტსერიალი „შავი მეკობრე„ 19.30 კინოსეანსი „ჩემი ამერიკელი ბიძა“ 3-4ს. 21.00 პალიტრა 21.30 ისტორიანი 22.00 მხ. ფილმი „ეირ ამერიკა“

07.30 დილა მშვიდობისა 08.00 „ტელელიპუცები“ 09.40 სერიალი „შურისძიება“ 11.00 სერიალი „ჯაშუში„ 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 01.50 კურიერი 12.20 „დისკავერი“ 13.30 მხ. ფილმი 15.20 ჩემპიონთა ლიგა 17.05 სერიალი „მაშველები“ 18.20 „ტელელიპუცები“ 19.10 „დისკავერი“ 19.45 სერიალი „შურისძიება“ 22.00 ღამის შოუ დ. გოგიჩაიშვილთან ერთად 22.50 ღამის კურიერი 23.45 ჩემპიონთა ლიგა. „მონაკო„-„ჩელსი„

07.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00 ქრონიკა 07.15, 13.15, 15.15, 15.50, 17.50, 02.50 იმედის მელოდიები 07.30 „იმედის„ დილა 10.10 სერიალი „ტყუპები“ 11.05 სპ. პროგრამა „გოლი“ 11.30 „არტ-ბულვარი“ 12.10 სერიალი „კლონი„ 13.25, 02.20 ტვ-მარკეტი 14.05 სერიალი „შტოკინგერი“ 15.00, 16.45, 17.00 ქრონიკა 15.30 ანიმაციური ფილმი: „სანდოკანი, მალაიზიის ვეფხვი“ 16.00 ფეხბურთი. დინამო (თბილისი)-დილა (გორი) 18.00, 19.00, 21.25, 22.00, 02.00 ქრონიკა 18.05 სერიალი „ტყუპები„ 19.35 სერიალი „კლონი„ 20.30 ქართ. სერიალი „27 დრაკონი“ 21.30 ლარის მახე 23.00 ერთხელ ჰოლივუდში 23.30 მხ. ფილმი „უფლის მსგავსად“ 01.20 სპ. პროგრამა „გოლი სერია A“

09.00 არჩევანის ზღვარზე 10.00 სერიალი „ველური მთვარე“ 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00 საინფ. გამოშვება „მზერა“ 11.10 დღის კინოდარბაზი 18.30 მულტსერიალი „რედვოლი“ 19.00 სერიალი „ველური მთვარე“ 20.00 საინფ. გამოშვება „მზერა“ 21.00 მხ. ფილმი „კივილი“ (დევიდ არკეტი) 22.45 არჩევანის ზღვარზე 23.45 მხ. ფილმი „კივილი 2“

12.00 მხ. ფილმი „მარტის კატები„ 13.30 „საქმე და ეკონომიკა“ 14.30 მხ. ფილმი „შვიდი წელი ტიბეტში„ 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა „დღეს“ 17.15 მულტფილმი „შრეკი„ 19.20 სპექტრი 21.00 მხ. ფილმი „მატრიცა“ 00.30 მუსიკა

07.20 პოპ. ად. ათეული 08.00 ტოროლა 11.00 ქართული მუსიკა 13.00 ინფორმატორი 13.30 მუსათეული 14.10 მუსიკა 16.00 ფილმი „ამაზონის ბაღში“. მთ.რ-ში დუეინ ჯონსონი, შონ უილიამი. 17.00, 19.15, 22.35 მუსიკა 19.00, 20.00, 21.00, 22.00 ინფორმატორი 19.30, 20.15 ვიდეორადიო 21.15 მუსათეული 23.00 პოპ. ად. ათეული 02.00 „ბრავო“ "სამურაი". მთ. რ-ში სირილ მურალი, ასუაკი კურატა. 03.00 პაუზის გარეშე

09.00 საინფორმაციო დაიჯესტი 09.30 მხ. ფილმი „ნიშნები„ 11.15 დოკუმენტური ფილმი 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00, 22.00, 00.00 საინფ. გამ. „დღეს„ 12.10, 16.10, 18.10, 22.30, 00.20 საინფ. გამოშვება „ნოვოსტი„ 12.20 ბოევიკი „ცივი სისხლი„ 13.40, 17.45, 20.10, მუსიკა 14.10 კომედია „დიდი ლებოვსკი„ 16.20 მულტფილმი „ტარზანი„ 18.20 ფანტასტიკა „ტყვიაგაუმტარი ბერი„ 20.35 მელოდრამა „ცისფერი მანქანა„ 23.00 საინფ. გამოშვება აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე 23.20 დოკ. ფილმი 00.40 საინფ. გამოშვება ინგლისურ და გერმანულ ენებზე 01.00 მხ. ფილმი „ლორელ კანიონი„ 02.30 დოკუმენტური ფილმი 03.20 თრილერი „ცუდი კომპანია„ 05.05 დოკუმენტური ფილმი

202 10.00 მულტფილმი 12.00 ღამის ფილმის განმ. 14.00 მუსიკა 15.00 მხ. ფილმი „იდეალური მკვლელობა“ ინგ. ენაზე 17.00 საბ. ფილმი 19.00 სერიალი „მუსკულები“ (გან.) 19.30 ანიმ. ფილმი „დარდუბალა“ 20.00 მხ. ფილმი „ნაპოლეონი 2“ 22.00 სერიალი „მუსკულები“ 22.20 ნიკა ქავთარაძის ანეგდოტები 22.30 შიშველი სიმართლე 22.40 ი. სალინაძის „კენო“ 22.45 მხ. ფილმი „ზღვისპირა ქალაქი“

1 07.00 "Доброе утро" 10.00, 13.00, 16.00, 19.00 Новости 10.20, 22.35 Сериал "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ" 11.20, 19.50 Сериал "КЛОН" 12.20 МультСериал "Кошки-мышки" 12.40 Дисней-клуб: "Ким Пять-с-плюсом" 13.20 Мелодрама "ЖЕНЩИНА ДЛЯ ВСЕХ" 15.00 Город женщин 16.20 Сериал "БЕРЕГ МЕЧТЫ" 17.20 "Угадай мелодию" 17.50 "Большая стирка" 19.20 "Шутка за шуткой" 20.50 "Стирка на миллион" 21.00 Сериал "ЕВЛАМПИЯ РОМАНОВА: Следствие ведет дилетант" 22.00, 00.30 Время 23.40 Лубянка. "Операция "Бастион" 00.50 "Фабрика звезд" 01.10 Док.фильм "Большой театр. Служебный вход" 01.40 "На футболе" 02.10 "Русский экстрим" 02.40 Худ.фильм "ДО И ПОСЛЕ" 04.30 Сериал "МЕРТВАЯ ЗОНА"

## ოთხშაბათი 21 აპრილი

07.30 ალიონი 09.45 მხ. ფილმი „ათასი მილიონი დოლარი„ 12.00, 15.00, 20.00, 23.00 მოამბე 12.15 ტელესერიალი „სოლედადი“ 13.00 ნაშუადღევს 14.00 მოამბე ინგლ. ენაზე 14.05 ქართული ენის გაკვეთილი 14.30 დოკ. სერიალი „მსოფლიოს ქალაქები“ 15.15 მხ. ფილმი „ჩემი ამერიკელი ბიძა„ 13-14ს. 16.45 კვალი 17.20 საქართველო, დრო, მოვლენები 18.00 ვესტნიკი 18.20 დოკ. სერიალი „ბუნების სამყაროში“ 18.30 სერიალი „წვრილვარსკვლავთა ღამე“ 19.00 ენერგია 19.25 ტელეთამაში „იმღერე რამე“ 21.05 ბასტი-ბუბუ 21.20 სერიალი „სოლედადი“ 22.10 მათი შვილები 23.30 მხ. ფილმი „უსაფრთხოების ზომები“

19.00 მულტსერიალი „შავი მეკობრე„ 19.30 კინოსეანსი „ჩემი ამერიკელი ბიძა“ 5-6ს. 21.00 და არს მუსიკა 21.30 ჩვენი მისამართია 22.00 მხ. ფილმი „წინაპართა მიწა„

07.30 დილა მშვიდობისა 08.00 „ტელელიპუცები“ 09.40 სერიალი „შურისძიება“ 11.00 ღამის შოუ დ. გოგიჩაიშვილთან ერთად 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 01.50 კურიერი 12.20 „დისკავერი“ 13.30 მხ. ფილმი 15.20 ჩემპიონთა ლიგა 17.05 სერიალი „მაშველები“ 18.20 „ტელელიპუცები“ 18.55 „დისკავერი“ 19.45 სერიალი „შურისძიება“ 22.00 სერიალი „სოპრანოს კლანი“ 22.50 ღამის კურიერი 23.45 ჩემპიონთა ლიგა. „პორტო„-„დეპორტივო„

07.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00 ქრონიკა 07.15, 13.15, 17.20, 02.15 იმედის მელოდიები 07.30 „იმედის„ დილა 10.05 სერიალი „ტყუპები„ 11.05 სპ. პროგრამა „გოლი სერია A“ 12.10 სერიალი „კლონი„ 13.25, 01.45 ტვ-მარკეტი 14.05 სერიალი „შტოკინგერი“ 15.15 მხ. ფილმი „უფლის მსგავსად“ 17.00, 18.00, 19.00, 21.25, 22.00, 01.25 ქრონიკა 17.25 ანიმაციური ფილმი: „სანდოკანი, მალაიზიის ვეფხვი“ 18.05 სერიალი „ტყუპები„ 19.35 სერიალი „კლონი„ 20.30 ქართ. სერიალი „27 დრაკონი“ 21.30 „პირველი ნახევარი“ 23.00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ლაციო-რომა 00.55 არტ-ბულვარი 23.30 მხ. ფილმი „ერთად სიკვდილი“ (პ. ანდერსონი)

09.00 არჩევანის ზღვარზე 10.00 სერიალი „ველური მთვარე“ 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00 საინფ. გამოშვება „მზერა“ 11.10 დღის კინოდარბაზი 18.30 მულტსერიალი „რედვოლი“ 19.00 სერიალი „ველური მთვარე“ 20.00 საინფ. გამოშვება „მზერა“ 21.00 მხ. ფილმი "მაჭუტის საკუთრება" (მაიკლ მური) 22.45 არჩევანის ზღვარზე 23.45 მხ. ფილმი „მე ვარ სემი“ (შონ პენი)

12.00 მხ. ფილმი „მატრიცა“ 14.00 მხ. ფილმი „დიდი ბიზნესი„ 15.30 მხ. ფილმი „ცხოველი„ 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა „დღეს“ 17.15 მულტფილმი „მულანი„ 19.20 სპექტრი 21.00 მხ. ფილმი „კარტი, ფული და ორი ლულა“ 00.30 მუსიკა

07.20 პოპ. ად. ათეული 08.00 ტოროლა 11.00 ქართული მუსიკა 13.00 ინფორმატორი 13.30 მუსათეული 14.10 მუსიკა 16.00 ფილმი „ჩემი დიდი ბერძნული ქორწილი“. მთ. რ-ში ნია ვარდალოსი, ჯონ კორბეტი. 17.00, 19.15 მუსიკა 19.00, 20.00, 21.00, 22.00 ინფორმატორი 19.30, 20.15 ვიდეორადიო 21.15 ქართ. მუსათეული 22.35 პაპარაცი 23.00 პოპ. ად. ათეული 02.00 „ბრავო“ "აურზაური„ მთ.რ-ში შონ პენი, კევინ სპეისი. 03.00 პაუზის გარეშე

09.00 საინფორმაციო დაიჯესტი 09.30 დოკუმენტური ფილმი 10.20 კომედია „ჩინური სერვიზი„ 11.55 მუსიკა 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00, 22.00, 00.00 საინფ. გამ. „დღეს„ 12.10, 16.10, 18.10, 22.30, 00.20 საინფ. გამოშვება „ნოვოსტი„ 12.20 მელოდრამა „ცისფერი მანქანა„ 13.45, 15.45, 17.35, 19.55, 02.35, 05.30 მუსიკა 14.10 ვესტერნი „ამერიკის ბოროტმოქმედი„ 16.20 მულტფილმი „ოლივერი და კომპანია„ 18.20 დრამა „ორნი ქალაქში„ 20.10 დოკუმენტური ფილმი 20.40 კომედია „ბრძოლა შეიკერ ჰეიტსთან„ 23.00 საინფ. გამოშვება აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე 23.20 დოკუმენტური ფილმი 00.40 საინფ. გამოშვება ინგლისურ და გერმანულ ენებზე 01.00 კომედია „შენს სიკვდილს გაუმარჯოს!„ 03.00 დოკუმენტური ფილმი 03.50 თრილერი „მიტოვებული„

202 10.00 მულტფილმი 12.00 ღამის ფილმის განმ. 14.00 მუსიკა 15.00 მხ. ფილმი „ჰამლეტი“ ინგ. ენაზე 17.00 საბ. ფილმი 19.00 სერიალი „მუსკულები“ (გან.) 19.30 ანიმ. ფილმი „დარდუბალა“ 20.00 მხ. ფილმი „მამების ბაღი“ 22.00 სერიალი „მუსკულები“ 22.20 ნიკა ქავთარაძის ანეგდოტები 22.30 შიშველი სიმართლე 22.40 ი. სალინაძის „კენო“ 22.45 დებატები 202-ზე 00.30 მხ. ფილმი „დიდი“

1 07.00 "Доброе утро" 10.00, 13.00, 16.00, 19.00 Новости 10.20, 22.35 Сериал "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ" 11.20, 19.50 Сериал "КЛОН" 12.20 МультСериал "Кошки-мышки" 12.40 Дисней-клуб: "Мышиный дом" 13.20 Лидер проката. Комедия "Наши соседи" 14.50 Док. детектив. "Большие трагедии маленького города" 15.20 Город женщин 16.20 Сериал "БЕРЕГ МЕЧТЫ" 17.20 "Угадай мелодию" 17.50 "Большая стирка" 19.20 Премьера. "Природа вещей" 20.50 "Стирка на миллион" 21.00 Сериал "ЕВЛАМПИЯ РОМАНОВА: Следствие ведет дилетант" 22.00, 00.30 Время 23.40 "Спецрасследование: билетная мафия" 00.50 "Фабрика звезд" 01.10 "Формула власти". Премьер-министр Израиля Ариэль Шарон 01.40 "Крылья". "Ночной охотник" 02.10 Максим Никулин в программе "Форганг" 02.40 Мистический триллер "В ПЛЕНУ У ПРИЗРАКОВ" 04.30 Сериал "МЕРТВАЯ ЗОНА"

## ხუთშაბათი 22 აპრილი

07.30 ალიონი 09.45 მულტსერიალი „კუსტოს ფანტასტიკური თავგადასავალი“ 10.10 მხ. ფილმი „უსაფრთხოების ზომები“ 11.40 დოკ. სერიალი „მსოფლიოს ქალაქები“ 12.00, 15.00, 20.00, 23.00 მოამბე 12.15 ტელესერიალი „სოლედადი“ 13.00 ნაშუადღევს 14.00 მოამბე ინგლ. ენაზე 14.05 ინგლისური ენის გაკვეთილი 15.15 მხ. ფილმი „ჩემი ამერიკელი ბიძა„ 15-16ს. 17.00 დოკ. ფილმი „ოპერაცია „მთვარე„ 18.00 ვესტნიკი 18.20 დოკ. სერიალი „ბუნების სამყაროში“ 18.30 სერიალი „წვრილვარსკვლავთა ღამე“ 19.00 ჯანმრთელობა 19.25 ტელეთამაში „იმღერე რამე“ 21.05 ბასტი-ბუბუ 21.20 სერიალი „სოლედადი“ 22.10 დოკ. ფილმი „რომი“ 23.30 მხ. ფილმი „მეზღაპრე„

19.00 მულტსერიალი „შავი მეკობრე„ 19.30 კინოსეანსი „ჩემი ამერიკელი ბიძა“ 7-8ს. 21.05 გაცოცხლებული ქვები 21.30 „ჩემი მშვენიერი ლედი“ 22.00 მხ. ფილმი „პიანისტი„

07.30 დილა მშვიდობისა 08.00 „ტელელიპუცები“ 09.40 სერიალი „შურისძიება“ 11.00 სერიალი „სოპრანოს კლანი„ 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.20 კურიერი 12.20 „დისკავერი“ 13.30 მხ. ფილმი 15.20 ჩემპიონთა ლიგა 17.05 სერიალი „მაშველები“ 18.20 „ტელელიპუცები“ 18.55 „დისკავერი“ 19.45 სერიალი „შურისძიება“ 22.00 სერიალი „სოპრანოს კლანი“ 22.50 ღამის კურიერი 23.20 მხ. ფილმი „ორთაბრძოლა“. მთ. რ-ში: ალ პაჩინო, რობერ დე ნირო.

07.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00 ქრონიკა 07.15, 13.15, 16.50, 17.20, 02.05 იმედის მელოდიები 07.30 „იმედის„ დილა 10.10 სერიალი „ტყუპები„ 11.05 X -კლუბივი 12.10 სერიალი „კლონი„ 13.25, 01.35 ტვ-მარკეტი 14.05 სერიალი „შტოკინგერი“ 15.15 მხ. ფილმი „შარაგზის რაინდი„ 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 21.25, 22.00, 01.15 ქრონიკა 17.25 ანიმაციური ფილმი: „სანდოკანი, მალაიზიის ვეფხვი“ 18.05 სერიალი „ტყუპები„ 19.30 სერიალი „კლონი„ 20.30 ქართ. სერიალი „27 დრაკონი“ 21.30 საქმე № 23.00 ესტაფეტა 23.30 მხ. ფილმი „პოლიციელის ტყავისათვის„

09.00 არჩევანის ზღვარზე 10.00 სერიალი „ველური მთვარე“ 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00 საინფ. გამოშვება „მზერა“ 11.10 დღის კინოდარბაზი 18.30 მულტსერიალი „რედვოლი“ 19.00 სერიალი „ველური მთვარე“ 20.00 საინფ. გამოშვება „მზერა“ 21.00 მხ. ფილმი "აღთქმული ცხოვრება" (იზაბელ იუპერი) 22.45 არჩევანის ზღვარზე 23.45 მხ. ფილმი „ჩიტები“ (როდ ტეილორი)

12.00 მხ. ფილმი „კარტი, ფული და ორი ლულა“ 14.00 მხ. ფილმი „შერკინება„ 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა „დღეს“ 17.15 მულტფილმი „პინოქიო“ 19.20 სპექტრი 21.00 მხ. ფილმი „კლდე“ 00.30 მუსიკა

07.20 პოპ. ად. ათეული 08.00 ტოროლა 11.00 ქართული მუსიკა 13.00 ინფორმატორი 13.30 მუსათეული 14.10 მუსიკა 16.00 ფილმი „დაჭერილი ლომები„ მთ.რ-ში რობერტ დიუვალი, მაიკლ კეინი. 17.00, 19.15 მუსიკა 19.00, 20.00, 21.00, 22.00 ინფორმატორი 19.30, 20.15 ვიდეორადიო 21.15 მუსათეული 22.35 მუსიკა 23.00 პოპ. ად. ათეული 02.00 „ბრავო“ „ავტოფოკუსი„ მთ. რ-ში უილიამ დეფო, გრეგ კინეარი. 03.00 პაუზის გარეშე

09.00 საინფორმაციო დაიჯესტი 09.30 სათავგად. ფილმი „მუშკეტერები ოცი წლის შემდეგ„ 11.45 მუსიკა 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00, 22.00, 00.00 საინფ. გამ. „დღეს„ 12.10, 16.10, 18.10, 22.30, 00.20 საინფ. გამოშვება „ნოვოსტი„ 12.20 კომედია „ბრძოლა შეიკერ ჰეიტსთან„ 13.35, 15.40, 19.05, 20.10, 03.00, 05.35 მუსიკა 14.10 მელოდრამა „ცეკვები ლუნაზის დროს„ 16.20 მულტფილმი „შერლოკ ჰოლმსის თავგადასავალი„ 17.10 ფანტასტიკა „დროის გამჩერებელნი„ 19.20 დოკუმენტური ფილმი 20.30 მხატვრული ფილმი „კურიერი„ 23.00 საინფ. გამოშვება აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე 23.20 დოკუმენტური ფილმი 00.40 საინფ. გამოშვება ინგლისურ და გერმანულ ენებზე 01.00 თრილერი „უძილობა„ 03.20 ვესტერნი „ომი ველურ დასავლეთში„

202 10.00 მულტფილმი 12.00 ღამის ფილმის განმ. 14.00 მუსიკა 15.00 მხ. ფილმი „ბორნის იდენტიფიკაცია“ ინგ. ენაზე 17.00 საბ. ფილმი 19.00 სერიალი „მუსკულები“ (გან.) 19.30 ანიმ. ფილმი „დარდუბალა“ 20.00 მხ. ფილმი „მარტოხელა“ 22.00 სერიალი „მუსკულები“ 22.20 ნიკა ქავთარაძის ანეგდოტები 22.30 შიშველი სიმართლე 22.40 ი. სალინაძის „კენო“ 22.45 ანიმ. ფილმი „დარდუბალა 2“ 23.00 მხ. ფილმი „ნილოსის განძი“

1 07.00 "Доброе утро" 10.00, 13.00, 16.00, 19.00 Новости 10.20, 22.35 Сериал "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ" 11.20, 19.50 Сериал "КЛОН" 12.20 МультСериал "Кошки-мышки" 12.40 Дисней-клуб: "Чип и Дейл спешат на помощь" 13.20 Комедия "ГОРЬКО!" 15.10 Город женщин 16.20 Сериал "БЕРЕГ МЕЧТЫ" 17.20 "Угадай мелодию" 17.50 "Большая стирка" 19.20 Просто смех! 20.50 "Стирка на миллион" 21.00 Сериал "ЕВЛАМПИЯ РОМАНОВА: Следствие ведет дилетант" 22.00, 00.30 Время 23.40 "Человек и закон" 00.50 "Фабрика звезд" 01.10 Премьера. "Тайная любовь вождя". Док. фильм 01.50 "Гении и злодеи" 02.20 Премьера. "Голливудские преступления". Часть 2-я 02.50 Энтони Хопкинс в фильме "НА ИСХОДЕ ДНЯ" 05.20 Сериал "МЕРТВАЯ ЗОНА"

## პარასკევი 23 აპრილი

07.30 ალიონი 09.45 მულტსერიალი „კუსტოს ფანტასტიკური თავგადასავალი“ 10.10 მხ. ფილმი „მეზღაპრე„ 11.35 დოკ. სერიალი „ამსტერდამის ზოოპარკი“ 12.00, 20.00, 23.00 მოამბე 12.15 ტელესერიალი „სოლედადი“ 13.00 ნაშუადღევს 14.00 მოამბე ინგლ. ენაზე 14.05 მხოლოდ კლასიკა 15.00 კალათბურთი. თსუ-რუსთავი. შესვენებისას მოამბე 16.35 დოკ. ფილმი „შავკანიანთა მუსიკა„ 17.20 საქართველო, დრო, მოვლენები 18.00 ვესტნიკი 18.20 დოკ. სერიალი „ბუნების სამყაროში“ 18.30 სერიალი „წვრილვარსკვლავთა ღამე“ 19.00 პალიტრა 19.25 ტელეთამაში „იმღერე რამე“ 21.05 ბასტი-ბუბუ 21.20 სერიალი „სოლედადი“ 22.10 შეხვედრები ფიქრის გორაზე 23.30 მხ. ფილმი „მომავლის მხსნელი„

19.00 მულტსერიალი „შავი მეკობრე„ 19.30 კინოსეანსი „ჩემი ამერიკელი ბიძა“ 9-10ს. 21.00 ენერგია 21.40 აფხაზეთის ტვ. 22.00 მხ. ფილმი „ბირგიტ ჰასი„

07.30 დილა მშვიდობისა 08.00 „ტელელიპუცები“ 09.40 სერიალი „შურისძიება“ 11.00 სერიალი „სოპრანოს კლანი„ 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 01.30 კურიერი 12.20 „დისკავერი“ 13.30 მხ. ფილმი 15.20 მხ. ფილმი 17.05 სერიალი „მაშველები“ 18.20 „ტელელიპუცები“ 18.55 „დისკავერი“ 19.45 სერიალი „შურისძიება“ 22.00 ღამის შოუ დ. გოგიჩაიშვილთან ერთად 22.50 ღამის კურიერი 23.20 მხ. ფილმი „რომეო და ჯულიეტა“. მთ. რ-ში: ოლივია ჰასი, ლეონარდ უაიტინგი. 01.45 მხ. ფილმი „საათი“. მთ. რ-ში: სტივენ სიგალი, დენის ჰოპერი.

07.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00 ქრონიკა 07.15, 13.15, 15.50, 17.50, 03.20 იმედის მელოდიები 07.30 „იმედის„ დილა 10.10 სერიალი „ტყუპები„ 11.05 სპ. პროგრამა „ასი“ 11.35 ერთხელ ჰოლივუდში 12.10 სერიალი „კლონი„ 13.25, 02.50 ტვ-მარკეტი 14.05 პირველი ნახევარი 14.30 საქმე № 15.15 მხ. ფილმი „პოლიციელის ტყავისათვის„ 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 22.00, 02.30 ქრონიკა 17.25 ანიმაციური ფილმი: „სანდოკანი, მალაიზიის ვეფხვი“ 18.05 სერიალი „ტყუპები„ 19.35 სერიალი „კლონი„ 20.30 არჩევანი თქვენ 23.00 X -კლუბივი 23.55 მხ. ფილმი „სიყვარული მავნებელია ჯანმრთელობისათვის„ 02.00 „NBA“-ს ჟურნალი

09.00 არჩევანის ზღვარზე 10.00 სერიალი „ველური მთვარე“ 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00 საინფ. გამოშვება „მზერა“ 11.10 დღის კინოდარბაზი 18.30 მულტსერიალი „რედვოლი“ 19.00 სერიალი „ველური მთვარე“ 20.00 საინფ. გამოშვება „მზერა“ 21.00 მხ. ფილმი "ინსპექტორი გაჯეთი 2„ (ფრენკ სტიუარტი) 22.45 არჩევანის ზღვარზე 23.45 მხ. ფილმი „გზა არლინგტონისკენ“ (ჯონ კიუსაკი)

12.00 მხ. ფილმი „კლდე“ 14.00 მხ. ფილმი „სამი სურვილი„ 17.000, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა „დღეს“ 17.15 მხ. ფილმი „თავში უქრის„ 19.20 სპექტრი 21.00 მხ. ფილმი „მის კონგენიალობა“ 00.30 მუსიკა

07.20 პოპ. ად. ათეული 08.00 ტოროლა 11.00 ქართული მუსიკა 13.00 ინფორმატორი 14.10 მუსიკა 16.00 ფილმი „როკის სკოლა„ მთ.რ-ში ჯეკ ბლექი, ჯოან კიუსაკი. 17.00, 19.15 მუსიკა 19.00, 20.00, 21.00, 22.00 ინფორმატორი 19.30, 20.15 ვიდეორადიო 21.15 მუსათეული 22.35 პაპარაცი 23.15 სოლო 02.00 „ბრავო“ "მოკალი ბილი„ მთ.რ-ში უმა თურმანი, დერილ ჰანა. 03.45 პაუზის გარეშე

09.00 საინფორმაციო დაიჯესტი 09.30 ვესტერნი „ომი ველურ დასავლეთში„ 11.45 მუსიკა 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00, 22.00, 00.00 საინფ. გამ. „დღეს„ 12.10, 16.10, 18.10, 22.30, 00.20 საინფ. გამოშვება „ნოვოსტი„ 12.20 მხ. ფილმი „კურიერი„ 13.45, 15.45, 17.30, 03.25 მუსიკა 14.10 კომედია „პლუტონაში„ 16.20 მულტფილმი „ჯუნგლების წიგნი-2„ 18.20 ისტორიული ფილმი „ლეგენდა ენეოსზე„ 20.10 კომედია „როკის სკოლა„ 22.40 „პოზიცია„ 00.40 საინფ. გამოშვება ინგლისურ და გერმანულ ენებზე 01.00 საინფ. გამოშვება ინგლისურ და გერმანულ ენებზე 01.20 ფილმი-კატასტროფა „მე-6 დღე„ 03.50 თრილერი „კლდე„

202 10.00 მულტფილმი 12.00 ღამის ფილმის განმ. 14.00 მუსიკა 15.00 მხ. ფილმი „სამეფო ტახტი სისხლში“ ინგ. ენაზე 17.00 საბ. ფილმი 19.00 სერიალი „მუსკულები“ (გან.) 19.30 ანიმ. ფილმი „დარდუბალა“ 20.00 მხ. ფილმი „იდეალური შტორმი“ 22.00 სერიალი „მუსკულები“ 22.20 ნიკა ქავთარაძის ანეგდოტები 22.30 შიშველი სიმართლე 22.40 ი. სალინაძის „კენო“ 22.45 დებატები 202-ზე 00.30 მხ. ფილმი „სიჩქარე“

1 07.00 "Доброе утро" 10.00, 13.00, 16.00, 19.00 Новости 10.20, 22.35 Сериал "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ" 11.20, 19.50 Сериал "КЛОН" 12.20 МультСериал "Кошки-мышки" 12.40 Мультсериал "Принцесса Сиси" 13.20 Лев Прыгунов в фильме "ТЫ ИНОГДА ВСПОМИНАЙ" 15.00 Город женщин 16.20 Сериал "БЕРЕГ МЕЧТЫ" 17.20 "Угадай мелодию" 17.50 "Большая стирка" 19.20 Док. детектив. "Доллары за полцены" 19.50 "Основной инстинкт" 20.50 "Поле чудес" 22.00 Время 22.30 "Фабрика звезд" 23.50 Подводный триллер "ГЛУБИНА" 01.40 Кевин Костнер в прикл. фильме "НЕПРИКАСАЕМЫЕ" 03.50 Триллер "ПРЕСТУПЛЕНИЕ И НАКАЗАНИЕ В ПРЕДМЕСТЬЕ" 05.40 Сериал "ДЕТЕКТИВНОЕ АГЕНТСТВО "ЛУННЫЙ СВЕТ"

## შაბათი 24 აპრილი

08.00, 15.00, 20.00, 23.30 მოამბე 08.10 მხ. ფილმი „მომავლის მხსნელი„ 10.00 დილის პაემანი 11.05 მხიარული კარუსელი 11.35 მოგზაურობა სასიტყვეთში 12.05 გლობუსი 12.35 პოზიცია 13.20 კვალი 14.00 ზღვარი 14.25 საქართველო, დრო, მოვლენები 15.15 მხ. ფილმი „გრაფი მონტე-კრისტო„ 3-4ს. 16.55 ავტობოლა „ფორმულა-1“ 19.00 დოკ. სერიალი „მსოფლიოს ქალაქები“ 19.10 თბილისის დროით 19.30 ისტორიანი 20.35 ცაიტნოტი 21.45 ფორტუნა 22.25 ტელეთამაში „იმღერე რამე“ 22.20 „ბენი ჰილი“ 22.55 აშშობენ 23.45 მხ. ფილმი „გოროტმოქმედთა ასოციაცია“ 01.30 ღამის ჯაზი

19.00 მულტსერიალი „შავი მეკობრე„ 19.30 ჯანმრთელობა 20.00 მხ. ფილმი „არასერიოზული კაცი“ 21.15 პალიტრა 21.30 მუს. ოქტაგონი 22.20 მხ. ფილმი „ვალენტინი„

08.00 კლასიკა 08.30 მულტსერიალი 09.00, 12.00, 15.00 კურიერი 09.20 მულტფილმი 11.00 ლუისი და კლარკი 12.20 „სიმფსონები“ 12.50 მხ. ფილმი 15.20 ველური სამყაროს ამბები 16.10 მხ. ფილმი 17.05 „დისკავერი“ 18.00, 01.00 კურიერი 18.20 ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა 19.00 დოკ. ფილმი „თანამედროვე ტექნოლოგიები“ 19.30 სერიალი „სერიული მკვლელობები“ 21.00 კურიერი P.S. 22.00 საოჯახო ტოტო 23.00 „ფსიქო„ მხ. ფილმი „კაცობრიობა“. რეჟ. ბრუნო დიუმონი. 01.20 მხ. ფილმი „ომის ხელოვნება“. მთ. რ-ში უესლი სნაიპსი, ენ არჩერი.

09.00, 13.00, 15.00, 17.00, 19.00 ქრონიკა 09.15 სერიალი „ტყუპები„ 10.05 ანიმაც. ფილმი "მთიური მეომრები„ 10.30, 17.20, 03.50 იმედის მელოდიები 11.00 „ნბა“-ს ჟურნალი 11.30, 03.20 ტვ-მარკეტი 12.00 საიმედო ლოტო (პირ. ეთერი) 12.30 სერიალი „როლიქტების მძიებელი„ 13.10 სერიალი „როლიქტების მძიებელი„ 13.35 არჩევანი თქვენ 15.15 მხ. ფილმი „სიყვარული მავნებელია ჯანმრთელობისათვის„ 17.35 დოკ. სერიალი „ყველაზე ექსტრემალური“ 18.30 დოკ. სერიალი „ისტორიის ერთი კვირა“ 19.30 „ვაკაჭინიუსი“ 20.00 ქართ. სერიალი „ყაჯა და ლუდი“ 21.00 სერიალი „გარდამავალი პერიოდი 18 გორგალი“ 22.00, 00.15 ქრონიკა 22.30 კლიპ-ლოტო 23.30 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. 01.20 ეროვნ. საკალათბურთო ასოციაცია - პლეიოფი.

09.00 მულტფილმი „ასტერიქსი ობელიქსის წინააღმდეგ„ 10.20 საბ. სერიალი „აზნირი და არგონავტები„ 11.30 დოკ. სერიალი "ექსტრემალური ამბები" 12.00 ფეხბურთი მზეზე 12.30 სერიალი „დორი დუსის იდეალური ცხოვრება“ 13.30 დღის კინოდარბაზი 14.00, 17.00, 20.50 საინფ. გამოშვება „მზერა“ 18.05 სერიალი „მოჩაჩვებული“ 19.00 ფეხბურთი. პრემიერ ლიგა. „მანჩესტერ იუნაიტედი„-„ლივერპული„ 21.20 ფეხბურთი მზეზე 21.50 მხ. ფილმი „ჩარლის ანგელოზები 2“ 23.30 მხ. ფილმი „ლოურენს არაბი„ (პიტერ ო ტული)

12.00 მხ. ფილმი „მის კონგენიალობა“ 14.00 მხ. ფილმი „გამოუსწორებელი თაღლითები“ 16.00 მულტფილმი „ურჩხული და ლამაზმანი“ 17.30 მხ. ფილმი „ადამიანები შავებში„ 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა „დღეს“ 19.20 საბ. გადაცემა „ნაცნობი ადამიანების უცნობი წლები„ 19.40 მუსიკა 21.00 მხ. ფილმი „ხმელთაშუა ზღვა“ 22.30 მხ. ფილმი „გორილათა მეფე“ 00.20 მხ. ფილმი „ცდუნება“

07.30 მუსიკა 10.00 ტოროლა 13.00 ქართული მუსიკა 15.00 ინფორმატორი 16.00 ფილმი „სუპერნოვი სილამაზე“. მთ.რ-ში ჯორჯ კლუნი, კეტრინ ზეტა-ჯონსი. 17.00, 19.15 მუსიკა 19.00, 20.00, 21.00, 22.00 ინფორმატორი 19.30, 20.15 ვიდეორადიო 21.15 მუსათეული 22.35 მუსიკა 23.00 პოპ. ად. ათეული 03.00 „ბრავო„ „თარგმანის სირთულეები„ მთ. რ-ში ბილ მიურეი, სკარლეტ იოჰანსონი.

09.00 საინფორმაციო დაიჯესტი 09.30 სათავგადასავლო ფილმი „102 დალმატინელი„ 11.05 დოკ. ფილმი 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00, 22.00, 00.00 საინფ. გამ. „დღეს„ 12.10, 16.10, 18.10, 22.30, 00.20 საინფ. გამოშვება „ნოვოსტი„ 12.20 კომედია „როკის სკოლა„ 14.10 თრილერი „ცხოველთმფლობელების ლიგა„ 15.55, 19.50, 21.45, 03.00, 05.25 მუსიკა 16.20 მულტფილმი 17.40 დოკ. ფილმი 18.20 კომედია „კანადური ბეკონი„ 20.10 თრილერი „ველური ემბაჯები„ 23.00 საინფ. გამოშვება ინგლისურ და გერმანულ ენებზე 23.20 „Слово„ 00.40 ისტორიული ფილმი „სირანო დე ბერჟერაკი„ 03.30 დრამა „რომეო და ჯულიეტა„

202 10.00 მულტფილმი 12.00 ღამის ფილმის განმ. 14.00 მუსიკა 15.00 მხ. ფილმი „ბეისიკელი“ ინგ. ენაზე 17.00 მუსიკა 18.00 მულტფილმი 20.00 მხ. ფილმი „ტურა“ 22.00 მუსიკა 23.00 მხ. ფილმი „რობინ ჰუდი“

1 07.00, 11.00, 13.00, 19.00 Новости 07.10 Сериал "ВСЕ ПУТЕШЕСТВИЯ КОМАНДЫ КУСТО" 07.40 Сергей Столяров в фильме "ТАЙНА ДВУХ ОКЕАНОВ". 1с. 09.20 Играй, гармонь любимая! 10.00 Слово пастыря 10.10 Здоровье 11.10 "Смак" с Андреем Макаревичем 11.30 "Любовные истории" 12.00 "Поколение победителей. Валерий Харламов" 13.10 История с географией. "Братья по крови: Охотники за насекомыми" 14.10 Дог-шоу 15.00 Дисней-клуб: "Тимон и Пумба" 15.20 Умницы и умники 16.00 Премьера. Док. фильм "Таганка" 17.00 Комедия "На Дерибасовской хорошая погода, или На Брайтон-бич опять идут дожди" 18.50 Золотые годы Микки Мауса. Впервые в России 19.10 "Ералаш" 19.30 Песня года. Весна 21.00 "Кто хочет стать миллионером?" 22.00 Время 22.20 "Розыгрыш" 23.50 "Золотой Граммофон" 00.50 Ричард Гир в боевике "БЕЗ ПОЩАДЫ" 02.50 Мистический триллер "ПРЕДЗНАМЕНОВАНИЕ" ("Омен - 2") 04.50 Английская комедия "ЗАХОДИ НА ОГОНЕК"

## კვირა 25 აპრილი

08.00, 15.00, 20.00, 23.20 მოამბე 08.15 [illegible]

19.00 [illegible] 20.30 [illegible] 22.10 მხ. ფილმი „[illegible]“

08.00 კლასიკა 08.30 მულტსერიალი 09.00, 12.00, 15.00 კურიერი 09.20 [illegible]

09.00, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 00.15 ქრონიკა [illegible]

09.00 მულტფილმი [illegible]

12.00 [illegible]

07.30 მუსიკა 10.00 ტოროლა 13.00 [illegible]

09.00 საინფორმაციო დაიჯესტი [illegible]

202 10.00 მულტფილმი 12.00 ღამის ფილმის განმ. 14.00 მუსიკა 15.00 მხ. ფილმი [illegible]

1 07.00, 11.00, 13.00 Новости 07.10 Сериал "ВСЕ ПУТЕШЕСТВИЯ КОМАНДЫ КУСТО" 08.00 Сергей Столяров в фильме "ТАЙНА ДВУХ ОКЕАНОВ". 2 с. 09.20 Армейский магазин 09.50 Дисней-клуб: "Тимон и Пумба" 10.10 "В мире животных" 11.10 "Непутевые заметки" 11.30 Пока все дома 12.00 "Лошадиная энциклопедия" 12.30 "Угадай мелодию" 13.10 "КВН-2004". Высшая лига. Вторая игра сезона 15.20 Дисней-клуб: "Тимон и Пумба" 15.50 "Путешествие натуралиста" 16.20 Дачники 17.10 "Пауло Коэльо. Беседы с алхимиком" 17.40 Воскресный "Ералаш" 18.00 Живая природа. "Глазами зверя" 19.00 Времена 20.00 Звезды эстрады в концертной программе. 22.00 Время 22.45 Бокс. Виталий Кличко - Кори Сандерс 23.40 Пирс Броснан в фильме "АФЕРА ТОМАСА КРАУНА" 01.50 Джет Ли в боевике "УДАР ДРАКОНА" 03.40 Целебная комедия "ПЛОХАЯ МЕДИЦИНА" 05.30 Сериал "ДЕТЕКТИВНОЕ АГЕНТСТВО "ЛУННЫЙ СВЕТ"

ინფორმაცია მოგვაწოდა შპს „ინფოზავრმა“

# მედიცინა

## შეკითხვა ექიმს

*ძვირფასო მკითხველო! რედაქციაში უამრავი წერილი მოდის, რისთვისაც ულრმეს მადლობას მოგახსენებთ — ჩვენი რუბრიკის და მთლიანად გაზეთის მასულდგმულებელი ხომ თქვენი გამოხმაურება და თანადგომაა. რაც შეეხება თქვენს შეკითხვებს, გვერწმუნეთ, თითოეულ მათგანს დიდი გულისყურით ვეცნობით და მასზე პასუხს უსათუოდ მიიღებთ, მაგრამ რადგან შეკითხვების რიცხვი საკმაოდ დიდია, ნუ დაგვემდურებით, თუ პასუხის ლოდინი გიწევთ.*

**მყავს 9 წლის ვაჟი, რომელსაც მხოლოდ ერთი სათესლე ჯირკვალი აქვს. ეს თანდაყოლილ დეფექტად მიმაჩნდა და ამის შესახებ არავის არაფერს ვეკითხებოდი. ცოტა ხნის წინ ერთ ჟურნალში წავიკითხე, რომ ასეთ დროს ოპერაცია არის საჭირო. გთხოვთ გასაგებად ამიხსნათ, რისი ოპერაცია სჭირდება ჩემს შვილს და შეიძლება თუ არა მის გარეშე გადავრჩეთ? ძალიან გთხოვთ, ნუ დამტოვებთ უყურადღებოდ — აუცილებლად მიპასუხეთ.**

***ერთგული მკითხველი, ახალციხის რაიონი***

სათესლე ჯირკვლები ნაყოფად ყოფნის პერიოდში, ჩვეულებრივ მოთავსებულია მუცლის ღრუში, თირკმლების მახლობლად. აქ მათი განვითარებისთვის ოპტიმალური პირობებია შექმნილი. ემბრიონული ცხოვრების დასასრულს, ანუ ახალშობილობის პერიოდში ჯირკვლები ქვემოთ ეშვება და სათესლე პარკში ჩამოდის. არის შემთხვევები, როდესაც ირღვევა სათესლე ჯირკვლის დაშვების რიტმი, ზოგჯერ იგი ჩერდება გზის რომელიმე მონაკვეთზე — ვითარდება ჯირკვლის შეკავება. თუ შეკავებულია ერთი ჯირკვალი, ამას მონორქიზმი ეწოდება, ხოლო ორმხრივ შეკავებას — კრიპტორქიზმი.

შეკავებული სათესლე ჯირკვალი ძალიან პატარაა, განლეულია და დაკარგული აქვს სპერმატოგენეზის (სპერმის წარმოქმნის) უნარი. თუ სპერმატოზოიდი მაინც გამომუშავდა, მისი ცხოველმყოფელობა მკვეთრად დაქვეითებულია. შეკავებულ სათესლე ჯირკვალში შეიძლება განვითარდეს სხვადასხვაგვარი გართულებებიც: ჯირკვლის შემოგრეხა (რაც სასწრაფო ქირურგიულ ჩარევას საჭიროებს) ან მისი სიმსივნური გადაგვარება.

უროლოგები გვირჩევენ, რომ კრიპტორქიზმის დროს საჭიროა ქირურგიული ჩარევა. ამასთან, რაც უფრო ადრე კეთდება ოპერაცია, მით ნაკლებადაა მოსალოდნელი გართულებები და შედეგიც საიმედოა. როდესაც ჯირკვლის სათესლე პარკში ჩამოტანის ოპერაცია 4-6 წლის ასაკამდე ტარდება, ჯირკვალი ვერ ასწრებს გადაგვარებას და შემდგომში მისი განვითარება თითქმის ნორმალურად მიმდინარეობს, ხოლო 6 წლის შემდგომ პერიოდში მსგავსი ოპერაცია უკვე ასეთ შედეგს აღარ იძლევა. თუმცა, თქვენს შემთხვევაში, პროცესი ცალმხრივია (ბავშვს აქვს მონორქიზმი) და ამიტომ, თუნდაც დაქვეითებული იყოს ერთი ჯირკვლის ფუნქცია, მეორე ჯირკვალი თავის თავზე იღებს ორივეს მოვალეობას და მშვენივრად ასრულებს ორმაგ ფუნქციას. მაგრამ ამის მიუხედავად, მაინც სასურველია უროლოგის კონსულტაცია. თუ შეკავებული ჯირკვალი ატროფირებულია, სპეციალისტი გირჩევთ მის ამოკვეთას, რათა თავი დაიზღვიოთ მისი სიმსივნური გადაგვარებისაგან, ანდა შესაძლოა, ჯერ კიდევ არსებობდეს რეზერვი იმისათვის, რომ ჯირკვალი სათესლე პარკში იქნას ჩამოტანილი.

**ბავშვობაში თითქმის არ მიავადმყოფია. ამჟამად ვმუშაობ ბავშვებთან. ცოტა ხნის წინ მოსწავლისგან გადამედო წითელა, ძალიან მძიმედ ვიყავი. მას შემდეგ მეშინია, ხომ შეიძლება კიდევ დამემართოს ბავშვთა სხვა ინფექცია: წითურა, ქუნთრუშა და ა.შ. როგორ შეიძლება თავი დავაღწიო ამ დაავადებებს? უკეთდებათ თუ არა უფროსებს აცრები მათ საწინააღმდეგოდ?**

***ინგა კაკაურიძე, თბილისი***

სამწუხაროდ, ნებისმიერ ზრდასრულ ადამიანს ემუქრება ე.წ. „ბავშვთა“ ინფექციებით დასნებოვნების საშიშროება, თუ ისინი ბავშვობაში არ გადაუტანია. რა თქმა უნდა, უმჯობესია ადამიანმა ეს დაავადებები მოზარდობის პერიოდამდე მოიხადოს, რადგან მოგვიანებით ისინი უფრო მძიმედ მიმდინარეობს — განსაკუთრებით პირველ დღეებში დაავადებას თან ახლავს მაღალი ტემპერატურა და ხშირად ახასიათებს გართულებები. ამიტომ, როდესაც ბავშვს აქვს ეს ინფექციები, საჭიროა მას მოერიდონ ის უფროსები, რომლებსაც ისინი ბავშვობაში არ მოუხდია. გარდა ამისა, ასეთ დროს მათ უნდა გაიკაჟონ ორგანიზმი, მიიღონ პოლივიტამინური კომპლექსები, იმუნოსტიმულატორები. გამოიყენონ სამკურნალო ფიზკულტურა. ხოლო თუ მოზრდილი ადამიანი უკვე დაავადდება, მან აუცილებლად უნდა მიმართოს ინფექციონისტს და მკაცრად შეასრულოს ყველა მისი მითითება დაავადების გართულების თავიდან ასაცილებლად.

რაც შეეხება აცრებს, შეიძლება გაკეთდეს წითელას, წითურას, ეპიდემიური პაროტიტის (ყბაყურას) საწინააღმდეგო აცრები. თუმცა, ისეც ხდება, რომ ადამიანს ძლიერი იმუნიტეტი აქვს და მას საერთოდ არ ემართება „ბავშვთა ინფექციები“.

## კარაბადინი

**მინდა ჩემი გამოცდილებაც გავუზიარო თქვენი გაზეთის მეშვეობით მკითხველს: მქონდა ბრონქული ასთმა, რომელიც გაზაფხულობით განსაკუთრებით მიმწვავდებოდა. ვსვამდი უამრავ წამალს, თუმცა საგრძნობ შედეგს ვერ ვღებულობდი. მეზობელმა მასწავლა: უნდა გამოწუროთ კულმუხოს ფესვების წვენი, შეურიოთ თანაბარი რაოდენობის თაფლი და მიიღოთ თითო ჩაის კოვზი 3-ჯერ დღეში (თაფლის მიმართ ალერგია არ უნდა გქონდეთ).**

**ჩავიტარე მკურნალობის ორკვირიანი კურსი. მივიღე ძალიან კარგი შედეგი. მას შემდეგ ასთმის შეტევა აღარ მქონია. სხვათა შორის, სხვა პრობლემებიც მქონდა ჯანმრთელობასთან დაკავშირებით და ისინიც მომეხსნა. გთხოვთ გვიამბოთ, როგორ მოქმედებს კულმუხო ადამიანის ორგანიზმზე.**

***პატივისცემით ლეილა გეგენავა***

**ექიმის კომენტარი:** კულმუხო 1-2 მეტრამდე სიმაღლის ველურად მზარდი ბალახოვანი მცენარეა. აყვავებული წააგავს მზესუმზირას. სამკურნალწამლო ნედლეულს წარმოადგენს მცენარის ფესვები და ფესვურები. აგროვებენ გვიან შემოდგომაზე, ან ადრე გაზაფხულზე. ცივი წყლით გარეცხვის შემდეგ ჭრიან ნაჭრებად და აშრობენ ჰაერზე.

კულმუხოს უძველესი დროიდან სხვადასხვა დაავადებათა სამკურნალოდ ხმარობდნენ ხალხურ მედიცინაში. ამჟამად ფართოდ გამოიყენება მეცნიერულ მედიცინაში, როგორც ამოსახველებელი და ხველების დამაწყნარებელი საშუალება, სასუნთქი გზების ქრონიკული დაავადებების, ბრონქიტის, ტრაქეიტის, ფილტვების ტუბერკულოზის დროს. მცენარე დადებით ეფექტს იძლევა აგრეთვე გასტროენტერიტის (კუჭ-ნაწლავის ანთების), კუჭის აშლილობის დროს. ფესვიდან მომზადებული გამონახარშის მიღებისას ორგანიზმიდან ძლიერდება შარდისა და ნაღვლის გამოყოფა. კულმუხოს ფესვები რეკომენდებულია კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვან დაავადებათა სამკურნალოდ. გამოიყენება, აგრეთვე, როგორც გარეგანი საშუალება, მალამოს სახით, კანის სხვადასხვა დაავადების (ეგზემა, მუნი) დროს.

კულმუხოს ფესვების ნაყენი შემდეგნაირად მზადდება: ერთი სუფრის კოვზი დაქუცმაცებული ნედლეული (ნედლი ან გამხმარი) მოათავსეთ მომინანქრებულ ჭურჭელში, დაასხით 1 ჭიქა ცხელი წყალი, დაახურეთ თავზე და ადუღეთ 15 წუთით. გაწურეთ და თბილ-თბილი მიიღეთ სუფრის კოვზით 2 საათში ერთხელ.

***მოამზადა თამარ მამაცაშვილმა***

## მკითხველი — მკითხველს

**ვარ 35 წლის ქალი, ვიწონი 102 კგ-ს. დიეტას ვიცავ, დავდივარ ექიმებთან — დიეტოლოგებთან, ენდოკრინოლოგებთან. მაგრამ შედეგი უმნიშვნელოა და დროებითი. ვთხოვ მკითხველს, თუ ვინმეს ჰქონია მსგავსი პრობლემა და თავი დააღწია მას, გამიზიაროს გამოცდილება. წინასწარ გიხდით მადლობას გულისხმიერებისთვის. კარგი იქნება, თუ რაიმე ხალხურ საშუალებასაც მასწავლით სიმსუქნის სამკურნალოდ.**

***პატივისცემით მ.გ.***

*ძვირფასო მკითხველო! რედაქციაში უამრავი შეკითხვა მოდის. ყველა მათგანს ჩვენი რუბრიკა ვერ დაიტევს. ამიტომ გადავწყვიტეთ ზოგიერთზე პასუხი „კვირის პალიტრის“ დამატებაში — სამედიცინო ჟურნალ „ოჯახის მკურნალში“ მოგაწოდოთ. ჟურნალმა უკვე შეიძინა უამრავი მკითხველი და საკმაოდ ფართო გამოხმაურებაც პოვა საზოგადოებაში. გავითვალისწინეთ მკითხველის ინტერესები და უფრო მრავალფეროვანი ინფორმაციის მიწოდების მიზნით ჟურნალის მოცულობა გავზარდეთ — ახლა იგი 60-გვერდიანია.*

## ხილ-ბოსტნეულის თერაპია ჰემოგლობინს ამაღლებს

გადატანილი ავადმყოფობის შემდეგ ან სხვა მიზეზის გამო თუ სისხლში ჰემოგლობინი დაგეწიათ, გარგებთ ხილ-ბოსტნეულის ერთკვირიანი თერაპია.

1. ერთმანეთს შეურიეთ 2/3 ჭიქა სტაფილოს, 1/3 ჭიქა ჭარხლის, 1 ლიმონის წვენები და სვით ყოველდღე 0,5 ჭ ჭამამდე.

2. 100 გ ბროწეულის, ლიმონის, სტაფილოს, ჭარხლის და ვაშლის წვენებს შეურიეთ თაფლი და დალიეთ 2 ს/კ 3-ჯერ დღეში ჭამამდე, ერთი კვირის მანძილზე.

წვენები მიღების წინ უნდა გამოწუროთ. აუცილებლად მიირთვით ორთქლზე მოხარშული ძროხის ღვიძლი, მწვანილი, წითელი ბოსტნეული, პომიდორი, რომელიც ლიკოპენებითაა მდიდარი, შემწვარი და ცხარე კერძებისგან დროებით თავი შეიკავეთ.

***ოტდოხნი! №14***

## ვაჟი გნებავთ? კი ბატონო!

იაპონიის საიმპერატორო ოჯახი ძალიან წუხს, რომ პრინც ნარიჰიტოს მხოლოდ გოგონა ჰყავს, ქრიზანთემების ტახტზე კი ქალი ვერ ავა! პრინცესა მასაკო, რამდენჯერაც დაფეხმძიმდა, ყველა ნაყოფი მდედრობითი სქესისა გამოდგა და მაშინვე აბორტს უკეთებდნენ. უშედეგო აღმოჩნდა არაერთგზისი ჰორმონული მკურნალობა.



პრინცმა აკიჰიტომ მსოფლიოს ყველა კუთხიდან მოიწვია სახელოვანი მიკრობიოლოგები და ექიმები, რომლებიც საიდუმლო ლაბორატორიაში ემბრიონის სქესის შეცვლაზე მუშაობდნენ. მათ შეისწავლეს არიზონის ჯუნგლებში მობინადრე ერთი სახეობის მაიმუნი, რომლის ხვადები უკიდურესად უშიშრები არიან. თვალის დაუხამხამებლად ეკვეთებიან ხოლმე ვეფხვებს, ლომებს. თუმცა, ამ ჭიდილში იღუპებიან კიდეც. როცა ხვადების რაოდენობა მცირდება, ძუები მხოლოდ ხვადებს აჩენენ.

მეცნიერებმა ამ ცხოველების სისხლისგან გამოყვეს განსაკუთრებული ბაქტერია, ის განსაზღვრულ დრომდე მიძინებულია და მაშინვე იღვიძებს, როცა მაიმუნთა ოჯახში მამრის ნაკლებობა შეიმჩნევა, თუ ნაყოფი მდედრობითი სქესისაა, ის მოქმედებს ჰორმონებზე და ქრომოსომა მამრობითად გადაიქცევა.

მიკრობიოლოგებმა ამ ბაქტერიის საფუძველზე გამოიყვანეს მისი ქვესახეობა, რომლითაც შეიძლება ადამიანის ემბრიონზე ზემოქმედება.

მშობიარობის შემდეგ აუცილებელია დედის ანტიბიოტიკებით მკურნალობა, თორემ ბაქტერიამ შეიძლება მთელი ორგანიზმი მოიაროს და ავნოს ჯანმრთელობას. ამ მიკროორგანიზმების ზემოქმედებით ფეხმძიმობა ბუნებრივზე ბევრად რთულად მიმდინარეობს, მაგრამ ტახტის მემკვიდრის ამქვეყნად მოსავლინებლად ღირს რისკის გაწევა.

როგორც კი პრინცესა მასაკო დაფეხმძიმდა, მეცნიერებმა ორგანიზმში შეუყვანეს ეს სასწაულმოქმედი ბაქტერია და ახლა იაპონია მოთმინებით ელოდება ნანატრ ვაჟიშვილს.

ეს ძვირად ღირებული ბაქტერია ჰერმეტულ კონტეინერებში ათწლეულობით ინახება. ამჟამად სწავლულები მუშაობენ ისეთ მიკრობზე, რომელსაც შეეძლება არა მარტო მდედრობითი სქესის ემბრიონის მამრობითად გადაქცევა, არამედ პირიქითაც.

***ნაუკა ი ჟიზნ №2***

## მიკროელემენტები თქვენს სამსახურში

**თუ გსურთ ყოველთვის ხალისიანად იყოთ, მიჰყევით ჩვენს რჩევებს. ეს ის არის, რაც თქვენ გჭირდებათ.**

1. დაძაბული მუშაობის 2 საათის შემდეგ დაღლილობას მოგიხსნით 20-წუთიანი შესვენება და რამდენიმე მარტივი ვარჯიში.

2. არანაკლები მნიშვნელობა აქვს კვებას. არასოდეს თქვათ უარი სადილზე, საკვები არა მარტო კლავს შიმშილის გრძნობას, არამედ დიდ ზეგავლენას ახდენს ცნობიერებაზე. თუ გსურთ გაააქტიუროთ ტვინი და მეხსიერება, რაციონში უნდა შეიტანოთ ისეთი პროდუქტები, რომლებიც შეიცავენ ვიტამინებსა და მიკროელემენტებს. მაგალითად: ხორბლის ღივი, ქატო, კაკალი (შეიცავს თიამინს), ნუში, დაღერღილი ხორბლის პური (შეიცავს რიბოფლავინს), ნარინჯისფერი ხილ-ბოსტნეული, რძე და ღვიძლი (მდიდარია კაროტინით), ზღვის პროდუქტები, პარკოსანი და გაღივებული ხორბლის ყლორტები (მათში უხვადაა თუთია).

გირჩევთ, არ მიიღოთ ცხოველური ცხიმები, წითელი ხორცი, ბეკონი, ძეხვეული, ნაღების კარაქი, ერბოიანი ცომი, ნახევარფაბრიკატები.

3. დაასვენეთ თვალები სულ მარტივად, მიიფარეთ თვალებზე ხელები, თქვენივე ხელების სითბო მოგიხსნით დაღლილობას...

***ლიზა №15***

## ბებოც იმშობიარებს

ამერიკელმა მეცნიერებმა აღმოაჩინეს, ქალის კვერცხუჯრედის წარმოქმნის მექანიზმი. აქამდე ფიქრობდნენ, რომ როცა კვერცხუჯრედის მარაგი არ ივსება მთელი სიცოცხლის მანძილზე, მისი ამოწურვის შედეგად დგება კლიმაქსი გართულებებით, ათასგვარი სენით, ფსიქოლოგიური გადახრებით... მეცნიერებმა შეძლეს ეპოვათ განსაკუთრებული ბაქტერია, რომელიც ხელს უწყობს ახალი კვერცხუჯრედის წარმოქმნას. იმედოვნებენ, რომ ეს აღმოჩენა ხელს შეუწყობს ქალებს, თავი დააღწიონ კლიმაქსის თანამდევ უსიამოვნებებს და ღრმა სიბერეშიც კი იმშობიარონ.

ეს ძალზე მნიშვნელოვანია ჩვენს დროში, რადგან ცივილიზებულ ქვეყნებში მოდაშია პირველი შვილის საკმაოდ გვიან გაჩენა — ვიდრე მომავალი მშობლები მატერიალურად უზრუნველყოფილნი არ იქნებიან.

***მირორი***

## იქნებ სხვა ქვეყნებს მივბაძოთ!



გავლენიანი ამერიკული კარდიოლოგიური ასოციაცია და ამერიკული ონკოლოგიური საზოგადოება ითხოვს სიგარეტის მოწევის აკრძალვას საზოგადოებრივ ადგილებში მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე და არა მარტო ნიუ-იორკში, სადაც ეს კანონი მიღებულია ჯერ კიდევ 1995 წელს.

ამა წლის თებერვლიდან სიგარეტის მოწევა აკრძალულია ირლანდიასა და ნიდერლანდებში სამუშაო ადგილებზე, რესტორნებსა და ლუდის ბარებში. მწეველებს აჯარიმებენ ავსტრალიაში, კანადასა და ჰონკონგში.

პროფესორ სტენტონ გლანცის თქმით, პასიური მწეველი გაცილებით უარეს მდგომარეობაშია. გამოკვლევებმა აჩვენა, რომ თუ ოჯახის ერთი წევრი მაინც ეწევა, მისი ოჯახის წევრების გულ-სისხლძარღვებით დაავადების რისკი, 30%-ით იზრდება. სიგარეტის კვამლის ნახევარსაათიანი სუნთქვის შემდეგ მავნე ნივთიერებები ორგანიზმში 40 საათზე მეტხანს რჩება. ასე რომ, თუ იგრძნობთ ტკივილს გულის არეში, სთხოვეთ თქვენს ახლობლებს, არ მოწიონ თქვენი თანდასწრებით.

დასავლეთში მწეველ ადამიანს პრობლემა ექმნება, როცა, მაგალითად, სურს სახლის გაყიდვა. ექსპერტთა დასკვნით, უძრავი ქონების ფასი 20 ათასი გირვანქით ეცემა, თუ სახლი ეკუთვნის მწეველს და კედლები გაჟღენთილია ნიკოტინით.

დასავლეთში გამოთვალეს, რომ მოწევის აკრძალვა სამუშაო ადგილებზე შრომისუნარიანობას 3%-ით გაზრდის. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თითოეულ ადამიანს აქვს უფლება, არ ისუნთქოს სხვისი ბოლი...

***ჯენტე***

# ᲔᲕᲠᲝᲞᲐ ᲡᲬᲠᲐᲤᲘ ᲙᲕᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒᲘᲐ



ევროპელები სულ უფრო დიდ ყურადღებას უთმობენ სწორ კვებას. თავდაპირველად ეს იმ ფართომასშტაბიანი კამპანიით დაადასტურეს, რომელიც „გენეტიკურად მოყვანილ საკვებს“ ეხებოდა. დღეს კი, ევროპელები აცხადებენ, რომ მსოფლიოს 6 მლრდ-იანი მოსახლეობიდან 2 მლრდ ადამიანი დაავადდა ზედმეტი წონის გამომწვევი — სწრაფი კვების პროდუქტებით. ჟენევაში არსებულმა მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ, სხვადასხვა ქვეყნის მოსახლეობის მოთხოვნით, რეკომენდაცია გასცა, შეიზღუდოს სწრაფი კვების აპარატების სკოლებში და სკოლებთან ახლოს განთავსება. ბრიტანეთში მზადდება კანონპროექტი, რომელიც ასევე მკაცრად შეზღუდავს მოსწავლეთათვის სწრაფ კვებას. ასეთსავე აკრძალვებს გეგმავენ ევროპის ზოგიერთ ქვეყანაშიც. სავარაუდოდ, „შეტევა სწრაფ კვებაზე“ არდადეგების პერიოდში, ზაფხულში დაიწყება. მანამდე სწრაფი კვების კომპანიები თავდაცვისთვის ემზადებიან. მაკდონალდსმა გამოაცხადა, რომ ევროპისათვის იწყებს ახალი „მსუბუქი მენიუს“ შემუშავებას, „კოკა-კოლა“ კი ევროპის ბევრ სკოლაში ნატურალური წვენების აპარატებს დააყენებს.

***ნიუზუიქ***

# ᲡᲘᲛᲐᲫᲦᲠᲔ ᲡᲘᲩᲚᲣᲜᲒᲔᲡ ᲘᲬᲕᲔᲕᲡ

ლონდონის კვების შემსწავლელი ცენტრის სპეციალისტების დაკვირვებით, ყუათიანი საუზმე შრომისუნარიანობის მტერია. თურმე, დილიდანვე კუჭ-ნაწლავში მოხვედრილი ცხიმი აჩლუნგებს გონის სიმკვირცხლეს, ანელებს რეაქციას. აქვეითებს ნამუშევრის ხარისხს. ეს პროცესი სამი საათი გრძელდება — სწორედ ამდენი ხანი სჭირდება საკვების გადამუშავებას.



ვინც დილით ნაკლებცხიმიან, მაგრამ ნახშირწყლებითა და უჯრედისით მდიდარი საკვებით საუზმობს, გრძნობს ენერგიის მოზღვავებას, მოსიყვარულე, ხალისიანი და კეთილია.

***ზდოროვიე №3***

**ბუასილის კვანძების, ანალური არხის ნაპრალის, კოლიტის**
**უოპერაციოდ, უსისხლოდ მკურნალობა**
მწვავე და ქრონიკული ურეთრო-პროსტატიტის, უროგენიტალური ინფექციების მკურნალობა
მის: ბახტრიონის 18
სამედიცინო ცენტრი „ლაზერი“
☎ 91-18-33; 899-70-00-40




**სამკურნალო გაერთიანება „ლიგა"**
სექსოპათოლოგიის კლინიკა
ტელ.: 32 21 21
- ერექციის ხარისხის გაუმჯობესება;
- სქესობრივი აქტის გაუმჯობესება;
- წარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა;
- სექსუალური ცხოვრების აღდგენა შემდეგი დაავადებების ფონზე:

*პროსტატიტი, შაქრიანი დიაბეტი, ტრავმები, ინვალიდობა, გულ-სისხლძარღვთა და ნევროლოგიური დაავადებები.*
თბილისი 0186, ვაჟა-ფშაველას გამზ. 83/11

# ᲰᲔᲠᲞᲔᲡᲕᲘᲠᲣᲡᲔᲑᲘ



ძალიან გავრცელდა ინფექციები, რომლებიც იმუნოდეფიციტურ მდგომარეობასთან არის დაკავშირებული. ორსულებში არსებული ბუნებრივი იმუნოდეფიციტის გამო გახშირდა ჰერპესინფექციები, ტოქსოპლაზმოზი, ქლამიდიოზი, რაც ხშირად შეწყვეტილი ორსულობისა და პათოლოგიური ნაყოფის დაბადების მიზეზია.

ჰერპესვირუსები დიდი ჯგუფია, მათგან ყველაზე გავრცელებული და ადამიანში დაავადების გამომწვევია 5 ტიპის ვირუსი. I და II ტიპის ვირუსებს — მარტივ ჰერპესვირუსებს უწოდებენ. III ტიპის ვირუსი ბავშვთა ცნობილ ინფექციას — ჩუტყვავილას იწვევს. იგი ზოგადად, მძიმედ არ მიმდინარეობს, თუმცა დათრგუნვილი იმუნიტეტის ფორმებში, შესაძლოა ადამიანის სიკვდილიც კი გამოიწვიოს.

IV ტიპის ჰერპესვირუსს ებშტაინ-ბარის ვირუსი ეწოდება. იგი იწვევს ინფექციურ მონონუკლეოზს და ცხელებით, ლიმფური ჯირკვლების გადიდებით, ღვიძლისა და ელენთის გადიდებით, ასევე სისხლში სპეციფიკური ცვლილებებით მიმდინარეობს.

V ტიპის ვირუსი — ციტომეგალოვირუსი, ბოლო დროს ძალზე აქტიური გახდა. მარტივი ჰერპესის I ტიპით საშუალო ასაკის მოსახლეობა თითქმის მთლიანადაა ინფიცირებული; II ტიპის ჰერპესვირუსის გავრცელება კი სქესობრივი ცხოვრების ინტენსივობის პარალელურია, რადგანაც ის სქესობრივი გზით ვითარდება.

I ტიპის ვირუსის დროს დაავადება მხოლოდ შემთხვევათა 1/3-ში ვლინდება მწვავე კლინიკური ნიშნებით, ეს შეიძლება იყოს გრიპის მსგავსი სიმპტომი, პირის ღრუს ლორწოვანის დაზიანება და სხვა. დანარჩენ შემთხვევაში ვითარდება ქრონიკული ინფექცია, ანუ ვირუსი სასუნთქი სისტემის მეშვეობით ნერვულ კვანძებში ვრცელდება და სამუდამოდ იქ რჩება. ზოგჯერ ვირუსი თავს არ ავლენს. ხანაც მას პერიოდული გამწვავება ახასიათებს. ეს ყველასთვის ცნობილი კლინიკური ნიშნებია: გამონაყარი ცხვირტუჩის, ზოგჯერ ყურის არეში (II ტიპის ჰერპესვირუსს, ძირითადად, სასქესო ორგანოზე ახასიათებს გამონაყარი). გამონაყარს ახლავს წვა, ტკივილის შეგრძნება, ცხელება. შემდეგ ეს ნიშნები უკუგანვითარებადი ხდება და ვირუსების „სიჩუმის“ პერიოდი დგება.

ორსულებში, როდესაც ფიზიოლოგიურად არის დათრგუნვილი იმუნიტეტი, დედის ორგანიზმში აქტიურდება ჰერპესინფექცია; ვირუსი შესაძლოა პლაცენტის გავლითაც მოხვდეს ნაყოფის ორგანიზმში, გამოიწვიოს მისი დაზიანება, დაღუპვა, სიმახინჯეები, ან ბავშვი დაიბადოს თანდაყოლილი ფილტვების ანთებით, ჰეპატიტით — ღვიძლის ქსოვილის ანთება, ენცეფალიტით — თავის ტვინის ანთება და სხვა.

*ციტომეგალოვირუსი:* ამ ვირუსითაც ყველანი ვართ ინფიცირებულნი, ისიც ორგანიზმში ჩუმ მდგომარეობაშია და მხოლოდ განსაკუთრებულ იმუნოდეფიციტურ პირობებში იწყებს გამოვლენას. განსაკუთრებული კლინიკური ნიშნები არ გააჩია, შესაძლოა ნებისმიერი მწვავე ინფექციის სახით გამოვლინდეს.

იმის მიხედვით, ვირუსი ორსულობის რა ეტაპზე გააქტიურდება და გაარღვევს პლაცენტის ბარიერს, შესაძლოა განვითარდეს თვითნებური აბორტი, სხვადასხვა თანდაყოლილი სიმახინჯე. ციტომეგალოვირუსის სამკურნალო პრეპარატები ძალიან ტოქსიკურია და მათი დანიშვნა ახალშობილისთვის მიზანშეუწონელია.

*დიაგნოსტიკა:* სისხლის ანალიზიის მიხედვით განისაზღვრება სპეციფიკური ანტისხეულების ტიტრი.

*ტოქსოპლაზმოზი:* ამ ვირუსს ცხოველები, უმეტესად კატები ავრცელებენ. ინფექცია საგნებისა და პროდუქტების საშუალებითაც ვრცელდება (ხილი, მწვანილი).

ინფექცია უმეტესად ჩუმ მდგომარეობაშია, გააქტიურების დროს დიდდება ლიმფური კვანძები (აქ ტუბერკულოზი უნდა გამოირიცხოს). არის „უმიზეზო“ სუბფებრალური — 37-38⁰ ტემპერატურა, მუცლის აუხსნელი ტკივილი, ქოლეცისტიტის კლინიკა, ინტოქსიკაციის ნიშნები: თავის ტკივილი, უგუნებობა, ოფლიანობა, გუნება-განწყობილების გაუარესება და ა.შ.

ეს ინფექციაც საშიშროებას უქმნის ორსულობას.

ტოქსოპლაზმის ერთხელ გადატანის შემდეგ ე.წ. „არასტერილური“ იმუნიტეტი ყალიბდება. ეს იმას ნიშნავს, რომ დაავადება მწვავე ფორმით მეტად აღარ გამოვლინდება, მაგრამ ჩუმად მაინც იარსებებს

*ქლამიდიოზი* — ქლამიდიები, მცირე ზომის მიკროორგანიზმები, იწვევენ შარდ-სასქესო გზების ანთებით დაავადებას. სწორედ უროგენიტალიური ქლამიდიოზის ბრალია მეორადი უშვილობა (როდესაც ადამიანს შვილი ჰყავს და მეტი არ უჩნდება).

*დიაგნოსტიკა:* უროგენიტალიური ქლამიდიოზი ადვილი დასადგენია ნაცხში, ასევე ანტისხეულების განსაზღვრით — სისხლში.

*მკურნალობა:* ძალიან ეფექტიანია. მაგრამ ქლამიდიის გამომწვევი ადამიანის უჯრედებში ცხოვრობს და პრობლემაა სამკურნალო საშუალებების მათში შეღწევა.

სქესობრივი პარტნიორების მკურნალობა აუცილებლად ერთდროულად უნდა მოხდეს.

ყველა ადამიანს მკურნალობა ინდივიდუალური გეგმით ესაჭიროება.

გარდა გამომწვევებზე მოქმედი პრეპარატებისა, გამოიყენება ორგანოთა ფუნქციების აღმდგენი საშუალებები, მიმართავენ იმუნიტეტის გამაძლიერებელ საშუალებებს.

იმუნური სისტემის გასამაგრებლად — კარგია იმუნომოდულატორი — C ვიტამინი, ასევე E ვიტამინი, რომელსაც ხშირად ნიშნავენ ორსულობის დროს.

დიდი მნიშვნელობა აქვს სრულფასოვან კვებას. ადამიანმა შესაბამისი თანაფარდობით უნდა მიიღოს ყველა საჭირო მიკროელემენტი, რომელიც სხვადასხვა პროდუქტში მოიპოვება.

***მაია მუხიგული***

# ᲡᲐᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲝ ᲨᲔᲢᲔᲕᲐ ᲖᲔᲓᲛᲔᲢ ᲬᲝᲜᲐᲡ

საგაზაფხულოდ თუნდაც 2-3 კგ-ის დაკლებაში დაგეხმარებათ მთელ მსოფლიოში შეკრებილი რეცეპტები. არჩევანი თქვენზეა:

**ᲤᲠᲐᲜᲒᲣᲚᲘ — ᲨᲔᲪᲕᲐᲚᲔᲗ ᲩᲕᲔᲣᲚᲘ ᲙᲕᲔᲑᲘᲡ ᲠᲐᲪᲘᲝᲜᲘ.** უარი თქვით ცხიმიან, მარილიან და ნოყიერ საკვებზე, მიირთვით ახალი ხილი და ბოსტნეული — ვიტამინების, მინერალების, უჯრედისებისა და ნახშირწყლების უშრეტი წყარო. სხვათა შორის, ნახშირწყლების გადამუშავებისას ორგანიზმი უფრო მეტ კალორიას წვავს, ვიდრე ცხიმებისას. ნუ დაივიწყებთ: საუზმემ უნდა უზრუნველყოს ორგანიზმი კალორიების დღეღამური მოთხოვნილების დაახლოებით 20%-ით. ისაუზმეთ ბევრი უჯრედისის შემცველი კერძით. ძალიან სასარგებლოა სილამაზის ფრანგული სალათი: 3 ს/კ შვრიის ბურბუშელას დაასხით ცოტა თბილი წყალი, ერთი საათის შემდეგ დაამატეთ 4 ს/კ უცხიმო რძე ან მაწონი, 1 ს/კ თაფლი და მსხვილად გახეხილი ვაშლი, დაამატეთ ცოტა ლიმონის წვენი.

**ᲣᲐᲠᲘ ᲐᲠ ᲗᲥᲕᲐᲗ ᲬᲕᲜᲘᲐᲜᲖᲔ.** დიეტოლოგების აზრით, წვნიანი ანელებს მადას. განსაკუთრებით სასარგებლოა ბოსტნეულის წვნიანი, რომელიც 70 კკალ-ს შეიცავს.

**ᲜᲣ ᲐᲛᲝᲘᲦᲔᲑᲗ ᲞᲣᲠᲡ ᲠᲐᲪᲘᲝᲜᲘᲓᲐᲜ.** გადადით ჭვავის ან დაღერღილი ხორბლის პურზე, რომელიც ენერგიისა და უჯრედისების წყაროა. სპეციალისტები ამტკიცებენ, რომ სიმსუქნის მიზეზი ხშირად პური კი არა, კარაქი, ჯემი, ლორი და ძეხვეულია. ამჯობინეთ მცირეკალორიული ბოსტნეულის, თევზის, ხილის ბუტერბროდები.

**ᲙᲕᲘᲠᲐᲨᲘ ᲔᲠᲗᲮᲔᲚ ᲮᲘᲚᲘᲗ ᲒᲐᲜᲢᲕᲘᲠᲗᲕᲐ** აუმჯობესებს გუნება-განწყობილებას, ააქტიურებს ნივთიერებათა ცვლასა და ცხიმების წვას. გარდა ამისა, ახალი ხილი შეიცავს აუცილებელ საკვებ ნივთიერებებს, რომლებიც ხელს უშლიან მოთენთილობას, თავბრუსხვევას, რაც შიმშილისთვის არის დამახასიათებელი.



*ვაშლის დღე:* 1 კგ ახალი (შეიძლება შემწვარიც) მწვანე ვაშლი, 2 ჩ/კ ჩაი ან უშაქრო ყავა;

*გრეიპფრუტის დღე:* 1,5კგ გრეიპფრუტის რბილობი, 2 ჩ/ჭ მინერალური წყალი;

*წვენების დღე:* დილითვე მოამზადეთ კოქტეილი 1-1ლ ახალგამოწურული გრეიპფრუტის — ფორთოხლისა და 150 მლ ლიმონის წვენით. დაამატეთ ცოტა მდუღარე წყალი და სვით მთელი დღე.

**ᲰᲝᲚᲐᲜᲓᲘᲣᲠᲘ — ᲒᲐᲓᲐᲓᲘᲗ ᲡᲐᲢᲐᲪᲣᲠᲘᲡ ᲓᲘᲔᲢᲐᲖᲔ.** ყოველ გაზაფხულზე ჰოლანდიელები იწყებენ ორგანიზმის ერთკვირიან გაწმენდას ტოქსინებისა და წიდებისგან. სისტემატურად იღებენ სატაცურის ნახარშსა და კერძებს.

აი, ერთი რეცეპტი:

მარილიან წყალში მოხარშეთ სატაცური, დაუმატეთ ცოტა მცენარეული ზეთი და ცოტა ტომატი, მიიღებთ უგემრიელეს წვნიანს.

**ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲣᲚᲘ — ᲛᲐᲗᲠᲐᲮᲘ ᲜᲘᲕᲗᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲪᲕᲚᲐᲡ.** თუ ტელეფონზე საუბრისას ფეხზე იდგებით, თქვენ 2-ჯერ მეტ კალორიას დახარჯავთ. გიყვართ ტელევიზორის ყურება. ნუ დაგეზარებათ და ყოველ ნახევარ საათში ერთხელ ადექით, გაიმართეთ, იხტუნეთ, რამდენჯერმე ჩაჯექით. წიგნის კითხვისას ან კომპიუტერთან მუშაობისას თუ იჯდებით გამართულად და არა წინ დახრილი, 10-15%-ით მეტ კალორიას დახარჯავთ.

**ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲣᲠᲘ — ᲓᲐᲘᲝᲙᲔᲗ ᲛᲐᲓᲐ ᲬᲔᲠᲢᲘᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲛᲐᲡᲐᲟᲘᲗ.** მსუბუქად, წრიული მოძრაობით გაიკეთეთ მასაჟი თვალის კაკლებზე, რომლებზეც განლაგებულია შიმშილის გრძნობის მარეგულირებელი წერტილები. ასეთი მასაჟი ჭამის სურვილს დაგიკარგავთ.

**ᲨᲕᲔᲓᲣᲠᲘ — ᲘᲕᲐᲠᲯᲘᲨᲔᲗ.** გახდომისთვის, აუცილებელი არ არის ტრენაჟორებით ვარჯიში არაქათის გამოცლამდე. მთავარია, ყოველდღე 30 წუთი მაინც დაუთმოთ ფიზიკურ დატვირთვას. სასურველია დილა-საღამოს, დაიწყოთ სიარული ნელი ტემპით და ყოველი 2 წუთის შემდეგ მოუმატოთ სიჩქარეს, სიარულის დროს მთავარია სწორად ჩაისუნთქოთ და ამოისუნთქოთ (2 ნაბიჯი — ღრმად ჩაისუნთქეთ ცხვირით, 2 ნაბიჯი — ამოისუნთქეთ პირით ნელა). 3-4 კვირის შემდეგ დაიკლებთ 500-700 გრამს.

***ზდოროვიე №4***

**ᲕᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝᲑᲗ**
**ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲣᲚ ᲞᲠᲝᲡᲢᲐᲢᲘᲢᲡ**
- ექსპრეს-დიაგნოსტიკა 15-20 წთ-ში;
- ექოსკოპია იაპონური აპარატურით;
- კომპლექსური მკურნალობა დღეისათვის არსებული ყველაზე თანამედროვე მეთოდებით, მათ შორის, პროფ. გუსკოვის აპარატით „ინტრატონი“, რომელსაც ეფექტურობით ანალოგი არ აქვს.

**მეცნიერებათა აკადემიის სპეც. პოლიკლინიკა, კაბ. №7 (სპორტის სასახლის უკან, მარჯვნივ). 10-14 სთ.**

აშშ

## ჯორჯ ბუშს თავი არ შემართლებია

აშშ-ის პრეზიდენტს მაინცდამაინც არ უყვარს ჟურნალისტებთან ურთიერთობა. ამჯერად იძულებული გახდა, მათ წინაშე გამოსულიყო, რადგან არ წყდება 11 სექტემბრის ტერაქტის მიზეზების გამოძიებასთან დაკავშირებული სკანდალი. თეთრ სახლში გამართული პრესკონფერენციის კულმინაციად იქცა ჯორჯ ბუშის ნათქვამი: — იოტისოდენი ეჭვი რომ გამჩენოდა, ტერაქტებს აპირებდნენ, ქვეყნის გადასარჩენად მთებს გადავდგამდიო. ჰუსეინის რეჟიმის დაცემის შემდეგ აპრილი ყველაზე სისხლიანი თვე გამოდგა. ორი კვირის მანძილზე 82 ამერიკელი სამხედრო მოსამსახურე დაიღუპა და 560 დაშავდა. საზოგადოებრივი აზრი ერაყიდან მიღებულ ცნობებზე მძაფრად რეაგირებს. ბუშის რეიტინგი დაეცა. როგორც მოსალოდნელი იყო, ჯორჯ ბუშმა თავის გამოსვლაში, რომელიც 17 წუთს გრძელდებოდა, ყურადღება ერაყზე გაამახვილა. აშშ-ის პრეზიდენტმა თქვა, რომ ერაყელებს, როგორც ეს დაგეგმილი იყო, ძალაუფლება გადაეცემათ 30 ივნისს. მისი თქმით, ამ ვალდებულების შეუსრულებლობა არეულობის მოთავეებს ხელს გაუხსნის და ერაყელთა ნდობას შეარყევს. მან ერაყში შექმნილ მდგომარეობაზე პასუხისგება ყოფილი ერაყელი დიქტატორის მომხრეებსა და ექსტრემისტებს დააკისრა, რომელთა რიგებში აქტიურად მოქმედებენ უცხოელი მეომრებიც. პრეზიდენტმა მკაფიოდ აღნიშნა, რომ ერაყელთა უმეტესობა არ ემხრობა კოალიციის ძალებთან მებრძოლ ექსტრემისტებს. მან მოუწოდა შიიტი რადიკალების ლიდერს, მუქთადა სადრს, დაშალოს თავისი შეიარაღებული ფორმირება და დასძინა, რომ მდგომარეობის გამწვავების შემთხვევაში ერაყში დამატებით ძალებს შეიყვანს. თეთრმა სახლმა საზოგადოების ზეწოლით გამოაქვეყნა მასალა, რომ 2001 წლის 6 აგვისტოს მან პრეზიდენტს მიაწოდა ინფორმაცია მოსალოდნელი ტერორისტული თავდასხმის შესახებ. ბუშმა კვლავ გაიმეორა, რომ მასში არ ყოფილა არანაირი კონკრეტული მონაცემი, რათა ადმინისტრაციას ეზრუნა საფრთხის აცილებაზეო. ჟურნალისტები ყველანაირად ცდილობდნენ, რომ აშშ-ის პრეზიდენტს ელიარებინა შეცდომა და ბოდიში მოეხადა ამერიკელთა წინაშე 11 სექტემბრის ტერაქტის გამო, მაგრამ ასე არ მოხდა. პირიქით, ბუშმა თქვა, — 11-მა სექტემბერმა გვიჩვენა, რომ ამერიკამ საფრთხე მანამდე უნდა აიცილოს, ვიდრე ის რეალური გახდება. სწორედ ამ პოლიტიკას მოჰყვა ერაყში ომის დაწყება.

*ნიუს რუ*

## „ალ-ქაიდას“ შეუძლია ბომბის შექმნა“



— ეს განცხადება ატომური ენერგიის დარგში საერთაშორისო სააგენტოს გენერალურმა დირექტორმა მუჰამედ ელ ბარადეიმ „არგუმენტი ი ფაქტისთვის“ მიცემულ ინტერვიუში გააკეთა. გთავაზობთ ამონარიდს.

*— უსამა ბინ ლადენის მოადგილემ აიმან ალ-ზავაჰირიმ განაცხადა, — ჩვენ გვაქვს ბირთვული იარაღი, რომელიც ტაშკენტელი საბჭოთა პერიოდის მეცნიერების დახმარებით შეიქმნაო. როგორ ფიქრობთ, ეს სიმართლეა?*

— ექნებათ თუ არა ტერორისტებს ბომბი, დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ იცავს სახელმწიფო თავის ატომურ არსენალს. არა მგონია, „ალ-ქაიდას“ საბჭოთა მეცნიერები მოესყიდა. ვფიქრობ, ლიბია და ერაყი საკუთარი ძალებით ცდილობდნენ ბომბის შექმნას. ისე კი, უსამსახუროდ დარჩენილი ადამიანები მავანთა შემოთავაზებას თანხმდებიან ხოლმე...

*— გინდათ თქვათ, შესაძლებელია ყოფილი მეატომეების ფულით მოხიბვლა?*

— შესაძლებელია, მაგრამ საკუთარი ბომბის შექმნას დიდი დროც სჭირდება და მეცნიერთა დიდი ჯგუფიც. მსოფლიოში არსებულ კარგად ორგანიზებულ ბირთვული ტექნოლოგიების შავ ბაზარზე ყველაფრის ყიდვა შეიძლება. მოთხოვნილებაა ურანის გასამდიდრებელ ცენტროფუგაზე, რაც ძალიან გვაღელვებს — შემდეგი ნაბიჯი ხომ უკვე საკუთარი ბირთვული იარაღია. თავის დროზე აშშ-ის პრეზიდენტმა კენედიმ თქვა, — მალე 15-20 ქვეყანას ექნება ატომური ბომბიო, ჯერჯერობით მხოლოდ ხუთს აქვს.

*— ჩვენს დროში შესაძლებელია ბირთვული ომი? წლების წინ ხშირად გვაშინებდნენ ამ საფრთხით.*

— ოცი წლის წინ არ არსებობდა ატომური ბომბის ტექნოლოგიის „შავი ბაზარი“, რომლის ხელში ჩაგდებას ტერორისტები მოინდომებდნენ. დღეს „ალ-ქაიდას“ ან სხვა ჯგუფებს ადვილად შეუძლიათ ბომბის შექმნა.

*არგუმენტი ი ფაქტი №15*

## ჩუბაისი: ხოდორკოვსკი ჩემს ცოდვებს ნუ ინანიებს

1990-იან წლებში რუსეთში ლიბერალური რეფორმების ერთ-ერთმა ავტორმა, „რაო ე-ეს როსიას“ თავკაცმა ანატოლი ჩუბაისმა უარყოფითად შეაფასა ნავთობკომპანია „იუკოსის“ ყოფილი მეთაურის მიხაილ ხოდორკოვსკის წერილები. პატიმრობაში მყოფმა ხოდორკოვსკიმ ლიბერალური მოძრაობის მომხრეებს მოუწოდა, აღიარონ თავიანთი შეცდომები და მათ გამოსწორებაზე იზრუნონ. „ხოდორკოვსკიმ საკუთარი ცოდვები მოინანიოს, ჩემსას მე მივხედავ“, — აცხადებს ჩუბაისი. მისი თქმით, პრივატიზაციას შეცდომები ახლდა, მაგრამ კერძო საკუთრების შექმნის სხვა გზა არ არსებობდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, რუსეთის მთელი ეკონომიკა განადგურდებოდა.

ჩუბაისი აღიარებს, რომ 1990-იანი წლების დასაწყისის რეფორმატორებმა შექმნეს „ოლიგარქის ფენომენი“, რომელმაც დიდად დააზარალა ეკონომიკა. ამასთან, ოლიგარქებმა აღადგინეს საბჭოთა საწარმოები, მოახდინეს მათი მუშაობის რეორგანიზაცია და დააარსეს ყველაზე ცნობილი რუსული კომპანიები. ჩუბაისი ირწმუნება, რომ მოსახლეობაში არაპოპულარული პრივატიზაციის შედეგად შექმნილმა ამ კომპანიებმა უზრუნველყვეს რუსეთში ბოლო ხუთი წლის განმავლობაში 38%-იანი ეკონომიკური აღმავლობა. „ეკონომიკა მუშაობს და სწორედაც ჩვენი გეგმით,“ — აცხადებს ჩუბაისი. „მატროსკაია ტიშინას“ იზოლატორში მყოფმა მიხაილ ხოდორკოვსკიმ თავისი ადვოკატების პირით ლიბერალური მოძრაობის მომხრეებს ორი მიმართვა გაუგზავნა. მასში ნათქვამია, რომ ლიბერალებს მოქმედების ორი ვარიანტი აქვთ — ან უნდა წავიდნენ პოლიტიკიდან, ან აღიარონ დაშვებული შეცდომები და გამოსწორებას შეეცადონ. „უსიამოვნოა, მაგრამ ფაქტია — ქვეყანაში არსებობს ხალხის მიერ აღიარებული ხელისუფლების ერთადერთი ინსტიტუტი — ეს არის პრეზიდენტი“, — განაცხადა ხოდორკოვსკიმ და ლიბერალური მოძრაობის მომხრეებს ვლადიმირ პუტინთან მორიგებისკენ მოუწოდა.

*ფაინენშნლ ტაიმსი*

## „აზერბაიჯანი აუცილებლად დაიბრუნებს ყარაბაღს“

თურქეთში ვიზიტით მყოფმა აზერბაიჯანის პრეზიდენტმა განაცხადა, — უახლოეს დროში აუცილებლად უნდა დაიწყოს სომხურ-აზერბაიჯანული კონფლიქტის მოწესრიგება, მთიანი ყარაბაღი იყო, არის და იქნება აზერბაიჯანის ტერიტორია. აზერბაიჯანი არასოდეს არ შეეგუება თავისი მიწის დაკარგვას და ნებისმიერ ფასად დაიბრუნებს მას. აზერბაიჯანი აღიარებს მსოფლიოს ყველა ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას და საკუთარი ტერიტორიული მთლიანობის აღიარებასაც ითხოვს.

ილჰამ ალიევმა ისიც თქვა, რომ XX საუკუნეში დაუშვებელია ერთი ქვეყნის მიერ მეორის ტერიტორიის ოკუპაცია. ანკარის დიპლომატიურ წრეებში ლაპარაკობენ, რომ ისრაელი და თურქეთი მზად არიან, დიდი ხელშეკრულება გააფორმონ აზერბაიჯანთან იარაღის მიყიდვის თაობაზე. ილჰამ ალიევმა განაცხადა: — ყარაბაღის პრობლემის გადასაწყვეტად ჯერ საჭიროა, ოკუპირებული რაიონებიდან გაიყვანონ ჯარი და მერე დაიწყონ მოლაპარაკება. ამ შემთხვევაში ჩვენ დაუყოვნებლივ გავხსნით სარკინიგზო მიმოსვლას, აღვადგენთ ეკონომიკურ კავშირებს, გაჩნდება თურქეთსა და სომხეთს შორის საზღვრის გახსნის შესაძლებლობა. ჩვენ მზად ვართ, მთიანი ყარაბაღის სომხებს მივანიჭოთ ავტონომიის ყველაზე მაღალი სტატუსი — ოღონდ დამოუკიდებლობა არა.

*უტრო რუ*

## მოკლედ

**უსამა ბინ ლადენის** მიმართვაში, რომელიც არაბულმა ტელეარხმა გადასცა, ნათქვამია, — მშვიდობას ვთავაზობ ევროპის ქვეყნებს, თუ ისინი მუსლიმანებზე თავდასხმას შეწყვეტენ, მაგრამ ამერიკის შეერთებულ შტატებთან ვერ მოვრიგდებით. აუდიოჩანაწერში ისიც ითქვა, რომ 11 მარტის ტერაქტები მადრიდში „ალ-ქაიდას“ მოწყობილია შურისძიების მიზნით და იგივე ელის ისრაელს „ჰამასის“ თავკაცის, შეიხ აჰმედ იასინის მოკვლისათვის.

**„ფორმულა-1“**-ის მფლობელმა ბერნი ეკლსტოუნმა 128 მლნ დოლარად გაყიდა თავისი სახლი, რომელიც მსოფლიოში ყველაზე ძვირად ღირებულია. იგი ინდოელმა ფოლადის მაგნატმა ლაქშმი მიტალმა იყიდა. 12-ოთახიანი სახლი ლონდონის ერთ-ერთ პრესტიჟულ რაიონში იმ შენობის მეზობლად დგას, სადაც პრინცესა დაიანა ცხოვრობდა.

**სადამ ჰუსეინის მეუღლე** საჯიდა ჰეირალა ტალფა, რომელსაც ამერიკელმა სამართალდამცველებმა კატარში, ამერიკის ბაზაში, ერაყელი დიქტატორის ნახვის ნება დართეს, აცხადებს: — ეს არ არის ჩემი ქმარი, სადამის ორეულიაო. შესაძლოა, ჰუსეინის მეუღლე გარკვეული მიზნით სიმართლეს არ ამბობდეს, თორემ გამორიცხულია, 25-წლიანი თანაცხოვრების შემდეგ, როგორი შეცვლილიც არ უნდა ყოფილიყო, ვერ ეცნო ქმარი.

**უზბეკეთში** მომხდარ ტერაქტებზე, რომლებსაც 47 ადამიანის სიცოცხლე შეეწირა, პასუხისმგებლობა აქამდე უცნობმა ისლამისტურმა დაჯგუფებამ აიღო. ინტერნეტ-საიტის საშუალებით ისინი აცხადებენ, — უზბეკეთის ხელისუფლება ჩაგრავს და ამცირებს მუსლიმანებს და ამ მდგომარეობის გამოსწორება მხოლოდ ქვეყანაში ისლამური სახელმწიფოს აშენების გზით შეიძლებაო.

ცნობილმა რეჟისორმა **სტივენ სპილბერგმა** კინემატოგრაფიაში გაწეული ღვაწლისთვის იტალიაში, პრემიის მიღების დროს, განაცხადა, — მხარს ვუჭერ ერაყში მყოფ ამერიკელ, ბრიტანელ, იტალიელ და სხვა ქვეყნების ჯარისკაცებს, მაგრამ ვგრძნობ, რომ ეს ომი აუცილებელი არ იყო, რაც ძალიან მაწუხებსო.

**ბანგლადეშის** ჩრდილოეთ რაიონებში ტორნადომ 57 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, 800 დაშავდა. უძლიერესი ქარიშხალი დაახლოებით 10 წუთს გრძელდებოდა და 20-ზე მეტი სოფელი დაანგრია.

**ლატვიაში** დაიწყო 64 რუსული სკოლის პედაგოგებისა და მოსწავლეების გაფიცვა. მათ საპროტესტო მარშით ჩაიარეს რიგის ქუჩებში, აქციაში დაახლოებით 50 ათასი ადამიანი მონაწილეობდა, მათი პროტესტი გამოიწვია ახალმა კანონმა განათლების შესახებ, რომლის თანახმად, რუსულენოვანი სკოლების უფროს კლასებში საგნების 60% ლატვიურ ენაზე უნდა ისწავლებოდეს.

**მსოფლიო ბანკის** მონაცემებით, ამერიკის შეერთებულ შტატებს ერაყის ომი, ოკუპაცია და 130-ათასიანი საექსპედიციო კორპუსის შენახვა 161,7 მლრდ დოლარი დაუჯდა.

**უკრაინის** პრეზიდენტმა ლეონიდ კუჩმამ თავისი მომხრე პარტიებისა და პარლამენტის ფრაქციების ლიდერებთან თათბირზე დაასახელა 31 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნების მომავალი კანდიდატი — ქვეყნის ამჟამინდელი პრემიერი ვიქტორ იანუკოვიჩი. პრეზიდენტობის კანდიდატის დასახელება იმას ნიშნავს, რომ ლეონიდ კუჩმამ და მისმა გარემოცვამ დაიწყო ოპერაცია „მემკვიდრე“.

**ლიტვის** პრეზიდენტის პოსტიდან გადაყენებულმა როლანდას პაქსასმა საკუთარი კანდიდატურა წამოაყენა ვადამდელ საპრეზიდენტო არჩევნებზე. საკვირველია, მაგრამ ფაქტია, რომ იმპიჩმენტის შემდეგ მისი რეიტინგი მნიშვნელოვნად გაიზარდა. ასე რომ, 13 ივნისს როლანდას პაქსასმა შესაძლოა წართმეული სავარძელი დაიბრუნოს.

**ესპანეთის** მეფე ხუან კარლოსმა ფიცი დაადებინა მთავრობის ახალ თავმჯდომარეს ხოსე ლუის როდრიგეს საპატეროს. 14 მარტის საყოველთაო არჩევნებში გამარჯვებული სოციალისტების ლიდერი ამ პოსტზე მას შემდეგ დაამტკიცეს, რაც მის კანდიდატურას გენერალური კორტესების (ესპანეთის პარლამენტის) ქვედა პალატის დეპუტატთა ნახევარზე მეტმა დაუჭირა მხარი.

*გვერდი მოამზადა ნანა ანტონოვა-ილურიძემ*



# „სიამოვნებით ვითამაშებდი ერთ თამაშს სოხუმში..."



აჩი არველაძე ფეხბურთს თავს ანებებს?!

*ცნობილი ქართველი ფეხბურთელი* ***აჩი არველაძე,*** *რომელიც სხვადასხვა დროს თურქეთის, გერმანიისა და ჰოლანდიის გუნდებში თამაშობდა, ბოლო ხანს ქართული საზოგადოების ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა. მასზე ბევრს ლაპარაკობენ, მაგრამ ყველაზე ცუდი რაც ითქვა, ის გახლავთ, რომ არველაძე ფეხბურთს თავს ანებებსო, რაც სამწუხაროდ, სიმართლე აღმოჩნდა. იმას, რამ აიძულა 31 წლის ფეხბურთელი, თამაშს თავი დაანებოს, ჩვენი ინტერვიუდან შეიტყობთ.*

— **აჩი, გავრცელდა ინფორმაცია, რომ ფეხბურთის თამაშს თავს ანებებ...**

— იმ შემთხვევაში, თუ ტრავმირებული ფეხი არ მომირჩება, თავისთავად თავის დანებება მომიწევს. წლების მანძილზე მიღებული ტრავმები თანდათან გამირთულდა და 2 წლის წინ სერიოზულად იჩინა თავი. პირველი ტრავმა თბილისში მივიღე 90 წელს, შემდეგ, თურქეთში. რამდენიმე წლის მერე, გერმანიაში და საბოლოო ჯამში ფეხი ისე ამტკივდა, რომ ფეხბურთის თამაში ველარ შევძელი. ოპერაცია გავიკეთე, მაგრამ ბოლომდე არ მოვირჩინე, ანუ ვიჩქარე, ვითამაშე და... აი, შედეგიც. ოთხი ურთულესი ოპერაცია გავიკეთე, ახლაც ვმკურნალობ. თუ მომირჩა, გავაგრძელებ თამაშს, თუ არა და — არა.

— **ბოლოს როდის ითამაშე?**

— ზაფხულში, მას შემდეგ აღარ მითამაშია.

— **რამდენად გაგიჭირდება ფეხბურთის გარეშე ცხოვრება?**

— ძალიან მიჭირს ამ აზრთან შეგუება, მით უფრო, როცა თბილისში უსაქმოდ ვზივარ. დავდივარ ექიმებთან და ვმკურნალობ.

— **ოდესმე თუ გიფიქრია იმაზე, რომ ის საქმე, რომელსაც ბავშვობიდანვე მისდევ, ერთ მშვენიერ დღეს შეიძლებოდა დამთავრებულიყო?**

— მაგაზე არასოდეს მიფიქრია, ვერ წარმომედგინა, რომ ოდესღაც ყველაფერი დამთავრდებოდა. თავად ცხოვრებაც კი ფეხბურთის რიტმზე მქონდა აწყობილი. ამიტომაც მიჭირს რეალობასთან შეგუება.

— **გარდა ფეხბურთისა, საკუთარ ადგილს რომელ სფეროში ხედავ?**

— სიმართლე გითხრათ, სხვა პროფესიაზე სერიოზულად არ დავფიქრებულვარ. პროფესიით ინჟინერ-ეკონომისტი ვარ, მაგრამ არა მგონია, ისეთი კარგი ეკონომისტი ვიყო, რომ ჩემი პროფესიით მუშაობა შევძლო.

— **გამოდის, ცუდი სტუდენტი იყავი...**

— ჰო, ასეა. უნივერსიტეტში იმიტომ ჩავაბარე, რომ უმაღლესი განათლება მიმეღო. სადმე ხომ უნდა მესწავლა.

— **და შენთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა, რომელ სფეროში მიიღებდი განათლებას?**

— არა, მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდა, მაგრამ იცით, რა არის? საერთოდ, როცა შენი სპეციალობით მუშაობ, კარგი სპეციალისტი უნდა იყო, რასაც ეკონომიკის დარგში ჩემზე ნამდვილად ვერ ვიტყვი, ხოლო სამოსანი და ოროსანი ეკონომისტი იმდენია, რომ ქართულ ეკონომიკას მე რაღა ჯანდაბაში ვჭირდები (იცინის).

— **დღეს ხშირად გაიგონებ გამოთქმას: „ქართული ფეხბურთი მოკვდა"** (მაწყვეტინებს)...

— დღეს ქართული ფეხბურთი ათასჯერ უფრო მაღალ დონეზეა, ვიდრე თავად საქართველო მსოფლიოში. ამაზე ორი აზრი არ არსებობს (დავღუპულვართ და ეგაა. — ი.ქ.). სიმართლე რომ ითქვას, დღეს საქართველოში სპორტი გაცილებით მაღალ დონეზეა, ვიდრე კულტურა, ხელოვნება და თავად ცხოვრების დონე.

— **გააჩნია სპორტის რომელ სახეობაზე ვიმსჯელებთ. მაგალითად, რაგბის ნაკრებით შეგვიძლია ვიამაყოთ, რასაც ნამდვილად ვერ ვიტყვით ფეხბურთის ნაკრებზე...**

— რატომ? რაგბი რითია უკეთესი?

— **იმით, რომ თქვენგან განსხვავებით ხშირად გვახარებს გამარჯვებებით.**

— წაგება და მოგება ჩვეულებრივი ამბავია. მე ვამბობ იმას, რომ მსოფლიომ საქართველო ქართველი ფეხბურთელებით გაიცნო. კალაძე რომ მილანში თამაშობს, ეს საქართველოს სახელი არ არის? იგივე შემიძლია ვთქვა სხვა ფეხბურთელებზეც.

— **კი, ბატონო, გეთანხმები, ცალ-ცალკე ყველა მაღალი კლასის ფეხბურთელი ხართ, მაგრამ საინტერესოა, ერთად თამაშისას რა გემართებათ?**

— იცი რა? ცალ-ცალკე რომ ყველა მაღალი რანგის ფეხბურთელები ვართ, ამაში მგონი ეჭვი არავის ეპარება. რაც შეეხება ერთად თამაშს, როცა სახელმწიფო არ ვარგა, სხვას რა უნდა მოსთხოვო. აი, გეკითხები და მიპასუხე: „მერსედესი" გყავს?

— **არა, მაგრამ ჩემი „მერსედესის" ყოლა ფეხბურთთან რა კავშირშია?**

— როცა გეყოლება „მერსედესი", მაშინ იქნება საქართველოს ნაკრები მსოფლიო ჩემპიონი.

*(გამეცინა და გავიფიქრე, თუ ჩემს „მერსედესზეა" დამოკიდებული თქვენი მსოფლიო ჩემპიონობა, ერთ „მერსედესს" ვიყიდი როგორმე-თქო, მაგრამ აჩიმ რაიმეს თქმა აღარ დამაცადა და განაგრძო):*

როცა ცხოვრების ნორმალური პირობები გვექნება, მაშინ შეგვეძლება ვიფიქროთ რაღაც წარმატებაზე. შუქი არა გვაქვს, პენსია არა გვაქვს, ხელფასი არა გვაქვს და მსოფლიო ჩემპიონობა საიდან გინდა.

— **გჯერა, რომ ოდესმე საქართველოს ნაკრები მსოფლიო ჩემპიონი გახდება?**

— არ მჯერა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოს ეყოლება ისეთი ფეხბურთელები, როგორებიც გვყავდა და როგორებიც გვყავს. 5 წლის წინ თუ წარმოდგენა არავის ჰქონდა, რომ მილანში, აიაქსში, შოტლანდიაში, ბუნდესლიგაში და სხვა უმაღლესი დონის გუნდებში შეიძლებოდა ქართველს ეთამაშა, დღეს უკვე ამ ფაქტს ასე უყურებენ: „მერე რა, რომ ქართველი თამაშობს". მერე რა და ის, რომ საქართველოს თუ ვინმე იცნობს დღეს, 90% სპორტსმენების დამსახურებაა.

— **ხშირად ყოფილა, როდესაც სხვადასხვა თამაშზე, თუნდაც საზღვარგარეთის მატჩებზე, უთქვამთ, თამაში გაყიდული იყოო. რეალურად, მართლა ხდება თუ არა ასეთი რამ, რომ გუნდმა თამაში გაყიდოს?**

— საერთოდ, კი ხდება, როგორ არა, მაგრამ, ალბათ, იშვიათად.

— **წინასწარ ვიცი, რას მიპასუხებ, მაგრამ მაინც გკითხავ. ორი წლის წინ რუმინეთთან თამაშისას სამარცხვინო დამარცხება რომ ვიგემეთ, ხალხში ის აზრი მუსირებდა, რომ საქართველოს ნაკრებმა თამაში გაყიდა.**

— იმ მატჩში მე და ჩემმა ძმამ ვითამაშეთ და ისეთი იდიოტი თუ ვინმე ცხოვრობს საქართველოში, რომ ჩვენ თამაშის გაყიდვას დაგვაბრალებს, არ ვიცი. ვინმეს ის ხომ არ ჰგონია, რომ ჩვენზე მეტად სწყინს თამაშის წაგება. მართლა თუ ვინმეს სჯერა, რომ დამარცხებას ფეხბურთელზე მეტად განიცდის, ძალიან ცდება. თუნდაც შენს მაგალითზე ვთქვათ. ყველა ინტერვიუ ერთნაირი არ გამოგდის, ხომ? ზოგი ძალიან კარგი იქნება და ზოგიც შედარებით ნაკლები, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ შენ შენი საქმე არ იცი. ასევეა ფეხბურთშიც, ხან გამოგივა, ხან — არა. შენ ინტერვიუს ჩაწერისას ხელს მაინც არავინ გიშლის, ხოლო მე კარგად თამაშში ხელს მიშლიან.

> იმ მატჩში მე და ჩემმა ძმამ ვითამაშეთ და ისეთი იდიოტი თუ ვინმე ცხოვრობს საქართველოში, რომ ჩვენ თამაშის გაყიდვას დაგვაბრალებს, არ ვიცი. ვინმეს ის ხომ არ ჰგონია, რომ ჩვენზე მეტად სწყინს თამაშის წაგება. მართლა თუ ვინმეს სჯერა, რომ დამარცხებას ფეხბურთელზე მეტად განიცდის, ძალიან ცდება.

— **ვინ გიშლის ხელს?**

— მოწინააღმდეგე, აბა, ის ხელს ხომ არ შემიწყობს გოლის გატანაში. ამასთან ერთად ცხადია, ისიც მოქმედებს, რომ გჩეხენ, პლუს კიდევ ამინდი, სიცხე, წვიმა, ტალახი და ა.შ.

— **მაყურებლის მხრიდან გინება და არასასიამოვნო გამოთქმებიც ალბათ ერთ-ერთი ხელის შემშლელი ფაქტორი იქნება.**

— მეც ვყოფილვარ მაყურებლის როლში და თავადაც შემიგინია. თავისთავად მაყურებელს უნდა მოგება, რაც მისასალმებელია და არ მიკვირს.

— **შენი საყვარელი ფეხბურთელი ვინ არის?**

— მარადონა, ქართველებიდან კი დათო ყიფიანი და ალექსანდრე ჩივაძე.

— **აჩი, შენი შვილი — რეზიკო თუ აპირებს მამისა და ბიძების კვალს გაჰყვეს?**

— რეზიკო ახლა 12 წლისაა, ჯერ არ ვიცი, რამდენად გამოუვა ფეხბურთის თამაში, მაგრამ ჩემი დიდი სურვილია, რომ ითამაშოს.

— **როგორი მეუღლე და მამა ხარ?**

— ალბათ კარგი. ყოველ შემთხვევაში ვცდილობ, კარგი ვიყო.

— **შენი მეუღლე როგორ გაიცანი?**

— თინიკო მეგობრის ქორწილში გავიცანი. მაშინ 21 წლის ვიყავი და წელიწად-ნახევარში დავქორწინდით. ბედნიერი ვარ, რომ ასეთი მეუღლე შემხვდა.

— **თქვენს ოჯახში სამი ფეხბურთელი იზრდებოდით, რთული იყო თუ არა დედისთვის სამი ბიჭის აღზრდა?**

— ალბათ მართლა რთული იყო და ამას ახლა ვხვდები. მე და ჩემი ძმები სულ ფეხბურთს ვთამაშობდით, სახლშიც კი. ჩვენდა უნებურად, თამაშის დროს ხშირად ვამსხვრევდით მინებს. მშობლებს სახლში სტუმრის მოყვანა რცხვენოდათ, რადგან სულ ხმაური და არეულობა იყო.

— **დაბოლოს, რაზე ოცნებობ?**

— შეიძლება ბევრ რამეზე ვოცნებობდე, მაგრამ სოხუმში თამაში, ალბათ, ყველა ქართველი ფეხბურთელის ოცნებაა. სიამოვნებით ვითამაშებდი ერთ თამაშს სოხუმში.

*ინგა ჩადუნელი*

# „გადადებული პარტია"?!

## „სპორტული თამაში" პოლიტიკურის სასარგებლოდ?!

„ქალთა მსოფლიო ჩემპიონატი ჭადრაკში ბათუმში არ ჩატარდება. სპორტი არ არის ის სფერო, რომლითაც შეიძლება შელამაზდეს პოლიტიკური ვითარება. აჭარაში საკმაოდ დაძაბული სიტუაციაა. როდესაც აჭარის ტერიტორიაზე ვერ შედის ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, როდესაც იქ სცემენ ჟურნალისტებს, ეს რეალობა არ შეიძლება მიიჩქმალოს საერთაშორისო მასშტაბის ღონისძიების მასპინძლობით", — განაცხადა კულტურისა და სპორტის მინისტრმა გიორგი გაბაშვილმა. მას შემდეგ, რაც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ლიდერმა ასლან აბაშიძემ ჭადრაკის საერთაშორისო ასოციაციის პრეზიდენტს ყირსან ილუმჟინოვს უმასპინძლა და მასთან ერთად ჭადრაკში ქალთა მსოფლიო ჩემპიონატის ბათუმში ჩატარების გადაწყვეტილება მიიღო, გიორგი გაბაშვილის მიერ საქართველოს ხელისუფლების სახელით გაკეთებულმა განცხადებამ ცენტრსა და რეგიონს შორის ურთიერთობა კიდევ უფრო დაძაბა. ასლან აბაშიძემ კულტურისა და სპორტის მინისტრის „განაჩენი" ოფიციალური თბილისის მხრიდან ნასროლ ხელთათმნად მიიჩნია და ჩვეული დუელანტური ჟინიანობით მიიღო გამოწვევა, ამჟამად პოლიტიკურ-საჭადრაკო დაფაზე, სადაც, რაც უნდა ილუმჟინოვები და მისთანანი სეკუნდანტობდნენ აბაშიძეს, მთავარი სიტყვა მაინც პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს ეთქმის. პრეზიდენტმა შესაძლოა, უცებ შეცვალოს პოზიცია და ჯიუტ აჭარელ ხელქვეითს ნება მისცეს, კიდევ ერთხელ გამოიყენოს მაღალი დონის საერთაშორისო ტურნირებისა და ჩემპიონატების ჩატარების მდიდარი გამოცდილება. შესაძლოა ისიც, რომ სააკაშვილი ბათუმში ჭადრაკის მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარებას აბაშიძის მიერ რამდენიმე პირობის შესრულების შემთხვევაში დათანხმდეს. საეჭვოა, პრეზიდენტმა ანგარიში არ გაუწიოს ისეთ საერთაშორისო ორგანიზაციას, როგორიც ფიდეა და გაბაშვილის სახელით აგორებული აზრი აბაშიძის მორიგი „წკმუტუნის" მოსასმენად არ გამოიყენოს. აჭარაში „მშვიდობის მტრედების" — ქართველი ბიზნესმენებისა და ამერიკის ელჩის რიჩარდ მაილსის მოგზაურობის შემდეგ, ბათუმში ჩემპიონატის ჩაშლის მოთხოვნა, შესაძლოა, კარგად გათვლილი „საჭადრაკო პროვოკაცია" იყოს, რომელსაც ხელისუფლების აზრით, აბაშიძე უნდა წამოეგოს და „რაღაცის" წილ „რაღაც" დათმოს. სააკაშვილი უკვე კარგად ცნობს აბაშიძის მტკივნეულ თვისებებს — მას უბრალოდ არაფრის დათმობა არ შეუძლია, ამიტომაც შესაძლოა, დროსაც კი აძლევს მოსაფიქრებლად ურჩ „ფეოდალს", რათა უპრიანი „სპორტული" სვლით პოლიტიკურ თამაშში დაწინაურდეს. საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის თანაპრეზიდენტი ზურაბ აზმაიფარაშვილი კი მიიჩნევს, რომ საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი არასწორად არის ინფორმირებული ბათუმში ქალ მოჭადრაკეთა მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარების ირგვლივ ატეხილი აჟიოტაჟის შესახებ. „ვფიქრობ, მინისტრმა გაბაშვილმა ოდნავ დაასწრო მოვლენებს და ცოტათი თავის უფლებამოსილებასაც გადააჭარბა, როდესაც განაცხადა, რომ საქართველოს ხელისუფლება აჭარის მოსახლეობაში არსებული დიდძალი იარაღის გამო ჩემპიონატის მონაწილეებს უსაფრთხოების გარანტიას ვერ მისცემს", — თქვა აზმაიფარაშვილმა. იგი გაოცებულია იმის გამო, რომ თურმე ყირსან ილუმჟინოვის მიერ სააკაშვილისადმი მიწერილი სამადლობელი წერილი კანცელარიაში არ აღმოჩნდა. აზმაიფარაშვილი დარწმუნებულია, რომ ასლან აბაშიძე ჩემპიონატში მონაწილეთა უსაფრთხოებას ისევე უმაღლეს დონეზე უზრუნველყოფს, როგორც ამას შევარდნაძის დროს აკეთებდა. როგორც ჩანს, ამას ყირსან ილუმჟინოვიც არ ეჭვობს, რადგან მან ხელშეკრულებას ბათუმში ჩემპიონატის გამართვის შესახებ უკვე მოაწერა ხელი.

(გაგრძელება იხ. გვ. 34)

ამერიკა-ისრაელის ერთობლივი წარმოება
უნივერსალური
სასათბურე ფირები
გარანტირებული დაცვა
- მზის მავნე გამოსხივებისაგან
- ვირუსებისა და მწერებისაგან
- ცვარისაგან
- ტემპ. ცვალებადობისაგან
- მტვერისა და ჩახუჭვისაგან
- გარანტია = 2 წ; 3 წ
მრავალწლიანი პრაქტიკული გამოცდილებით საქართველოში
შპს მალე, თბილისი, მარჯანიშვილის 5
ტელ: 267888; 969164; ტელ/ფაქსი: 969195;
მობ: 8.99.569195; 899 931110
ამერიკა-ისრაელის ერთობლივი წარმოება

შპს „გეოკორი"
აწარმოებს
ბურღვით
სამუშაოებს
სასმელი და
ტექნიკური
წყლის
მისაღებად
მის: ააუჩის ქ. №8
(საორბის სასახლის უკან), ოთ. 118
ტ: 33-26-75; 36-64-02

„ტოპსტროიტი" ფირმის
მეტალოპლასტმასის
კარ-ფანჯრები
ძალიან იაფად
ფერები: თეთრი, ნაბლის ტექსტურით, მუხა, მუქი მუხა, მაჰაგონი, წითელი ხე და ა.შ.
ჩვენი პროფილი — 3-კამერიანია
მის: წერეთლის 141 მ. „დიდუბის" გვერდით
☎26-30-50; 34-49-40; 61-32-37; 899-51-51-09; 899-902-091; ტ/ფაქსი: 966-779

შპს „პოლიგრაფისტი"
(სტამბა №17) გთავაზობთ:
• ბეჭდვას შოლკოგრაფიით როგორც ქაღალდზე, ასევე სხვა მასალაზე.
• ყველა სახის პოლიგრაფიულ მომსახურებას.
მის: სურამის ქ. №13
(რკინიგზის დეპარტამენტის უკან)
☎95-00-97

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 17 აპრილიდან დაადგინა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი:

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1,9850 |
| ევრო | 2,3802 |
| ინგლ. გირვანქა სტერლინგი | 3,5565 |
| რუსული რუბლი | 0,0694 |
| თურქული ლირა (1.000.000) | 1,4628 |

# ცხოვრებისეული კურიოზები

## 1. სერიალების მოყვარული მენახირე



ქართლის ერთ სოფელში მენახირე გოგია სერიალების დიდი მოყვარული და გულშემატკივარი იყო.

ერთ მშვენიერ დღესაც ნახირი გარეკა. გაერთო და ისე შემოაღამდა, ვერ შეამჩნია. დახედა საათს და რას ხედავს, სადაცაა სერიალი უნდა დაიწყოს. აბა, გამორეკა საქონელი და რაც ძალი და ღონე აქვს, მოარბენინებს ძროხებს. როგორც იქნა, სერიალს მოუსწრო და დაწყნარდა.

მეორე დღეს დილით ადრე გავიდა სოფლის ბირჟაზე ახალი ამბების გასაგებად, ერთი თანასოფლელი ეკითხება, — გოგია, შენ იყავი გუშინ ნახირში? — ჰო, მე ვიყავიო, — უპასუხა.

— ეს საქონელი რაღას გირბენინებია?

— რა საქონელი, რას ამბობ, კაცო! — იუარა მენახირემ.

— რა არ გირბენინებია, შე შობელძაღლო, დედაკაცმა ვედრო რომ დაუდგა მოსაწველად, ძროხა ისეთი დაღლილი იყო, ზედ დაჯდა!

***ნოდარ ბ., თბილისი***

## 5. უცნაური მგზავრები



ეს ამბავი ქუთაისელ ტაქსის მძღოლს, თემურ ჭოლაძეს შეემთხვა. კომუნისტების დროა. გაჩერებაზე ოთხი სვანი მივიდა და თემურს წყალტუბოში წაყვანა სთხოვეს. ჰკითხეს, რას გადაგვახდევინებო. ათ მანეთსო, უთქვამს თემურს. მაგდენი არა გვაქვს და რვა მანეთად წაგვიყვანეო. თემურიც დათანხმდა. ტაქსიში რატომღაც მხოლოდ სამი ჩაჯდა, მეოთხე კი გაუჩინარდა. თემურმა მგზავრები წყალტუბოში ჩამოიყვანა. ფული გადაიხადეს და წავიდნენ. თემურს ფული მაშინვე არ დაუთვლია. გზაში გადათვალა და გაოცებისგან თვალები გაუფართოვდა: რვა მანეთის ნაცვლად ოცდაოთხი მიუციათ, ე. ი. თითოეულმა გადაუხადა რვა მანეთი. ქუთაისისკენ მომავალ გახარებულ თემურს მთავარი კურიოზი წინ ელოდა: შუა გზაში წყალტუბოსკენ ფეხით მომავალი სწორედ ის მეოთხე სვანი შემოხვდა, მანქანაში რომ არ ჩაჯდა. მძღოლმა იცნო, მანქანა გაუჩერა და ფეხით წამოსვლის მიზეზი ჰკითხა: — ფული არ გვეყოო, — უპასუხა სვანმა. წამო, კაცო, უფასოდ წაგიყვანო, — და წყალტუბოში ჩამოიყვანა.

***ელგუჯა შალამბერიძე, წყალტუბო***

## 2. მაროს „ბალეტი" ყინულზე



ბიცოლაჩემის მოხუცებულ ბებიას ყინულზე ფეხი გაუცურდა და საჯდომით დავარდა. საშინელი დაჟეჟილობა მიიღო. საჭირო გახდა ექიმის მოყვანა. სოფლის ექიმი მამაკაცი იყო. მარო ბებია გადაირია, როგორ ვუთხრა, რაც მტკივა — სირცხვილიაო. შვილიშვილებმა დაარიგეს, ეტყვი, რომ საჯდომი გტკივა, მედიცინაში ასეა მიღებულიო. როგორც იქნა, დაითანხმეს მოხუცი. მოვიდა ექიმიც: — აბა, მარო ბებო, რაშია საქმე, რამ შეგაწუხაო... — იჰ, რა ვიცი, შვილო, წავიქეცი, საჯდომის ტ...ის დუმები დავარტყი და ძალიან მტკივაო.

ჯერ ერთს არ ამბობდა, მერე კი სამნაირად ჩამოკაკლა.

***თამარ ბარბაქაძე, თბილისი***

## 6. „ერთობ კარგი ვაჟკაცი"



დათო ერთი იმერელი კაცია და როგორც ყველა იმერელს, ღვინის სმა და მოლხენაც უყვარს. ახალგაზრდობა ცოდნის შეძენას შეალია, ცოლი გვიან შეირთო. კახელი საცოლე თბილისში გაიცნო, აქვე დაქორწინდნენ... სიმამრს სიძე ჯერ არ ენახა... და ეს დღეც დადგა. ახალდაქორწინებულნი კახეთში ჩავიდნენ. სიმამრმა სიძეს კარგი მასპინძლობა გაუწია. ჯერ სიფხიზლეში შეათვალიერა, შემდეგ სიმთვრალეში გამოსცადა და ბოლოს (სიძე რომ ვერ დაათრო), სხვათა შორის აღნიშნა — ერთობ კარგი ვაჟკაცი ყოფილაო. გვიან ღამით სტუმრები აიშალნენ. სიძეს პატივისცემის მიზნით, საწოლი მეორე სართულზე, სასტუმრო ოთახში გაუშალეს. ხოლო პატარძალი დაბლა, თბილ ოთახში მოათავსეს. დარჩა „ერთობ კარგი ვაჟკაცი" ბნელ, ცივ ოთახში მარტო, „უკომპასოდ". ღვინომ თავისი გაიტანა, ჩვენი სიძეც წამოდგა და ოთახში სიარულს მოჰყვა, რომ კარისთვის მიეგნო. ხელის ცეცებით კედელს გაჰყვა, კარიც იპოვა, გამოაღო და...

დილით, როცა ქეიფი კვლავ განახლდა, სიძე ჭიქას ჭიქაზე ცლიდა, მასპინძლის ნდობა რომ მოეპოვებინა და ბნელ ოთახში გატარებული ღამეც დავიწყებოდა. უცბად ახალშერთული მეუღლის უჩვეულო გაწიწმატებამ გამოაფხიზლა!

თურმე ნუ იტყვით და ჩვენს „ერთობ კარგ ვაჟკაცს" იმ სიბნელეში აივანზე გასასვლელი კარის ნაცვლად შეცდომით კარადის კარი გამოუღია, სადაც სუფთა თეთრეული, საბნები და ლოგინის გადასაფარებლები იყო ჩალაგებული. — მაინც თქვენს მზითვად გვინდოდა, ზურგზე მოიკიდეთ და წაიღეთო!.. — „დაამშვიდა" სიდედრმა.

***თ.ფ., თბილისი***

## 3. კურიოზი ზღვაზე



ერთი ბუთხუზა მეგობარი მყავს, ნინო. შარშან ზაფხულს, მე და ნინომ გადავწყვიტეთ ზღვაზე წავსულიყავით. დავიწყეთ სამზადისი. ამ სამზადისში, რა თქმა უნდა, პირველ რიგში საცურაო კოსტიუმზე ზრუნვა იყო საჭირო. მოვიარეთ ბაზრობები, მაღაზიები და ნინომ ერთ ძალიან ლამაზ „კუპალნიკს" დაადგა თვალი. იგი ერთიანი იყო, საკმაოდ კარგი, მაგრამ ნინოსთვის ორი ზომით პატარა. უტრიალა, უტრიალა ჩვენმა ნინომ და ბოლოს მკითხა: — როდის მივდივართ ზღვაზე, ერთ კვირაში, არა? ერთ კვირაში... ერთი იდეალური დიეტა ვიცი, 7 კილოს დავიკლებ და „კუპალნიკიც" მშვენივრად მექნებაო. აღარც დაუყოვნებია და შეიძინა. ერთი კვირის თავზე უკვე ზღვაზე ვიყავით. ნინოს, რა თქმა უნდა, დიეტის დაცვა „დაავიწყდა" და შესაბამისად, არც წონაში დაუკლია, მაგრამ იმის იმედი ჰქონდა, წყალში „კუპალნიკი" გაფართოვდებოდა(!) და პრობლემაც ამით გადაწყდებოდა.

დიდი ვაივაგლახით ჩაიცვა კოსტიუმი და ზღვას მიაშურა. მე რაღაც საქმეები მქონდა და ცოტა ხნით მარტო დავტოვე. მცირე ხნის შემდეგ სანაპიროს მივაშურე და რას ვხედავ: პლაჟზე მყოფი მამაკაცები ერთად შეგროვილან და პირდაღებულები ისეთ „სანახაობას" შეჰყურებდნენ, რომლის მსგავსიც იშვიათად არის ხოლმე სადმე.

მათი ყურადღების „ეპიცენტრი", რაღა თქმა უნდა, ნინო იყო: დგას ზღვაში, წყალი მუხლებამდე ძლივს სწვდება და კეკლუცად ისხამს წყალს აქეთ-იქიდან, თან ისეთი ბედნიერი სახე აქვს, რომ თავი მეცხრე ცაზე ჰგონია. გრძნობს მამაკაცების ყურადღებას და კეკლუცობას უფრო უმატებს, რადგან ჰგონია, ეს ყველაფერი მისი ლამაზი „კუპალნიკისა" და მომხიბვლელობის ბრალია. ძალიან კი შემეცოდა, მაგრამ მისი ეს „ბედნიერი წუთები" შევწყვიტე, დავავლე ხალათს ხელი და ნინოსკენ გავიქეცი...

მიხვდით ალბათ, რაც მოხდა, ორი ზომით პატარა „კუპალნიკი" გაფართოების ნაცვლად შუაზე გადამსკდარა!

***ნანა ახალკაციშვილი, თბილისი***

## 7. იქ ამბავი დატრიალდა...



სამი დღე №45 სახლის სადარბაზოში, სადაც ვენ ვცხოვრობთ, შუქი არ იყო. როგორც იქნა, ,ააკეთეს. მეორე დღეს მთავარი ენერგეტიკოსი ბეანი მიხსნის, თქვენს სადარბაზოში დენის სამი ფაზა ]ედის. ორი ფაზა დაიწვა და ახლა ერთ ფაზაზე ,იხართო, ამიტომ სანამ გამოვცვლით, ფრთხილად ყავით, ელექტროქურები არ ჩართოთ. გავიდა ორი ვირა. საღამო ხანია. შუქმა დაიწყო ჩართვა-გამ-ირთვა.

მივედი საბინაო-კომუნალური განყოფილების ,ფროსთან, რ. სორდიასთან კაბინეტში. ეტყობა, იქ ,ალაც თათბირის მაგვარი ჰქონდათ. — ცოტა ხანს მოიცადე, ქალბატონო, რა დაგემართა ასეთიო, — უკმაყოფილოდ მითხრა ბატონმა სორდიამ. — რას ჰქვია, რა დამემართა, სუყველა სამზე ზის, მე კი ერთზე დამსვით, სად ვირბინო და სად ვეძებო მაგის გამკეთებელი ღამე-მეთქი (გაცეცხლებულ გულზე ფაზა გამომრჩა). იქ ამბავი დატრიალდა...

***მ. ფაჟავა, ენგურჰესი***

## 4. ბაზარში



ერთი გამხდარი აკეთელი გლეხი ლანჩხუთის ბაზარში თხას ყიდის.

— აბა, კაი მეწველი თხაი, იაფად! — რეკლამას უწევს ხმამაღლა თავის საქონელს.

— რამდენს იწველება მაი შენი თხაი? — ეკითხება ერთი კლიენტი.

— სამ ლიტრას დილას და სამს — საღამოს!

— ჰოდა, მასე თუა, ერთი ლიტრა შენ დეგელია, წაწყვეტაზე რო გაქ მაი კისერი! — „დაარიგა" ენამოსწრებულმა მყიდველმა.

***ამბერკი მორჩილაძე, ლანჩხუთის რაიონი, სოფელი ქვემო აკეთი***

## ყურადღება!

### კურიოზების კონკურსი

**„კვირის პალიტრამ" მკითხველის პრემია კურიოზების გვერდისთვისაც დააწესა. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ავტორებმა უნდა გამოგზავნონ რედაქციაში კურიოზები, ახალი სასაცილო ამბები, ანეკდოტები. საუკეთესოები გამოქვეყნდება.**

მიანიჭეთ პრემია საუკეთესო კურიოზის ან ანეკდოტის ავტორს. თუ რომელიმე კურიოზმა ან ანეკდოტმა თქვენი მოწონება დაიმსახურა (ყველაზე მეტად), აღნიშნეთ მისი ნომერი ქვითარში და გამოგვიგზავნეთ. თქვენი ხმა არ დაიკარგება და თვის ბოლოს გადაწყვეტს გამარჯვებულის ვინაობას.

ხმები დაითვლება და თვის განმავლობაში ყველაზე მეტი ხმის მფლობელი კურიოზის/ანეკდოტის ავტორი მიიღებს პრემიალურ — 50 ლარს, მომდევნო — 30-ს, ადგილზე გასული ავტორი კი — 20 ლარს.

კურიოზების კონკურსი

საუკეთესო კურიოზის ან ანეკდოტის ნომერი ____

კვირის პალიტრა №16

*ეს ქვითარი „კვირის პალიტრის" („სიტყვა და საქმის") საფოსტო ყუთში უნდა მოათავსოთ რაიონებში ოთხშაბათის, 21 აპრილის 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 22 აპრილის 13 საათამდე.*

## მკითხველის საყვარელი ანეკდოტი

**8.** ერთი ძველი თბილისელი მეთევზე ზის მტკვრის ნაპირას და ანკესს წყალში კი არ აგდებს, არამედ ნაპირზე. გამოიარა თბილისში სტუმრად ჩამოსულმა გურულმა, რომელიც დაინტერესდა მეთევზის უცნაური საქმიანობით და ჰკითხა, რეიზა არ აგდებ მაი ანკესს წყალში?!



— წადი, ძმაო, გაიარე, ჩემი საქმე მე ვიცი!.. — უპასუხა მეთევზემ.

როცა გურული არ მოეშვა, მეთევზემ გასამრჯელო (20 ლარი) მოითხოვა განმარტებისათვის.

გურულმა მაშინვე მისცა 20 ლარი, რის „საფასურადაც" ასეთი პასუხი მიიღო:

— შენისთანა გამოქლიავებული დღეში აქ ერთი 10 მაინც ჩამოივლის. დღეში 200 ლარით კი ახალ თევზსაც ვიყიდი და სხვა რამესაც!..

***გია ალანია, ზუგდიდი***



**9.** ლოთი შინ დაბრუნდა. გამოაღო კარადა, არავინაა, შეიხედა აბაზანაში — არავინაა, საწოლის ქვეშაც არავინაა.

— მღალატობ, ხომ შენი დედა!.. — დაუღრიალა ცოლს.

— რა ნახე ასეთი? — გადაირია ცოლი.

— რა და, დღესაც მარტო მიწევს დალევა!

***დათო სამუშია, წალენჯიხის რაიონი, სოფელი ლია***

## მილოცვა



**ლენა ხომერიკ-მორჩილაძეს!**

ჩვენო უძვირფასესო, ულამაზესო და უსაყვარლესო დედიკო! გილოცავთ დაბადების 70-ე წლისთავს.

გისურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს.

*ნუნუკა და გელა*

**მამუკა ჯიყაშვილს!**



გილოცავ დაბადების დღეს, 21 აპრილს, დასწრებოდე მრავალს. გისურვებ ჯანმრთელობას, ულევ სიხარულს. წინსვლა და წარმატებები ყოფილიყოს შენი ხანგრძლივი ცხოვრების თანამგზავრი. გფარავდეს ღმერთი, მუდამ თან გდევდეს მადლი ღვთისმშობლისა და წმინდა გიორგისა.

*თამუნა ათენიდან*

## მადლობა

მადლობას ვუხდი ჩემს ექიმს, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, პლასტიკური ქირურგიის საუკეთესო ქირურგს – **ალექსანდრე კალანტაროვს**. დიდი სიყვარულითა და ულრმესი პატივისცემით, თქვენი პაციენტი

*ელენე კაჭარავა*

## ბინები

იყიდება ქიშხეთში 266 კვმ ფართის 2-სართულიანი ბინა. აივანი – 32 კვმ; სათავსოები – 32 კვმ; ხეხილიანი ეზო – 234 კვმ. ტელ: 877 40-35-00; 824-15-30-34

## გთავაზობთ სამუშაოს

18-25 წლამდე გოგონებს ვთავაზობთ გამგზავრებას გერმანიასა და საფრანგეთში 1 წლით, ოფიციალური ხელშეკრულებით, AU-PAIR პროგრამით, დასაქმებისა და სწავლის შეთავსებით. უზრუნველყოფა ჯიბის ფულით (ხელფასით), საცხოვრებლით, კვებით, სამედიცინო დაზღვევით და საქალაქო ტრანსპორტით მგზავრობის ხარჯებით. ტელ: 95-64-18; 7-74-79 (ქუთაისი)

გვაქვს 4 ვაკანსია. სათანამშრომლოდ მივიღებდით განათლებულ, რუსულის მცოდნე ადამიანებს. ვმუშაობთ მსოფლიოში. საუკეთესო თანამშრომლებს ეძლევათ შანსი საზღვარგარეთ მუშაობისა (კომპანიის ხარჯებით). გამომუშავება 200-400$ აშშ სტანდარტებით. მიმდინარეობს შერჩევა. იჩქარეთ! მისამართი. მ. „დიდუბე", „სამთო ქიმიის ინსტიტუტი", I სართ. ოთახი 6. ტელ: 34-02-38; 899 90-54-78; მენეჯერი: ბ-ნი დიმიტრი

ყურადღება!!! მრავალპროფილიან მსოფლიო სავაჭრო კომპანიას ადგილობრივი ტერიტორიიდან აინტერესებს ბიზნესპარტნიორები. შესაძლებელია სხვადასხვა პროფესიის ადამიანების გადამზადება და დასაქმება. ანაზღაურება – მაღალი. გვაინტერესებს რეგიონების წარმომადგენლებიც. ტელ: 52-44-10; 893 33-18-86

Предлагается перспективная работа для врачей с хорошей оплатой.Тел: 72-31-40

Международная компания объявляет дополнительный набор на конкурсной основе. Возраст 30-40 лет. Образование высшее. Тел: 77-63-37

ყურადღება! უცხოურ პრესტიჟულ ორგანიზაციაში მიმდინარეობს კადრების შერჩევა. გვესაჭიროება თანამშრომლები საორგანიზაციო სამუშაოს შესასრულებლად. ანაზღაურება მაღალია. აუცილებელი პირობები: უ/განათლება და ასაკი – 25-55 წელი. ასევე გვაინტერესებს არატრადიციული მედიცინის მიმდევრები „ციგონში", „დერმაკეტიქსში", „ნიუვესში", „დოვგანში", „ორიფლეიმში" – მუშაობის გამოცდილების მქონე კადრები. ტელ. 30-09-49 (20 სთ-ის შემდეგ); 893 37-33-00

ყურადღება! რეალური სამუშაო უმაღლესი და ტექნიკური განათლების მქონე ადამიანებისათვის. ნუ გაუშვებთ შანსს ხელიდან. ტელ: 96-29-30

საერთაშორისო კომპანია აცხადებს თანამშრომელთა შერჩევას. უპირატესობა ეძლევათ იმ პირებს, რომლებსაც აქვთ საკადრო-ადმინისტრაციული მუშაობის გამოცდილება: ექიმებს, პედაგოგებს, ინჟინრებს. ასაკი – 35-43 წ. ტელ: 52-68-86

## მომსახურება

ტურისტული კომპანია „დილა +" გთავაზობთ კანის დაავადებების – ფსორიაზი, აკნე, ეგზემა – მკურნალობას უნიკალური თევზებით, თურქეთის უნიკალურ კურორტზე. ტელ: 98-69-51; 899 54-00-79

ვაკეთებ ეპილაციას ვოლფრამის ნემსით და ანესთეზიით, მორჩენის გარანტიით. მიღება ყოველდღე, ჩაწერით. სეანსების რაოდენობა ინდივიდუალურია – 1 სთ – 12 ლარი. მომსახურებით კმაყოფილი დარჩებით. მაქვს საკუთარი დენის წყარო. მის: ვარკეთილი-3, II მ/რ, მე-9 კორპ, VI სად, III სართ, ბინა 3. ტელ: 79-50-12; 899 90-44-93. ლიკა გიორგობიანი

ეპილაცია ვოლფრამის ერთჯერადი ნემსით და ანესთეზიით. უკიდურესად გაუხეშებული თმიანობის შემთხვევაშიც კი, განიკურნებით უმოკლეს ვადაში, ყოველგვარი შეშუპების და გაღიზიანების გარეშე. არ დაგეტყობათ არც ერთი ნაწიბური. შედეგი – პირველსავე სეანსზე; სახის გაწმენდა; მასაჟი საუკეთესო მალამოებით. თუ ისარგებლებთ, დარწმუნდებით. მის: იოსებიძის 66. II სად. მე-8 სართ. ბინა 46. ტელ: 37-74-22. მანანა

ვიტამინები, რომელმაც მსოფლიო დაიპყრო: სუპერსიმაღლე თვეში 3-4 სმ; გახდომა-გასუქება თვეში 7-20 კგ. მცენარეული პრეპარატებით მოგიხსნით ამ პრობლემებს. შედეგი გარანტირებულია. საერთაშორისო კონსულტანტი მედეა. ტელ: 899 51-18-20; 34-02-38

## მკურნალობა

თმის დაავადებები: ქერტლი, ქავილი, გამონაყარი, ბუდობრივი ცვენა (ამოდის თმა), ტილები, წილები, ფრჩხილის სოკო; ფეხის ქუსლებზე ნახეთქები; ოსტეოქონდროზი, სკოლიოზი; კოსმეტიკა, ოფლის ლოსიონი. მის: ჭავჭავაძის გამზ. №2/2 (ჩაის სახლთან). სტომატოლოგიური პოლიკლინიკა. 11-18 სთ. ტელ: 30-94-73; 35-32-62; 22-27-95. ციცო მჭედლიძე

გაჯანსაღება უახლესი მცენარეული პრეპარატებით – ანტითამბაქო, ანტიალკოჰოლი, ნევროზები, უძილობა, ინსულტის შემდგომი მდგომარეობა, კოლიტი, ბუასილი, დიფუზური ჩიყვი, თმის ცვენა, ბრონქიტი, პნევმონია, ჰიპერტონია, ვენების ვარიკოზული გაგანიერება, ფსორიაზი. ტელ: 32-39-46; 899 16-44-59. ნათია

პოლიკლინიკის დირექტორი ლომთათიძე მკურნალობს იაპონური აპარატით, უნებლიე შარდვას, ნევროზებს, რადიკულიტს, სექსუალურ დარღვევებს, ბუასილს, ფრჩხილების სოკოს, თმის ცვენას, ფსორიაზს, ქოლეცისტიტს, ორგანიზმში დაგროვილ სითხეს. საერთო მკურნალობის კურსი 10-დღიანია. მის: დავით აღმაშენებლის №113. ტ: 95-74-29 (სამს.); 96-38-27

ისრაელში შემუშავებული მეთოდით, გარანტიით იკურნება სკოლიოზი, ოსტეოქონდროზი, ნევროზი, პოსტინსულტური დამბლა, კიფოზი, შაკიკი, დიარეა (კუჭის ქრონიკული აშლილობა), სუბფებრილიტეტი ($t = 37,2^0C$), შიშები, რადიკულიტი, სუიციდის (თვითმკვლელობის) მცდელობები. კონსულტაცია და დიაგნოსტიკა უფასოა. მის: მეტრო „გურამიშვილი", ძმები გრიშვილების ქ. №18. ანატოლი შავიძე. ტელ: 61-65-03; 893 20-68-21

ეფექტური, მაქსიმალური ბრძოლა ალკოჰოლიზმთან, კრემლის ყოფილი ლაბორატორიის ექსკლუზიური პრეპარატებით; ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან გამოწვეული გართულებებისაგან განკურნება; ჰეპატიტები; თამბაქოს გადაგდება; ფსიქოლოგიური ფონის მოწესრიგება გვერდითი მოვლენების გარეშე (მკურნალობა შესაძლოა კლიენტისაგან ფარულად – ოჯახის წევრის მიერ). ტელ: 899 22-63-90. ნინო

ინსულტისა და ინფარქტის შემდგომი პერიოდი, (აღდგენითი პროცესები), ჰიპერტონია, სისხლძარღვოვანი პრობლემები, ვენების ვარიკოზული გაგანიერება, ბუასილი; ნევროზები – უძილობა, შიშები, დეპრესია; სახსრების დაავადებები. ტელ 53-08-02. ნინო

თამბაქოსა და ალკოჰოლისაგან სწრაფი გათავისუფლება რუსული წარმოების სერტიფიცირებული პრეპარატებით, გვერდითი მოვლენების გარეშე. ორგანიზმის გაჯანსაღება ამ დაავადების გართულებისაგან. აგრეთვე ნევროზები, უძილობა, მარილები, სახსრები, სისხლძარღვების პრობლემები, ჰიპერტონია, ვარიკოზი, ბუასილი. ტელ: 893 36-87-62. ავთანდილი

აკადემიკოს ლიხარიოვის მეთოდით, მაქსიმალური შედეგებით! ნევროზი, უძილობა, შიშები, თავის ტკივილები, ჰიპერტონია, ინსულტის შემდგომი პერიოდი, ვარიკოზი, ბუასილი, კოლიტი, თვალის დაავადებები, ფსორიაზი, კუჭის წყლული, სახსრების ქრონიკული დაავადებები, ანტითამბაქო, ანტიალკოჰოლი. ტელ: 99-75-90; 899 21-13-66. ლალი

ალერგენების კომპიუტერული დიაგნოსტიკა და ალერგიის მკურნალობა, მეტყველების დარღვევების (ენაბლუობა-ლოგონევროზი) მკურნალობა გერმანული უახლესი აპარატურით, მაღალი შედეგებით. მის. ვაჟა-ფშაველას 16, მე-13 სართ (ყოფ. მშენებლობის სამინისტროს შენობა), რეზონანსული თერაპიის ცენტრი. ხელმძღ. ექიმი ზურაბ ხაჩიაშვილი. 10-16 სთ. ტელ: 899 97-58-77; 39-58-77 (ბინა)

ვმკურნალობთ უახლესი მეთოდებით მეტყველების დარღვევას, ენაბლუობას (ლოგონევროზი), ენაჩლუნგობას, ალალიას, დიზართრიას. რესპუბლიკური რეაბილიტაციის ცენტრი. მის: ვაჟა-ფშაველას 18ა. ტელ: 39-01-12 (სამს.); 23-12-89 (ბინა); 899 78-23-12. ლომთათიძე ლალი

ტრადიციული მეთოდებით მედიცინის მუშაკი მაყვალა ცინცაძე ამზადებს თეთრ მუმიოზე მალამოებს, ხსნარებს და საფენებს. მკურნალობს: ოსტეოქონდროზს (მარილებს), სახსრებს, პოლიართრიტს, საშწვერა ნერვის ანთებას, დისკოზს, კისრის, მენჯ-ბარძაყის, მუხლსახსრის ართროზს. მხოლოდ ჰაიმორიტი იკურნება 8-10 დღეში. განკურნება გარანტირებულია. ტელ: 34-62-51; 899 20-19-66

გაჯანსაღება უახლესი მეთოდით – მაქსიმალურად სწრაფი შედეგებით: ანტითამბაქო, ანტიალკოჰოლი, ნევროზი, შარდის შეუკავებლობა, ასთმა, ალერგია, სახსრები, ბუასილი, კოლიტი, თვალის დაავადებები, სოკო, ფსორიაზი. ტელ: 893 96-50-32 მაია

სხეულის წონის კორექცია უახლესი მეთოდებით, მცენარეული პრეპარატებით, გვერდითი მოვლენების გარეშე, უდიეტოდ, მოსკოვის ველნეს-ლაბორატორიაში დამზადებული სერტიფიცირებული პრეპარატებით. ტელ: 893 96-50-32. მაია

## განათლება

კომპიუტერული სტუდია „დაჯი" კომპიუტერი გიწვევთ კომპიუტერზე მუშაობის, კომპიუტერული ბუღალტერიის, პროგრამირების ენების, უცხო ენების სწრაფშემსწავლელ კურსებზე, შესწავლის გარანტიით, სწავლის დამთავრების შემდეგ უფასო კონსულტაციებით. სწავლების მეთოდი ინდივიდუალურია. გაიცემა სერტიფიკატი. მის: ბარნოვის ქ. №1 („მაკდონალდსის" უკან). ტელ: 98-44-20; 899 14-03-31

შევასწავლი კომპიუტერზე მუშაობას. საოფისე: Windows, Word, Excel, Internet, E-mail, საგამომცემლო და გრაფიკა: Page Maker, PhotoShop., CorelDraw; Quarkxpress, AutoCAD, Arcicad, 3d-MAX; veb-დიზაინი: Flash, Dreamweaver და პროგრამირების ენები. მის. მ. „რუსთაველთან", რესტორან „სამოთხის" უკან. გაბაშვილის ქ. 7. ტელ. 98-80-23

ფირმა „ქართი" აცხადებს მიღებას პროფესიული მომზადების კურსებზე: 1. მასაჟისტი (სამკურნალო, ჰიგიენური, ჩვილ ბავშვთა მასაჟი); 2. კოსმეტიკა (ეპილაცია, მასაჟი, მალამოები), პარიკმახერი (ქალთა და მამაკაცთა ხელოსანი). კურსების დამთავრების შემდეგ გაიცემა ლიცენზირებული სერტიფიკატი. მის. აღმაშენებლის №115, კაბ. №20. ტ: 94-01-82; 95-83-18 (სამსახ.); 96-22-89 (ბინა)

სამეჯლისო სპორტული ცეკვების სტუდია „გრაცია" იწვევს 15-დან 50 წლამდე მსურველებს, საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან, ინსტრუქტორთა შემსწავლელ კურსებზე. დაგეხმარებით კლუბის გახსნით თქვენს რეგიონებში. მის: დ. უზნაძის №59, 23-ე სკოლა. ტელ: 56-61-63; 61-73-18; 93-13-45; 899 55-16-09

## იყიდება

იყიდება ა/მ „ფორდ-მონდეო", ქარავანი, 1993 წლის, თეთრი, ძრავი – 2.0, გარბენი – 157000 კმ; მექანიკა, ცენტრალური საკეტით, აბს, ჰიდრავლიკით, ლიუკით, აირბალიშებით, ახალი საბურავებით, ალუმინის დისკებით – კარგ მდგომარეობაში, ახალი ჩამოყვანილი, განუბაჟებელი. ს/ფ $3.300. ტელ: 893 32-14-12

ხეხილის ნამყენი ნერგები, უწამლო ვაზები, ვარდები, როზმარინი, იასამანი, თუჯა, ტირიფი, ცაცხვი, ნუში, კაკალი, კვიპაროსი, მოცხარი, ჟოლო, ჟასმინი, ტუია, კედარი, ფიჭვი, ნეკერჩხალი, ლიგუსტრუმი. გვყავს პროფესიონალი მებაღე-დეკორატორი. მის: სანერგე მეურნეობის დასახლება (თბილისის ზღვასთან). ტელ: 69-97-05. გივი; 899 16-93-15. ამირანი

სმენის აპარატები შეღავათიან ფასად, სპეციალური ინდივიდუალური ყურის ჩასართით. აგრეთვე, ელექტრონული და მექანიკური წნევის აპარატები, გარანტიით. ტელ: 95-95-22 (10-12 სთ); 93-46-74 (20 სთ-ის შემდეგ); 899 27-38-99

## შევიძენ

33 სმ-ზე გრძელ თმას. მის: ცენტრალური სადგური, მე-2 სართული, მაღაზია „ესთეტი". 12-16 სთ. დასვენება შაბათ-კვირას.

## სხვადასხვა

საქართველოს აიკიდოს ფედერაცია იწვევს მსურველებს საქართველოს რეგიონებიდან საინსტრუქტორო ვარჯიშებზე. მომავალში დაგეხმარებით რეგიონალური კლუბების გახსნაში. მის: აღმაშენებლის გამზ. №95 (ორშაბათი-ოთხშაბათი-პარასკევი, 20 სთ-დან). ტელ: 64-28-64; 899 51-85-24

შპს „ავტოეკოცენტრი" აცხადებს თვითლიკვიდაციას. თანამშრომლებს ვთხოვთ, საბუთებისთვის ორგანიზაციას მიაკითხონ ა/წ 5 მაისამდე. მის: სოფ. დიღომი, დიდგორის ქ. 40. 10-13 სთ. „ავტოეკოცენტრის" ადმინისტრაცია. ტელ: 53-16-35; 53-16-34

LCG
law consulting group
საადვოკატო-საკონსულტაციო ჯგუფი

**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „საადვოკატო-საკონსულტაციო ჯგუფი" – „LCG" (ელ-სი-ჯი) გთავაზობთ სამართლებრივ მომსახურებას შემდეგ საკითხებში:**

- სამეწარმეო-სამართლებრივი საკითხების დარეგულირება;
- კონსულტაციები და ინტერესების დაცვა სამოქალაქო და საბაჟო საქმეების წარმოებისას;
- სახელშეკრულებო ურთიერთობების გაფორმება (ხელშეკრულებების პროექტების მომზადება);
- მიწასთან ან სხვა უძრავ ქონებასთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობების დარეგულირება;
- შრომითი-სამართლებრივი საკითხების დარეგულირება;
- აუდიტორული მომსახურება;
- უფლებების წარმოდგენა და დაცვა სასამართლოსა და სხვა სახელმწიფო ორგანოებში;
- სანოტარო მომსახურება;
- კონსულტაციები სამართლის სხვა დარგებში.

მის: ლესია უკრაინკას ქ. №3
☎ (+995 32) 92 11 60; 98 39 38
ფაქსი: (+995 32) 98 39 38





**კოტე ქანდარიას ხსოვნას!**

ჩვენო საყვარელო, ერთადერთო ძმაო კოტე! მოგილოცავ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს და შენს დაბადების დღეს – 20 აპრილს. მეხუთე წელია, რაც შენმა ლამაზმა სულმა მარადისობაში დაიმკვიდრა ადგილი. ნაადრევად წახვედი ჩვენგან და დაგვიტოვე დიდი ტკივილი. წახვედი და უნუგეშოდ დატოვე უბედური დედ-მამა, დები, მეზობლები, ახლობლები.

ძმაო, ძალიან გვენატრები ყველას. ღმერთმა ნათელში გამყოფოს.

*შენი და ნინო ქანდარია*

**გია ინგოროყვას მონატრება**



40 დღე არ გასულა შენი გარდაცვალებიდან, ჩვენო ლამაზო, თბილო და ტკბილო, სიკეთით სავსე, ღიმილიანო ბიჭო. შენით სიყვარული და მუსიკა ზეიმობდა. გვენატრები და გვენანები, ჰოლანდიის მიწამ რომ მიგიბარა. ჩაგყვა დედის, დაძმის, სამშობლოს მონატრება, ცოლშვილისა და ნათესავ-მეგობრების სიყვარული და აუხდენელი ოცნებები. სამწუხაროდ, შენ მარადიული სიჭაბუკე გერგო, ჩვენ კი – ტკივილი.

*დედა, და მარინა, ძმა ზურა, დეიდები, დეიდაშვილები, ნათესავები*

**მერი აბრამიშვილის ხსოვნას!**



გაზაფხული სიცოცხლის დასაწყისი გვეგონა, შენთვის კი დასასრული აღმოჩნდა. უკვე ერთი წელი გავიდა და ჯერაც ვერ ვაცნობიერებთ შენთან განშორების სიმძიმეს. რაც დრო გადის, მით უფრო სანატრელი ხდება შენთან გატარებული წუთები. ჩვენზე ზრუნვაში განვლე მთელი ცხოვრება და უკანასკნელ ამოსუნთქვამდე ჩვენ გვიფრთხილდებოდი. იყავი დაუზარელი, გიყვარდა ცხოვრება. შენ ხომ შეუდარებლად კარგი და, დეიდა და მამიდა იყავი. რამხელა ტკივილი დაგვიტოვა შენმა წასვლამ, როგორ გვიყვარდი და გვეამაყებოდი. დაე ყველა ჩვენგანის სიყვარულმა, მონატრებამ და შენს სახელზე აღლენილმა წირვალოცვამ გაგინათოს გზა ცათა სასუფეველში. გვჯერა, შენი ლამაზი სული მარადიული და უკვდავია.

*დები და ძმა ოჯახებით*

**სერგო გოგიაშვილის მონატრება**



24 აპრილს 27 წლის გახდებოდი. მესამედ მოვიდა გაზაფხული, ჩვენო ლამაზო და სიყვარულით გულმოკლულო შვილო. მესამედ შევხვდებით უშენოდ შენს დაბადების დღეს. სერგო, მიილია უშენობით დაცარიელებული, სიხარულწართმეული ორი წელი და სამი თვე. უცბად გაქრა შენი სიცოცხლე, როგორც ანთებული სანთელი. გეძებთ და მხოლოდ სიზმარში გპოულობთ, გვანუგეშებ, მაგრამ უზომოდ გვიჭირს. უშენობამ სევდად გვაქცია, შენი ლამაზი თვალები თან დაგვყვება. გვესმის შენი ლაპარაკი და სიცილი. ალბათ შენ გესმის ჩვენი ტკივილი და ტანჯვა, ჩვენო სანატრელო შვილო. ალბათ ვერასოდეს შევეგუებით უშენობას და ვერც თვალი გადაეჩვევა შენს ლოდინს.

ნათელში იყოს შენი სპეტაკი და ლამაზი სული, ჩვენო დაუვიწყარო და სანატრელო შვილო სერგო.

*დედა, მეუღლე, შვილები და ყველა შენი ახლობელი*

**მერი (ეთერი) გათენაშვილ-მღებრიშვილს!**



თითქოს ირგვლივ ყველაფერი გაირინდა, გაუფერულდა. უფერული და უსახურია ვერაგი გაზაფხულიც, რომელმაც შენი თავი წაგვართვა. ვაჟკაცურსა და ამავე დროს საოცრად ნაზ, თბილ, მოსიყვარულე, ერთგულ მეუღლეს, დედას და ბებიას ულმობელმა სიკვდილმა გაიძულა, შელეოდი შენს ოჯახს, შვილებს, შვილიშვილებს, ვის ლოცვაშიც ათენებდი და აღამებდი. დიდია შენი დაკარგვით გამოწვეული ტკივილი. თითქოს ცხოვრება თავისი გზით მიდის, მაგრამ ვაი, რომ დრო ვერ უმკურნალებს შენი დაკარგვით გამოწვეულ იარებს, ვერ უბრძანებ გულს შენს დავიწყებას.

ნათელში იყოს შენი სპეტაკი სული. ძალიან გვენატრები.

*მეუღლე და შვილები*

**ვანო გიგაურის გახსენება**



24 აპრილი – შენი დაბადების დღე. თავი შემძულდა, შვილო. ადამიანო, როგორ ვიტან – შენ მანდ და მე აქ?! შენს სპეტაკ სულს შემოვევლე, შენ ხომ ყველასთვის სიკეთისა და სიყვარულის მომტანი იყავი.

შენი სიცილი, შენი სილაღე და მოუსვენარი ფუსფუსი გვენატრება, შენთან ერთად გატარებული ხანმოკლე ცხოვრების ფურცლებს ვფურცლავთ და გიგონებთ დაუსრულებლად.

ვანო, შვილო, შევარცხვინე ის სიცოცხლე, რომლითაც ვცხოვრობთ ჩვენ. არაფერს გსაყვედურობთ, პირიქით – მადლობა იმ ლამაზი 29 წლისთვის, რომელმაც ჩვენი ცხოვრება შინაარსიანი გახადა.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სპეტაკი სული, ფაფუკი იყოს ეგ უდროოდ დაყრილი ქვიშის ხეობის მიწა. გვიყვარხარ... გვენატრები.

*შენი დედ-მამა, და-ძმა*

**თეიმურაზ მათიაშვილი-ბატიაშვილის ტკივილიანი გახსენება**

გავიდა ერთი ტკივილიანი, ცრემლიანი და გაუსაძლისი წელი უშენოდ, თემო. ერთი წელია, რაც აღარ გვესმის შენი ტკბილი ხმა. ერთი წელია იმ დღიდან, როცა გაჩერდა შენი კეთილშობილი გული – გული, რომელიც ნათესავებისა და ახლობლების უსაზღვრო სიყვარულს იტევდა. შენით ვამაყობდით და ვაი, რომ ველარ შევძელით უდროოდ შენკენ მომავალი სიკვდილის შეჩერება. შენ ამშვენებდი მთელ ჩვენს სანათესაოს, როგორ გვაკლიხარ. აკლიხარ ოჯახს, ახლობლებს, ნათესავ-მეგობრებს. აკლიხარ ქალაქს, რომელსაც შენი ამაყი სიარულით, შენი ლამაზი გარეგნობით, შენი ვაჟკაცობით ხიბლავდი და ამშვენებდი.

გვჯერა, რომ შენი ამქვეყნიური კაცურკაცობით გავლილი გზა იმქვეყნიურ სასუფეველს დაგიმკვიდრებს. ღმერთმა ნათელი ნუ მოაკლოს შენს სპეტაკ, აუმღვრეველ სულს. ანთებულმა სანთლებმა გაგინათოს გზა და დაგიმკვიდროს ცათა სასუფეველი.

*ოჯახი, დისშვილი*

**გულიკო სილაგავას მონატრება**



*მას მერე ერთი წელი გავიდა,*
*შენ რომ არა ხარ ჩვენთან, გულიკო,*
*შარშან აღდგომას ცრემლებით შევხვდი,*
*შენს მოულოდნელ სიკვდილის გამო.*
*თვალში ცრემლი არ მომშორებია,*
*შენი ვალიკოს და ლილის გამო,*
*დედამ თქვენს სიკვდილს ველარ გაუძლო,*
*მე ვიტანჯები ცოცხლად თქვენ გამო.*
*შობას, აღდგომას ცრემლით ვხვდებოდი,*
*მე თქვენზე ფიქრით დამწუხრებული,*
*თქვენს მოულოდნელ გულისტკივილით*
*მოწყენილ იყო ღვთისა მშობელი.*

*ლამარა*

**გივი ლუბიანურის მონატრება**



ერთი მძიმე და მწარე წელი გავიდა, რაც მოულოდნელად გაიპარე ამ ქვეყნიდან – ერთი წელი გაუთავებელი ტირილისა. შენი სიკვდილი მეხის გავარდნას ჰგავდა. შენ წახვედი ფიზიკურად, მაგრამ აქ დარჩა შენი კაცურკაცობის კვალი. წახვედი და დაგვიტოვე გაუნელებელი ტკივილი. შენ გარეშე, ჩემო გივი, არც სიხარულსა და არც ჭირს არა აქვს ელფერი. შენი ლამაზი სიცოცხლის გარეშე უძლურები აღმოვჩნდით. შენ იყავი გვარის, ერის, ნათესაობის უზარმაზარი იმედი. ჩვენზე მეტად უყვარდი ალბათ ღმერთს და იმიტომ წაგიყვანა ასე ნაადრევად, ასე მოულოდნელად.

მჯერა, რომ შენისთანებს ზეცის კართან ანგელოზები ელიან.

უშენობა უჭირთ შენს საყვარელ ნატოს, შენს განებივრებულ შვილებს. რითი ვანუგეშოთ შენი დაუძლურებული და საცოდავი მშობლები, შენი დები – ლია და მზია?! შენით მონატრებულები გულში იხუტებენ და ეფერებიან შენს მეგობრებს. ყველაფრისთვის უკიდეგანოდ მადლიერები ვართ შენი მეგობრების.

შენ ამშვენებდი ოჯახს, მეგობრებს, სანათესაოს. შენით ვამაყობდით ყველა, შენს კაცურკაცობას დავიწყება არ უწერია.

გვაკლიხარ და გვენატრები, გივი.

*ირაკლია ბიძა, ზოია ბიცოლა შვილებით*

**ბიძინა ხუნაშვილის მონატრება**



დაბადების დღეს, გაზაფხულსა და აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს ერთად გილოცავთ მთელი ოჯახი. როგორ უეცრად გავიდა თხუთმეტი წელი. მხოლოდ მოგონებები გვანუგეშებს შენ მიერ კაცურად განვლილი ცხოვრებიდან. დრო ვერ მოაშუშებს შენი სიკვდილით მოყენებულ ტკივილს. გიხსენებთ და უფრო მეტად გვტკივა შენი უდროოდ წასვლით მოყენებული მოუშუშებელი იარა.

მთელი შენი მიწიერი ცხოვრება ღირსეულად და უპრეტენზიოდ გაატარე. იყავი შრომისმოყვარე, თავდადებული, ოჯახზე უზომოდ შეყვარებული, მოამაგე მამა. გიხაროდა სიცოცხლე, უსაზღვრო სიკეთით აღსავსე, სითბოსა და სიყვარულს გვინაწილებდი ყველას.

ღმერთს შევთხოვთ, შენი სული სიმშვიდესა და ნათელში ამყოფოს.

*საყვარელი ოჯახი*

**ზაზა სურამელის ხსოვნას!**



აპრილის თვე, ლამაზი გაზაფხული, შენი დაბადების თვეა, ჩვენო საყვარელო ზაზა, მაგრამ რომ ველარ დაესწარი მას, ყველას გული გვტკივა.

გარდაცვალებიდან 3 თვის შემდეგ გაოგნებულები ვხვდებით შენი მარადისობაში გადასვლის ამბავს. შენ ამშვენებდი ოჯახს, სანათესაოს, სამეგობროს. იყავი ზედმიწევნით კეთილშობილი, გასცემდი უზომო სიკეთეს, სიყვარულს. როგორც ქირურგი, ტრავმატოლოგი, იყავი ყველას მხსნელი, დამხმარე და უანგარო მოამაგე; ადამიანში ყოველთვის კარგის დანახვას ცდილობდი. უზომოდ გვიმძიმს, ასეთი ადამიანი 39 წლის ასაკში რომ გაგიმეტა ბედისწერამ. ხარობდი ოჯახით, გინდოდა შვილები კარგ ადამიანებად და ჯანსაღ მოქალაქეებად აღგეზარდა, მაგრამ არ დაგცალდა და სიზმარივით გამოგვეცალე ხელიდან.

ყველა ჩვენგანისთვის უსაზღვროა შენი გარდაცვალებით გამოწვეული მწუხარება.

გვჯერა, რომ წმინდა სასუფეველში დაიმკვიდრებ სამუდამო ბინას. შენი სული ზეციდან მფარველ ანგელოზად მოევლინება შენს ოჯახს, ახლობლებსა და სამეგობროს.

ნათელში იყოს შენი ლამაზი სული.

**ჟორა რუხაძის მონატრება**



წლები მიფრინავს. უკვე სამოცდაათი წლის გახდებოდი, ჩვენო უსაყვარლესო ადამიანო. დაბადების დღე აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს დაემთხვა. ბედნიერი იქნებოდა შენი ოჯახი, ეს დღე ერთად რომ აღგვენიშნა, გვენახე სამოცდაათი წლის იუბილარი, მაგრამ...

უფალს ვთხოვთ, დაგიმკვიდროს სასუფეველი ცათა შინა, საცა მართალნი განისვენებენ. ჩვენმა დანთებულმა წმინდა სანთლებმა გაგინათოს სამუდამო სამყოფელი.

*ოჯახი*

**ალექსანდრე კანდელაკის ხსოვნას!**



ძალიან მოგვენატრე, მამა. უშენოდ 40 დღე გავიდა, მაგრამ ერთი წუთითაც ვერ შევეგუეთ ობლობას.

რა ულმობელი ყოფილა სიკვდილი... როგორ ვიბრძოდით, მაგრამ ბედისწერა ვერ აგაცილეთ. ფრთამოტეხილები დავდივართ, ვტირით, შევყურებთ შენს სურათს, მაგრამ სურათი ცივია, შენ კი ძალიან თბილი და მზრუნველი მამა იყავი. ჩვენ ხომ შენით ვიყავით ამაყები და ვართ დღესაც.

დედამ შენი სახით მარტო არა მხოლოდ მეუღლე, არამედ მეგობარი და მესაიდუმლე დაკარგა. უშენოდ იგი მარტო ქვრივი კი არა, ობოლიც არის.

შვილები, შვილიშვილები, შვილთაშვილები დაგტირიან, მამა. შენ ხომ მათზე ლოცვა-კურთხევით დალიე სული.

მცხეთას შენი სახით დააკლდა ქალაქის მშვენება, რაინდი. ლეგენდებს ჰყვებიან შენ მიერ გაკეთებულ სიკეთეებზე.

შევდივართ სვეტიცხოველში, გინთებთ სანთლებს, ვლოცულობთ და ღმერთს შევთხოვთ, მშვიდობის სასუფეველი დაგიმკვიდროს და კიდევ ერთს – შენი თავი დაგვასიზმროს. სიზმარში მაინც მოგვეფერე, მამა.

უზომოდ გვიყვარხარ და გვენატრები, ჩვენო ლამაზო მამა.

*შენი ლია, დათო და ზურა*

**მერაბ ანთიძის მონატრება**



გაიარა ცრემლითა და ტკივილით სავსე ერთმა წელმა.

21 აპრილს, იმ ავბედითი დღიდან რაც მარადისობაში გადაინაცვლე, ერთი წელი სრულდება, ჩემო მერაბ. უშენობით გულში სიცარიელესა და ტკივილს ვგრძნობ, სიცარიელეს, რომელსაც ვერავინ ამოავსებს. მიუხედავად იმისა, რომ უშენოდ დაღლილი და მარტოსული ვარ, ვიბრძვი და ვცდილობ, შიშმა და დარდმა არ დამძლიოს. მინდა ჩვენი ოჯახი ფეხზე იდგეს და ჩვენი პატარა, ობოლი ლუკა, რომელიც თავისი პატარა გრძნობით ვაჟკაცურად უმკლავდება უშენობას, სასახელო გავზარდო. რარიგ გიყვარდა და შეხაროდი მის გაზრდა-დავაჟკაცებას.

დრო მკურნალიაო – დაუჯერებელია! მე მარადიული ტკივილი მარგუნა ბედმა, რომელსაც უშენობა ჰქვია, ჩემო მერაბ.

ყველას ენატრები, ყველას აკლიხარ – შენს შვილებს, შენს დას და დისშვილებს, შენს გაუბედურებულ დედას, რომელიც განადგურებული და დათარგუნვილი დაიარება, რომელსაც ვერავინ შეუმშრალებს შენი მონატრების ცრემლს.

მაგრამ რადგან ყველანი სიკვდილისთვის ვიბადებით, მხოლოდ ერთმანეთს ვაცილებთ და ამ წუთისოფლის მგზავრები ვართ, უნდა ავიტანოთ ეს დიდი ტკივილიც.

შენ კი, ჩემო მერაბ, იძინე მშვიდად იმ ქვეყნად. შენი ლამაზი სული მარადიული და უკვდავია. შენს სახელს დავიწყება არ უწერია.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული. დაე, ჩვენმა დანთებულმა სანთლებმა და წირვა-ლოცვამ გზა გაგინათოს მარადიულ სასუფეველში.

*შენი მზია*

**მერაბ ანთიძის მონატრება**

ერთი წელი გავიდა, რაც შენ აღარ მყავხარ. 21 აპრილს დაბნელდა ჩემთვის მზე. მძიმეა დედამიწა, რომელზეც მე დავაბიჯებ, შენ კი ცივ სამარეში მყავხარ. აღარ შემიძლია უშენოდ, გამიმწარე სიბერე. შენ უნდა გეგლოვა დედა. ვუყურებ შენს სურათს, ტანსაცმელს, ვიყურები ქუჩაში – ასე მგონია, სადღაც დაგინახავ და შემოხვალ სახლში.

ენატრები შენს დას ნანას, ცოლ-შვილს, დისშვილებს, ახლობლებს. ველოდები, როდის წამიყვან ამ გაუსაძლისი ცხოვრებიდან.

*დედა ვენერა*

**ანა ედიშერაშვილი-გინტურის მონატრება**



დედა! 24 აპრილს ორი წელი სრულდება შენი გარდაცვალებიდან. ტკივილიანი იყო ეს წლები შენი შვილებისთვის, შვილიშვილებისთვის, დიდი სანათესავოსთვის, სადაც შენ სრულიად გამორჩეული იყავი სილამაზით, პატიოსნებით, ერთგულებით. ყველასთვის საყვარელი, მადლიანი ქალი იყავი, ცოცხლების პატივისმცემელი და მიცვალებულთა გულწრფელი დამტირებელი. ჩვენო საყვარელო დედა! მადლობა გვინდა გითხრათ სიყვარულისა და თავგანწირვისთვის, ჩვენზე გაწეული უდიდესი შრომისა და ამაგისთვის. შენი ცხოვრება სიკეთის კეთებაში გაატარე და ვალმოხდილი წახვედი ამ ქვეყნიდან.

ღმერთმა დაგიმკვიდროს მარადიული სასუფეველი და ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული.

*ეთერ, ჯონდო გინტურები*

**თენგო გურამის ძე წულაიას მონატრება**



ისევ გაზაფხული და ისევ 24 აპრილი უშენოდ. ეს შენი დაბადების, ჩვენი აფორიაქებისა და გალიზიანების დღეა; თითქოს შენც გრძნობ, ხშირად მესიზმრები. სიზმრით კმაყოფილი ვარ, მაგრამ ვაი, რომ ეს სიზმარია და სიზმრად და მოგონებად რჩება, მე კი – გულდაწყვეტილი...

თენგო, ჩვენო მონატრებულო შვილო! მოგილოცავთ 39 წლის შესრულებას. მოვალთ საფლავზე ცრემლით, ყვავილებით, სანთლებს აგინთებთ, ვილოცებთ შენი სულისთვის.

*დედ-მამა, შვილები და და ოჯახით*

**ზურა კვანტალიანის ხსოვნას!**



ჩემო ზურა (წიწაკა)!

პირველი აღდგომა და პირველი დაბადების დღე უშენოდ... ჩვენში ჩამდგარი სიცარიელე ყინულივით ცივია და გაუსაძლისი. დღეები კი მტკივნეულად ნელა მიიზლაზნებიან. მონატრება, დიდი მონატრება, ტკივილი და ჩუმი სევდა... მოგონებები. ერთად გატარებული სასიამოვნო წუთი... უდარდელი ახალგაზრდობა...

უშენობა კი ძალზე ძნელია. ისეთი ახლობელი გახადე სიკვდილი, რომ აქ დარჩენილებს აღარ გვეშინია მისი.

რამხელა სიმწარე ჰქონია ცრემლს, სულში ჩაბრუნებულს. გაჩენილი იარა კი უფრო და უფრო ღრმავდება. ისევ ტკივილი და ისევ სევდა...

დაე, შენს სახელზე აღვლენილმა წირვა-ლოცვამ დაგიმკვიდროს ნათელი სამუდამო სასუფეველში.

*გია*

**ლერი თათეშვილის ხსოვნას!**



დაბადების დღეს გილოცავ, ლერი! 22 აპრილს 30 წელი შეგისრულდებოდა, მაგრამ ავტოკატასტროფამ იმსხვერპლა შენი ლამაზი სიცოცხლე და ბევრი ოცნება აუხდენელი დაგრჩა. ძალიან გვიძნელდება შენზე წარსულში ლაპარაკი და იმის დაჯერება, რომ ჩვენ გვერდით აღარ ხარ. გვენატრები. შენზე მხოლოდ მოგონებებიღა შეგვრჩა. არასოდეს დაგვავიწყდება შენთან გატარებული დღეები. გჯეროდეს ჩვენი, რომ მუდამ მონატრებული ვიქნებით შენს სითბოს, ღიმილსა და სიყვარულს.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სპეტაკი სული.

*მეგობრები: თინიკო, თამუნა, ნანული, ქეთი, შორენა, თამუნა*

**გურამ ნატრაძის მონატრება**



ჩემო საყვარელო გურამ, თვალცრემლიანი ვხვდები გაზაფხულს. უკვე ერთი წელი გავიდა, რაც ჩვენ გვერდით აღარ ხარ. ამბობენ, ღმერთი სამობით არისო და ეს მესამე აღმოჩნდა შენთვის საბედისწერო: აპრილში დაიბადე, აპრილში ვიქორწინეთ და აპრილში გამოუტანე შენს თავს სასიკვდილო განაჩენი.

შენს დატოვებულ წერილს სულ ჯიბით დაატარებს შენი გიგი, – სადაც ვარდი დავთესე, იქ ყოველთვის ეკალი ამოვიდაო, – რომ წერ. ასე როგორ შეგაშინა ცხოვრებამ, რომ არც თავი დაინდვე და არც ჩვენ. შენ ხომ სამი შესანიშნავი ვაჟკაცი გეზრდება.

ღმერთს ვევედრები, შეგინდოს ცოდვა და გამოგიყვანოს ჯოჯოხეთიდან. ძალიან მენატრები, ძალიან მეცოდები. შენნაირმა მოქეიფემ და სიცოცხლით სავსემ, მიკვირს რატომ მოისწრაფა სიცოცხლე.

„მე მინდა, თქვენ დიდხანს იცოცხლოთ, უფალი იყოს თქვენი მფარველი, მე კი იქიდან ვილოცებ თქვენთვის" – მწერდი წერილში.

მე კი მინდა, შენი სული იმ ქვეყნად მაინც იყოს მოსვენებული. ღმერთი გფარავდეს, საყვარელო გურამ.

ძალიან მტკივა გული, რომ შენთვის, როგორც მიცვალებულისთვის, არც ერთი საეკლესიო დღე არ არსებობს.

**ბესიკ საჩალელის გახსენება**



ბესიკ, გილოცავთ დაბადების დღეს. შენი გარდაცვალებიდან მეორედ ვხვდებით უშენოდ. ჩვენ ჯერ კიდევ ვერ მოგვინელებია უშენობა. გვენატრები. შენ ხომ ისედაც ცხრა წლის უნახავი გვყავდი. დღე არ თენდება და ღამდება ისე, რომ არ გახსენოთ.

*მშობლები, დეიდა მერი, დეიდაშვილი ინგა და უცნობი მეგობარი ილია ალაპიშვილი*

**სვეტა ჭანტურიას გახსენება**



24 აპრილს 50 წელი შეგისრულდებოდა. ცრემლებით, მოგონებებით, მონატრებით გილოცავთ დაბადების დღეს. ეს ის ტკბილი მოგონებებია, სადაც შენ იცოცხლებ. უშენოდ გამოწვეული ტკივილი არ განიკურნება. ძალიან გვაკლიხარ და გვენატრები.

ნათელში ამყოფოს უფალმა შენი სული. თვალცრემლიანები გილოცავთ დაბადების დღეს.

*ოჯახი*

„კვირის პალიტრის" რედაქცია თანაუგრძნობს ჟურნალ „გზის" მთავარ რედაქტორს, ბატონ **ზურაბ აბაშიძეს**, დედის

**ნონა გამრეკლიძე-აბაშიძის**

გარდაცვალებას.

ღმერთმა სასუფეველი დაუმკვიდროს განსვენებულის სულს.

და ნანა ასათიანი; სიძე სოსო ფირცხალაიშვილი; დისშვილები თამარი, ელენე იუწყებიან

**ვასილ ასათიანის გარდაცვალებას.**

*დასაფლავება:* სამშაბათს, 20 აპრილს, 15 საათზე.
*მისამართი:* ქ. თბილისი, კრწანისის ქ. №7ა.

მეუღლე თინა ლეჟავა; შვილები: სოფო, დეა; შვილიშვილები: ოთიკო, მარიამი, ანა, გაბრიელი, ნიკოლოზი; სიძე კოტე მთავრიშვილი; დები: ეთერი, ნათელა; დისშვილები: ვახო, მელანო გურგენიძეები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ემილ იაკინთეს ძე ჭიჭინაძე.**

*პანაშვიდი:* ორშაბათს, 16 საათზე;
*დაკრძალვა:* სამშაბათს, 20 აპრილს, 15 საათზე.
*მისამართი:* ნუცუბიძის პლატო, II მ/რ, მე-3 კვარტალი, მე-3 კორპუსი.

მეცნიერთა დაცვის ასოციაცია და საქართველოს ეროვნული სათათბირო ღრმა მწუხარებით იუწყებიან ღვაწლმოსილი მეცნიერის

**ემილ ჭიჭინაძის**

გარდაცვალებას.

# განიკითხეთ და...



ოთხი-ხუთი წელიწადია, საქმეები კარგად მიმდის, დიდი მოგება ვნახე. ვცხოვრობ ჩემს გემოზე, მაქვს კარგი სახლი, მანქანა, რამდენიმე თვის წინ კი სამსართულიანი აგარაკიც ავიშენე. ვფიქრობდი, მხოლოდ სიცოცხლით ტკბობაღა დამრჩა, ყველა სირთულე უკან მოვიტოვე-მეთქი... ორი თვის წინ, აგარაკზე მიმავალი თბილისის გასასვლელში ბენზინგასამართ სადგურთან შევჩერდით. ცოლი და შვილები (10 და 5 წლის ბიჭები) მანქანაში დავტოვე და ფულის გადასახდელად გადავედი. საიდან გამოჩნდა, ვერც მივხვდი — უცებ დიდ, დათბილულ ქურთუკში გამოხვეული ასე, 10-11 წლის ჭუჭყიანი ბიჭი მომიახლოვდა და ხელი გამომიწოდა. ბევრი წამიკითხავს: მათხოვარ ბავშვს ფული არ უნდა მისცეთ, შეიძლება ის ტოქსიკომანიც კი გახდეს, დახმარება თუ გინდათ, ან ბავშვთა გამანაწილებელში უნდა მიიყვანოთ, ან ტანსაცმლითა და საკვებით დაეხმაროთო... ძალიან მეჩქარებოდა, ჯიბეზე გავიკარი ხელი და ხუთლარიანი ჩავუკუჭე მუჭში... ჩემი შვილის ტოლი იყო და რაღაც ჩამწყდა გულში, უარი ვერ ვუთხარი...

გზა განვაგრძეთ. აგარაკამდე ერთი საათის სავალი იყო. განებივრებული ბიჭები ყოველ წუთში მანქანის გაჩერებას მთხოვდნენ, ხან ფუნთუშა უნდოდათ, ხან წყალი სწყუროდათ. ბოლოს, პატარამ ბურთიც კი მომთხოვა. მანქანა გაბრაზებულმა შევაჩერე და გზისპირა დახლთან მივედი. წითელი ბურთი ავარჩიე. ფული გადავიხადე. უკან უნდა გამოვბრუნებულიყავი, რომ დახლის კუთხიდან ბიჭი გამოვიდა. შევხედე, იმიტომ, რომ მასაც დიდი, დათბილული ქურთუკი ეცვა და თავზე ჭუჭყიანი ქუდი ეხურა. გულმა რეჩხი მიყო. ის ბიჭი ხომ არ არის, ბენზინგასამართ სადგურში რომ ვნახე-მეთქი. მერე ჩემს თავს დავუტიე — აბა, რას ამბობ, ის აქ როგორ გაჩნდებოდა-მეთქი. ბიჭი მომიახლოვდა, დაკვირვებით შევხედე. აწითლებული ცხვირ-პირი საყელოში ჰქონდა ჩარგული. მხოლოდ ღია თაფლისფერი თვალები მოუჩანდა. ხელი გამომიწოდა. მეც მექანიკურად ჯიბისკენ წავიღე მარჯვენა... სამწუხაროდ, ხურდა არ მქონდა, არც ლარიანები მედო. ხომ ხდება ხოლმე ასე... მანქანის კაბინაში კი მედო ასე, 300 დოლარი, მაგრამ მისი გადახურდავება არც მომფიქრებია. ბავშვის თვალებს ვერ გავუძელი, ავდექი და წითელი ბურთი ხელში შევაჩეჩე, მე კი თებერვლის სუსხს აჩქარებული ნაბიჯით გავექეცი მანქანისაკენ.

გუნება მომეშხამა. ისე ჩამოვუშვი ცხვირი, ვერც შვილებმა გამიბედეს შეკითხვა, რა დაგემართაო და ვერც მეუღლემ. ისიც კი ვერ მკითხეს, ბურთი რატომ არ მოიტანეო...

მივედი აგარაკზე. ცოლ-შვილი ქვედა სართულზე დავტოვე. მე უხმოდ ავედი ჩემს საძინებელში, მესამე სართულზე. მომეჩვენა, ჰაერი ჩახუთული იყო, ფანჯარა გამოვაღე და ცოტა ხნით ჩაცმული მივწექი ლოგინზე. ვერ გამეგო, რა მჭირდა. უცებ ოთახში უმცროსი ბიჭი შემოვარდა, — აქ, საწოლის ქვეშ „ლაგატკა“ მაქვს შენახულიო, — მომაძახა. შეიხედა, მაგრამ, ეტყობა, ვერ იპოვა. ფანჯარასთან მივარდა და უფროს ძმას გადასძახა: — გუჯა, გუჯა!..

არ ვიცი, როგორ მოხდა... დავინახე, ბავშვის წითელი ფეხსაცმელები ჰაერში და გადავარდნის ხმაც გავიგონე! თვალთ დამიბნელდა. ცოლს ვუყვიროდი, მერე ბავშვის სახელს ვიძახდი და კისრისტეხით ჩავრბოდი კიბეზე.

ეზოში, ჩემი ფანჯრის ქვეშ, მესამე სართულიდან ჩამოვარდნილი ჩემი პატარა იდგა და დაბნეული მიყურებდა; სველ მიწას მხოლოდ მისი ნაფეხურები აჩნდა და არა დანაცემი...

— ფეხზე დადექი, ბიჭო? — ვიყვირე და გულში ჩავიკარი. აღარც ვიცოდი, დამეჯერებინა თუ არა შვილის გადარჩენა, ბავშვმა სლუკუნით მომიგო:

— მე არა... ვიღაც ბიჭი იყო, წითელი ბურთი ეჭირა. ცალი ხელი შემაგება და ჰაერში ფეხზე დამაყენა... მერე ნელა დავეშვი და დავდექი...

რეტდასხმულმა მიმოვიხედე: — ვინ იყო, აბა, აღმიწერე, ან საით წავიდა, ან რა ეცვა-მეთქი...

ის ბიჭი იყო, ორჯერ რომ დაგვხვდა გზაზე, ნამდვილად ის! როცა ვცადე, მეუღლისათვის ამეხსნა, მხრები აიჩეჩა, არც ბენზინგასამართ სადგურზე, არც დახლთან, შენთან არავინ მოსულა, თვალს არ გაშორებდიო. მაშინ ავდექი და ის ბიჭი მოვძებნე, ვინც მანქანაში ბენზინს მისხამდა, როცა ბავშვს ხუთლარიანი ვაჩუქე. მითხრა: — თქვენ როგორ არ მახსოვხართ, ყოველთვის ფულს მჩუქნით, მაგრამ ეგ ბიჭი აქ არ მინახავს და რა ვქნაო?! ეგეც არ იყოს, ჩვენი უფროსები აქ მათხოვრებს არ აჩერებენ და საიდან გაჩნდებოდაო?

ისე მიყურებდნენ, როგორც გიჟს. კარგი, დავუშვათ, გავგიჟდი... აგარაკზე ეზოში წითელი ბურთი ვიპოვეთ, რომელთან ძაღლი იყო მიცუცქული. იმ დღეს ვერ დავინახე, მაგრამ მეორედ რომ ავედი, იქვე, ჟოლოს ბუჩქებთან ეგდო და თანაც ჩემი საღ-სალამათი ბიჭი, რომელიც მესამე(!) სართულიდან გადმოვარდა, განა არ ამტკიცებს, რომ მე არაფერი დამსიზმრებია?

**ზაზა ჭ., თბილისი**

# გარდაცვლილის ლოცვა-ვედრება შეესმა...

8 წლის ნოდარიკოს გასულ ზაფხულს „ბატონები გაუჯავრდნენ“ და აღარავის ჰქონდა მისი გადარჩენის იმედი. თავზარდაცემული მშობლები ამ უბედურებაში თავს იდანაშაულებდნენ, რადგან რაღაცაზე აჰყვნენ ერთმანეთს, წაკამათდნენ, არც ერთმა არ ისურვა დათმობა, ვერც სიცხიანი ბავშვის ხვეწნამ შეაჩერა — არ იჩხუბოთო!..

მაშინ ჯერ კიდევ არ იცოდნენ, რომ ბიჭს ბატონები უბრძანდებოდა. გვიან ღამით გამოფინა წითლად მთელ სხეულზე. გამთენიისას ბავშვმა გონიც დაკარგა და ის იყო, საავადმყოფოში გადაიყვანეს...

...მოკლედ, მომაკვდავი პატარა ექიმების რჩევით დააბრუნეს შინ. შვილის საწოლთან ჩაჩოქილი თვალცრემლიანი დედა პატიებას ითხოვდა... ანაზდად ორი წლის წინ გარდაცვლილი დედამთილი გამოეცხადა და მკაცრად მოსთხოვა — ნუ ტირი, ბატონებს ტირილი არ უყვართ. გადი, ბავშვთან მარტო დამტოვე, ოთახში არავინ გააჩეროო...

ჩვენება გაქრა. შემკრთალმა ქალმა დედას, დას და მულს ხილვის შესახებ უთხრა. დედამ — დავუჯეროთ, ღვთისნიერი ქალი იყო შენი დედამთილი, უფალი შეისმენს მის ვედრებასო!..

სულთმობრძავი ბავშვი მარტო დატოვეს და კარი გაიხურეს... ერთი საათი გავიდა, ორი და... უცებ ნოდარიკოს სიცილი გაიგონეს, შეცვივდნენ ოთახში... ისევ უგონოდ იყო ბიჭი, მაგრამ იღიმებოდა და მშვიდად სუნთქავდა. ცოტა ხანში ისევ გაეცინა და ორიოდე სიტყვა თქვა: „დედა, ნანა!..“

...გამშრალ ყელს ძლივს ამოაღებინეს ხმა და ამღერდნენ ქალები, თან სანთლები აანთეს...

ორი დღე იყო კიდევ უგონოდ ნოდარიკო და თუ რამეს იტყოდა, ისევ იმ ამოჩემებულ „დედა, ნანას“. მღეროდა გაუთავებლად ახალგაზრდა ქალი, ბატონებს შვილის ჩუქებას ევედრებოდა... ნოდარიკომ თვალის გახელისთანავე გარდაცვლილი ბებია მოიკითხა — სონა ბებო სად არისო...

მერე პეპლის მსგავს პატარა არსებებზე დაიწყო ლაპარაკი: — ისინი ფრთებს სახესთან ვენტილატორივით მიტრიალებდნენ და აღარ მეწვოდა, კიდევ ფუტკარი მოდიოდა და სახეზე თაფლს მაცხებდა, პირშიც მაწვეთებდა და აღარ მშიოდაო... სონა ბებო დაჩოქილი ლოცულობდა, მეც მასწავლიდა, როგორ უნდა მელოცა. იქ წითელკაბიანი ქალები და კაცები დადიოდნენ და მეფერებოდნენ — რა კარგი ბიჭია, დავიტოვოთო, მაგრამ ერთმა მოხუცმა უარი თქვა — სონა კარგი ქალია, ეკუთვნის ჩვენგან საჩუქარი, გავატანოთ ბიჭიო. სონა ბებომ თავის პატარა სახლში ათასი სასაცილო ცხოველი მაჩვენა, ბეკეკები ჰყავდა, ბაჭიები — მათთან ვთამაშობდი... ლეკვიც ჰყავდა... დე, ხომ მიყიდით ისეთ ლეკვსო, — შეეხვეწა.

...როგორ არ უყიდდნენ მართლაც საიქიოდან მობრუნებულ, გარდაცვლილი ბებიის მადლით გადარჩენილ ბიჭს ლეკვს, სხვაც ბევრი რამ უყიდეს, დიდი წვეულებაც გადაუხადეს და, რაც მთავარია, თხოვნაზე, — ხომ აღარასოდეს იჩხუბებთო, — დედ-მამამ შეჰფიცა, — არასოდეს გატკენთ გულსო...

ნოდარიკომ ისიც მითხრა, რომ დღემდე ნახულობს სიზმრად სონა ბებოს, რომელსაც ძალიან უხარია, რომ ბიჭი კარგად სწავლობს და ეხვეწება, ექიმი გახდიო...

— ბავშვების ექიმი ვიქნები და ისეთ საავადმყოფოს ავაშენებ, რომელიც სულ სათამაშოებით და ფერადი ბუშტებით იქნება მორთული, რომ ბავშვებს არ ეშინოდეთ და სულ მხიარულობდნენ. როცა იცინი, ისე ძალიან აღარ გტკივაო!..

...ეს ამბავი კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ გარდაცვლილი ახლობლები არ გვტოვებენ და ჩვენს მფარველ ანგელოზებად იქცევიან ხოლმე, თან, რაც მეტი სიკეთე აქვთ დათესილი სიცოცხლეში, მით მეტად შეუძლიათ უფალს ჩვენთვის მოწყალება გამოსთხოვონ.

**ინგა ჯაყელი**

ჩვენ გვწერენ

# „ქართველმა აღარ მოკლას ქართველი!“

ჩემს ერთ სიზმარზე მინდა მოგითხროთ. გაუსაძლისმა ცხოვრებამ ყველანი ქუჩაში გაგვიყვანა სავაჭროდ. ასაკოვანი ქალი ვარ, 44 წელი წარმოების ხელმძღვანელი ვიყავი. 14 ლარით ცხოვრება რომ არ შემეძლო, დავიწყე ვაჭრობა.

ამ ხუთი წლის წინათ ვაკეში დამქონდა გასაყიდად პლასტმასის სამგზავრო ნარდები. სტუდქალაქის გვერდით, ორსართულიან ლამაზ შენობაში თურქეთის რომელიღაც ფირმის ნაწარმის გამოფენა-გაყიდვა გაემართათ. მოკრძალებით შევედი... ის იყო, სამი ცალი ნარდი გავყიდე, რომ ავტომატიანი მცველი მომიახლოვდა და გასასვლელისკენ უხეშად მიმითითა. მეწყინა ყმაწვილის თავხედური მომართვა და მაშინვე დავაპირე მაღაზიის დატოვება. უცბად შემომესმა: — მოითმინეთ, ქალბატონო... თქვენ კი, წესრიგის დამცველო, უფრო ტაქტიანად და თავაზიანად შეგეძლოთ აგეხსნათ ქალბატონისათვის, რომ ამ მაღაზიაში სხვა ნაწარმის გაყიდვა არ შეიძლება; — შევჩერდი. მომიახლოვდა მაღალი, სანდომიანი ახალგაზრდა, — დამშვიდდით, ქალბატონო... რამდენად ყიდით ნარდს და რამდენი ცალი დაგრჩათ? მეგონა, მყიდველი იყო და ვუთხარი ფასიც და რაოდენობაც. ახალგაზრდამ 50-ლარიანი გამომიწოდა და მითხრა: — აიღეთ ეს ფული. ვითომ დედისთვის მიჩუქებია. წაბრძანდით შინ, დაისვენეთ... ძალიან შევწუხდი, უარი ვუთხარი ფულის აღებაზე, მაგრამ მის თვალებზე ცრემლი შევნიშნე. დღესაც არ ვიცი, ჩემს ადგილზე საყვარელი დედა წარმოიდგინა, თუ ჩემმა შეურაცხყოფამ გული ატკინა. გამოვართვი ფული, ესღა მოვახერხე მხოლოდ: — თქვენი სახელი მაინც მითხარით, შვილო, რომ დაგლოცოთ-მეთქი. დუდუ მქვია, ქალბატონოო, დამემშვიდობა და წავიდა. გვარი არ უთქვამს.

ამ ხუთი წლის მანძილზე ხშირად ვნატრობდი, კიდევ ერთხელ სადმე შემხვედროდა ის ზრდილი ახალგაზრდა. ორი კვირის წინ უცნაური სიზმარი ვნახე: ისევ ნარდს ვყიდდი. ერთი ახალგაზრდა ვაჟი მომიახლოვდა. მარცხენა ხელი შეხვეული და მხარზე ჩამოკიდებული ჰქონდა.

— ვერ მიცანით, ქალბატონო, მე ხომ დუდუ ვარ, დადიანი. გახსოვთ, ვაკეში, მაღაზიაში ნარდებს რომ ყიდდით?!

უცბად იმ ჩემი კეთილისმყოფლის სახეც აღვიდგინე და ლაპარაკის კილოც. მინდოდა მოვფერებოდი, მეკოცნა, მაგრამ ახლო არ მიმიკარა, — ხელი არ მატკინოთო.

— ვინ დაგიზიანა, შვილო, ხელი? — მივმართე გულშეძრულმა.

— ქართველის ტყვიამ. ახლა სასამართლოდან მოვდივარ. დამნაშავეს ვაპატიე ყველაფერი, ოღონდ სასამართლო დარბაზში მთელი ქვეყნის გასაგონად განვაცხადე: — საკმარისია! ქართველს ნუღარ მოკლავს ქართველი-მეთქი. თქვა ეს, გამიღიმა და წავიდა. შეშფოთებულს გამომეღვიძა. დუდუ დადიანის ტრაგიკული მკვლელობის ამბავი ვის არ გაეგონა საქართველოში, მაგრამ მაშინ არც სურათს დავკვირვებივარ და ვერც ჩემი კეთილისმყოფელი დუდუ წარმოვიდგინე მის ადგილზე. იმ დილასვე ბიბლიოთეკაში მოვძებნე ძველი ჟურნალ-გაზეთების ის ნომრები, სადაც ამ საშინელ ამბავს იუწყებოდნენ. ფოტოებზე ჩემი ქველმოქმედი, სათაყვანებელი დუდუ შევიცანი...

...მას შემდეგ წმინდა სანთლით ხელში ვლოცულობ მისი ლამაზი სულისთვის.

**ციალა თულაშვილი**

# ბებომ დამამშვიდა...

ძალიან მიყვარდა ბებიაჩემი. ის უაღრესად კეთილი, თბილი ადამიანი იყო. ერთ დღეს ბიცოლაჩემმა დარეკა — სასწრაფოდ მოდით, ბებოს ინსულტი დაემართაო. დედაჩემი და მამაჩემი მაშინვე წავიდნენ. შინ მე და ჩემი ძმა დაგვტოვეს. კარგა ხანი გავიდა. ისე ვღელავდი, რომ ყველაფერი დამავიწყდა. ამასობაში დედაჩემმა დაგვირეკა. ვკითხე, როგორ არის ბებია-მეთქი. ცრემლიანი ხმით მიპასუხა, — ბებო აღარ არისო. ტირილი წამსკდა... საკმაოდ გვიანი იყო. ეტყობა, ტირილში ჩამეძინა. გამაღვიძა ტელეფონის ზარმა. ავიღე ყურმილი — ბებია რეკავდა. გამიხარდა მისი ხმის გაგონება. კარგად ვარ და ყველაფერი მშვენივრად არის, შენ არ იტიროო. სიხარულით დავემშვიდობეთ ერთმანეთს. მაშინვე ჩემი ძმა გავაღვიძე — ბებომ დარეკა, კარგად არის-მეთქი... მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ მივხვდი უფლის ძალას — გასაკვირია, როგორ დარეკავდა ბებიაჩემი, თუ იგი უკვე მკვდარი იყო. ეტყობა, უნდოდა მცოდნოდა, რომ იგი ღმერთის ხელში იყო და სამოთხეში მიდიოდა. 15 წლის ვარ და ახლაც ვერ ვივიწყებ ამ ამბავს...

**მ. ლაფერაშვილი**

# მფრინავმა თეფშმა სოფელი გაიტაცა



2001 წლის ნოემბერში პერუს ერთ-ერთი სოფლიდან, პამბ მამაკაცი, 87 ქალი და 60 ბავშვი — გაიტაცა მფრინავმა თეფშმა. ნახევრად შეშლილი, დაბნეული ხალხი 16 დღის შემდეგ იპოვეს მთებში, სოფლიდან 116 კმ-ის დაშორებით.

— ბევრ ქალს, განსაკუთრებით ახალგაზრდებს, სხეულზე ეტყობოდათ სისხლჩაქცევები, — თქვა ლიმას პოლიციის წარმომადგენელმა, — ბევრი მათგანი გულისრევას უჩიოდა. სოფლის ყველა მცხოვრები იხსენებდა, რომ ისინი აიყვანა დიდმა მფრინავმა ხომალდმა, რომელიც ერთიანად ბრწყინავდა. ეს ხომალდი მანამდე, სამი დღის მანძილზე, ღამით ჩნდებოდა სოფლის თავზე. ის სოფელზე გაცილებით დიდი იყო და ისე ელვარებდა, რომ ვერავინ იძინებდა. არც ერთ მათგანს არ ახსოვს, რა ხდებოდა მათ თავს 16 დღის განმავლობაში. მხოლოდ ერთმა ფეხმძიმე ქალმა ბუნდოვნად გაიხსენა, რომ მას მსხვილი მილიდან კვებავდნენ თაფლისა და წყლის ნარევის მსგავსი გემოს მქონე სითხით.

ექიმებმა გულდასმით გამოიკვლიეს დაზარალებულები, ყველა მათგანი ფსიქიკურად ჯანმრთელი აღმოჩნდა. მხოლოდ ქალები უჩივიან ხშირად თავის ტკივილსა და გულისრევას. აგრეთვე, ბევრ მათგანს სხეულზე ნაიარევი აქვს, რომელიც წააგავს სიგარეტით ამომწვარს.

ამერიკელი და ევროპელი ამო-ს ექსპერტები დღემდე იკვლევენ ამ შემთხვევას.

**ტაინაია ვლასტ №2**



# უფრთხილდი სარკეს!

ტყუილად როდი ამბობენ, არ ღირს ძველი სარკის შეძენა — მას ოჯახში უსიამოვნება, ზოგჯერ კი უბედურებაც მოაქვსო. ახლახან ეს დაამტკიცა მეცნიერულმა გამოკვლევებმაც, რომელიც ჩაატარეს ნიუ-იორკელმა სპეციალისტებმა. თხუთმეტი წლის მანძილზე ისინი სპეციალურად მაღალმგრძნობიარე დეტექტორის საშუალებით იკვლევდნენ სარკის ზეგავლენას ადამიანის ორგანიზმზე. მათ მეტად საინტერესო ფაქტები გამოავლინეს: ადამიანები, რომლებიც დიდ დროს უთმობენ სარკის წინ ტრიალს, მალე იღლებიან და მხედველობაც უუარესდებათ. ექსპერიმენტატორებმა დაამტკიცეს, რომ სარკე ენერგეტიკული „ვამპირის“ როლში გამოდის და შეუძლია აკუმულირება გაუკეთოს ადამიანის ენერგიას. უფრო მეტიც — ის, ვინც ხშირად იყურება სარკეში, სწრაფად ბერდება!

ძველი სარკე ნეგატიური ენერგიისაგან გათავისუფლდება, თუკი მას გავწმენდთ ნაკურთხი ან წყაროს წყლით, შემდეგ კი მის ზედაპირზე გადავატარებთ ანთებულ სანთელს.

**ზერკალო №5**

**„საზალღო-სალაღო“ გვერდის პასუხები**

**I. აბა, გამოიცანი:**

1) — გ); 2) — დ); 3) — ბ); 4) — გ); 5) — ა); 6) — ბ); 7) — დ).

**II.** 1-ელი და მე-8 კურდღლები.

**III.** გაზაფხული.

**IV.** ვეფხვი.

# ცხელი მაცივარი



ზოგჯერ თურმე მაცივარშიც გათბება კაცი, ოღონდ იმ პირობით, თუ სასტუმროს ნომერში ჰაერის ტემპერატურა -15$^0$ იქნება. რა ქნას საბრალო გაყინულმა ტურისტმა?

მაროკოელმა მუსტაფამ გათბობის უჩვეულო ხერხი იპოვა — გასათბობად მაცივარში შეძვრა — იქ ხომ ტემპერატურა მხოლოდ -5$^0$-ია. ეს ცნობილ სამთო-სათხილამურო კურორტზე, იფრანში მოხდა. -15$^0$ იქაურობისთვის სარეკორდო ტემპერატურა სულაც არ არის — ისეც ყოფილა, -25$^0$-ს ქვემოთ ჩამოსულა ტემპერატურა.

იფრანში არ არის ცენტრალური გათბობა და ადრე ტურისტები ბუხრებთან თბებოდნენ. ამ ზამთარს მაროკოს სატყეო მეურნეობის სამმართველომ ტყის რესურსის დაცვა გადაწყვიტა და შეშის გამოყენება აკრძალა. ტყის მჭრელები უსაქმოდ დარჩნენ, ბუხრები კი უშეშოდ. ალბათ ამიერიდან იფრანელები ელექტროხელსაწყოებით უნდა შეიარაღდნენ — ყველა ხომ არ მოინდომებს მაცივარში დაძინებას?

*ეხო პლანეტი №12*

# მილიონი — ცნობისმოყვარეობისათვის

ლოს-ანჯელესელმა 29 წლის მსახიობმა, რომლის ვინაობას არ ახმაურებენ, კაპიტალი მომგებიანად დააბანდა. სამი წლის წინ მან ძველი ნივთების ბაზრობაზე 5 დოლარად იყიდა ფერწერული ტილო... ახლახან კი მასში მილიონი დოლარი მიიღო.

მსხლებისგამოსახულებიანი ტილო რამდენიმე წელი ეკიდა სამზარეულოში. ასე იქნებოდა კიდევ დიდხანს, რომ არა მისი მფლობელის ცნობისმოყვარეობა. ამერიკელმა, ბოლოს და ბოლოს, გადაწყვიტა გაეგო, ვინ იყო ჯ. დეკერი (ეს გვარი იყო წარწერილი ტილოზე). რაოდენ გაოცდა მსახიობი, როცა გაიგო, რომ ჯოზეფ დეკერი მე-19 საუკუნის სახელგანთქმული მხატვარი ყოფილა, გერმანიაში დაბადებული და ყმაწვილობაში ამერიკაში საცხოვრებლად გადასული. სწორედ იგი აღმოჩნდა „მწიფე მსხლების“ ავტორი.

ძვირფასი ტილო ვაშინგტონის ხელოვნების ნაციონალურმა გალერეამ იყიდა მილიონ დოლარად. მსახიობის ცნობისმოყვარეობის წყალობით ტილო საერთო-სახალხო საკუთრებად იქცა. მანამდე კი შედევრი, 60 წლის განმავლობაში, ძველ მფლობელს გარაჟში ჰქონდა მიგდებული.

*ვოკრუგ სვეტა №12*

# 128 წლის მოხუცს კბილები ამოუვიდა

128 წლის ირანელ გლეხს ბაჰრამ ისმაილს აღარც ახსოვდა, როდის დასცვივდა კბილები. შარშან ბერიკაცს კვლავ ამოუვიდა კბილები! ბაჰრამი ამის შემდეგ უფრო გაყოჩაღდა, თავს ბებრად არ თვლის, მეგობრებსა და მეზობლებთან ჯანმრთელი კიჭებით იწონებს თავს, თვალი კოხტა გოგოებისკენ ეპარება და ცდილობს, ჩადრქვეშ დალანდოს მათი მშვენება.

ბაჰრამი თურმე ახალმოდურ კბილის პასტებს არ იცნობს, არასოდეს დაულევია მაგარი სასმელი, არ მოუწევია, არ გამოუყენებია ნარკოტიკები, არასოდეს მიუმართავს ექიმებისათვის, არც წამალს გაჰკარებია, არასოდეს უჭამია ზეთიანი კერძები, ხორცი, ბრინჯი. უპირატესობას ანიჭებს ერბოს. რაც ფეხი აიდგა, სულ შრომობს — მეცხოველეობას ეწევა. 50 წლის წინ ისმაილმა მოილოცა იმამების აკლდამები ქერბალაში, ნაჯაფში და ბაღდადში, იცავს ყველა წესჩვეულებას. ჰყავს ოთხი შვილი (ერთი ვაჟი, სამი ქალი), 47 შვილიშვილი და 43 შვილთაშვილი.

*ალ-აჰრამი*

# საზიანოა ჯანმრთელობისთვის!




რომის უნივერსიტეტის დერმატოლოგიის ლაბორატორიაში პაციენტებს ჩაუტარეს ტესტირება, რომელმაც დაადგინა, რომ 1 და 2-ევროიან მონეტებს შეუძლია გამოიწვიოს ალერგიული რეაქცია ნიკელის მიმართ მგრძნობიარე ადამიანებს შორის. ლაბორატორიის დირექტორი, პროფესორი ჯანპიერო პატრიარკა ირწმუნება, რომ ეს მონეტები გაცილებით სახიფათოა, ვიდრე ძველი ლირები, ნიკელი ხომ ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ალერგენია ინდუსტრიულ ქვეყნებში. ამ ლითონის მიმართ მეტისმეტი მგრძნობელობა აქვთ ქალების 10 და მამაკაცების 3%-ს. ნიკელთან ხანგრძლივი კონტაქტის შემთხვევაში ამ ადამიანებს შეიძლება დაემართოთ ეგზემა. იტალიელი ექიმების აზრით, სავალუტო ევროზონის სპეციალისტებმა თავის დროზე, როცა ახალი ვალუტისათვის ლითონის შემადგენლობას ირჩევდნენ, უბრალოდ არ გაითვალისწინეს ეს ვითარება.

*ოგონიოკი №14*

# ლოთს პითონი თავს დაესხა

ზამბიის სოფელ მაჩაში ერთი ლოთი ცხოვრობდა, მბია პტენი. უგონოდ მთვრალს, სადაც დაუღამდებოდა, იქ მიწვებოდა ხოლმე. ერთხელ, სპირტით გაბრუებულს ძილმა საკუთარ ქოხთან მოუსწრო. შუაღამისას საწყალმა მბია პტენმა იგრძნო, რომ მარჯვენა ფეხზე ვიღაც ექაჩებოდა. სწრაფად გაახილა თვალი და მტრისას, რაც მან ნახა! საიდანღაც მოცურებულ უზარმაზარ პითონს ჩაეყლაპა მისი ფეხი.

მბიას განწირულ ყვირილზე მოცვივდნენ მეზობლები, მოკლეს უხსენებელი და გაათავისუფლეს ცოცხალი ხაფანგისაგან.

როცა დამშვიდდა, საწყალმა ლოთმა დაიფიცა, — აღარასოდეს გავეკარები ალკოჰოლსო. დილით ეკლესიაში გაქანდა, მოძღვარს აღსარება ჩააბარა და ღმერთს მადლობა შესწირა სასწაულებრივად გადარჩენისათვის.

*მეგაპოლის-ექსპრესი №14*

# შიმშილის რეკორდი



ჩინელი ბალახებით მკურნალი ჩენ ძიამინი აპირებს მოხსნას ამერიკელი ილუზიონისტის დევიდ ბლეინის რეკორდი, რომელმაც უსმელუჭმელმა 44 დღე გაძლო. ჩინელი კი აპირებს საკვები 49 დღის განმავლობაში არ მიიღოს. „ჰაერში საკმარისად არის აზოტი, ამიტომ ჩავისუნთქავ აზოტს და მის ხარჯზე აღვიდგენ სასიცოცხლო ენერგიას“, — თქვა მკურნალმა. მეცნიერები ამ განცხადებას სკეპტიკურად უყურებენ. ბლეინისგან განსხვავებით, ჩინელმა კომფორტული საცხოვრებელი მოიწყო. ჩენმა 15 მეტრის სიმაღლეზე აიშენა ბინა, რომელშიც დგას რბილი საწოლი, სკამი, მაგიდა, ვენტილატორი და წიგნები. მეტიც, იზრუნა იმაზეც, რომ ამ 49-დღიანი შიმშილობის დროს თავისი კლიენტები არ დაეკარგა და ტელეფონიც დაიდგა — პაციენტებს კონსულტაციას გავუწევო, განაცხადა მან. ეს ექსპერიმენტი რა შედეგითაც არ უნდა დამთავრდეს, ის ექიმს სახელის მოხვეჭაში უკვე დაეხმარა.

*იტოგი №4*

# ულვაშიანები უსაქმოდ რჩებიან

აშშ-ში სამმა წამყვანმა ესპანურმა ტელეარხმა ერთხმად განაცხადა, რომ ამიერიდან საპნის ოპერებში ულვაშიან მამაკაცებს აღარ მიიწვევენ. „მხოლოდ საპნის ოპერის პერსონაჟები და პოლიტიკოსები ატარებენ ულვაშებს. ულვაშიანი მამაკაცი ტელემაყურებლის ნდობას არ იმსახურებს. ულვაშიანი მსახიობი ისე გამოიყურება, თითქოს რაღაცას მალავსო“, — განაცხადა ერთ-ერთი ტელეკომპანიის წარმომადგენელმა.

*ტაიმი*

# რობოტი ორკესტრს უდირიჟორებს



იაპონელებმა გადაწყვიტეს, აღარ მიიპატიჟონ უცხოელი დირიჟორები და აღარ გადაიხადონ უზარმაზარი თანხები იმაში, რომ სხვა ეროვნების ადამიანებმა უდირიჟორონ მათ სიმფონიურ ორკესტრებს. ფირმა „სონის“ სპეციალისტებმა გამოიგონეს ელექტრონული დირიჟორი-რობოტი, რომელიც თავის მოვალეობას ადამიანზე უარესად არ ასრულებს.

რობოტის დებიუტი ტოკიოში შედგა, სადაც ახალგამომცხვარი დირიჟორი ხელმძღვანელობდა ტოკიოს ფილარმონიის ორკესტრს. ორკესტრმა ბეთჰოვენის მე-5 სიმფონია შეასრულა. კონცერტმა წარმატებით ჩაიარა.

*პოსლედნიე ნოვოსტეი №15*

# ჰარი პოტერის კიდევ ერთი სასწაული



იდეალური კარიერა გაიკეთა შემოსავლების ზრდის თვალსაზრისით ჭაბუკმა დენიელ რედკლიფმა, ჰარი პოტერის როლების შემსრულებელმა. ახალგაზრდა მსახიობის ჰონორარები იზრდება (პირველ სერიაში მას გადაუხადეს ₰110 ათასი, მეორეში — ₰3 მილიონი). ამასთან სამსახურიდან დათხოვნა მას არ ემუქრება (თუმცა მოსალოდნელია, პროექტიდან თავისი ნებით წავიდეს). პროდიუსერებს სერიოზულად აშინებთ ის ფაქტი, რომ ცენტრალური როლების შემსრულებელთა შემადგენლობაში ნებისმიერი ცვლილება აისახება სერიალის კომერციულ შედეგებზე.

ასე რომ, რედკლიფმა სრულიად „ჯადოსნური სახით“ მეორე ადგილი დაიკავა დიდი ბრიტანეთის უმდიდრეს მოზარდთა შორის. პირველ ადგილზე პრინცი ჰარია (25 მლნ დოლარით).

*დენგი №13*

# ნიშანში გაარტყა



ურუგვაის ხელისუფლებამ ახლახან შპიონაჟის ბრალდებით ქვეყნიდან გააძევა ინდოელი დიპლომატი ამალ ნაპჰაია გუდრაი. ამას წინ მეტად პიკანტური ფაქტი უძღოდა. ინდოელი მონტევიდეოს ერთ-ერთი საროსკიპოს მუდმივი კლიენტი ყოფილა. ყოველ სტუმრობაზე იგი ერთსა და იმავე ქალს ირჩევდა. ერთხელაც, მორიგი სტუმრობის შემდეგ, მან სექსმომსახურების საფასურის გადახდა იუარა. შეურაცხყოფილმა ქალმა მიახალა, — ღატაკი ჯაშუშივით იდებ ვალებსო. დამფრთხალმა ინდოელმა გაქცევა რომ დააპირა, საროსკიპოს მეპატრონემ დაიჭირა და პოლიციაც გამოიძახა. დიპლომატს უფიქრია, გამოცდილმა კონტრმზვერავმა ქალმა გამშიფრაო და აღიარა, ნამდვილად ვმუშაობ ინდური სპეცსამსახურებისთვისო. გაკაპასებულმა როსკიპმა კი პოლიციას აუხსნა — ჯაშუში ისე, ცხელ გულზე ვახსენეო.

*ოკნა №13*

# ჟურნალ „კარუსელის“ საფირმო კროსვორდი „კვირის პალიტრისთვის“



**შევსების წესი: უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის უჯრებში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრებში ჰორაციო ნელსონის სიტყვებს ამოიკითხავთ.**




**ა.** გერმანული საავტომობილო ფირმა; **რ.** სახელგანთქმული ქართველი მოჭიდავე; **ჩ.** პატარა ჩიტი; **ე.** მწვავე შეხლა-შემოხლა; **ვ.** ქალის პირბადე; **ა.** სიყვარულის ქალღმერთი რომაულ მითოლოგიაში; **ნ.** ევას შესაქმნელად ღმერთის მიერ გამოყენებული „ნახევარფაბრიკატი“; **შ.** ქალის კაბის გრძელი უკანა კალთა, რომელიც ძირს მისთრევს; **ი.** ამერიკელი მსახიობი მამაკაცი; **ა.** კარტოფილის სამშობლო; **რ.** რისამე მარაგი; **შ.** ქარიშხალი ზღვაზე; **ე.** ციმბირის დამპყრობ კაზაკთა მეთაური; **მ.** ისტორიკოსი ლეონტი ...; **ც.** ცალთვალა გოლიათი ბერძნულ მითოლოგიაში; **დ.** ნადირობის ქალღმერთი რომაულ მითოლოგიაში; **ა.** ბავშვის სარწეველა საწოლი; **რ.** კარდინალ რიშელიეს გვარდიის ოფიცერი, რომელმაც დაბა მენგში დე ტრევილისადმი განკუთვნილი წერილი მოპარა დ’არტანიანს; **ხ.** რა ჰქვია ბულგარელ ფეხბურთელ სტოიჩკოვს; **ა.** ადამიანის მთავარი არტერია; **რ.** სია, ნუსხა, ჩამონათვალი; **თ.** რა ცხოველი იყო ამალთეა, რომელმაც საკუთარი რძით გამოკვება კუნძულ კრეტაზე გადამალული ჩვილი ზევსი.

**წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:**

**დ.** დემონი; **ა.** ანხელი; **ი.** ილაჯი; **ს.** სატურნი; **ვ.** ვივალდი; **ე.** ეპარქია; **ნ.** ნარცისი; **ე.** ეკიპაჟი; **პ.** პლეადა; **ა.** ანჯამა; **ლ.** ლეი; **ი.** იობი; **ტ.** ტერტერა; **რ.** რეესტრი; **ი.** იუბილე; **ს.** სვანეთი; **ფ.** ფაბრიკა; **ე.** ერუდიტი; **რ.** რინგი; **ე.** ელე; **ბ.** ბაბალე; **შ.** შვაბრა; **ი.** იოსები.

**გამუქებულ უჯრებში იკითხება: მხატვარი ეჯიბრება ბუნებას.**

## კვირის «მინიკალენდარი»

**„კვირის პალიტრა“ დაბადების დღეს ულოცავს ამ კვირაში დაბადებულ მკითხველებს. სახელგანთქმული ადამიანების „მინიკალენდარი“ კი ასეთია:**



**19 აპრილი:**
**რივალდო**, ფეხბურთელი; **ეშლი ჯადი**, მსახიობი.
**20 აპრილი:**
**კახა ბენდუქიძე**, რუსეთში მოღვაწე ოლიგარქი; **ჯესიკა ლანჟი**, მსახიობი; **ჰაროლდ ლოიდი**, მსახიობი; **ვიაჩესლავ ფეტისოვი**, ჰოკეისტი; **კარმენ ელექტრა**, მოდელი, მსახიობი; **რაიან ო'ნილი**, მსახიობი.
**21 აპრილი:**
**რაფიელ ერისთავი**, მწერალი, ეთნოგრაფი, ლექსიკოგრაფი, საზოგადო მოღვაწე; **შარლოტა ბრონტე**, მწერალი; **ელისაბედ II**, დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის შეერთებული სამეფოს დედოფალი; **ენდი მაკდაუელი**, მსახიობი.
**22 აპრილი:**
**ზურაბ ანჩაბაძე**, ისტორიკოსი, აკადემიკოსი; **ჟანრი ლოლაშვილი**, მსახიობი; **ემანუელ კანტი**, ფილოსოფოსი; **ვლადიმირ ლენინი**, პროლეტარიატის ბელადი; **ჯეკ ნიკოლსონი**, მსახიობი.
**23 აპრილი:**
**ივანე ჯავახიშვილი**, ისტორიკოსი, აკადემიკოსი; **უილიამ შექსპირი**, პოეტი, დრამატურგი; **გიორგი ვიცინი**, მსახიობი; **სერგეი პროკოფიევი**, კომპოზიტორი.
**24 აპრილი:**
**იოსებ გრიშაშვილი**, პოეტი; **რეზო ჭეიშვილი**, მწერალი; **ჟან-პოლ გოტიე**, მოდელიერი; **შირლი მაკლეინი**, მსახიობი; **ბარბრა სტრაიზანდი**, მომღერალი, მსახიობი, რეჟისორი.
**25 აპრილი:**
**სერგეი ბუდიონი**, საბჭოთა კავშირის მარშალი; **რენე ზელვეგერი**, მსახიობი; **ოლივერ კრომველი**, ინგლისის ბურჟუაზიული რევოლუციის ხელმძღვანელი; **ალ პაჩინო**, მსახიობი; **ვლადისლავ ტრეტიაკი**, ჰოკეისტი (მეკარე), ოლიმპიური ჩემპიონი.

## სიტყვათა კონა

**კაკრა** — 1. მცენარე, რომლის ნაყოფიც არ იჭმება. 2. ასეთი მცენარის ნაყოფი. 3. ლეღვის და ზოგიერთი სხვა მცენარის უმწიფარი ნაყოფი, რომელიც არ იჭმება.
**კაკუტი** — მარცვლეულის (სიმინდის, ღომის) საფშვნელი (საცეხვი), ხელკავი (იციან იმერეთში).
**კალანდა** — ასე უწოდებენ ახალ წელს გურიაში.
**კალანჩხა** — პატარა კალათი.
**კალკი** (ფრ.) — 1. გამჭვირვალე ქაღალდი ან ქსოვილი ნახაზების პირის გადასაღებად, — ლივი. 2. (ლინგვ.) სხვა ენის ნორმების მიხედვით წარმოებული სიტყვა ან შექმნილი გამოთქმა.
**კალმასობა** (ისტ.) — პურის (სურსათ-სანოვაგის) მოგროვება კალოებზე ჩამოთხოვით ეკლესია-მონასტრების სასარგებლოდ.
**კალმუხი** — ცხვრის ტყავის ერთგვარი ქუდი.
**კალნაბი** — ყვავილოვანი კომბოსტო.
**კალორია** (ლათ.) — სითბოს რაოდენობის ერთეული.
**კალოსპირული** — ერთგვარი სიმღერა კალოობის დროს; ოროველას სახეობა.
**კალტი** (კუთხ.) — ხაჭო (ჩვეულებრივ გუნდებად გამხმარი).
**კამარა** — 1. შენობის კედლების, სვეტების და მისთ. ზევითა ნაწილების შემაერთებელი გადამხურავი ნაგებობა, ჩვეულებრივ რკალისებური. 2. აკვნის ხელმოსავლები ჯოხი (კამარას შეკრავს — მაღლა ახტება და შორს დაეშვება; ფრენით ნახევარწრეს გააკეთებს).
**კამკამი** — სინათლის გამოკრთომა, წმინდა შუქის გამოცემა, არაძლიერი ელვარება გამჭვირვალე საგნისა, — ციმციმი, კიაფი.

## დუტა სტუდენტობაში ქუჩაში მღეროდა

**— საინტერესოა, დუტა სხირტლაძე ცხოვრებაშიც ისეთივე მხიარულია, როგორიც ტელეეკრანზე? რატომ აღარ ჩანს „რუსთავი 2“-ის ეთერში, რითია ამჟამად დაკავებული? ამბობენ, რომ დუტა სტუდენტობაში ქუჩაში მღეროდაო, მართალია თუ არა ეს?**

***თინიკო ოთარაშვილი***

კითხვაზე უპასუხებს **დუტა სხირტლაძე**, მსახიობი.



— ამ ბოლო დროს თეატრში თუ მნახავთ. არა იმიტომ, რომ წამოვედი „რუსთავი 2“-დან, არამედ იმიტომ, რომ „ვის უნდა 20 ათასი“ სექტემბრამდე ისვენებს. სხვა არხზე პრინციპულად არ ვაპირებ გადასვლას, თორემ არაერთი შემოთავაზება მქონდა. ჰონორარსაც გაცილებით დიდს (3-ჯერ მეტს) მთავაზობდნენ. ამჟამად ჩემი ენერგია და დრო თეატრსა და ოჯახს ხმარდება. თეატრში კვირაში 5 სპექტაკლი მაქვს. რაც შეეხება ქუჩაში სიმღერას, ეს მართალია — ჩემი სტუდენტობის წლებში (1990-1994) ე. წ. „სახალხო გატაცება“ იყო მიწისქვეშა გადასასვლელებში სიმღერა, მეც ვმღეროდი და ვუკრავდი გიტარაზე. მაგრამ აქედან „შემოსავალი“ არ მქონია. კონცერტებს კი ძირითადად თეატრსა და მუსიკალურ დარბაზებში ვმართავდი...

რაც შეეხება შეკითხვას, ცხოვრებაშიც ისეთივე ვარ თუ არა, როგორიც ეკრანზე, გიპასუხებთ მოკლედ — ცხოვრებაშიც იგივე ვარ, რაც ეკრანზე. თამაში აქ არ არის საჭირო — ასე უფრო მომგებიანია.

## კანონი ბრაკონიერებს იცავს?

**— ვინ უნდა მიაქციოს ყურადღება იმას, რომ მასობრივად არ განადგურდეს თევზი მდინარე მტკვარში. ვგულისხმობ შიდა ქართლის ტერიტორიას, განსაკუთრებით რუსთავს. რატომ არ რეაგირებენ შესაბამისი ორგანოები ბრაკონიერების უსასტიკეს ქმედებაზე (ვგულისხმობ დენით თევზაობას) და როდის უნდა მოეღოს ამ ყოველივეს ბოლო?**

***ერთგული მკითხველი***

— კითხვაზე უპასუხებს **ზაზა სესიტაშვილი**, შსს-ს ეკოპოლიციის მთავარი სამმართველოს ბრაკონიერობის წინააღმდეგ მებრძოლი სამსახურის უფროსი, პოლიციის კაპიტანი.

— მართლაც არსებობს ბრაკონიერობის შემთხვევები, რომლებმაც შარშანდელთან შედარებით საგრძნობლად მოიმატა. მაგალითად, წელს უკვე 507 ფაქტია გამოვლენილი, საიდანაც 6-ზე სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. სამწუხაროდ, ამჟამად კანონი იმდენად ლმობიერია, რომ თავად აძლევს მოქალაქეს ბრაკონიერობის „უფლებას“. 2002 წლის 4 ივლისიდან „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“ განხორციელდა ცვლილებები, რომლის მიხედვითაც უკანონო თევზჭერის პირველ შემთხვევაზე (არა აქვს მნიშვნელობა, რითი თევზაობენ), ბრაკონიერი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 86-ე მუხლით ჯარიმდება მხოლოდ 100 ლარამდე, როდესაც განადგურებული თევზის ღირებულება შეიძლება 1.000 ლარსაც აღემატებოდეს. ყოველი დარღვევის ფაქტზე ეკოპოლიცია ადგენს აქტს და მას სასამართლო იხილავს. სწორედ სასამართლო ადგენს ჯარიმის ოდენობას. ხშირია შემთხვევა, როდესაც „სასჯელი“ მხოლოდ 5-ლარიანი ჯარიმით შემოიფარგლება. ასევეა განმეორების შემთხვევაშიც. ხოლო თუ ერთი წლის მანძილზე პირს მესამედაც წაასწრებენ ბრაკონიერობის ფაქტზე, იგი ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ თვემდე. დამერწმუნეთ, ეს სასჯელი საკმაოდ ლმობიერია საიმისოდ, რომ მისი შიშით დანაშაული არ გაიმეორონ. არადა, ბრაკონიერობის შედეგად ნადგურდება ტონობით თევზი, ეკოლოგიურად ბინძურდება გარემო. „მეთევზეები“ კი სარფიანად ყიდიან თავიანთ ნადავლს. ასე რომ, ეკოპოლიცია ბევრს ვერაფერს გააკეთებს ბრაკონიერობის აღსაკვეთად, რადგანაც არსებული კანონი დასჯის მაგიერ, თავად იცავს ბრაკონიერს.

## ფაბერჟეს ფასი არ ედება

**— გთხოვთ მოგვითხროთ მსოფლიოში ცნობილი კარლ ფაბერჟეს საიუველირო ფირმის შესახებ. როდიდან დაიწყო ფირმამ აღმავლობა და რამდენად მდიდრები იყვნენ მისი მეპატრონენი. თუ არ ვცდები, მათი კოლექცია დღესაც ინახება სანქტ-პეტერბურგის მუზეუმში.**

***თინა ზოიძე***

— კარლ ფაბერჟეს საიუველირო ფირმა მემკვიდრეობით ერგო, თუმცა მაშინ ეს ფირმა შედარებით მოკრძალებული გახლდათ. 1842 წელს გუსტავ ფაბერჟემ (კარლის მამა) პეტერბურგში საიუველირო ფირმა გახსნა. მან უფროს ვაჟს, კარლს საფუძვლიანი განათლება მისცა. თავდაპირველად კარლი პეტერბურგის გერმანულ სკოლაში სწავლობს, შემდეგ მამამ იგი მეგობარს — პიტერ პენდინის მიაბარა საიუველირო ხელობის შესასწავლად. 21 წლის ასაკიდან კარლი ერმიტაჟის მუზეუმში იწყებს მუშაობას და რესტავრაციას უკეთებს ანტიკვარულ ნივთებს. შემდგომ მამა განათლების მისაღებად საზღვარგარეთ გზავნის — პარიზში, დრეზდენსა და ფლორენციაში, ბოლოს კი საქსონიაში. იქიდან დაბრუნებული 1870 წლიდან სათავეში უდგება ფირმას და წარმატებითაც უძღვება. იმ დროისათვის უკვე სახელგანთქმული რამდენიმე ახალგაზრდა იუველირიც მოიწვია და საქმეს მათთან ერთად შეუდგა. 1882 წელს კარლ ფაბერჟემ ცოლად შეირთო რუსეთის საიმპერატორო კარის ავეჯის სახელოსნოს უფროსის ქალიშვილი, რომელთანაც 4 ვაჟი შეეძინა. პირველად „ფაბერჟეს სახლმა“ თავისი ნაკეთობების გამოფენა 1882 წელს მოაწყო, სადაც წარმოდგენილი იყო ძველბერძნული საგანძურის ასლები და ოქროს მედალიც მოიპოვა. ამავე წელს ფირმამ პირველად მიიღო შეკვეთა რუსეთის საიმპერატორო კარისგან — ფაბერჟე რუსეთის იმპერატორ ალექსანდრ მესამისთვის ამზადებს სახელგანთქმულ დეკორატიულ სააღდგომო კვერცხს. 1885 წლიდან ფაბერჟეს მიენიჭა მისი აღმატებულება იმპერატორის კარის იუველირის წოდება, სწორედ ამის შემდეგ ეძლევა მას ორთავიანი არწივის გამოსახვის უფლება ფირმის ნაკეთობებზე. ამ წელსვე ფირმა პირველად საზღვარგარეთ, ნიურნბერგში აწყობს გამოფენას. 1896 წლიდან ფაბერჟეს მუდმივი კლიენტი ხდება რუსეთის იმპერატორი ნიკოლოზ II. და არა მარტო ის... მისი ძვირფასეულობით ინტერესდება ბრიტანეთისა და დანიის სამეფო ოჯახები. იმ დროისათვის ფაბერჟეს პოპულარობა იმდენად დიდი იყო, რომ რუსეთის დიდგვაროვნები ერთმანეთს საჩუქრად მხოლოდ ამ ფირმის ნაკეთობებს უძღვნიდნენ. აღსანიშნავია, რომ სულ უმნიშვნელო ნაკეთობა დღევანდელი შეფასებით დაახლოებით 120 დოლარის ეკვივალენტი ღირდა, ხოლო სერიოზული ხელობა კი დაახლოებით მილიონ 400 ათასი დოლარი. XX საუკუნის დასაწყისში ფაბერჟეს წარმატებასა და ნაკეთობებზე არა მარტო ევროპაში, ამერიკასა და აზიაშიც ალაპარაკდნენ. 1903 წელს ფაბერჟეს სახელოსნო ლონდონში გაიხსნა. ამ დროისათვის ფირმა ერთიორად იზრდება და წელიწადში ფაბერჟე 10 ათასამდე საიუველირო ნაკეთობას უშვებს.



ფაბერჟეს ნაკეთობათა კოლექცია არა მხოლოდ სანქტ-პეტერბურგში, არამედ ინგლისში, ბუკინგემის სასახლეშიც ინახება, ბრიტანეთის სამეფო ოჯახის კოლექციაში 600-მდე ნაკეთობაა. თუმცა, რა თქმა უნდა, ყველაზე დიდ კოლექციას მაინც რუსეთი ფლობს. საგულისხმოა, რომ საბჭოთა კავშირის პერიოდში, ფაბერჟეს არაერთი ძვირფასი ეგზემპლარი გაქრა უკვალოდ, მათ შორის, 7 სააღდგომო კვერცხი თავისი „საჩუქრებით“ და არაერთი სხვა ძვირფასეულობა.

## საურავები გაუქმებულია

**— ცნობილია, რომ 5 ჰა-მდე მიწის მფლობელები გათავისუფლებულნი არიან გადასახადისგან. გვაინტერესებს, თუ უნდა გადავიხადოთ დავალიანება და საურავები, ასევე ისიც, თუ რა წესით უნდა გადაიხადოს გადასახადი მან, ვისაც 5 ჰა-ზე მეტი მიწის ფართობი აქვს.**

***კასპის რაიონის სოფელი გომის მცხოვრებლები***

კითხვაზე უპასუხებს **ანზორ მესხიშვილი**, მიწის მართვის დეპარტამენტის მიწის რეფორმისა და სააღგილმამულო ურთიერთობის სამმართველოს უფროსი.

— პრეზიდენტმა წინასაარჩევნო პირობა მართლაც შეასრულა და კერძო საკუთრებაში არსებული 5 ჰა-მდე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების მფლობელები მიწის გადასახადისგან გაათავისუფლა. ასევე გაუქმებულია 2003 წლის 1-ელ ივლისამდე კერძო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადის დავალიანების საჯარიმო სანქციები (საურავები).

რაც შეეხება კერძო საკუთრებაში 5 ჰა-ზე მეტ მიწას, რაც ძალიან იშვიათი შემთხვევაა, გიპასუხებთ, რომ ასეთი მესაკუთრეები ჩვეულებრივი წესით გადაიხდიან რაიონის მიხედვით კანონით დადგენილ მიწის მოსაკრებელს. თუმცა გასული წლების მიწის გადასახადის საჯარიმო სანქციებისგან აღნიშნული მესაკუთრეებიც გათავისუფლდნენ.

## გარდაცვლილთა პენსიები ანაზღაურდება

**— მაინტერესებს, გადაუხდიან თუ არა გარდაცვლილ პენსიონერთა ოჯახის წევრებს აწ გარდაცვლილის სიცოცხლის ბოლო თვეებში აუღებელ პენსიას და რა ვადებში დაფარავს აღნიშნულ დავალიანებას საპენსიო ფონდი?**

***თამაზ ჭირაქაძე***

კითხვაზე უპასუხებს **დევი ტაბიძე**, საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის გენერალური დირექტორის მოადგილე.

— ამ დროისათვის 2003 წელს გარდაცვლილ პირთა პენსიების სახელმწიფო დავალიანება 3 მილიონ ლარს აღემატება. აღნიშნული დავალიანება ბიუჯეტით გათვალისწინებულია და მისი დაფარვა ეტაპობრივად, მაგრამ სრულად 2004 წლის სექტემბრამდე მოხდება.

აქვე დავძენ, რომ საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდში ფუნქციონირებს ცხელი ხაზი (69-65-93; 69-65-94), რომლის მეშვეობითაც საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური პენსიებთან დაკავშირებულ საკითხებზე ყველა მოქალაქეს კომპეტენტურ და ამომწურავ პასუხს გასცემს. ცხელი ხაზი მუშაობს ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა, 10-დან 17 სთ-ის ჩათვლით.

## რას ნიშნავს სიტყვა კაიფი»?

**— რას ნიშნავს სიტყვა „კაიფი“, უფრო სწორად, სადაურია? რას უკავშირდება მისი წარმოშობა?**

***მიშკა ბოჭორიშვილი***

— „კაიფი“ არაბული სიტყვა „კეფ“-იდან მოდის, რაც დროის უქმად ტარებას, ანუ უსაქმურობას ნიშნავს. ევროპაში ეს გამოთქმა მე-18 საუკუნის ბოლოს გავრცელდა, ხოლო რუსეთის იმპერიაში მე-20 საუკუნის დასაწყისში შემოვიდა როგორც პასიური დასვენების სინდრომი. თამბაქოს მოწევის დროს, ფინჯანი ყავის თუ ჩაის მირთმევისას ფიქრებსა თუ ოცნებებში „ჩაძირვას“ სწორედ ამ სიტყვით აღნიშნავდნენ ევროპელი და რუსი თავადები და დიდგვაროვნები. ამ სიტყვამ საქართველოშიც მოიკიდა ფეხი და დროთა განმავლობაში მნიშვნელობაც შეიცვალა და ჟარგონად იქცა. რატომღაც მიჩნეულია, რომ კაიფი სხეულისა და გონების ნეტარებაა (ალბათ ამ სიტყვას ამიტომაც ხმარობენ ნარკომანები), თუმცა იგი მხოლოდ უსაქმურობას, ანუ დროის უქმად გატარებას ნიშნავს...

***რუბრიკა მოამზადა რუსუდან ჟორჟოლიანმა***

**ძვირფასო მკითხველო, „ანიდან ჰოემდე“ ეცდება თქვენი შეკითხვები უპასუხოდ არ დატოვოს, და ყველა მათგანზე კომპეტენტური პასუხი გასცეს...**

CMYK

# „გადადებული პარტია“?!

## „სპორტული თამაში“ პოლიტიკურის სასარგებლოდ?!



(დასაწყისი იხ. გვ. 27)

როგორც ჩანს, ფიდეს პრეზიდენტიც დარწმუნებულია, რომ საქართველოს ცენტრსა და რეგიონს შორის დაძაბული ურთიერთობა განიმუხტება. მანამდე კი იგი დროის დაკარგვას არ ფიქრობს და უკვე 21 მაისისთვის ბათუმში დასაბრუნებლად ემზადება.

ამასობაში საქართველოს ხელისუფლება ურყევ პოზიციას ინარჩუნებს და აბაშიძეს „ცაიტნოტში“ აგდებს — საქართველოს საგარეო სამინისტროს სახელით უკვე გაიგზავნა წერილი ფიდეში, სადაც გარკვევით არის ნათქვამი, რომ საქართველოს ხელისუფლებას ბათუმში ქალთა მსოფლიო საჭადრაკო ჩემპიონატის ჩატარება მიზანშეუწონლად მიაჩნია. მოსახლეობაში უკონტროლოდ დარიგებული იარაღისა და შესაძლო ექსცესების გამო, საქართველოს ხელისუფლება ვერავის აძლევს ჩემპიონატში მონაწილეთა და სტუმართა უსაფრთხოების გარანტიას, ფიდეს კი მოუწოდებს, უარი თქვას უკვე მიღებულ გადაწყვეტილებაზე.

*ეკა ლომიძე*

# პირველი ქართველი NBA-ს ფლეი-ოფში

ნიკა ცქიტიშვილი პირველი ქართველია, ვინც NBA-ს ფლეი-ოფში ითამაშებს. ნიკამ ნაციონალურ საკალათბურთო ასოციაციაში ასპარეზობის მეორე წელს შეძლო ამ მიზნის მიღწევა.

ვლადიმერ სტეფანია NBA-ში მეექვსე სეზონს ატარებს. ამ ხნის მანძილზე მას არც ერთხელ არ მისცემია საშუალება ფლეი-ოფში მოესინჯა ძალები, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ წელს „პორტლენდს“ ფლეი-ოფში გასვლის რეალური შანსი ჰქონდა. მას სწორედ ცქიტიშვილის „დენვერთან“ შეხვედრის შემდეგ გადაეწურა ეს იმედი. მარცხის გამო სტეფანია საკუთარ გუნდთან ერთად თამაშგარეში აღმოჩნდა.

ფლეი-ოფში „დენვერის“ მეტოქე დასავლეთ კონფერენციის გამარჯვებული — „მინესოტაა“.

რაც შეეხება „ორლანდოში“ ზაზა ფაჩულიას გარჯას, მიუხედავად იმისა, რომ ამ გუნდმა ბოლო ადგილი დაიკავა, მწვრთნელები ჩვენებურს სულ უფრო მეტად ენდობოდნენ და მანაც ქულებითა და მოხსნა-დაფარებებით დაამახსოვრა თავი გულშემატკივარს.

NBA-ს ქართველი ლეგიონერები საქართველოსაც არ ივიწყებენ. ისინი მუდმივად ეხმარებიან თავიანთ ყოფილ გუნდებს ეკიპირებით.

გასულ კვირას მათ კიდევ ერთხელ გამოგზავნეს ქართველი ბავშვებისთვის ბურთები და ფორმები. სწორედ ამ ჰუმანიტარული ტვირთის საზეიმო გადაცემა მოხდა კაფე „მსოფლიო სპორტში“. ღონისძიებას ამერიკის ელჩი რიჩარდ მაილსი და ქართული სპორტის მაღალჩინოსნებიც ესწრებოდნენ.



ნიკა ცქიტიშვილი

განსაკუთრებით საინტერესო იყო **რიჩარდ მაილსის** გამოსვლა:

„ვამაყობ რომ ისეთ ქვეყანაში ვმუშაობ, რომელიც გამორჩეულია NBA-ში თავისი ლეგიონერებით. ნაციონალურ საკალათბურთო ასოციაციაში სულ 33 ქვეყანას ჰყავს წარმომადგენელი. ლეგიონერთა რიცხვი კი მხოლოდ 73-ია, ასე რომ, სამი ლეგიონერი ასეთ მაღალ დონეზე არაა პატარა საქმე. ნიკა ცქიტიშვილი, ზაზა ფაჩულია და ვლადიმერ სტეფანია თავისი ქვეყნის ელჩები არიან და უდიდესი მისია აკისრიათ — ისინი ჩვენი ქვეყნების დაახლოებას უწყობენ ხელს. მჯერა, რომ ქართული კალათბურთი თავის სიტყვას იტყვის როგორც სანაკრებო, ისე საკლუბო დონეზე — მას რომ დიდი ტრადიციები აქვს, ისიც მოწმობს, რომ 1962 წელს თბილისის „დინამო“ ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელია“.

# ქართველთა თავგადასავალი იტალიაში



ირაკლი ლაბაძე

იტალიაში, ქალაქ კალიარიში გაიმართა დევისის თასის გათამაშების მატჩი მეორე ევროაფრიკულ ჯგუფში, სადაც საქართველოს ნაკრები მასპინძელთა ძლიერ ნაკრებს დაუპირისპირდა. იტალიელებმა გასულ წელს დატოვეს პირველი ჯგუფი. საქართველოს ნაკრები კი მესამე ჯგუფში წარმატებული გამოსვლის შემდეგ აღზევდა რანგით უფრო მაღალ დონეზე.

ირაკლი ლაბაძის ბოლოდროინდელი წარმატებული გამოსვლა ერთ-ერთ პრესტიჟულ ინდიან-ველსის ტურნირზე, გვაფიქრებინებდა, რომ ჩვენი ნაკრების შანსი იტალიელებთან არცთუ მიზერული იყო.

მოლოდინი გამართლდა. იტალიელებმა მხოლოდ ბოლო შეხვედრის შემდეგ შეძლეს უპირატესობის მიღწევა და გაიმარჯვეს 3:2.

საქართველოს ნაკრებს ორივე ქულა ირაკლი ლაბაძემ მოუტანა, რომელმაც ჯერ ანდრეას სეპი დაამარცხა საკმაოდ დრამატულ ხუთსეტიან ბრძოლაში 3:2 (6:4) (7:5) (1:6) (2:6) (6:2), შემდეგ კი ჯორჯო გალამბერტს სძლია 3:1 (6:1) (6:2) (5:7) (6:3).

მეხუთე გადამწყვეტი შეხვედრის წინ საერთო ანგარიში თანაბარი იყო — 2:2. გადამწყვეტი გახლდათ ლადო ჩიხლაძისა და ანდრეას სეპის ორთაბრძოლა, რომელიც იტალიელმა 3:0 მოიგო.

მომდევნო მატჩს საქართველოს ნაკრები მეორე ჯგუფში ადგილის შესანარჩუნებლად 16-18 ივლისს თბილისში გამართავს. ჩვენი ეროვნული გუნდის მეტოქე ეგვიპტის ნაკრები იქნება.

იტალიიდან ირაკლი ლაბაძე პორტუგალიაში გაემგზავრა, სადაც პრესტიჟული ტურნირის (საპრიზო ფონდი — $500.000) ნახევარფინალში გავიდა. ნახევარფინალურ მატჩსაც უგებდა რუს მარატ საფინს, მაგრამ სამწუხაროდ, წელის ტრავმამ აიძულა ბრძოლა შეეწყვიტა და ფინალის საგზური რუსი ჩოგბურთელისათვის დაეთმო.

# ბოსკამპის დანიშვნა სამაისოდ გადაიდო

ბოლოდროინდელი ერთ-ერთი აჟიტირებული თემა საქართველოში იოჰან ბოსკამპის დაბრუნება გახლდათ. მას 21 წლამდელთა ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტს სთავაზობდნენ. ბოსკამპი თბილისში მართლაც გვეწვია. არავინ აყენებდა ეჭვქვეშ, რომ მას დაამტკიცებდნენ შეთავაზებულ თანამდებობაზე, თუმცა, ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის სხდომაზე ეს საკითხი დაპირისპირებისა და ვნებათაღელვის საგანი გახდა. კრიტიკული და მწვავე გამოსვლა ჰქონდა საქართველოს ვეტერან ფეხბურთელთა კავშირის თავმჯდომარეს ვოვა ელოშვილს. იგი ცალსახად აცხადებს, რომ საქართველოში არიან ისეთი მწვრთნელები, რომელთაც ნაყოფიერად შეუძლიათ იმუშაონ ახალგაზრდებთან და ამიტომ არაა მიზანშეწონილი ბოსკამპის დანიშვნა.



იოჰან ბოსკამპი

**მერაბ ჟორდანია** *(საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი):*

— გადავწყვიტეთ, რომ საკითხის განხილვა გადავდოთ ერთი თვით. მანამდე ბოსკამპი არგენტინაში უნდა გაემგზავროს, სადაც დაგეგმილი აქვს ლექციები, მაისის ბოლოს კი კვლავ თბილისში ჩამოვა.

**— თუ იხილება პარალელურად ბოსკამპის კლუბში მუშაობის საკითხიც?**

— არ დაგიმალავთ და ამ მხრივ საკმაოდ აქტიურობს საფეხბურთო კლუბი „თბილისი“, რომელმაც ბოლო ხანს მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია. აღმასკომის წევრს დავით პეტრიაშვილს აქვს მოსაზრება, რომ ბოსკამპმა თუკი ახალგაზრდულ ნაკრებში დაინიშნება, შეთავსებით არ უნდა იმუშაოს, თუმცა მე ვფიქრობ, რომ ბოსკამპის საკლუბო დონეზე გამოყენება მნიშვნელოვნად წაადგება ქართულ ფეხბურთს.

**— თუ აღმასკომმა არ დაამტკიცა ბოსკამპის კანდიდატურა, რას აპირებთ?**

— შევთანხმდით, რომ ნებისმიერი საკითხი გადაწყვეტამდე აღმასკომის წევრებს გაეცნობა. მგონია, აღმასკომის წევრები დაგვეთანხმებიან და ბოსკამპი ახალგაზრდული ნაკრების მთავარი მწვრთნელი გახდება.

**— რა დაუჯდება ფინანსურად ფედერაციას ბოსკამპის სამსახური?**

— თანხას ვერ დავაკონკრეტებთ, თუმცა, მისი ანაზღაურება ბევრად არ ჩამოუვარდება ჟირესის გასამრჯელოს.

შეგახსენებთ, რომ ჟირესის წლიური ჯამაგირი 700 ათასი ევროა.

# ივო შუშაკს რუსეთში ეპატიჟებიან

ბოლო დროს სულ უფრო ხშირად გაისმის ხმები თბილისის „დინამოდან“ ივო შუშაკის წასვლის შესახებ. გასაკვირი არაა, რომ ხორვატი სპეციალისტი არცთუ კარგ გუნებაზეა. „დინამომ“ ჩემპიონატში ზედიზედ ოთხი მატჩი ვერ მოიგო და 12 შესაძლებლობიდან მხოლოდ ორიოდე ქულა მიითვალა.

ვფიქრობთ, რომ მოვლენათა ასეთი განვითარება სრულიად ლოგიკური და ადვილად პროგნოზირებადი იყო, რადგანაც საქართველოს ჩემპიონის რიგები ზამთრის სატრანსფერო სეზონისას დატოვა ერთბაშად ოთხმა წამყვანმა ფეხბურთელმა, ყველა მათგანი საქართველოს ნაკრების წევრია. ოთხი მოთამაშე კი თითქმის ნახევარი გუნდია. რაც არ უნდა ვიძახოთ, რომ მათი შემცვლელები „დინამოს“ ჰყავს, არ შეიძლება ოთხი მოთამაშის შემადგენლობიდან ამოვარდნას არ მოჰყოლოდა უარყოფითი შედეგი.

**ივო შუშაკი:** „ფეხბურთში გამარჯვება ინერციის ნაყოფი სრულიადაც არაა, იგი გუნდის კარგად დაკომპლექტებას მოაქვს. ოთხი ფეხბურთელის გუნდიდან წასვლა და ლადო ბურდულის ტრავმა ჩვენი წარუმატებლობის ერთ-ერთი მიზეზია, მაგრამ ამას არ მინდა ყველაფერი დავაბრალო. კლუბის საკადრო პოლიტიკაში მე არ ვმონაწილეობ. შედეგის მიღწევას იმ ძალებით ვცდილობ, რაც ჩემს ხელთაა კონკრეტულ შემთხვევაში. გუნდის გაძლიერება ეტაპობრივად უნდა მომხდარიყო, და თანაც ახალი ფეხბურთელებით. არადა, პირიქით მოხდა, არათუ გავძლიერდით, წამყვანმა ფეხბურთელებმა დატოვეს „დინამო“. ბოლო ხანს ჩვენი გატანილი გოლების 70 პროცენტი დარასელიასა და ალექსიძეზე მოდიოდა. ეს ორი მოთამაშე ახლა ჩვენს რიგებში აღარ ირიცხება. სამწუხაროდ, სატრანსფერო პოლიტიკის განსაზღვრისას მხოლოდ აზრის გამოთქმა შემიძლია.

ჩემი ცხოვრების წესია, სანამ გუნდთან კონტრაქტი არ დამიმთავრდება, სხვა სამუშაოზე არ ვფიქრობ.“

ცნობილია, რომ ხორვატ მწვრთნელს რუსეთის პრემიერლიგის ერთ-ერთი გუნდი ეპატიჟება და სოლიდურ ანაზღაურებასაც სთავაზობს.

ვფიქრობთ, შუშაკის გუნდიდან დათხოვნაზე საუბარი ნაადრევია, არა მხოლოდ იმიტომ, რომ გასულ პარასკევს გორის „დილასთან“ იოლი გამარჯვებით „დინამომ“ კვლავ დაიბრუნა ჩემპიონობისათვის ბრძოლის შანსი — უბრალოდ, როცა ერთ მწვრთნელს უშვებ, შეგულებული მაინც უნდა გყავდეს უკეთესი. ავად თუ კარგად, შუშაკმა უკვე აუღო ალღო ქართულ სინამდვილეს და რამდენიმე მატჩის წაგების გამო მის შეცვლაზე ფიქრი მიზანშეწონილი არ უნდა იყოს.



ივო შუშაკი

# ტიგანა ჟირესს „აარიდეს“

მას შემდეგ, რაც თურქეთის ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტი შენოლ გიუნეშის გათავისუფლების მერე ვაკანტური აღმოჩნდა, იყო ვერსია, რომ ჩვენს მეტოქეს მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის მეორე ჯგუფში ფრანგი ტიგანა უხელმძღვანელებდა. ამას ხალისიანად გამოეხმაურა საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი ფრანგი ალან ჟირესი, რომელმაც დაუფარავად თქვა — კარგია თუკი ტიგანას დანიშნავენ, მის გუნდს სადაც შევხვდი, ყველგან მოვუგეო...

მივიდა თუ არა ეს ამბავი თურქეთის ფეხბურთის ხელმძღვანელთა ყურამდე, ვერ გეტყვით, თუმცა ფაქტია, რომ მათ ტიგანას კანდიდატურაზე უარი განაცხადეს და ნაკრები „გენჩლერის“ თავკაცს, 43 წლის ერსუნ იანალს ჩააბარეს. სწორედ იანალის დამსახურებაა, რომ „გენჩლერმა“ უეფას თასზე მერვედფინალამდე მიაღწია, მანამდე კი გამოთიშა ისეთი აღიარებული გუნდები, როგორებიცაა: „ბლექბერნი“, „სპორტინგი“ და „პარმა“.

ერთი სიტყვით, თურქები, ვისთანაც მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე საქართველოს ნაკრებს პირველივე მატჩი აქვს, მომზადებულნი დაგვხვდებიან.

მანამდე კი საქართველოს ნაკრებს თავისი თავსატეხი აქვს — ალან ჟირესის სურვილია, რაც შეიძლება ბევრი მატჩი გამართოს ნაკრებმა ოფიციალურ შეხვედრებამდე. სავარაუდოდ, ჩვენს ნაკრებს უახლოეს ხანში ესპანური გუნდები — მადრიდის „ატლეტიკო“ და კატალონიური „ესპანიოლი“ დაუპირისპირდებიან.

**ალან ჟირესი:** „ჩემი უმთავრესი ამოცანაა, რაც შეიძლება უმოკლეს დროში შევისწავლო ქართველ ფეხბურთელთა პოტენციალი. ზაფხულამდე უნდა გამოიკვეთოს ნაკრების ბირთვი, შემდეგ კი გუნდის შეთამაშებაზე უნდა ვიზრუნოთ. ამიტომაც მინდა საქართველოს ნაკრებმა რაც შეიძლება მეტი მატჩი გამართოს. მხოლოდ ასე თუ შევძლებ ჩემი გეგმის განხორციელებას.“

# ასეულის ზღვართან....

ფიფამ რამდენიმე დღის წინ მორიგი რეიტინგი გამოაქვეყნა, სადაც საქართველო ისევ 98-ე პოზიციაზეა. მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე ჩვენი მეტოქეებიდან ხუთს ჩვენზე უკეთესი პოზიცია აქვს. თურქეთი — მერვეა, დანია — მეთოთხმეტე, საბერძნეთი — ოცდამეცამეტე, უკრაინა — სამოცდამეხუთე, ალბანეთი კი — ოთხმოცდამეცამეტე. სანუგეშოდ კი ის შეგვიძლია ვთქვათ, რომ ყაზახეთს, რომელიც 136-ე პოზიციაზეა, ჯერჯერობით საგრძნობლად ვუსწრებთ.

## უეფას თასი

### მეოთხედფინალი საპასუხო მატჩები

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ვალენსია | — | ბორდო | 2:1 | (2:1) |
| ინტერი | — | მარსელი | 0:1 | (0:1) |
| ვილიარეალი | — | სელტიკი | 2:0 | (1:1) |
| ნიუკასლი | — | ეინდჰოვენი | 2:1 | (1:1) |

### ნახევარფინალში გუნდები ასე დაწყვილდნენ

ვალენსია — ვილიარეალი
ნიუკასლი — მარსელი

პირველი მატჩები 22 აპრილს გაიმართება, საპასუხო — 6 მაისს.

*გვერდი მოამზადა გიგა ხირსელმა*

## №15 (393) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შედეგები

რეიტინგის თემა იყო „მსახიობი მამაკაცები“. კითხვას — **„ვინ მიგაჩნიათ ჰოლივუდის საუკეთესო მსახიობად?“** 550 რესპონდენტი გამოეხმაურა. 8 ბარათი არასწორად იყო შევსებული. კონკურსში 238 ქალისა და 304 მამაკაცის მიერ შევსებული ბარათი მონაწილეობდა.

როგორც შედეგებმა გვიჩვენა, მკითხველების აშკარა ფავორიტი რობერტ დე ნიროა. აქ ალბათ გადამწყვეტი როლი პროფესიონალიზმთან ერთად გარეგნულმა მომხიბვლელობამ შეასრულა. რესპონდენტთა 34%-მა შეაფასა იგი მაქსიმალური — 9 ქულით. **7,36** საშუალო ქულით რობერტ დე ნირო პირველ ადგილზეა.

შემდეგ ადგილზე ალ პაჩინოა, რომელიც სულ მცირე სხვაობით ჩამორჩება დე ნიროს. მკითხველთა 33%-მა სწორედ მას მიაკუთვნა მაქსიმალური შეფასება. საშუალო ქულაა 7,22. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ შეუდარებელი „ნათლია“ რესპონდენტი ქალების გულთამპყრობელი აღმოჩნდა — მათთან პირველ ადგილზე ალ პაჩინოა.

ყველაზე მცირე რაოდენობის მინიმალური ქულა რობერტ დე ნირომ დაიმსახურა (2%); მაქსიმალური ქულების სიმცირით კი ჯონ ტრავოლტა გამოირჩევა — რესპონდენტთა მხოლოდ 1%-მა დაუწერა მას 9 ქულა.

აღსანიშნავია, რომ ჰოლივუდის მსახიობების შეფასებაში სხვადასხვა ასაკის რესპონდენტთა გემოვნება თითქმის ემთხვევა ერთმანეთს. მხოლოდ რამდენიმე განსხვავება დაფიქსირდა — ახალგაზრდა, 30 წლამდე ასაკის რესპონდენტები ჯეკ ნიკოლსონზე მეტად მელ გიბსონსა და რიჩარდ გირს „წყალობენ“; 30-50 წლამდე ასაკის მკითხველები თვლიან, რომ ჯონ ტრავოლტა უფრო პროფესიონალია, ვიდრე — ბრედ პიტი (ასევე მიიჩნევენ რესპონდენტი მამაკაცებიც); 50 წელს გადაცილებული მკითხველები ჯეკ ნიკოლსონთან შედარებით უპირატესობას რიჩარდ გირს ანიჭებენ.




საპრიზოს ზუსტად არც ერთი ბარათი-რეიტინგი არ დაემთხვა. ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი კი თბილისელი, 42 წლის **ხვიჩა ჟუღუხაძე.**

მან, საპრიზო ვარიანტისაგან განსხვავებით, ჯონ ტრავოლტას ერთის ნაცვლად — ორი ქულა (მერვე ადგილი) მიაკუთვნა, ხოლო ბრედ პიტს ორის ნაცვლად — ერთი (მეცხრე ადგილი).

გამარჯვებულს ვულოცავთ და პრიზის — 100 ლარის მისაღებად ველით რედაქციაში ოთხშაბათს, 21 აპრილს, 17 საათზე.

**როგორ ხდება ყველაზე მიახლოებული ვარიანტის გამოვლენა.**

**პირველ რიგში, მიახლოებულად ითვლება ის ვარიანტი, სადაც განსხვავება ბოლო ადგილებზე გასულ გრაფებშია (მაგალითად, თუ ადგილები აქვთ შეცვლილი 1 და 2 ქულას (IX-VIII ადგილებს), თუ ასეთი ბარათი არ აღმოჩნდება, მოგების შემდეგი პრეტენდენტია ბარათი, სადაც ადგილები აქვთ შეცვლილი 2-სა და 3 ქულას (VIII-VII ადგილებს), შემდეგ — 3-სა და 4 ქულას (VII-VI ადგილებს), 4-სა და 5-ს (VI-V ადგილებს) და ა. შ. 8-9-მდე (II-I ადგილებამდე). თუ არ არსებობს ასეთი ბარათები (სადაც განსხვავება გვერდიგვერდ მდებარე გრაფებს შორისაა), შემდეგ ხდება გადამოწმება ერთის გამოტოვებით. მაგალითად 1 და 3 (IX და VII ადგილები), 2 და 4 (VIII და VI ადგილები) და ასე შემდეგ. საგულისხმოა, რომ მიახლოებულის გამოვლენა იწყება ბოლო ადგილებიდან.**

## №16 (394) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

„კვირის პალიტრა“ თავისი მკითხველებისთვის აწყობს გამოკითხვებს სხვადასხვა საინტერესო საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს (ჩვენ და თქვენ), გავიგოთ საზოგადოების აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, ფაქტზე და ა. შ.

გარდა ამისა, გამოკითხვა-რეიტინგები საპრიზოა, საპრიზო ფონდით —

# 100 ლარი

თქვენ მიერ შედგენილი რეიტინგებით დგება ერთი საერთო რეიტინგი, რომელიც გამოქვეყნდება „კვირის პალიტრის“ მომდევნო ნომერში გამარჯვებულის ვინაობასთან ერთად.

პრიზს მიიღებს გამოკითხვის ის მონაწილე, რომლის მიერ შედგენილი (და, რა თქმა უნდა, რედაქციაში გამოგზავნილი) რეიტინგიც დაემთხვევა საშუალოს.

საპრიზო გამოკითხვაში შემოთავაზებული თემების თითოეული გრაფისათვის მკითხველთა მიერ დაწერილი ქულები ჯამდება და შემდეგ იყოფა რეიტინგის მონაწილეთა რაოდენობაზე, რაც გვაძლევს ამ გრაფის საშუალო ქულას.

რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში, საპრიზო ფონდი მათ შორის განაწილდება, ხოლო თუ არც ერთი მკითხველის რეიტინგი არ დაემთხვა საშუალოს, პრიზს მიიღებს მასთან ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი.

იმ შემთხვევაში, თუკი მიახლოებული ვარიანტიც არ იქნება, თანხა ემატება შემდეგი რეიტინგის საპრიზო ფონდს.

✱ საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათის შევსებისას ნუ დაგავიწყდებათ, მონაწილეობა მიიღოთ *მკითხველის რეიტინგსა* და **«მკითხველის პრემიაში».**

**№16 (394) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათი რაიონებში განთავსებულ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში მოათავსეთ ოთხშაბათის, 21 აპრილის 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 22 აპრილის 13 საათამდე.**

© თბილისი

რეიტინგის ბარათები პარალელურად იბეჭდება ჟურნალ „რეიტინგშიც“. თქვენ შეგიძლიათ ამოჭრათ ისინი, შეავსოთ და მითითებულ გადებში გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. აღნიშნული ბარათებით ისევე მიიღებთ მონაწილეობას კონკურსში, როგორც „კვირის პალიტრიდან“ ამოჭრილი ბარათებით.

თემა №16(394) — მსახიობი ქალები

**ვინ მიგაჩნიათ ჰოლივუდის საუკეთესო მსახიობად** (ჩამოთვლილთაგან)**?** დაუწერეთ მას **9** ქულა, მომდევნოს — 8 და ა.შ. 1-მდე.

**№16(394) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი**

| № | მსახიობი | ქულა |
|---|---|---|
| 1 | გვინეტ პელტროუ | |
| 2 | შარლიზ ტერონი | |
| 3 | ჯულია რობერტსი | |
| 4 | ჯოდი ფოსტერი | |
| 5 | სანდრა ბალოკი | |
| 6 | ნიკოლ კიდმანი | |
| 7 | მეგ რაიანი | |
| 8 | კიმ ბესინჯერი | |
| 9 | დემი მური | |

*მკითხველის რეიტინგი*

**თქვენი აზრით, რომელი პიროვნება ახდენს ყველაზე დიდ გავლენას საქართველოს პრეზიდენტზე?**

✓ ______________________

**მკითხველის პრემია**

**დაასახელეთ ნომრის საუკეთესო ჟურნალისტური ნამუშევარი**

✓ ______________________

თქვენი სახელი, გვარი

ქალაქი (რაიონი)

ასაკი ტელეფონი

**თუ საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგში მონაწილეობის მისაღებად რამდენიმე ბარათს ავსებთ, გთხოვთ, „მკითხველის რეიტინგსა“ და „მკითხველის პრემიაში“ მხოლოდ ერთხელ (ერთ ბარათში) დააფიქსიროთ თქვენი აზრი.**

**ყურადღება! „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში მითითებულ დროზე გვიან მოთავსებული ბარათები კონკურსში არ მონაწილეობს!**

*მკითხველის რეიტინგის შედეგები*

**რომელი ჩინოვნიკის ქონებრივი დეკლარაცია გაინტერესებთ ყველაზე მეტად?**

| | | |
|---|---|---|
| 1. | ზურაბ ჟვანია | 20,9% |
| 2. | ასლან აბაშიძე | 7,8% |
| 3. | ირაკლი ოქრუაშვილი | 6,4% |
| 4. | მიხეილ სააკაშვილი | 3,5% |
| 5-6. | ვანო ზოდელავა | 2,9% |
| 5-6. | გიორგი ბარამიძე | 2,9% |
| 7. | სალომე ზურაბიშვილი | 2,4% |
| 8. | ზურაბ ნოღაიდელი | 1,9% |
| 9. | ვანო მერაბიშვილი | 1,3% |
| 10-12. | პეტრე ცისკარიშვილი | 0.5% |
| 10-12 | კოტე კემულარია | 0.5% |
| 10-12. | კახა ლომაია | 0.5% |
| | არც ერთი | 12.9% |
| | მიჭირს პასუხის გაცემა | 0,3% |
| | ყველა ჩინოვნიკი | 1,3% |

როგორც ჩანს, მკითხველებს მოქმედი ჩინოვნიკების გარდა პოპულარული ბიზნესმენების, პოლიტიკოსების, შევარდნაძის მთავრობის წევრთა ქონებრივი მდგომარეობაც აინტერესებთ.

მათთვის საინტერესოა, თუ რა სიმდიდრეს ფლობენ: ედუარდ შევარდნაძე (4,8%), ნინო ბურჯანაძე (3,5%), ვანო ჩხარტიშვილი (2,4%) ნიკო ლეკიშვილი (1,6), ლევან მამალაძე (1,3%), შალვა ნათელაშვილი (1,1%), გია ჯოხთაბერიძე (1,1%), ბადრი პატარკაციშვილი (0,5%), სოსო ალავიძე (0,5%), დავით გამყრელიძე (0,5%) და სხვანი.

რესპონდენტთა 16,7%-მა სხვა ადამიანები დაასახელა.

*მკითხველის რეიტინგში 364 რესპონდენტი მონაწილეობდა*

## ·ფოტოპალიტრა· © ფოტოანტიკვარი

*გთავაზობთ თქვენთვის ნაცნობი პიროვნებების ფოტოებს. გთხოვთ, პასუხები გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ყველაზე ორიგინალური პასუხები გამოქვეყნდება გაზეთის შემდეგ ნომერში.*

რას დაარქმევდით?

______________________

______________________

______________________

______________________

თქვენი სახელი, გვარი ______________

ქალაქი (რაიონი) ______________



ნიკო ლეკიშვილი, ბადრი პატარკაციშვილი

„ფოტოანტიკვარის“ მინიშნებამ — მკურნალი, დეპუტატი, ლიდერი, როგორც ჩანს, სწორ გზაზე დააყენა მკითხველი და 96%-მა მასში მემარჯვენე დეპუტატი **დავით გამყრელიძე** ამოიცნო.

თუმცა ამ სომბრეროიან ბიჭუნაში მკითხველთა ნაწილმა (3%) გიგი წერეთელი შეიცნო. დასახელდნენ აგრეთვე ასლან აბაშიძე, ლევან პირველი.




ზურა ნიკოლაიშვილის მეგობრული შარჟი





დავით გამყრელიძე, ოთხი წლის

# ფოტო განცხადებისთვის



— ზედა სართულზე მიყვანის დაშინება...

სვანი კონსერვატორიაში აბარებს. გამოცდა აქვს სოლფეჯიოში. კომისიის წევრი ეუბნება: — ჩვენ თითს დავაჭერთ ფორტეპიანოს კლავიშს, თქვენ უნდა გამოიცნოთ.



სვანი ზურგით ჯდება ფორტეპიანოსთან, გულდასმით უსმენს, შემდეგ შემობრუნდება და თითს ერთ-ერთ გამომცდელს მიაშვერს:

— შენ იყავი!!!

**19/IV**

**ახალი მთვარე**

**მაგნიტური დღეებია:**

**22/IV 14-დან 16 საათამდე**
**25/IV 17-დან 19 საათამდე**

## წინა ნომრის კროსვორდის პასუხები

**თარაზულად:** 1. მატიანე; 4. ჟენშენი; 6. სავლე; 7. ეპოქა; 8. იჩიგი; 9. ათენი; 10. აკვანი; 13. სანდრა; 16. ჩხირი; 18. ვერანდა; 19. შვედეთი; 20. იტაკა; 22. „აგონია“, 23. ბახალა; 25. იმედი; 27. ბადრო; 28. ლოცვა; 29. რიტმი; 30. აფთიაქი; 31. „აჩრდილი“.

**შვეულად:** 1. მაკადამია; 2. ესთეტიკა; 3. ავტორიტეტი; 4. ჟელატინი; 5. ინტონაცია; 11. ვარდო; 12. ნანსი; 14. არენა; 15. დიეტა; 16. ჩაი; 17. იშა; 21. აპენდიციტი; 22. არგენტინა; 24. ავტოგრაფი; 25. იუბილარი; 26. ინოვაცია.









## იცით თუ არა, რომ...

*** სკანდინავიის ქვეყნების წარმომადგენელი საუბრისას წუთში ერთ ჟესტს აკეთებს, იტალიელი — 80-ს, ფრანგი — 120-ს, მექსიკელი — 170-ს.

*** გამძვინვარებულ ბეჰემოთს უფრო ძლიერი ხმა აქვს, ვიდრე რეაქტიულ თვითმფრინავს აფრენისას.

*** ჭრიჭინას ხმა 2 კმ-ზე ისმის.

*** საავტომობილო საცობებში „გატარებული“ დროის განმავლობაში ამერიკელი ბიზნესმენები ყოველწლიურად კარგავენ მოგებას 100 მლრდ დოლარის ოდენობით.

*** დედამიწის მოსახლეობის ნახევარზე მეტს არასოდეს დაურეკავს ტელეფონით.

*** მამაკაცის გული ქალისაზე 100 გრამით მეტია.

*** რონალდ რეიგანი და ჯიმი კარტერი საზოგადოებას უმტკიცებდნენ, — არაერთხელ გვინახავს მფრინავი თეფშებიო.

*** დედამიწის განსაკუთრებული ფორმის გამო ჩრდილოეთ ნახევარსფეროს მოსახლეობას მეტი მზის სხივი ხვდება, ვიდრე სამხრეთისას.

*** ჩვ. ერამდე 1000 წლის წინ ისრაელელები გადასახადს ქიშმიშით იხდიდნენ.

*** იაპონია 3900 კუნძულისგან შედგება.

*** 2 კგ სოია იმდენსავე ცილას შეიცავს, რამდენსაც 5 კგ ხორცი.

*** შექსპირის პიესების მიხედვით გადაღებულია 400 ფილმი.

ყურადღება: „კვირის პალიტრის“ (გაზეთის) საფოსტო (საკორესპონდენტო) ყუთებზე საავტორო უფლება დაცულია კანონით.©

## 16 უფასო განცხადების ქვითარი

განცხადების ტექსტი ________________________________

________________________________

________________________________

________________________________

________________________________

________________________________

________________________________

სიტყვა და საქმე

*გთხოვთ, ტექსტი გარკვევით დაწეროთ: სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა — 30 (მისამართის და ტელეფონის ნომრის ჩათვლით) გაურკვევლად ნაწერი განცხადება არ გამოქვეყნდება*

№16 თბილისში ქვითარი „კვირის პალიტრის“ ყუთებში ჩააგდეთ 22 აპრილის (ხუთშაბათი) 13.00 სთ-მდე.

*„კვირის პალიტრის“ და „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთები განლაგებულია: თბილისში – მეტროს სადგურებთან და ხალხმრავალ ადგილებში, აგრეთვე, ქალაქებსა და რაიონებში:* მცხეთა, კასპი, გორი, ქარელი, ხაშური, სურამი, ზესტაფონი, ქუთაისი, სამტრედია, აბაშა, სენაკი, ხობი, ზუგდიდი, ფოთი, ქობულეთი, ბათუმი, ოზურგეთი, ლანჩხუთი, ვანი, წყალტუბო, ბაღდათი, ხონი, ბანძა, თერჯოლა, ტყიბული, ამბროლაური, ონი, ბორჯომი, ახალციხე, რუსთავი, საგარეჯო, გურჯაანი, წნორი, სიღნაღი, ყვარელი, ლაგოდეხი, თელავი, ახმეტა, დედოფლისწყარო.

***„კვირის პალიტრისა“ და „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთები იცლება თბილისში — სამშაბათს, ხუთშაბათს, კვირას 13 საათიდან; რაიონებში — ოთხშაბათობით, 10 საათიდან.***

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს.

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან გადმოთარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე, სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.

**რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.**

**მთავარი რედაქტორი ლალი გუნთაიშვილი**

**მთ. რედაქტორის მოადგილეები: ნუცა დუმბაძე, გიორგი თევდორაშვილი**

**სარედაქციო კოლეგია**

მის.: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან)

ტელ: **რედაქცია:** 33-39-54
**რეკლამა, ფაქსი:** 33-50-32; 98-74-44

news@kvirispalitra.com
www.opentext.ge/kvirispalitra

**სარეგისტრაციო ნომერი © 1518**

**„კვირის პალიტრა“ გამოდის ორშაბათობით**

გაზეთი დაიბეჭდა გამომცემლობა „კოლორში“.